

644/
1961/①

3

р. 1
944135521
9102-01101033

Орлыгина

6

ქალაქი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურობა
საპარტიზოლოს ალკა ც. კ-სა და
მწიბრალთა კავშირის ორგანო

8547

წიგნი

შ ი ნ ა კ რ ს ი

3. ჯამახაძე — ჩვენ ვუღარაფებთ ზღვრების სიწმრეხს (ლექსი)	3
მ. ელიოვიშვილი — ანდალუზა (მოთხრობა)	4
წ. ლორთქიფანიძე — ლექსები	8
ბ. კეზელაძე — ლექსები	10
თ. ნატროშვილი — მოთხრობები	12
რ. პირაძე — ლექსები	47
ს. კორინთელი — სანამ ცოცხალი ხარ (რომანი. გაგრძელება)	48
3. რიფი — ლეოპარდი (თარგმნა რ. თვარაძემ)	62
მ. ბაბრიცკი — სამიკიტნო (თარგმნა. თ. ჭილა- ძემ)	98
მ. მისხაილოვი — უკანდახევა — თარგმნა გ. ჩი- ქოვანმა	103

შ ა შ ნ ი კ ი

ე. სახვაძე — ლექსები	108
ბ. პაპანაძე — ლექსები	111

წ ა მ ე ნ ი ა დ მ ი ა ნ ა ზ ი

ს. დემურბანაშვილი — ისინი სქედენ მომავალს	118
---	-----

პ რ ი ბ ი ა ზ ა დ ა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი ა ზ ა


კონსტანტინე გამსახურდია	118
მ. მარბაშვილი — ცხოვრება, ისტორია, ლიტერატურა	120
ბ. ბახტაძე — ბელისსკი და მარქსისტული კრი- ტიკა	133
ბ. ციციშვილი — ბელისსკი — თეატრალური კრი- ტიკოსი	139

6

1961

036060

გამომცემლობა
„საბჭოთა მწიბრალი“





ლ. ურუშაძე — „განდევილის“ ინგლისური თარგ-
მანი 145


ზ. ჩხინკაძე — ვოლფგანგ ბორპერტის შემოქმე-
დება 149

ხელოვნება

ნ. ჯანაშიანი — დღევანდელი დღის არქიტექ-
ტურა 158

სპორტი

აღ. გუსლაძე — დიდი გამარჯვების მცირე
საიდუმლოებანი 158



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/შგ-მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 961. უფ. 03569. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

პახანგ ჯაჰახაძე

ჩვენ ვუღარაჯებთ ბავშვების სიზმრებს

იგი მოვიდა ძალიან ახლოს —
 თავხედი კაცის გამბედაობით.
 ეს იყო ომი...
 მან ორად გაჰყო
 მშვიდი ცხოვრება ყველა თაობის.
 მოვიდა, როგორც ჯალათი მკაცრი,
 რომელსაც სულში ყინული უძევს,
 სურათს და წერილს დაადო ფასი,
 დაავაჟკაცა ბიჭები უცებ.
 გადააფარა ღრუბლები კრამიტს,
 სარკმელში შუქი ჩააქრო მალე,
 დღითა და ღამით,
 დღითა და ღამით
 პატარა ბავშვებს ჰპარავდნ მამებს.
 და იყო შიში მოწმენდილ ზეცის,
 რომელიც ფეხქვეშ კარგავდა მიწას,
 ლუკმაბურივით ნასესხებ ცეცხლის
 მკვდარი ჩრდილები ოთახში იწვა.
 მამებმა შეკრეს ცოცხალი ღობე,
 რომლის იქითაც დარჩა ხანძარი...
 ჩვენ კი გაფრენილ ელმავლის ბორბლებს
 ერთი ნაბიჯით გადავასწართ.
 გადავუქროლეთ შორეულ სივრცეს,
 ახლა სივრცეებს ახალს დავეძებთ,
 და ვუღარაჯებთ ბავშვების სიზმრებს,
 ვით მდინარეში ჩაყრილ ანკესებს.



მეჩაბე აღიარებულნი

ნეტარად

იპოდრომზე ტევა აღარაა. ცხელა. ოფლისა და ცხენის ნაკელის სუნნი
დგას ტრიბუნებთან. ჯერ ადრეა, ხალხი მოდის. ტევა აღარაა ქუჩებში. კექსის
ნაჭერივით რომ ამოჭრეს მთა და მტკვარზე უფრო განიერი გზა გაიყვანეს,
იქაც კი სავსეა ხალხი. მანქანები მოცოცავენ. რა ცუდია, როცა ხალხითაა გა-
ტენილი გზა. მანქანა ნელა მიბობლავს. მზე მთლიანად ძვრება მანქანის მინაში
და ანდალუზას ღვარებად მოსდის ოფლი: მოკალოებულ კოსროზე ოფლის
წინწკლები ერთმანეთს ეღვევებოდნენ და პატარა ტბა აქვს ანდალუზას თავზე.
დათუთქულ სახეს რომ აარიდებს მზეს და უკან გადაწვება სავარძელზე, ტბა
იცილება. მაგრამ ასე ჯდომაც ძნელია, კისრის ძარღვები ეჭიმება ანდალუზას.
გარედან კი არ ეტყობა, სხვას გაუჭირდება გაგება აქვს თუ არა ანდალუზას
კისრის ძარღვები და ეჭიმება თუ არა თავის უკან გადაწვევისას, მაგრამ კის-
რის ძარღვები ყველასა აქვს. ისევ წინ დაიხრება ანდალუზა და ტბა ისევ ჩნდე-
ბა კეფაზე...

— ოცდაათ წელზე ნაკლები არ გეთქმით! — ეუბნებოდნენ ოცი წლის
ანდალუზას ქალები ზღვაზე. და ანდალუზა დებეშას გზავნიდა შინ: „ფული!“

— მიძიე წონის მოჭიდევსა გავხართ: — „ფული!“... ხელები რომ აღარა
პყოფნიდა ანდალუზას მამას სახოკას, ლამის ცხვირითაც ხნავდა მიწას სო-
ფელში. ეთასნაირ წამლებს აყენებდა, წამლავდა ხილის ბაღს თავის საკარმი-
დამოში. ბალი გაზაფხულზე თეთრად იპენტებოდა, შემოდგომაზე წითლად
ღვიოდა. გოდრების სიმძიმე გოდრებშია ახედებს სახოკას. ფული! სწავლობს!
ბოლოს ერთხელ კიდევ გაიხედა ფეხებშია სახოკამ: „ბიჭმა დაამთავრა,
ქალაქშივე დასტოვეს. ქვეყანა მანქანებით დადის ქალაქში!“ და აიცილა საბ-
ძელივით გოდორი სახოკამ, კიდევ გაიხედა ფეხებშია და მერე ვეღარ გამო-
იხედა...

ახლა ოცდაათი წლისაა ანდალუზა და იზოდრომისაყენ მიავგორებს განიერ მანქანას. ოფლის სუნი დგას მანქანაში... ცოლი ჯერ არ შეურთავს ანდალუზას: ცოლის შერთვას მოასწრებს... ბუზივით ახვევიან ქალები ანდალუზას. სანდო აღარავინაა, — ხენვით შესჩივლებს ხოლმე ანდალუზა ორთაქალელ სიფრიფანა მექისეს და პირქვე დაემხოზა ცემენტის- ტახტზე. მართალი ხარ, მართალი, ანდალუზა! — წრიბინებს სიფრიფანა, ორთქლით გამოხნაკული მექისე და დანასავით მიცურავს ანდალუზას უხერხემლო ზურგზე. „ბახ! ბახ! ბახ!“ — დაუბრაბუნებს მერე აქაფებულ ქისას აფუებულ ზურგზე: დათვი მქლე და შენ სუქანი. გასუქდი და გაღალანდი! შეგემატოს დღე და ჯანი! გაამოს! — გამადლობთ!

...
 იზოდრომი ზრიალებს!

— სალამი ანდალუზ! მიდიხარ და მიდიხარ განზე, ჰა!

— ძვალსხვილი ვარ, აჰა, — მაჯას უჩვენებს ინსტიტუტელ ამხანაგებს:

— შეგარგოს, ამას რა ყურს უვდებ, თითონ ტარანივითაა და გაბრაზებს!

მიგორავს ანდალუზა სკამებისაყენ, — თან ცალი თვალი ზემოთ დაყენებულა მანქანისაყენ უჭირავს — არაყენ ამიწაპნოს რამეო...

— გამარჯობათ, ანდალუზა, როგორ გიკითხოთ!

ანდალუზა ჯერ მარჯვენა ყურისაყენ ხრის თავს. მერე მარცხნივ აქცევს და გზას განაგრძობს. უჰ, რა ცხელა! მერე როგორც იქნა დაჯდა თავის ადგილზე ანდალუზა, დაჯდა და დაიკეცა: თავი კისერს დააწვა და მხრები ჩააძვრა, მხრებმა ფაშვი დაოტანეს და სართულეზად დააკეცეს.

ორკესტრმა დასცხო და მხედრებმა ნაბიჯით ჩამოატარეს ცხენები. ხალხი კი მოდის და მოდის, ემატება და ემატება...

მერე ბილიკებს გაეკრენ ცხენები. ერთი წრე, მეორე, მესამე... საოფლე-ბივით დაჰკვირან მხედრები ცხენების ზურგებს. „თქლაფ!“ გაათავა ერთი ნაყინი ანდალუზამ. „თქლაფ!“ — მეორე, „თქლაფ!“ — მესამე... ნიკაპზე დაკიდულ ოფლის წვეთებს გამდნარი ნაყინის წუნწკლები ერევა. მხედრებმა გაარღვიეს ფინიში, ხალხი ზრიალებს, ანდალუზა თოკწაქერილივით ხრიალებს და ტკბილიან ხელებს იტყაპუნებს მუხლებზე... მერე ჯოხები დაუშინეს ერთმანეთს მხედრებმა...

მერე ხევსურებმა დაქანეს თავპირის მტკრევით ციცაბოებიდან უბელო ცხენები. „მთავარია ხელი მაგრად გეკიდოს ღვედზე! — ფიქრობს ანდალუზა, — ფეხები მარჯვედ უნდა ამოსდო ფერდებზე“... სკამის ფიცარს უჭერს ხელს ანდალუზა და უძრავად ბარძაყებს ერთმანეთს აბჯენს... ხევსურებმაც ჩაიქროლეს, ხალხი წამოკვივდა, ანდალუზამაც ქარი გაატარა სკამსა და საჯდომს შუა, მერე ისევ დაჯდა...

რამდენი უქენებია ცხენი ანდალუზას სოფელში, დიდ ჩალის კონას დაიდებდა ხოლმე წინ ანდალუზა და ისე მოაჰქენებდა უბელო ცხენს მინდვირიდან შინისაყენ...

პატარა შესვენება გამოაცხადეს. ანდალუზამაც თვალები მინდვირიდან წინ მჯდომი ქალის ზურგზე გადმოასვენა: ჯერ მოღეღილი თეთრი კისერი მოაჭამა თვალებით, მერე ღრმად ამოჭრილ ილიებში შეუძვრა, მერე უფრო ქვემოთ ჩაიხედა. „ხევსურები!“ — იძახდა ქალი.

„იდი ამბავი! — ბურტყუნებს ანდალუზა. — მთავარია მაგრა მოუჭირო ხელი და ფეხებიც მარჯვედ ამოსდო ფერდებზე“... ცოტა კი არ უქენებია უბელო ცხენი ანდალუზას სოფელში... წინ მჯდომი ქალის სანელებლისა და

კიდევ სხვა რამ მადიანმა სუნმა შეუღიტირა ცხვირში ანდალუზას. ძალიან ახლოს მიეტანა ქალის ზურგთან თავი ანდალუზას... „ხევსურები!“ იძახდა კიდეც ქალი... მერე ისევ დასცხო ორკესტრმა და ანდალუზამაც თავი მდლა აიღო, ისევ მინდორს გახედა... დაბრკოლებათა გადალახვა იწყებოდა. მაყურებლები მხედრებს ირჩევდნენ და ერთმანეთს ენაძლევებოდნენ. წინ მჯდომი ქალი „ხევსურებს“ აღარ იძახდა, სუნთქვაშეკრული განაბულიყო. წითელხალათიანმა მხედარმა თავისუფლად აიღო სიმაღლე. დანარჩენ მხედართაგანმაც ზოგმა თავისუფლად დაძლია დაბრკოლება, ზოგმაც ფეხები დაამტვრევინა ცხენს. მსაჯებმა სიმაღლეს მოუმატეს, წითელი მხედარი ისევ თავისუფლად გადაეცლო. წინ მჯდომმა ქალმაც ზეზე წამოიწია, თითქოს უნდა მხედარს მიეშველოს სიმაღლის აღებაში.

— მეც დამანახეთ! მეც დამანახეთ! — ანდალუზამ ქალს ხელი მოჰკიდა ღრმად ამოჭრილ ილიაისთან და განზე გასწია. ქალი გვერდზე გადაიხარა, მაგრამ ანდალუზამ ველარაფერი გაარჩია მინდორზე... ამჯერად უფრო მეტ მხედარს გაუჭირდა დაბრკოლების გადალახვა. ანდალუზას გული არეულად უცემდა. სიმაღლე მატულობდა და მატულობდა. „წითელი! წითელი!“ — იძახდა ანდალუზას წინ მჯდომი ქალი და წითელი მხედრის ყოველ გამოქანებაზე ზეზე იწეოდა, ანდალუზაც ხელებს აფათურებდა წინ. ისევ გამოაცხადეს შესვენება. „წითელი! წითელი!“ — ისევ იძახდა გულამოსკვნილი ქალი. გული საფეთქლებთან უცემდა ანდალუზას. ქალმა გვერდზე გაიხედა და ანდალუზამ ქალის სახეც დაინახა. მერე სოფელი დაინახა ანდალუზამ. ორღობეში მოაქნენ უბელო ცხენს ანდალუზა. ბოგირზე კოკაიკედებული გოგო გადის, ცხენის შეკავება აღარ შეიძლება და ანდალუზამაც გვერდზე გაუკრა ლაგამი. ჟღეროყორაში ჩაყრილ ქვებზე დაჰკვესა ცხენმა და საწისქვილე რუს ზედ გადაეცლო... ძალიან ლამაზი სახე ჰქონდა ქალს... მსაჯი რალაცას აცხადებდა... მანქანა აღარ ახსოვდა ანდალუზას. „ვისაც სურს მაყურებელთაგან, ორ კაცს, ერთმეტრიანი წინაღობის გადალახვა,“ — აცხადებდა ტუჩზე ძაბრმიბჯენილი მსაჯი. რებროდუქტორი იმეორებდა მსაჯის განაცხადს: „ვისაც სურს მაყურებელთაგან, ორ კაცს... თუკი გადალახავს წინაღობას, მას უფლება ეძლევა... იგი აღიარებული იქნება ასპარეზობის დამსწრეთა...“

ყველა თვალიერებას დაუწყებს, წინ მჯდომი ქალი ვაოცებული მოიხედავს ანდალუზასაკენ, აღარ იტყვის „ხევსურები! ხევსურები!“, აღარც „წითელი! წითელი!“ კიბეებზე მინდორისაკენ ჩამავალ ანდალუზას თვალს გააყოლებს, მერე როგორ თვალებს, ყველაფერზე რომ თანახმაა ისეთ თვალებს გააყოლებს ანდალუზას... აი, დაჰკრა კიდევ ფეხი ანდალუზამ და აქაფებულ ზურგზე მოაჯდა ცხენს... ვინ არის, ვინ არის? იძახის ხალხი... მსაჯის სასტვენს არც კი უცდის ანდალუზა, ისე მიაქროლებს ცხენს... შეუფერხებლად გადაეცლო დაბრკოლებას ანდალუზა. მერე სხვა სიმაღლეებისაკენ გააქანა ცხენი... მეორე მხედარი ცხენიდან გადმოვარდა, ანდალუზა კი მიაქროლებს ცხენს: სკუპ! — ერთი, სკუპ! — მეორე, მესამე, მეოთხე... „ანდალუზ! ანდალუზ!“ — იძახის ქალი...

ხალხი წამოიშალა. წინ მჯდომი ქალიც წამოდგა, ანდალუზაც წამოდგა და უკან აედევნა ქალს. ხალხი ტაშს უკრავს და გასასვლელისაკენ მიიწევის, ქალიც უკრავს ტაშს, ანდალუზა არ უკრავს ტაშს და გარეტიანებული ხელებს აფათურებს... დიდი სივიწროვეა გასასვლელში. დოდის აზარტი უკვე განელებულია გასასვლელში... ქალმა უცბად მოიხედა უკან, ანდალუზა გააოცა ქალის ანთებული თვალის სილამაზემ: „მანქანა მაქვს! მანქანა მაქვს!“ — ბუტბუტებს ანდალუზა... მოგროძო საფულე ჩააფარა თავში ქალმა ანდალუზას.

— საძაგელი!

— ვინ არის?

— ქურდია?

— უარესი!

— ავადმყოფია!

თავი მხრებში ჩაუძვრა ანდალუსას და იღლიდან გაიხედა.


— გარყვნილი!

— იდიოტი!

— გათახსირებული!

რამდენიმე ადგილას ჩააფრინდა სხვადასხვა მხრიდან გამოშვერილი მანიკურებიანი თითები ანდალუსას და სამას სამოცი გრადუსით მოუტრიალა ლურთი ხორცი ჩაფუნთუშებულ სხეულზე.. „ვაი! ვაი!“ — იძახის ანდალუსა და ხალხს მიარღვევს. ნაჩქმეტი ადგილები უხურს ანდალუსას..

ეგ არაფერი, ოღონდ მანქანამდე მივიდეს და აღარა უშავს რა, ფანჯრებს გააღებს და გაგრილდება, ოფლიც შეაშრება და შეპკურებული ადგილებიც დაუამდება. მერე მარცხნივ და მარჯვნივ გაიხედავს და შემოჭრილი სიგრილით ნასიამოვნები სავარძელს მიესვენება.



ზუკაბ ღოთბიჟანიძე

გაზაფხულის ხავერდოვან ლამეში

ხვერდისფერი ლამე ვერ გვწვდება,
როგორ თრთის, როგორ გაბმულ მთა-ველში.
ლამე იმგვარად პატარავდება,
ძლივს ჩაეტევა კურდღლის თვალეში.

არგათენებას თუმც ვილაც შესთხოვს,
ლამის ჩამოღვრილ მთვარეულ ფერებს,
რომ ის ეხვევა ყელს — ბროლის ციხეს
და ვერ იხილავს ამ ლამის მერე.

თუმც ვილაც ცაცხვის ჩრდილებში დადის,
მთრთოლვარე სიმი მთვარის სხივზე თრთის:
„გულში გულს სდებს,
სულში სულს სცვლის,
ხორცს ეწმახენის სარო ვაზი...“

სადღაც შორს, სადღაც შუქი ანთია,
და ვილაც ხატავს ვილაც ნათიას,
ლამის ფერები ამოაქვს ჯამით,
რომ ქალის თმები შეღებოს ლამით.

და ლამე ისევ აღნება სივრცეს,
ჭადრის ფოთლებზე ცოტა ხანს ჰყვავის,
ლამე თანდათან მოკლებას იწყებს,
ლამე — თანდათან შავრენის ტყავი.

მანდილი

შენ არ მოდიხარ.

ეს იმას ნიშნავს,
გადამისროლე ბურუსის მიღმა,
რა კარგი იყო ასე ამაყი
თეთრი ყაზბეგი არ ყოფილიყავ.

შენს რაღაცნაირ თვალებში დეღავს,
ის, რაც აპრილში მამადავითზე,
მე შემოგყურებ როგორც სიმღერას
და ამ სიმღერით მინდა დავიწვე.

გელი!

ლოდინში თვალები კვესავს,
ამდენ გაზაფხულს ამაოდ გიხმე,
შორით შეგკურებ ბროლისფერ ლერწამს
და ჩემს ხელებში მინდა დაიმსხვრე.

ყოველთვის მიწევს სიკვდილთან ბრძოლა,
ყოველთვის ვცდილობთ არც ერთი შევეკრთეთ.
შენი მანდილი გადმოისროლე,
იქნებ ხევსურთა წესით გავშველდეთ!

უღელტეხილზე

ჩემი ფიქრები ისევ ელიან,
ფერების ქაელს და ფერთა დარობას,
რაღაც იშვიათ ყრუანტელიან
წუთის დაღწობას.

დღეთა თეთრ კარებს შემოვებხიზნე,
მკერდი მინამა კლდიდან ნაჟურმა,
ჩემი სიცოცხლის უღელტეხილზე
ავსულვარ, ჰა და — ჯერ არც ავსულვარ.

ერთი წუთიც...

ხშირ ტყეების თრთოლვა მაკრავს,
მოგონება ელავს ჩემი;
რა წუთები დამიკარგავს,
რა დღეები,
ღამეები.

ჩემგან განვლილ დღეთა ეხოს
უფსკრულებზე მუხლი უთრთის,
ჯიუტ სიკვდილს გინდ ესესხო,
არ გასესხოს ერთი წუთიც.





ბონრო კახელიავე

მოსუსის ფიქრი

დაბერდა ჩემი ვენახი,
ავჩეხო — არ მემეტება,
გული თუ მწყდება, რად გიკვირთ,
რად არის გადამეტება!

ორივე ერთად მოვხუცდით,
ჩაეუელი ხველებ-ხველებით...
ხანდახან შავ კანს შევაცლი
ჩემი დამპყნარი ხელებით.

შვილებო, შვილიშვილებო!
ნუ, ნუ იმეტებთ, ვსტირი მე.
ნუ დამანახვებთ მათ ფესვებს
მოთხრილებს, თქვენი ჭირიმე.

საცაა აწ დაგშორდებით,
თქვენთან სიცოცხლის მდომელი.
მაცალეთ, მისი ნაყოფით
დალიეთ შესაწდობელი.

მეგობრისადმი

გზად მიმავალს შემეგებე ძმობილი,
თვალმცინარი, კობტად გამოწყობილი.

მიმიწვიე და უარი გითხარი.
შეიშმუშნე, მიმიხურე ჭიშკარი.

შემრცხვა, თუ შენ შემეცოდე, არ ვიცი.
დავფიქრდი და სინანულით დავიწვი.

— მოიხდე, ცოტა ხნით-თქო, გაგძახე,
რომ ვიგრძენი გულში მწარედ დამძრახე.

წამოგყევი, მოგერია ღიმილი.
შორს ისმოდა ფრინველთ ჟივილ-
ხივილი.

გაიხარე, შემცქეროდი ბავშვივით.
იქვე მოღზე გქონდა სუფრა გაშლილი.

სადღეგრძელოს სცელიდა ყრმათა
სიმღერა, —
გიტარის და ტკბილ ფანდურის
სიმთელერა.

არ გავმართე მკლავი ღვინის თასამდი,
მხოლოდ თქვეწით ვერთობოდი, არ
ვსვამდი.

როცა ლხინი გაჩაღდა და შეხურდა,
ფხიზლად ყოფნა მეტად გაუხერხულდა.

წავეწვდი სასმისს, შევესვი ღვინო სიამით
მაცოცხლებდა მოძახილის ნიაფი...


მთელი ღამე დრო ვატარე, ვილხინე,
ცის ტატნობი მტრედისფერი ვიხილე.

გარიყრავდა დაბურული ტყე-ველი.
დამავიწყდა მკურნალი და მრჩეველი.

— ღვინო არ სვა, არ ათენო, იძინე.
მათ მირჩიეს, და მეც დიდხანს ვითმინე.

აბა მითხარ, ეს სიცოცხლე რა არი,
თუ დუღუკის არ ისმინე საარი.

უკეთა ვარ, რომ შევესვი და ვილხინე,
ქეიფის დროს ცისკარი რომ ვიხილე.





ბუკოლჰიქაჟა

დილიდანვე უგუნებობა მომეკიდა და ველარ გამოვფხიზლდი. თითქოს არაფერი იყო: ვიღაც ზორბა ტანის ახალგაზრდა ხევსურს მოვკარი თვალი. წვერი ჰქონდა მოშვეებული და ხელში სახრეს ათამაშებდა. მაგრად მოკუმული პირი, კბილები კბილებზე ყბების დაბერვამდე, გულში მიჩქმალულ ბოდმას ამხელდა.

— ვინ არის, ხომ არ იცი? — ვკითხე არხოტელ ბიჭებს.

— ვინ უნდა იყოს, გიყია, — თქვა ერთმა.

— გიყია? — გაკვირვებით წამოვიძახე მე.

— არა, მართლა გიყი როდია, ცოტას წაიგიყებს.

— წვერი რად მოუშვია?

თავშეკაეებული სიცილით მითხრეს:

— შეყვარებული გაუთხოვდა და იმიტომ.

— მთვარეულივით დაიარება, გიყია, მა რა არი!

მე არაფერი ვთქვი, მხოლოდ ბიჭების სიცილს ავეყვი უილაჯოდ. მერე სულ იმ წვერმოშვეებულის გამო მომეშხამა ხასიათი. გიყია, რადგანაც წუხდა შეყვარებულის გათხოვებას. მარტო წვერის მოშვეება არ იყო სიგაყე. წვერს უმიზეზოდაც მოუშვეებ და გიყი არა ხარ. ვინდა გამოეჭომაგო უცნობს, თითქოს შენი სისხლ-ხორცი დაინახე, შენი ტყუპი ძმა, რომელიც უნდა დაბადებულიყო, მაგრამ არ დაბადებულა. ალბათ სადღაც სხვაგან გაჩნდა შენი მსგავსი. მოაბიჯებს შუა გზაზე თამამი და გულგრილად განწყობილი: ვინც რა უნდა თქვას. შენ შეგრცხვებოდა, დაიწყებდი აქეთ-იქით თვალების ცეცებას, გამვლელ-გამომვლელეები ხომ არ დამცინიანო. არხოტელი ბიჭები დასცინოდნენ წვერმოშვეებულს, მაგრამ წვერმოშვეებული არ იმჩნევდა.



არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიჯდებოდი ფოსტის შენობის კიბეზე, საშინ-
ლად მოთენთილი. ირგვლივ იყო უხალისობა და მშით გასულდრული არემარე.
სიცხეს სახლებში შეერეკა ხალხი. გზის გადაღმა, ხიდიდან, არაგვში ხტებოდნენ
ტიტილიკანა ბალები.

მთელი ერთი საათი ვუსტვენდი ბევრჯერ გაგონილ სიმღერას შემოდგომის
ფოთლებზე, რომლებიც ცვივა ხიდან, ქარი პაერში ატრიალებს, ისევ მიწაზე
პყრის და ბოლოს მეეზოვეს გრძელი ცოცხი ქუჩის კუთხეში დიდ გროვად
დაახვევებს ფარფატი ჩამოცვენილებს. სადღაც შორს ითრევედა გულს სიმ-
ღერის მოტივი. ვუსტვენდი, თანაც მოპირდაპირე სახლს გავეყურებდი. აივანზე
შარვლიანი გოგო გამოჩნდა. დაჟინებით მივაშტერდი. მინდოდა მისვლა და გა-
შოლაპარაკება, მაგრამ ვერ შევებდე. „არაა საჭირო, რამე ეგონება, — გავიფიქ-
რე მე, — რამე ეგონება და დამცინებს“.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიჯდებოდი ფოსტის შენობის კიბეზე, ნუგ-
ზარი რომ არ დამენახა. ვიჯექი და გავყურებდი შარვლიან გოგოს. აივანზე
ჩრდილი იყო, ალბათ გრილოდა.

მოულოდნელად გამომეცხადა სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი
ნუგზარი, როგორც ყოველთვის, მომღიმარე და სახეგაბადრული.

— ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! — თქვა მან ალტაცებით.

— გამარჯობა, — მიეუფე შე, ხელი ჩამოვართვი და ერთმანეთი გადა-
ვკოცნეთ.

— გია, როგორა ხარ, კირიმე?

— არა მიშავს რა. შენ როგორ?

— იმაზე ცუდად, როგორც უნდა ვიყო და იმაზე კარგად, როგორცა ვარ, —
სხაპასხუბით თქვა მან. ეს სიტყვები უთვალაუჯერ მსმენია მისგან.

— საიდან სადამ? — ვკითხე მე.

— ფასანაურთან. ხევისურეთში უნდა გადმოვბარჯდეო. აქ დავბინავდებოთ
და ახლომახლო სოფლებში მოვაწყობთ გასვლებს.

— ბარისახო არ გეგონოს ხევისურეთი. ბარისახო მხოლოდ პროლოგია,

— შენ ისევ დაეხეტები შენს ხევისურეთში?

— ჰო, ისევ დავეხეტები. თუმცა ეთნოგრაფი არა ვარ შენსავით, მაინც
დავეხეტები ჩემს ხევისურეთში, ჩემს სვანეთში, ჩემს პამირზე. ისევ ვეძებ ქვებს
და მინერალურ წყლებს.

— დამთავრა თქვენმა ექსპედიციამ მოღვაწეობა?

— ჰო.

— გამოდის რამე?

— ენახოთ. ახლა რენტაბელობის გარკვევაა მთავარი. ყველანი წავიდნენ
თბილისში.

— შენ რაღას უტყვი?

— არხოტში ვისვენებდი ერთი კვირა. დღეს მეც მივდივარ.

ნუგზარი ჩამოჯდა ქვის კიბეზე.

— ეს შარვლიანი გოგო ბარისახოში რამ გადმოაგდო, თბილისელია?

მე მხრები ავიჩეჩე და ვთქვი:

— რაში მაინტერესებს.

— ხედავ, ჩუმ-ჩუმად მიყურებს, — თქვა ნუგზარმა. ხელი გამკრა და ჩაი-
ცინა, — ვატყობ, მოვხიბლე.

„მუდამ ასეთი მხიარული და უღარდელი იყო“, გავიფიქრე მე. თმები თა-

ვის დღეში არ გაუთეთრდება. ერთხელ ფეხი ჰქონდა ნატკენი და ყავარჯენებით დადიოდა. გვევალდებულბდნენ სკოლაში სამელის ტარებას. ნუგზარი თავს იძვრენდა ყავარჯენების წყალობით. ჩვენ გვშურდა მისი ყავარჯენები. თვითონ კი უზრუნველად დააბაკუნებდა, გამხდარი და ფერდაკარგული. ესიაშოვნებოდა კიდევაც, რომ რალაციტ გამოირჩეოდა სხვებისაგან. სხვები თითქმის ერთნაირები იყვნენ, ნუგზარი კი დადიოდა ყავარჯენებით, რადგანაც ალგეთზე კლდიდან გაღმოვარდნისას ფეხი მოიტეხა.

მერე გამახსენდა დარიალი. ვისხედით ცისფერ მაგიდასთან, ტენტი ქოლგასავით გაშლილიყო მაგიდის თავზე და გვეფარავდა მზის სხივებისაგან, რომლებიც იფანტებოდა ხის კენწეროებზე. მთები ჩამალულიყო დუმელში. სადღაც ქვევით ხმაურობდა მდინარე, მაგრამ მდინარის ხმაური ჩვეულებრივ ხმაურად იყო გადაქცეული. გვაოცებდა, რომ ასე ჩუმად და უწყინარად იდგნენ ამხელა მთები. გვეგონა, უცებ დაიგრუხუნებს რომელიმე კლდე, ჩამოწვება, მდინარის კალაპოტს გადალობავს. მაგრამ კვლავ სიჩუმეა და უძრაობა. ვისხედით ცისფერ მაგიდასთან და ვსვამდით ღვინოს. წითელი ღვინის წვევები აფერადებდა ტუჩებს, მერე ქრებოდა, ხელით ვიწმენდდით ან მზე ამრობდა. ვასო წარმოთქვამდა მგრძნობიარე სადღეგრძელოებს. მაღლა, მთის წვერზე მოჩანდა ძთიელთა სალოცავი. მთიელებს ღმერთთან ახლო ყოფნის სურვილით ძლიერ მაღლა აეტანათ თავისი სალოცავი. ღამით, მთვარის შუქზე მთები თოვლით გადაპენტილებს ჰგავდა. საღამოობით ვთამაშობდით პოკერს, ყველას შავი სათვალე გვეკეთა. შავი სათვალე ნიღბავდა ცუდი ქაღალდის მოსვლით გამოწვეულ მღელვარებას. „სალამი პოკერს!“ — გვესმოდა ნუგზარის საზეიმო ხარიტონი. მერე იწყებოდა თამაში. იწყებოდა და აღარ თავდებოდა. მოაგარაკენი სეირნობდნენ ფიჭვნარში ან მდინარის პირას, სუნთქავდნენ მთის წმინდა ჰაერს, მერე იძინებდნენ, ხედავდნენ სიზმრებს, ჩვენ კი ისევ პოკერს ვთამაშობდით პაპიროსის ბოლით გატენილ ოთახში. გათენებისას ვამთავრებდით თამაშს, დალილნი და გამოყვყეჩებულნი, შუადღით კი იყო ერთი სიცილი და მასხრად აგდებდა, როცა დაგვიჩახავდნენ ახალგაღვიძებულებს, პირსახოციტ ხელში რომ მივლასლასებდით პირის დასაბანად. ნუგზარი უფრო მეტ დროს ცეკვას ანდომებდა. იგი მოსწონდათ გოგონებს და ეამაყებოდათ მასთან ცეკვა. „ვეცეკვავთ ტანგოს!“ — ხმამაღლა აცხადებდა სანატორიუმის კულტმუშაკი. მზორდილ დარბაზში კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული სკამები თვალის დახამხამებაში ცარიელდებოდა. ცეკვის დროს ყველას სერიოზული სახე ჰქონდა, — თითქოს რალაც არის ცეკვებში იდუმალი და შეუტნობელი. ჰაერში ცურავდა გაშეშებული კისრები. მოცეკვავე წყვილები ერთმანეთს ეხლებოდნენ. მზორდილ დარბაზში სივიწროვე იყო. ნუგზარი მხიარულად ცეკვავდა, რალაცას ყვებოდა და პარტნიორს აცინებდა. ალბათ ყოველთვის გულწრფელი არ არის უზრუნველობა, მაგრამ გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, და გეხალისება მხიარული ადამიანი. აღმოვაჩენდი ხოლმე რომელიმე პოეტს, რომელიც უთუოდ მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ ჩემთვის აღმოჩენა იყო. მოვძებნიდი ნუგზარს, ვუკითხავდი. ლექსებს. მათი განწყობილება ყველაზე მეტად შემეფერებოდა იმ ხანად. ვუკითხავდი და რატომღაც მწყინდა, როდესაც არ მოსწონდა, უნდილად ხვდებოდა ჩემს აღფრთოვანებას. მწყინდა, თითქოს ჩემი საკუთარი რალაც დაიწუნა და ხელი ჰკრა გადასაგდებად. ახლა ვერის დაღმართზე აღარ მივსეირნობთ ფეხით, ნუგზარი დახედავს საათს, მოიბოდიშებს, ცოლი მელოდებოა, ჯდება ტროლეიბუსში და მე თვალნათლივ ხედავ, როვორ შემოდის ცხოვრების კა-

ნონზომიერება ახალგაზრდა ადამიანის სულში. თითქოს ბავშვობიდანვე ნაცნობ ქუჩაზე ახალი სახლი წამოჭიმეს. ლამაზი სახლია, მაგრამ გეუცხოვება, გეხამუშება, თვალი მიჩვეული იყო ქუჩის ნაცნობ სურათს. ახლა ეს მიჩვევა დაირღვა, რადგან ქუჩაზე წამოჭიმეს ახალი სახლი, რომელიც მკვეთრად გამოეყოფა მწვანე ხეების სიბუნელში გართხმულ ქუჩას.

მე და ნუგზარი უკვე ორივენი ვუღიმილით შარვლიან გოგოს.

— ეჰ, ცოლიანი არ ვიყო... — თქვა ნუგზარმა.

— მართლა, ლია ხომ კარგადაა?

ნუგზარმა თავი დააქნია.

— მალე გეყოლებათ ბავშვი?

— სამ თვეში.

— ბიუს ნატრობ, არა?

ნუგზარს კმაყოფილებამ გადაუარა სახეზე უეცრად მოვარდნილ სიწითლესავით.

— იქნება კიდევ ბიჭი. სახელად შავლეგოს დავარქმევ.

— კარგი სახელია შავლეგო.

— სახლში ჩამჩინებენ, მამაშენის სახელი დაარქვიო — პავლე, თურმე ასეთი ყოფილა ტრადიცია.

— აუჰ, — გულიანად გამეცინა, — პავლე რა სახელია შავლეგოსთან შედარებით.

— არ უნდათ შავლეგო, — დანანებით თქვა ნუგზარმა.

— მაშინ ვაჟა დაარქვი.

— არა, ისევ შავლეგო იყოს.

— შენ იცი. მე ვაჟა-ფშაველას სათრით გარჩიე. რა არი, არა, ვაჟა?!

— აბა!

— ხევსურეთში უფრო ვგრძნობ ვაჟას, ვიდრე თბილისში.

ნუგზარს მობეზრდა სიცხეში, გახურებულ ქვეს კიბეზე ჯდომა. წამოვდექით და ჩრდილს შევეფარეთ. სკოლას არემონტებდნენ, მერხები გარეთ გამოეტანათ, ჩრდილში დაეწყათ. ძლივს ჩავეტიეთ მერხებში. თითქოს ათი წლის წინათ ნახმარ შარველ-ხალათს იცვამ და შემოვასკდება ტანზე.

— ფეხბურთზე იყავი? — გკითხე ნუგზარს.

— კი, ვიყავი. ო, რა დაუხაზეს ჩვენებმა!

— აეთო მოგეწონა?

— აეთო სულ იღვა. ორჯერ შეიწუხა თავი და ორი ბურთიც გაჰქდა კარში.

— აეთო გენიალურია!

— მორჩი, კაცო, თამაშობს, როცა მოეხასიათება.

— შენც გესმის რალა ფეხბურთი. აეთო პოეტივით არის, მოუვა მუზა და თამაშობს.

— მოწამლულები ხართ ყველანი, აეთოზე ამოგდით მზე და მთვარე. რა უნდა გელაპარაკო ერთი, — ბულუნით თქვა ნუგზარმა და ხელი ჩაიქნია.

— იცი, როგორ თამაშობს აეთო... — დავიწყე, მაგრამ ნუგზარმა გამაწყვეტინა.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, რა დროს აეთო არი, გუშინ გულიყო ვნახე ფასანურში, — თქვა და გამომწვევად გადმოხედა.

— რომელი გულიყო?

— რომელი გულიკო და გულიკო!

თითქოს წყალი ჩამიგუბდა ყურებში. გარეშე ხმაური მოისპო, მხოლოდ ნუგზარის სიტყვებმა მოაღწიეს ჩემამდე. ასეთ დროს ვალერიანის წვეთებივით არის თამბაქო. გავაბოლენ. ხველება ამიტყდა. კარგია, რომ მახველებს. დროს ვიგებდი. მთავარია, გარეგნულად არ შეგეტყოს, რომ აღელდი. გულისფანცქალს კი თამბაქო დაახრჩობს. ბოლი მწვავედ ეხახუნებოდა გამძრალ ყელს.

— გულიკო ისევ ფასანაურშია?

— ჰო, შენ მოგიკითხა.

— რაო, რა თქვა?

— მოგიკითხა, როგორ არისო; დავარწმუნე, რომ თავს მშვენიერად გრძნობ. ღამითაც ტკბილად გძინავს, მოიმატე ხუთი კილო. ერთი სიტყვით ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული გაქვს. ასე იცის შრომაში.

ნუგზარი დნება ღიმილით.

— სულელი ხარ, — ვთქვი მე.

— უქმად არის გულიკო და გასიებულია.

ამოვიხენეშე.

— დაწყნარდი, ნუ შფოთავ. დიდი მანძილი გაშორებთ. დაიცა, რამდენი კილომეტრი იქნება ბარისახოდან ფასანაურამდე? სამოცი ჟინვალამდე, არა, ორმოცდაათი. მერე ოცდაათი. ოთხმოცი, სულ ოთხმოცი კილომეტრია. შესაძლოა, მეტიც იყოს.

მესმოდა მხოლოდ სიტყვები. აზრი ვერ გამოვიტანე. სახეზე არ შემიხედავს, მაგრამ ვუმანით მივხვდი, რომ ნუგზარი ეშმაკურად იღიმებოდა.

მოუთმენლად ვატყატუნებდი თითებს საფეთქელთან. უგუნებობა რაღაც სხვა გრძნობამ შეცვალა, რომელიც მოლბდინს ჰგავდა. ჯერ მოლოდინი, მერე ყოყმანი. ხარ სადგურის ბაქანზე, მატარებლის ლოდინში ითვისე წუთებს. წუთები არ ჩქარობენ. მეზობელი სადგურიდან უკვე გამოვიდა მატარებელი. დაკვირვებული ნერვებით ელოდები მატარებელს. ბაქანზე მატულობს ჩოჩქოლი. აპირებ გაქცევას, რადგან ხანგრძლივმა მოლოდინმა დაგცალა სურვილებიდან. მაგრამ ფეხები აღარ გემორჩილება ღონეშელახულს.

— არ მეგონა, ასე თუ შეწუხდებოდი, — თქვა ნუგზარმა.

— დამცინი.

— არა, მეცოდები.

თითქოს მეუბნება ღიმილნარევი სახით: მოდიდან გამოდის სიმღერები, კოსტუმები, ანეგდოტები. ზოგისთვის კინოფილმებიც და წიგნებიც გამოდის შოლიდან. მოკლედ, ათასი რამ გამოდის მოდიდან. ისინი ავიწყდებათ ადამიანებს. შენ ახლა იმ კაცს ჰგავხარ, რომელსაც ისევ უზომოდ ფართო შარვალი აცვია, რადგან ახალი მოდის აყოლა ეზარება. დადის ძველებური შარვლით, რამეთუ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

ნუგზარი მოიღუშა. „აღარ დამცინის“, გავიფიქრე მე, მოლუშვა უკვე თანაგრძნობის ნიშანი იყო.

— ეჰ, პირველმა სიყვარულმა შენ კი არა, გოეთეს არ გაუმართლა. ბავშვი ხარ, ბავშვი.

— წაიდე ფასანაურში? — კითხვა მუდარასავით ძლერდა. თითქოს ნებართვას ვითხოვდი, ნებართვას და მოწონებას.

— როგორც გაგეხარდება, — თქვა ნუგზარმა.

„როგორც გაგეხარდება,“ — ნათქვამი შუაზე გაწყვეტილი თოკის მსგავსად

ჩამოეკიდა ჰაერში. სიტყვები თითქმის ნებართვა იყო და მოწონება, მაგრამ ინტონაცია აშკარად მანიშნებდა, რომ ნუგზარს ჭკუაში არ დაუჯდა ჩემი გამგზავრება ფასანაურში.

— არა გშია?

— არა, — ვთქვი მე. საქმელ-სასმელი აღარ მახსოვდა. — წავალ ფასანაურში.

— კარგი, ჯერჯერობით.

მშრალად გამოიმეშვიდობა და სასადილოსკენ გასწია. სასადილო ოცოდენ ნაბიჯის იქით იყო. სასადილოში ბნელოდა. ნესტიანი კედლების სიგრილე ცივი შხაბივით ეცემოდა სიცხიდან შესულს. ახლა მიუჯდება მაგიდას, მიუტანენ გუშინწინდელ ჯიგრის ყაურმას, რომელსაც უკვე სუნი ასდის. ინანებს, რომ გამახსენა გულიყო. ნუგზარმა დიდიხანა აითვალწუნა გულიყო, ყოველთვის ერიდებოდა მის ჩხენებას, რადგანაც იცოდა, რომ რიგიანად ვერ ახსენებდა. ახლა ნანობს, მაგრამ მიუტანენ გაციებულ ყაურმას, პირველ ლუქმას გადაყლაპავს და სიბრაზე ყაურმის მიმტანზე გადაუყარდება.

ქვევით, გზისკენ ვავეშურე. გზაზე მილიციის ლეიტენანტი მოდიოდა. საყელურზე გამობმული თასმით ძლივს აკაებდა გერმანულ ნაგაზს, რომელსაც ცხვრის ხორცი ჰქონდა გაჩრილი პირში და წამდაუწუმ ყნოსავდა მიწას. აღმივახიცი და ძალიც, აღსავსენი საქმიანი გამომეტყველებით, არავის არ აქცევდნენ ყურადღებას. ლეიტენანტს მარჯვენა გვერდზე რევოლვერი ეკიდა.

— კარგი ამბავია, თბილისამდე თუ ატარა, — იხუმრა ვილაც ცნობის-მოყვარემ.

გამეცინა. წარმოვიდგინე, როგორ ივლიდა თბილისამდე ლეიტენანტი თავის გერმანულ ნაგაზთან ერთად, ოფლში ვახვითქული.

— მთაში მეცხვარეებს მოპარეს ნაბდები, — ამიხსნეს საქმის ვითარება.

— დასაჭერები არიან, კაცო, აბა როგორ?! — აღშფოთებით თქვა მაღალ-მაღალმა, ცალთვალა კაცმა. საწვიმარი პლაშიი ეცვა. გრძელი პლაშიი კოჭებამდე სცემდა. „რად უნდა ნეტავი ამ სიცხეში პლაშიი“, — გავიფიქრე მე.

... დამთხვეულ ხარსა ჰგავდა საბარგო ავტომანქანა. თითქოს ბნელში ტყვეობიდან დღის სინათლეზე გამოიყვანეს და ნებაზე მიუშვეს.

ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულმა გზამ ჯირითის სურვილით შესძრა შოფერი. ხელმარცხნივ ხეობა მოგვდევდა. შოფერი მდინარეს გაეჯიბრა. ნაპირზე შეფენილი ჭალები ერთმანეთს ჰგავდა. ტალღებიც ერთმანეთს იმეორებდნენ. მდინარე წინ გვისწრებდა. ხარმა სინამდვილის შეგრძნება დაჰკარგა, სიშმაგის ნისლი გადაჰკროდა თვალებზე.

მოსახვევებში ვხედავდი, როგორ ეკიდებოდა ჰაერში ბორბალი. მანქანა მათუღზე სავარჯიშოდ გასული ჯამბაზის დარად ელტვოდა საფრთხეს. ყველანი მთვრალეები იყვნენ: მანქანა, შოფერი, მგზავრები.

მტვერი მიწიდან ოდნავ აწეული შლეიფივით რჩებოდა უკან. ზედმეტი ცნობისმოყვარობით ვაყურებდი მტვერს და მოსახვევებში თვალბნებ ვსუჰავდი, რომ ჰაერში მოცახცახე ბორბალი აღარ დამენახა.

ვაკვირდები თანამგზავრებს. მსურს შიშის ანარეკლი შეენიშნო მათს სახეზე, მაგრამ ყველანი მთვრალეები არიან.

უცებ მახსენდება ქუჩებში სეირნობის შემდეგ ჰიშკარი. ჰიშკართან დიდხანს ვაგრძელებდი წუთებს. „წადი, აგერ ტრამვაიც მოვიდა“, მეტყოდა გულიყო. „არა, ფეხით მირჩეენია“, ეპასუხობდი მე. „გვიან არის უკვე“, — არსად



არ მაგვიანდება“. მოვდიოდი შუა ქუჩაში ღიღინით, თითქოს შეზარხოშებული. ჩავევლიდი დიდ, ციხისნაირ შენობას, მკაცრსა და მრუმე ფერებით შექმუხულს. ქვედა სართულში თორნე იყო. თორნეში აცხოვდნენ პურს, კიფობდა რალაცნაირად სევდიანი შუქი, რომელსაც დღის სინათლეს ეძახიან. ყველაფერი თეთრად იყო შეღებილი: პურისმცხოვრელთა სახეები, კედლები, ცომის გუნდები. ოღონდ ეს იყო მკვდარი ფერი, თოვლის სითეთრე არ დაპკრავდა. ღამის პირველ საათზე ყოველთვის აცხოვდნენ პურს და მე ვფიქრობდი, რომ ისინი აცხოვდნენ პურს მანამდე, ვიდრე ამ ქვეყნად გავჩნდებოდი და გამოაცხოვენ შერეც, როცა აღარ ვიქნები. მე მამშვიდებდა, რომ ღამით აცხოვდნენ პურს და გათენებისას იყიდებოდა ახალი, ცხელი პური, რომელსაც ცარიელსაც კი შეკამდი დიდის სიამოვნებით...

მაღე სხვა, ზანტად მიმავალ მანქანას დავეწვიეთ. ხარი უფრო მეტად გაცივდა, თითქოს წითელი მოსასხამი აუფრიალეს თვალწინ.

მანქანის სიგნალმა გააყრუა ხეობა. წითელმოსასხამიანი თავისას არ იშლიდა.

წინა მანქანის კაბინაში ორ ზურგს ვხედავდი ბუნდოვნად. შოფერი ქალთან მუსაიფით იყო გართული. „კარ-ფანჯრები ჩადგით?“ ალბათ ეკითხება ქალი. „არა მცალია, კაცო, აი, შვებულებას მომცემენ და მოვთავებ სახლს“, პასუხობს შოფერი. გზისპირა სოფლებში დაუმთავრებელი სახლები გეჩხირება თვალში სულ, ჩონჩხები ელიან ხორცშესხმას და რატომღაც გგონია ყველანი სახლის შენებაზე ლაპარაკობენო.

გზას სიმშვიდე ეფინება წინა მანქანიდან, მაღალი ჭერისა და თბილი ლოგინის სიმშვიდე.

ხარი უარესად გახელდა.

„გაასწარი!“ — ყვირიან მთვრალი მგზავრები, ხელები გადაუხვევიათ ერთი-მეორისათვის და კაბინაზე იდაყვდაყრდნობილნი მუშტებს უბრაახუნებენ შოფერს: „გაასწარი!“

დანარჩენები მღერიან. სიმღერაც ყვირილს დამსგავსებია. ხარი ყლაპავს შტვერს, რომელსაც წინა მანქანა გულუხვად გვიტოვებს და კიდევ უფრო ხელდება. სიგნალები ღამის კვილივით იკარგება სივრცეში.

„დააჯახე!“ — ყვირიან კაბინაზე იდაყვდაყრდნობილნი და ისევ მუშტებს უბრაახუნებენ.

შოფერი ყველაფრის გასწრების ყინით არის ავისილი. ყველაფერს ეჯიბრება: მთის მდინარეს, თავის გამოფხიზლებას და ამ ლოკოკინა მანქანასაც. „დააჯახე!“ — თხოვნაა და გაქვზება მაყურებლებისა. მაყურებლები მის მხარეზე არიან. მათაც გადაედოთ გახელება.

ბოლოსდაბოლოს გამოფხიზლება იპყრობს შოფერს. შოფერი ამუხრუქებს მანქანას. მაგრამ მაინც დაეტაკა ხარი წითელმოსასხამიანს. ხარს ფარები ჩაემტვრა.

— შენი ასე და ისე... გზას რატომ არ მაძლევ? — ხმამაღლა თქვა მთვრალი მანქანის მთვრალმა შოფერმა. მოტორის ასამუშავებელი სახელური ეკავა ხელში. გაიწია, მაგრამ გააკავეს.

ძირს ჩამოვხტი. მუხლები მიკანკალედა. შორიახლოდან ვადევენბდი თვალს სიტყვაბაქრობას. მერე ზავი ჩამოვარდა. მთვრალი მანქანა ისევ გაივსო მთვრალი მგზავრებით.

— არ მოდიხარ, ჩვენი ძმა? — მეკითხება ხმაჩახლეჩით ერთი.



- უარის ნიშნად თავი გავაქნიე.
- დამფრთხალმა შოფერმა გზის კიდეზე მიაყენა თავისი მანქანა. ხარი რის ვაივაგლახით გაძვრა წინ, ისევ გახელდა და გრილით გაეკიდა მდინარეს.
- დახე. აქეთ გამომლანძლა, — მეუბნება დამფრთხალი შოფერი.
- აბა, კაცო, — კვერს ვუქრავ მე.
- ერთი ეგეთი შოფერი ბოძს დაეჯახა და იძახდა, რა ცუდად ჩაურკვით ეს ოხერი, მარჯვენა გაუხმეს ამის გამკეთებელსო.
- კარგია, — მოწონებით ვთქვი მე.
- როგორ გამომლანძლა, ჰა?! — ისევ აღელდა შოფერი.
- რამეს ვერ ეტყობი?
- რას უზამ, მთვრალები არიან. ფეხებზე ჰკიდიათ ორი და ათი შაური.
- დაგარტყამს და წავა, სდიე მერე.
- სად დაიმალება, როდემდის.
- დაიჭერენ? მე რალა მეშველება მაგის დაჭერით?
- ვერც ერთი ვერ იცანი?
- არა, აქაურები არ უნდა იყვნენ. მგონი ქალაქელი ტოპოგრაფები არიან, — თქვა მან. ფრიალ საწყლად გამოიყურებოდა.
- ჟინვალამდე არ წამიყვან?
- ვერა, ძმაო, ორწყალში მივდივარ. ქვიშა ამოსაზიდი, ერთი-ორი რეისი კიდეც უნდა მოვასწრო დაღამებამდე.
- კარგი, ორწყალამდე იყოს.
- ორწყალთან მანქანის ლოდინი დიდხანს გამიგრძელდა.
- ჩემთან ერთად თუშურქულიანი, შუახნის კაცი უტდიდა მანქანას. გამომე-ლაპარაკა. ჯერ ვაქაზე ჩამოაგდო სიტყვა (ფშაველი იყო, შუაფხოვანი). მერე ბევსურეთს გადავწვდით, მერე თბილისი ახსენა.
- გზისპირას, წყაროსთან ვისხედით, ხეების ჩრდილში.
- ახალგაზრდა კაცი ხარ, გეცოდინება, ჩვენი სტუდენტები ყამირიდან როდის ჩამოვლენ? — შემეკითხა ფშაველი.
- მე მგონი, სექტემბრის ბოლოს.
- შეილი მყავს იქა, სტუდენტია. რამე არ დაემართოს, მეშინია. მთაში გაზრდილი ბიჭი როგორ გაუძლებს ყამირზე მუშაობას. ამბობენ, დიდი სიცხეები იცისო და უწყლობა.
- არა, ძიაკაცო, მოუტყუებიხარ ვილაცას.
- როგორა?
- ეგ უღაბნოში იცის დიდი სიცხეები და უწყლობა. ყამირი მიწები სხვაა. მშვენიერ წყალსა სვაშენ. სიცხე კი ყველგან არის ზაფხულობით, აგერ მთაშიც ამოსულა.
- ნამყოფი ხარ ყამირზე?
- ჰო, ორი წლის წინათ.
- ცოტა დამაიმედე.
- ნუ გეშინია. შეეჩვევა, იმუშავენ და ქვეყანასაც ნახავს. მოსკოვით დაბრუნდებიან უკან.
- იცოცხლე მუშაობას არ გაექცევა.
- სადა სწავლობს?
- ზოოტექნიკურზე.
- ჰოო.

— ყველაზე მეტად გამოგვადგება. ჩვენი მარჩენალი ცხვარი და ძროხაა.

— ერთი მითხარი, ძიაკაცო, გვეღირსება დღეს მანქანა?

— აი, გზის ოსტატს ეცოდინება, ვკითხავ, არ დამიმაღავს, — სიცილით თქვა მან და ხიდისაკენ წავიდა. ხიდან გზის ოსტატის სახლი იდგა.

მდინარის პირას ჩავიბრინე. გავგრილდი და გავსუფთავდი. უჯრედებიანი ჯერანგი დამტვერილი იყო, ოფლის არასასიამოვნო სუნიც ვიგრძენი საყელოზე. როგორც იყო გავრეცხე. ქვიშაზე წამოწოლილი ვთვლემდი.

მზის მცხუნვარე სხივები წვეთ-წვეთად იღვრებოდა სხეულში. ტალღების ხმაური ნთქავდა დანარჩენ ბგერებს. გარესამყარო ზურგსუკან იფანტებოდა. ვისვენებდი, ვთვლემდი, მცხელოდა.

კარგა ხანს გასტანა ლოდინმა. ქინვალში სალამოსლა ჩავედი.

ფული გავუწოდე შოფერს.

— შენ გეოლოგი არა ხარ?! — თქვა მან.

— ჰო. საიდან მიცნობ?

— ბარისახოში მინახხხარ. მორჩით საქმეს?

— ჰო, დავამთავრეთ მუშაობა.

— ქართველი ხარ? — მკითხა შოფერმა.

თავი დაუქნიე.

— ქართველი ხარ და მქავე წყლებს ეძებ საქართველოში! ფულს როგორ გამოგართმევ, ჯიგარო.

კაბინაში ქალაქურად ჩაცმული კაცი იჯდა აგრეთვე. მან როხროხით გაიცინა.

— არა, თუნდაც ქართველი არ იყო, — გამოასწორა ნათქვამი შოფერმა, — მქავე წყალს ხომ ეძებ და მეტი რა გვინდა. იფ-იფ-იფ, რა კოხტა რამ არას ბორჯომი ნაღვინეზე!..

— კარგი რა, თუ ძმა ხარ, უხერხულია, — ვთქვი მე და ისევ შევაჩეჩე ხელში ფული.

— არა, შენს თვალებს ვენაცვალე.

შავი სათვალე მოვიძირე. შოფერმა თავი გადმოყო კაბინიდან, კისერზე ხელი მომხვია და გადამკოცნა. პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა.

— ფასანაურში მიდიხარ, ხომ? რა ვქნა, ჯიგარო, ღუშეთში უნდა ვიყო ამ ღამით, თორემ ჩემმა მზემ, აგიყვანდი.

— დიდი მადლობა, — ვთქვი მე.

მერე დიდხანს ვიმშრალე ხელი ტუჩებს ცხვირსახოცით. ერთიორჯერ გადავაფურთხე. «კარგი კაცი ჩანს, — გავიფიქრე მე, — მაგრამ ტუჩებში რაღას მლომნიდა».

ღამე ფასანაურის ტურბაზაში გავათიე.

— გასუქებულხარ თქვა გულიკომ.

— გმადლობთ, — უნიათო ღიმილით ვთქვი მე.

მადლობა ღმერთს, ქალი არა ვარ, არ მეშინია გასუქების. მაგიდიდან სარკეს ვიღებ. სარკე ორმხრივია, გამადიდებელ მხარეში ვიჭყიტები. გასუქებით არ გავსუქებულვარ, მაგრამ კარგი ფერი მაქვს. მზე მომკიდებია. შუბლზე ოღნავ ჩამოზრდილა მოკლედ შეკრეპილი თმა და მის ქვეშ თეთრი ზოლია დარჩენილი, თბილისური ზამთრის სახსოვრად. მიხდება სიშავე.

— მართალი ვარ?

— არა, მე არ მიწერია გასუქება. შენ კი გალამაზებულხარ.

გულიკო იცინის. სიცილში ჩემი სიტყვებით გამოწვეულ დამორცხვებას ვხედავ.

— გეჩვენება, — ამბობს იგი.

— არა. არ მეჩვენება.

შევამკეთ ერთმანეთი გულწრფელი კომპლიმენტებით.

თავს მყუდროდ ვგრძნობ ამ ოთახში. დარაბები ნახევრად მიხურულია, სიგრძელსა და ბინდში ჩაძირულა ოთახი. უბრალო და მყუდრო ოთახი.

ფიქრები რამდენიმე წლით უკან მიმათრევენ, მიმორჩილებენ და მიფეხები.

მედიდური სადარბაზო შესასვლელის მაღალი ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდნენ. აფეხვბოდი მარმარილოს კიბეს, ვითვლიდი საფეხურებს და გულისცემას. საფეხურებთან ერთად მატულობდა გულისცემა. რამდენიმე წუთს ვყოყმანობდი კართან, გულდასმით ვათვალისწინებდი მობინადრეთა გვარებს. მერე ვრეკავდი ელექტროზარს. ელექტროზარი მოკრძალებით და ხათრიანად წკრიალებდა. სხვები უფრო თამამად რეკავდნენ. გრძელ წინკარში ფეხაკრეფით შევაბიჯებდი, რომ ჩემს ნალებდაჰქედით, მძიმე ფეხსაცმელებს არავინ არ შეეწუხებინა. ვშიშობდი არ დამეფრთხო მათი ძილი და მოსვენება. მაღალჭერიანი, უზარმაზარი ოთახი უცებ ჩამყლაპავდა. თვალს მოწინებით ავაყოლებდი კედელს. კედელზე ფრინველთა ფიტულები და ლურჯად ნაქსოვი ხალიჩა ეკიდა. სუფრაზე უხვად დაყრილი შოთის პურებივით ყოვ ავეჯი ოთახში. მე ზურკს ვაქცევდი ტელევიზორ-მაგნიტოფონებს და წიგნების კარადასთან ატუზულს სუნთქვა აღარ მეკვროდა. ასე ვაგეხარდებოდა უცხო საზოგადოებაში კარგ ნაცნობთან შეხვედრა. სიმდიდრე! — ყველაფერს ერქვა სიმდიდრე, ყველაფერი ამ სიმდიდრეზე ყვიროდა. საცოდავად დავბორიალობდი სიმდიდრის ლაბირინთებში. პიჯაკის სახელო გაცვეთილი მქონდა (შემციენული კაცის ტანზე წამოშლილი ბუსუსებივით იყო გამოშვებული დახეული სახელოს ბეწვები), პიანინოს სახურავზე მტვერი ბრჭყვიალებდა მზის სხივებში. ხელი გადავუსვი სახურავს და თითებს ჭუჭყი დაეტყო. უხერხულად გავიწმინდე თითები შარვალზე. მერე ისევ წიგნების კარადასთან ავიტუზე. „ახლა ვისაუბროთ, არა?“ — ისინი ყოველთვის მიმასპინძლებოდნენ. უარი ვთქვი საცივზე, შევემტეოდი კარტოფილს. კარტოფილი თეთრად იფშვებოდა თითებში. მიხაროდა, რომ შევემტეოდი კარტოფილს და უარი ვთქვი საცივზე. მოხარული კარტოფილი უფრო შეეფერებოდა ჩემს ჩაცმულობას. ხელებს შარვლის ჯიბეებში ვმაღავდი, დახეული სახელოები აღარ ჩანდა. ისინი ყოველთვის მიმასპინძლებოდნენ.

აი ახლაც შემოიტანა გულიკომ კიტრი და პამიდორი, უხეიროდ დაჭრილი. მარილი დავიწყებოდა. არ დაბადებულა დიასახლისად და რა იღონოს.

— მე წასული მეგონე ფასანაურიდან.

— ველარ წავედიო.

— ნუგზარი რომ არ ჩამოსულიყო ბარისახოში, ვერც გავიგებდი, რომ კვლავ აქა ხარ.

— ჰოო, ნუგზარი...

— ნუგზარმა ცოლი შეირთო.

— მართლა?

— მალე შეილიც ეყოლებათ.

— კარგი ცოლი ჰყავს?

— შენ ვერა გჯობია.

გულიკოს გაეცინა.

სიჩუმე დაგვეპატრონა. საშინაო ხალათი გაედელა მკერდზე გულიკოს-
თვალი დავადგი. დაბნეულად გაიღიმა და გაისწორა.

— არ მოგწყინდა ფასანაური?

— კი, მომწყინდა. მალე ზღვაზე წავალთ.

— მოგენატრა ზღვა?

— კი, მომენატრა.

— კარგია ზღვა. გახვალ პლაჟზე, ირგვლივ ზღვის სუნია. ქვიშაც, კენჭე-
ბიც თითქოს სიმლაშეს აორთქლებენ. პაერსაც ტკბილი სიმლაშე დაჰკრავს.

— და სხეულიც იედინთება ზღვის სუნით, არა?

მსუბუქად მიგოგმანებ პლაჟზე, ვფიქრობდი მე, ყველანი თვალს გაყოლე-
ბენ. ქალებს შურთ შენი. გეამაყება, რომ ყველანი გაცქერდებიან, თავმოყვა-
რეობაც ივსება კმაყოფილებით, რადგანაც ქალებს შურთ შენი. მამაკაცს ეზა-
ლისება შენს გვერდით ყოფნა. თავი მალა უჭირავს, როცა ყველანი შენ გაც-
ქერდებიან.

— შენ ყოველთვის გიყვარდა ზღვა, — ვთქვი მე.

— მივეჩვიე ზღვას. ბავშვობიდანვე მივეჩვიე, თქვა გულიკომ.

— სიყვარული მარტო მიჩვევაა?

— არ ვიცი, — თქვა გულიკომ.

— ზღვა შენი ხატით შემიყვარდა.

შენი ხატით შემიყვარდა ზღვა. მერე ვაწყობდი გეგმებს. იანვარი — ბაკუ-
რიანში, ივლისი — მთაში, აგვისტო — ზღვაზე.

— ვიცი, მაგრამ ჩვენ ერთად არ ვყოფილვართ ზღვაზე.

— არც მთაში, — დავუმატე მე.

— არც მოსკოვში, — თქვა მან.

— არც ბაკურიანში, — ვთქვი ისევ მე.

იყო თუ არ იყო ბაკურიანი?

... მიყრუებულ ფერდობზე არც სლალომის დროშები ჩანდა, არც დრო-
შებივით ჩამწკრივებული ხეები, რომელთაც გვერდი უნდა აუქციო ზევიდან
დაშვებისას, მაგრამ გია მაინც იცავდა სლალომის წესებს. უნაკლოდ უხვევდა
და უკან იტოვებდა გონებით წარმოდგენილ ხეებს ან დროშებს. მის ფეხქვეშ
ბუჩქიდან აფრენილ ფრინველთა გუნდივით იფანტებოდა ირგვლივ თოვლი.
მთელი მისი სიკისკასე, კოხტა ჩაცმულობა ტანის რიტმულ მოძრაობასთან ერ-
თად, რომელიც თითქოს მხიარულ მელოდიას აჰყოლოდა, ყვირილით ითხოვდა
ძაყურებელს. მაყურებელს უნდა გაეცხო სლალომის მთელი ტრასა სტარტიდან
დინიშამდე. ცნობისმოყვარე, აღზნებული სახეები, ნაცნობთა გამამხნეველი
შეძახილები, ნაირ-ნაირი ფერის ჯემბრების ქრიაშული ფინიშთან და ფოტოა-
პარატების ჩხაკუნი. მაყურებელი კი მხოლოდ გულიკო იყო, ყველაზე საამო
მაყურებელი მთელს ბაკურიანში. გულიკო იდგა ფერდობის თავში, ტყის პირას
და ხედავდა, რა ლამაზად ეშვებოდა თხილამურებით გია. თოვლზე რჩებოდა
სხარტად მოზომილი ზიგზაგები. გია უკვე გასულიყო სწორ ადგილზე, ჯოხები
თოვლში ჩაერქო და ხელს იქნევდა: „წამოდი!“ მერე გულიკო ჯოხებს იღლიაში
ამოიჩრიდა და პირდაპირ წამოვიდოდა ყოველგვარი ზიგზაგების გარეშე. შიშით
თვალეებს დახუჭავდა და ქარი რადაცას ჩასძახებდა ყურებში. თხილამურები
მისრიალებდა თოვლზე. თოვლი არ თავდებოდა. გულიკო მიჰყვებოდა თხი-
ლამურებსა და თოვლს. ფერდობი თავის ადგილზე დარჩებოდა. გულიკო ვერ

ძოუხვევდა მარცხნივ, გავაკებაზე. ინერციით აჰყვებოდა პატარა, სულ პატარა აღმართს. ინერციამ აღმართი აღარ შეათავებინა. გულიკომ ახლა დაღმართი იგრძნო. დაღმართს თოვლში პირაღმა გადაგორება მოჰყვა. თოვლი კისერში ჩაუცვივდა, არასასიამოვნო სისველე წვეთებად ჩაჰყვა კისრიდან ქვევით და თხილამურებზე სრიალით გახურებულ სხეულს ელექტროდენივით დაუარა. ვია იცინოდა.

— რა შენი საქმეა თხილამურები. ჩაჯექი მარხილში ბავშვებთან ერთად და ისეირნე.

— ნუ დამცინი, მალე ვისწავლი მოხვევას.

— მე გასწავლი.

— არ მინდა.

— მართლაც რად გინდა. ასე უკეთესი ხარ.

— როგორ?

— მშიშარა და უსუსური.

— ნუ მასულღლებ.

— არა, მე მართალს გეუბნები. ასეთი საგანგებოდ მიყვარხარ.

— წავიდეთ.

— შინ?

— ჰო, შინ, შემცივდა.

— არაფერია, ბაკურიანში არ გაცივდები...

არა, არ ყოფილა ბაკურიანი. ჩვენ მხოლოდ ქვიშხეთში ვიყავით ერთად, ისიც შემთხვევით.

— გახსოვს ქვიშხეთი?

გულიკომ არაფერი თქვა.

... გახსოვს ქვიშხეთის სასაფლაო ღამით? მთვრალეები ავედიოთ სასაფლაოზე. სიმსუბუქის გრძნობით დამუხტულები გადავყურებდით სოფელს. აქა-იქ ბეუტავდა შუქი. ყველანი კარგ ხასიათზე ვიყავით. თამაზი კითხულობდა ლექსს. „შენ არც კი მითხარი არა და ისე გათხოვდი, ქალო“, ხამაძლა სინანულის კილოთი კითხულობდა თამაზი და ბოლოს ძლივს გასაგონი ჩურჩულით ამთავრებდა: „რა უშნოდ გათხოვდი, ქალო“. ქალები იცინოდნენ. ქალებს მოსწონდათ თამაზი და მისი ლექსებიც. ისინი უკვე ქალები იყვნენ, ჰყავდათ ქმრები და ლექსში წაბრუნებულ ვენებიანი სიტყვებით ვერ შეეცდებოდნენ. ისინი ქალები იყვნენ. შენ კი, თვრამეტი წლის გოგოს, გეხამეშა ლექსიც და ქალების კისკისიც. შენ ალბათ გაწითლდი, შენს ყურებს უხეშად ჩაესმა ლექსი და გაწითლდი. პნელოდა, არ დამინახავს, როგორ გაწითლდი, მაგრამ ალბათ გაწითლდებოდი. მე სიხარულმა გამკრა გულში, რადგანაც შენ გაწითლდი, გულუბრყვილო, თვრამეტი წლის გოგო. რატომღაც ვიფიქრე, რომ შენ არასდროს გათხოვდები უშნოდ. თამაზი ისევ კითხულობდა ლექსებს. ჩვენ ვუსმენდით. მერე წავედით შინ. ჭიშკართან ჩვეულებრივად შემოგვეგება ძაღლი. ეს ძაღლი კეთილი და საბრალო იყო, არც მახსოვს მისი ყეფა. ზოგჯერ მიფიქრია კიდევ, რომ კბილები არ ჰქონდა. ყეფა იქით იყოს და ღრენითაც იშვიათად იღრინებოდა, კეთილი და საბრალო. ბავშვებს არ ეშინოდათ ამ ძაღლის. ბავშვები უდარდელად ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდით. რატომღაც მრცხვენოდა მისი სიკეთე თუ უძლურება. საბრალოს სახელია შერჩენოდა ძაღლისა, მეტი არაფერი. დაყუნტულაყო და კულს გვიქიცინებდა.....

გახსენებაზე ადვილი არაფერი არ არის. მოდის გახსენება უნებურად, ავი

სენივით, გახსენება უეცარი, ზედმეტი და გაუგებარი, როგორც თოვლი ზაფხულში. იტყვიან ხოლმე: ოცდახუთ წელს რომ გადასცილდება კაცი, მარტო მოგონებებითა ცხოვრობსო. „ჯერ ოცდახუთის ხომ არა ხარ და საიდან ამდენი გახსენება,“ — ვეკითხები საკუთარ თავს, მაგრამ ნებისყოფა მეღევეა და ვილაპარაკებდი ქსელში. ვნატრობ, გაქრეს სიტყვა „გუშინ“, დარჩეს მხოლოდ „ხვალ“. ამოდ. ძილის შემდეგ თითქოს არ ვახელ თვალებს რამდენიმე წუთი და წინა ღამის სიზმართან ერთად აღრინდლებიც ისხამენ ხორცს, და ბირკით წეკვრება გახსენება.

... მერე თბილისში ვიღაც შლაპიანთან გნახე. სუფთად წვერგაპარსულა, დრეჯი, ხელები არ ეწყო ჯიბეში. ყველას სიყვარულით და პატივისცემით უცქერდა, ყველა გამვლელს. „იცნობდეთ ერთმანეთს“, თქვი შენ. შლაპიანმა ხელი ჩამომართვა და აღნიშნა, რომ დიდად მოხარულია ჩემი გაცნობით. მე გაურკვეველად ჩაივბურღლუნე საკუთარი სახელი, თითქოს შემრცხვა. „შენც უშნოდ გათხოვდები“, გავიფიქრე მერე. თვალში მეცა შენი დიდი კბილები, ოდნავ მოყვითალო ფერისა. სიცილი არ გამშვენებდა. „ღიმილი უნდა იქმარო, სიცილი ზედმეტია“, ვფიქრობდი ჩემთვის. შლაპიანმა ყველაფერი იცოდა. მან იცოდა, რომ სიტყვები არ ჰყოფნის სიყვარულის ასხნას. მან იცოდა, რომ „არ გინდა“ უმეტესად ნიღაბია და სიმორცხვე. მან იცოდა, რომ კინოში შოკოლადი უნდა უყიოდ ქალიშვილს, კიბეებზე ჩასვლისას წინ გაუძღვე და როცა ქუჩაში ხაცნობს გამოვლაპარაკები, დიდი ბოდიში უნდა მოუხადო ქალიშვილს. მანამდე ხშირად ვიმეორებდი, რომ სიყვარული ჰგავს პოკერის თამაშს, პოკერი ბოლომდე უნდა ითამაშო, თუნდაც ცუდი კარტი მოგივიდეს. ყოველგვარ თამაშს რისკი უყვარს. მაგრამ ბოლომდე ვერ ვითამაშე. ამოლონს ხელში ფლეშ-როიალი ჰქონდა. მე არ მომივიდა კარტი. ბავშვური სიყვარულით სავსე გული და შუბლზე ჩამოშლილი უხეში თმები უძლეური კომპინაცია იყო ფლეშ-როიალთან შედარებით.

მოვიდა ამოლონი. თითქმის არაფერი შეცვლილა თქვენს სახლში. ოღონდ შიშკინის დათევბს და ლევიტანის პეიზაჟს მთვრალი კაცივით აეტორღილა ახალი სურათი. დედიშობილა ქალები ხტუნაობენ მწვანე მოლზე. მკვეთრი ფერები (პროვინციელი ფოტოგრაფები რომ შეღებებენ ხოლმე ფოტოსურათებს არაბუნებრივი, მყვირალა ფერებით. ჰქრება ნახევარფერები. თითქოს ბავშვს დაუჯღაბნია). მეც მქონდა შიშველი ქალის სურათი, რენუარის. მაგრამ მეჩოთირებოდა კედელზე ჩამოკიდება. თუმცა სილამაზის სიმბოლო იყო ეს ქალი, მშვიდი და ნებიერი, სახეს უმშვენებდა დიდი, ცისფერი თვალები, ანაკეერჩხლებული ტუჩები და თმები თივის ზვინივით. შევცქეროდი და მხიბლავდა. მე ადამი ვიყავი, ის — ევა, ვიდრე გველი შეგვაცდენდა, მანამდე.

გბრუნდები ოთახში.

— როგორ არის შენი ქმარი? — ვთქვი ჩვეულებრივი ხმით. მაგრამ ოთხი სიტყვა ერთიმეორეს ტლანქად ეწებება და ყველაფერს იტყვის: ღრიალს, შელახულ თავმოყვარობას და წრესგადასულ გაპრანჭვას. თითქოს ოჯახს შებერებული კატა ვახსენე. სტუმრები აბუჩად იგდებენ კატას, რომელიც შვილივით უყვარს მოხუც ცოლ-ქმარს. კატა კრუტუნებს, ალერსს ითხოვს, სტუმრები სიცილს აყრიან.

გულიკოსაც ღრიალად ესმის ხმადაბლა ნათქვამი ოთხი სიტყვა და თვალბით რაღაცას ეძებს იატაკზე.



ჩვენ მეგობრები ვართ: მე და გულიკო, და მე კარგად ვიცი, როგორ არის მისი ქმარი. ისიც ვიცი, როგორ არის. ვიცი, რომ ეპეიანობს ყველაზე. ვერ იტანს, როცა გულიკოსთან თავს იყრიან ამხანაგები და კისკისებენ. არ ეპიტანავენა მათი უადგილო სიცილი, მათი ჩურჩული. ისინიც ერიდებიან არასასურველ სტუმრობას. ისიც ვიცი, რომ აპოლონი ვერ იტანს, როცა გულიკო მარტოკა გადის სახლიდან. უქმროდ, მარტოკა, წამოუდგენელია! (მაინც წარმოიდგინეთ: თქვენმა საწერმა მაგიდამ ფეხი აიღვა და სტუმრად წავიდა სადღაც, ქუჩაში უპატრონო ჰგონიათ საწერი მაგიდა, უცნობი ადამიანები ხელში ჩაგდებას უპირებენ).

აპოლონი ფიქრობს, რომ მთელი თბილისი გულიკოს ეშხით არის დამწვარი და ათასი ხარბი თვალი აედევნება სურვილით შეპყრობილი. ყველაფერი კარგად ვიცი და სანახევროდ არც ვუსმენ გულიკოს. კარის ჭუჭქუტანიდან სხვის ოთახში შეჭერეტა მეთაკილება.

ზოგად თემებზე ბევრი ვილაპარაკეთ, უკვე გულახდილობა შემოდის ოთახში. ფეხი ფეხზე გადაუდგია გულიკოს, ჰაერში მონოტონურად ქანაობს მარჯვენა ფეხზე წამოცმული ქოში და შიშველი ქუსლი ოხლადაა.

ერთი თვის წინათ ამ ოთახში ვერ ვეტეოდი. აპოლონმა გაავსო მთელი ოთახი: სიგრძეში, სიმაღლეში, სიგანეში. ღია ფანჯრებიდან სიცხე გვცემდა.

აპოლონი მაღიმაღ ითათუნებდა ხელს სქელ კისერზე. მოწითალო ფერის ცხვირს წვიმის პირველი, გაუბედავი წვეთებივით ასველებდა ოფლი და ცხვირიც პატრონივით კმაყოფილი იყო, მსუყე და უდარდელი ცხვირი.

აპოლონი მოურიდებლად ათვალეირებდა ჩემს დამტვერილ ფეხსაცმელებს.

„რა გინდა მაგ ჭუჭყიან ხეცსურეთში, აღარ მოგბეზრდა ამდენი ხეტიალი?“ — მკითხა მან. მე არაფერი არ ვუპასუხე. მეზარებოდა ლაპარაკი. „არა, ფსანაური დიდებული რამ არის“, განაგრძობდა მსჯელობას აპოლონი, „სახლაპროა აქ ცხოვრება, ბუნების წალკოტში, ქლურტულეებენ ჩიტები“. „ჩიტები თბილისშიც ქლურტულეებენ“, გავაწყვეტინე მე. „არა, თბილისში არ ქლურტულეებენ ჩიტები, სამაგიეროდ თბილისში კომფორტი არის, აქ კი გვაკლია კომფორტი. განა ცული იქნებოდა ტელევიზორი და მაცივარი. იყიდი ძროხას და დილით ახალმოწველილ რძეს დალეე“. მე თავი დავექნე, და ვთქვი: „კარგია კომფორტი და ცოლი“. „ცოლი მყავს“, თქვა აპოლონმა და გულიკოს ვადახვია ხელი. ოჯახური იდილიის მოწმე ვიყავი. „ეჰ, ცუდად არის მოწყობილი ცხოვრება, — განაგრძო აპოლონმა, — იცით, როგორ უნდა იყოს? დააჭერ თითს და თვითონ გაირეცხება, თვითონ გაუთოვდება. ერთი სიტყვით, ყველა საქმე ჩვენს ჩაურევლად უნდა გაკეთდეს. განა მარტო შინ, — გარეთაც სამსახურში“. „ფულს რაღაში მოგვცემენ?“ ვთქვი მე. „ფული აღარ იქნება“, თქვა აპოლონმა და ნეკზე წაზრდილი ფრჩხილით ულვაშები შეისწორა, სათუთად მოვლილი და ნალოლიავეები ულვაშები. „აბა რაღას მოაგროვებ“, გავიფიქრე მე და საკუთარ თავს მაშინვე გავეცი მის მაგივრად პასუხი: მარკებს ან პორნოგრაფიულ სურათებს. ჰო, უთუოდ პორნოგრაფიულ სურათებს. მარკები გეოგრაფია არის, პორნოგრაფიული სურათები — სიამოვნება. სურათების სქელი დასტა.

დაუბეჭდავი ნეგატივებივით გიწყვია მენსიერების სიღრმეში გახსენებანი. გიწყვია, აღარც გახსოვს. ისინი ნეგატივებია, თეთრი სილუეტები შავ ფონზე. ზოგჯერ მოგაგონდება. თითქოს ბეჭდავ სურათებს ფოტოლაბორატორიაში და ხეგატივები ცოცხლდებიან. ერთი, ორი, სამი, ათი, ოცი...

ყველაფერი მახსენდება: ავეჯით გატენილი მზიანი ოთახები, მტვერი პი-

ბინოზე და წითელი თევზები — აკვარიუმში. ყველაფერი მახსენდება: ჯიბეში შორცხვად ჩამალული ხელები და ცივი კარტოფილი.

არ მენახიათება ამ ნეგატივების დაბეჭდვა. დაბეჭდავ შოფერს, რომელმაც გადამოცნა და ფული არ გამომართვა, პირიდან ღვინის სუნის ამოსდიოდა. ან იმ მეორე შოფერს, რომელიც ფრთხალ კურდღელს ჰგავდა. ან თუნდაც იმ შოფერს, რომელიც მდინარეს გაეჯიბრა მანქანით ქენების იშტაზე მოსული. დაბეჭდავ წვერმოშვებულ ხევსურს, შეყვარებულის გათხოვებას რომ გლოვობს, ან ჩვენი ექსპედიციის გამყოლს. ის ფარ-ხმალით შეიარაღებული დაგყვებოდა, მტრები მყავსო, და ყველანი დასცინოდნენ.

ისინი წყალუკრავ ღვინოსავით არიან. თავისი საშყარო აქვთ, თავისებური და ბევრისთვის მიუწვდომელი.

— არ მისმენ? — შეკითხება გულიყო.

— ვისმენ, როგორ არ ვისმენ. აპოლონზე ლაპარაკობდი.

— არა, ჩემს თავზე ვლაპარაკობ.

— ილაპარაკე, მე მინდა ილაპარაკო. გულზე მოგეშვება.

— ჰო, რაზე გაკჩერდი?! იცი, ზოგჯერ მომეპრიალება დავითხანო ტუჩები აომადით, ძალიან, ძალიან წითლად, ხელში ავიღო ჩანთა, გავიარო ქუჩაში, როგორც გამეხარდება. წავიდე ამხანაგის დღეობაზე, ვიცეკვო, ვისთანაც გამეხარდება, ვთქვა, რაც გამეხარდება, თუნდაც სისულელე. რა დაშავდება?! წავიდე კინოში, ვნახო გრეგორი პეკი და ვთქვა: რა ლამაზი მამაკაცი ყოფილა.

— არა, არ შეგიძლია.

გულიყო ისევ იატაკს დააშტერდა. აღელვებამ გაუარა და დაწყნარდა, აატარა და ჩიტივით უმწეო.

დიდხანს ვისხედით ჩუმად.

— რა უშნოდ გათხოვდი, ქალო, — წავიბუტბუტე ბოლოს.

— ჰო, უშნოდ გავთხოვდი. შენი ბრალია.

— რაო?

— შენი ბრალია. ჩვენ შეგვეძლო გყოფილიყავით ერთად. ერთად წავსულიყავით ბაკურიანში, ზღვაზე. ვნახავდით კინოს, შენ არ გეწყინებოდა, რომ გრეგორი პეკი ლამაზი მამაკაცია, არც მე მეწყინებოდა, რომ ლამაზი არის ოდრი.

— შენ ყველაზე კარგი ხარ, — შევაწყვეტინე და ვიგრძენი, რომ უადგილო იყო ქათინაური.

— აი, ხომ ხედავ, შენი ბრალია. შენ ყოველთვის გეგონა, რომ მე ვარ ყველაზე ლამაზი. შენ გჯეროდა, რომ უიმედო იყო შენი სიყვარული...

— ასეც მოხდა, გენაცვალე.

— შენი ბრალია. ყოველთვის იმეორებდი: რატომ არ გიყვარავო და თითქოს მაიძულებდი, რომ ხელი მეკრა შენთვის. გეხალისებოდა საკუთარი ტკივილი.

— ვინ მოგახსენა?

— ვიცი. შენც იცი.

— არა, შენ ვერ გიმეტებდი ჩემთვის.

— და სხვისთვის გამიმეტე.

— ჩემდაუნებურად.

— შენ ადვილად შეურიგდი დამარცხებას.

ჩვენი როლები შეიცვალა. წინათ გულიყო კუს მსგავსად იმალებოდა ჯავ-
 'მანში. ამაოდ ვლამობდი ხმის ჩაწვდენას, ყოველთვის ხელმოცარული ვრჩე-

ბოდი. რალცამ დაამსხვრია ჯავშანი. მიამიტად მარწმუნებს, რომ მისი გარეგნული იდილია მუქი უნუგეშობით არის შეფერილი.

არავინ არ გვაწუხებს მარტოდ დარჩენილებს და გულახდილობა თბილად იკუმშება ოთახში.

„ტუჩებს არ იღებავს, — გავიფიქრე მე, — აპოლონმა აუკრძალა პომადის წასმა; ნუთუ თვალბსაც არ იღებავს?! საიდან აქვს ასეთი ცისფერი თვლები“. ფიქრები მძიმედ იშმუშნებიან თავში.

— შენ ისევ არ მისმენ, — თქვა გულიკომ, — ალბათ ფიქრობ, რომ ჩემისთანა თვლები არც ერთ ქალს არა აქვს მთელს ქვეყანაზე.

გულიკოს დაღლილ სახეზე დაღლილი ღიმილი დაჰფარფატებდა.

გულიანად გამეცინა და ვთქვი:

— მერე, ტყუილია განა?

— აპოლონს არ აინტერესებდა, მიყვარდა თუ არა. მან შემირთო ცოლად და უნდა მიყვარდეს.

— შენ ხომ გიყვარს.

— უნდა მიყვარდეს, რადგანაც არ დავდივარ ბაზარში, არ ვრეცხავ თევშებს და ზაფხულობით ვისვენებ კურორტებზე. სამაგიეროდ არ უნდა დავითხანო ტუჩები, არ უნდა ვიცეკვო ვილაც ბიჭებთან და გულწრფელად არ უნდა გელაპარაკო. ის არ ენდობა ჩვენს მეგობრობას.

— სრულიად უსაფუძვლოდ.

— არა.

გულიკომ იჯერა გული და გაჩუმდა. ფიქრებში წავედით. გამახსენდა, რომ ადრე ხშირად ვნატრობდი: გახდეს გულიკო ავად, თუნდაც ქლექით, მერე ხომ გამოცნობს.

— შენ არავის არ ეფერები? — მოულოდნელად მეკითხება გულიკო.

დიდი ხანია არ მომფერებია არავინ, წინათ, სულ წინათ იყო. მამა იწვალოგინში. გამელვიძებოდა, მაშინვე შევეუგორდებოდი და ვალვიძებდი. „გინდა, მილიონამდე დავთვალო?“ — „აბა დაიწყე“. ვიწყებდი მილიონამდე თვლას. დავთვლიდი სამოცს ან სამოცდაათს და მამა მაწყევტიებდა: „კარგი, გეყოფა, ბიჭო.“ მე არ ვჩერდებოდი. მამა წამოხტებოდა ლოგინიდან, პირის დასაბანად გარბოდა ყვირილით: „ზარმაცები ღმერთს არ უყვარს!“

— რაზე ფიქრობ?

— ცხოვრებაზე, — ვპასუხობ გულიკოს და უცებ მახსენდება ბავშვობას დროს ნასწავლი:

— გიგლა, გიგლა, გიგლიკო!

— ბატონო.

— რას აკეთებ?

— ვფიქრობ.

— რაზე ფიქრობ?

— ცხოვრებაზე.

„შენ არავის არ ეფერები?“

გადაწოლილი ვიყავი ტახტზე. თავი კედელს მქონდა მიბჯენილი. ხელები ჯიბეებში მეწყო.

რამდენჯერ დამსიზმრებია უდაბნო. უსასრულოდ დაებორიალობდი უდაბნოში. ფეხსაცმელები ივსებოდა ქვიშით, სხეული — მზით, და მცხელოდა. მცხელოდა. და არსად იყო წყალი. იღლიიდან ამოვიღებდი თერმომეტრს და ორმო-

ცი გრადუსი მქონდა სიცხე. უდაბნოს მეტი სიცხე ჰქონდა, უდაბნოც ავად იყო. გარს მეკვროდა ავადმყოფი უდაბნო. ყველგან ეყარა სიცხით გათავებულ ადამიანთა ძეგლები. მერე უცებ წამოვიდოდა ქუჩუყიანი წვიმა. პეშვით ვაგროვებდი წვიმის წყალს. წვიმა იყო ალერსი სიცხიან უდაბნოში, მაგრამ გამონაკლისი არ ყოფილხარ. წვიმის წვეთები ეალერსებოდნენ ქვიშასაც, საქსაულის ბუჩქებსაც, ქვეწარმავლებსაც, უდაბნო სავსე იყო ქვეწარმავლებით. მერე ვიღებდი ბილეთს კინოში. ეკრანიდან შუქი იფრქვეოდა ჩაბნელებულ დარბაზში. დარბაზის მაღალი კედლები მავიწყებდნენ უდაბნოს.

„შენ არავის არ ეფერები?“ — თითქოს სილა გამაწნეს და ერთბაშად ვფხიზლდები.

გულიყო იჯდა ტახტზე. მე თვალბში ჩამყურებდა დაბზარული ჭერი.

— თქვი შენი ლექსები.

— აღარ მახსოვს, გენაცვალე.

— ნუ მაბრაზებ, თქვი.

— მართო ლექსების წერა როდია სიყვარული.

— მე მომწონს შენი ლექსები.

— კიდე რა მოგწონს?

— სიცილი.

— განა ხშირად ვიცინი?

— არა, მაგრამ როცა იცინი, კარგი სიცილი იცი.

— გავიცინო?

— არა, ლექსები თქვი, გია.

— „ყოველთვის გვაგვი ქუჩას ნაწვიმარს და ვერ გაჩვენე ჩემი ანთება“, — ვიწყებ და მეუცხოვება ლექსი.

— რატომ გაჩერდი, განაგრძე.

— არ მინდა. ლექსები ცუდ ხასიათზე მაყენებს.

— მე პირიქით.

— გულიყო, ერთ დროს მეც პირიქით ვიყავი.

— წაიქითხე.

— არა, მეზარება.

ახლოს ვართ ერთიმეორესთან. ვკითხულობ მის თვალბში ზღაპარს და ველარ ვძღვები.

მწყურვალე სხეული უკვე აიტანა მოფერების სურვილმა. ამრობენ ნაწვიმარ ქუჩას მზის სხივები. მზით დადალული ქუჩა იღვიძებს.

თითებს ვმაღავ მხრებზე გადმოშლილ თმაში. ვკოცნი და ვკოცნი ტუჩებს. თითქოს ათასჯერ და ათიათასჯერ ყოფილა ყველაფერი. გონებას ველარ გაურჩევია სურვილი და სინამდვილე, ცხადი და ზმანება. მკვრდზე მედება ტენისის ბურთივით მკვრივი ძუძუები, ნაზად ველაციები. აღარ ვეკუთვნი საკუთარ თავს, სადაც მიმაქროლებს მომსკდარი ნიაღვარი. ყველაფერი მავიწყდება, რაც მომხდარა და რაც არ მომხდარა...

მერე მე ვიდექი ფანჯარასთან. გულიყო იწვა ტახტზე თვალდახუჭული, გაფითრებული (თუ სიბნელეა ოთახში?!).

ფანჯრიდან ჩანდა ავტობუსი. ავტობუსი გაჩერდა. მგზავრები გადმოდიოდნენ. უმეტესობამ სასადილოსკენ ჩაუხვია. რამდენიმე კაცი აქეთ გამოეშუოა. ზოგს ჩანთა ეკავა ხელში, ზოგს პატარა სპორტული ჩემოდანი. „აღბათ ყაზბეგია, ან ორჯონიკიძე“, გავიფიქრე.

გულიყო თმას ივარცხნიდა.

- რას უყურებ? — თქვა მან.
- ავტობუსი ჩამოვიდა.
- თბილისიდან?
- ალბათ.
- რომელი საათია?
- ოთხი. რატომ იკითხე?
- არაფერი, ისე.
- ის ნამდვილად არ ჩამოვა დღეს?
- არა, ხომ ვითხარი.
- ჰოო.
- გეშინია?
- არა, პირიქით.

გულიკომ გაკვირვებით შემომხედა.

მინდოდა ჩამოსულიყო. შემოვა ოთახში და ყველაფერს მიხვდება. ძალზე გეჰვიანი კაცი არის, წარმოუდგენელია, ვერ მიხვდეს. მერე? რა მოხდება მერე? აღარ მინდა ვიფიქრო. საერთოდ, კარგი იქნებოდა, არაფერზე არ ფიქრობდეს ადამიანი. ილაპარაკოს, როგორც უნდა. გააკეთოს, რაც უნდა. მეტი არაფერი.

ვიდექი ფანჯარასთან და ვლამობდი აღარ დამეძძიმებინა თავი ფიქრებით.

წელზე ხელი მოვხვიე გულიკოს. „აღრე უფრო კონტა წელი ჰქონდა, ვასუქებულა, — ვფიქრობდი მე, — გასუქებულა ამ კურორტებზე. არ უხდება გასუქება, რად ვინდა შენ ფასანაური ან ვაგრა. რად ვინდა ეს კურორტები, სადაც ჩამოდიან ქმრები და დაწვრილებით ყვებიან, რამხელა სიცხე დაიჭირა თბილისში. ჰრელ-ჰრელ პიქამებში გამოწყობილნი დასეირნობთ ეზო-ეზო. დღისით თამაშობთ ფრენბურთს — რომ მოიკლოთ სიმსუქნე, სადამოობით ლოტოს, რატომ მაინცა და მაინც ლოტოს? გასართობად, გასასუქებლად თუ ტვიხის გამოსალაყებლად? შენ ჩემთან უნდა წამოხვიდე, ჩემთან უნდა იყო.“

- ყოველთვის ჩემთან, — ვთქვი ხმადალა.
- გულიკო ხმას არ იღებდა.
- იცი, როგორ გაეხარდება ნუგზარს?!
- რა?
- მოვუყვები ჩვენს ამბავს და გაეხარდება.
- არ ვინდა.
- რატომ?
- არ ვიცი. სირცხვილი იქნება.
- მაინც მოვუყვები.
- არა გშია?
- არა, არც მწყურია, არც მეძინება, არც მეჩქარება არსად.
- ხვალ აპოლონი ამოვა.
- მე ფასანაურში დავრჩები.
- არა, უხერხულია. მეზობლები დაეკვდებიან.
- ჯანდაბას მეზობლები!
- აპოლონს არ მოეწონება, ფასანაურში რომ განახოს.
- ჯანდაბას აპოლონი! — აღტყინებით ვთქვი მე.
- არა, უხერხული გამოვა.
- კარგი, გულიკო, არ შეგაწუხებ. მამ როდის ჩამოვიდე?
- როდის ჩამოხვალ?

- ხვალ, კვირას, ორშაბათს, სამშაბათს.
- არა, ხვალ არ შეიძლება. ხვალ აპოლონი უნდა ამოვიდეს. გაიგე?!
- გაიგე, — ვთქვი და ხელი მოვაშორე.
- ახლა ვისადილოთ, — თქვა გულიკომ.
- არა მშია.
- ჩემი ხათრით ისადილე.
- კარგი, — ვთქვი მე.

ვსადილობდით და ვყვებოდით, თუ რა შესანიშნავი ლუდის გამოხდა იციათ არხოტში, რომ დავეძებდით მინერალურ წყლებს, რომ ბარისახო არ არის ხამდელი ხევსურეთი, რადგან მეპურე დიმიტრის შავტუხა ქალიშვილი ველო-ხიპედით დასეირნობს გზაზე და ფოსტის შენობის პირდაპირ სახლში ვიღაც 'მარვლიანი გოგო ცხვორობს.

მერე წამოსვლის დროც დადგა. გულიკო თავჩაღუნული ფუსფუსებდა მაგიდასთან. ჭურჭელი აალაგა. პურის ნამცეცები გადაბერტყა სუფრიდან. დიდხანს ალაგებდა მაგიდას და მზერას მარიდებდა.

— ახლა ბოლომდე ვითამაშებ, — ვთქვი მე, — თუმცა კვლავინდებურად კარტი არ მომდის. წესით და კანონით უნდა მომდიოდეს.

- რატომ?
- არავის არ უყვარვარ და იმიტომ.
- როგორ არ უყვარხარ.

მე ისევ ვკოცნიდი გულიკოს.

ბოლოს წამოვედი.

წვიმამ დაუშვა. ქუჩა დაცარიელდა. ყველამ მოძებნა თავშესაფარი. ნაბიჯს ავუჩქარე. ფიქრებარეული თითქმის მივრბოდი და მეჩვენებოდა, რომ ვიღაც მომდევნა უკან. მერე გავიფიქრე, რომ ჩემს დასაჭერადაც წამოვა მილიციის ლეიტენანტი, სიმპათიური, კოხტად გამოწყობილი. ლეიტენანტი, რომელიც ძლივს აკავებდა მეძებარ ძალს — გერმანულ ნაგაზს. ნაგაზს პირში ცხვრის ბარკალი ჰქონდა გაჩრილი და სულმოუთქმელად გარბოდა. ლეიტენანტი ძლივს აკავებდა ძალს. ვის გაუგონია, მთაში წასულ მწყემსს ნაბადი მოჰპარო, მერე რა ავდრები იცის მთაში! მეც რაღაც მოვიპარე და თითქოს გერმანულ ნაგაზთან ერთად უკან მომდევს მილიციის ლეიტენანტი.

მე გვავდი იმ მსახიობს, რომელსაც არა სურს თამაში რომელიმე სპექტაკლში. არ მოსწონს არც პიესა, არც რეჟისორი, არც პარტნიორები, მაგრამ მაინც თამაშობს.

მწვანე რესტორანს შევეკედლე. დარბაზში კაცის ჰაჰანება არ იყო. ოფიცინტები მთქნარებით ტრიალებდნენ მაგიდებს შორის. „კარგია წვიმა, — ფიქრობდნენ ისინი, — წვიმა ბევრს შემოიტყუებს რესტორანში“.

მაგიდას მივუჯექი და არაყი მოვითხოვე.

— მოდო, ბიძია, თითო ჭიქა დავლიოთ, — ვუთხარი ოფიცინტს.

ოფიცინტი ოდნავ შეყოყმანდა.

ჭიქას მაგრად მოვუჭირე ხელი და ხმამალა ვთქვი:

— ოაზისებს გაუმარჯოს!

— ჰაჯან?

— ოაზისებს გაუმარჯოს-მეთქი. გაიგე?!

— გაუმარჯოს. შენი სიცოცხლე და ღღეგრძელობა.

გადავკარით. ოფიცინტს სახე დამემანჭა და თვალები დაახამხამა.

— ეჰ, ბიძაჩემო, დაბერებულხარ.

— მაგარი არაყია.

არ მიგვრძნია არყის სიმაგრე. იქნებ წყალგარეულიც იყო. ძეხვი ამოვავლე შლოგეში და გემრიელად გავლუკმე.

— მეტს ველარ დალევ, ბიძაჩემო?

— არა, შენი ჭირიმე, გმადლობთ.

— კარგი, ეგრე იყოს.

მსმენელი აღარავინ მყავდა. ისევ ხმამალა ვთქვი სადღეგრძელო:

— მოდი უდაბნოს გაუმარჯოს, ცხელსა და ხრიოკ უდაბნოს.

სადღეგრძელო შესანდობარივით იყო.

მებუფეტემ განცვიფრებით გადმომხედა თავისი ციხე-სიმაგრიდან. „რა ვგონივარ ნეტავ, — გავიფიქრე მე, — გიჟი თუ გატიალებული მთვრალი“. „რაც უნდა, ის ვეგონო“, წავიბუტბუტე ჩემთვის. მეზობელ მაგიდასთან მსხდომ ახალგაზრდებს მივუგდე ყური. ვიდაც ბესოზე საუბრობდნენ. ბესო შოფერი ყოფილა თურმე, ეშინია შემხვედრი მანქანისა და როცა გაუსწორდება, ცივი ოფლი ასხამს. უკვე ორჯერ მოუვიდა ავარია. ეჰ, ბესო!

მერე ისევ ხმამალა მიემართე ოფიციანტს:

— ღმერთს სამება უყვარს, არა? ჰოდა, მესამესაც დაეღვე. მოდი ამ ჭიქით ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას გაუმარჯოს.

— იცოცხლე, — შემომაწია ოფიციანტმა.

ყველანი დავლოცე: მწვანე რესტორანი, მთვლემარე ოფიციანტები, მებუფეტე, რომელსაც აღარ განცვიფრებდი. ალბათ დარწმუნდა, რომ მთვრალი ვარ. „წყალგარეულმა არაყმა როგორ დაათრო ასე სასტიკად,“ გაიფიქრებდა სახტად დარჩენილი. ყველანი აქ რჩებიან. მე უნდა წავიდე. წინ მიძევს გრძელი გზა.

ოფიციანტს ანგარიში გავუსწორე, მადლობა გადამიხადა და რესტორნის კარამდე მომყვებოდა.

— სად მიგეჩქარება, კაცო, ამ თავსხმაში?

— ოო, — მრავალმნიშვნელოვნად ვთქვი მე, — ეგ საიდუმლოა, ვერ განდობ. წყალში ჩადებული ჯოხი ხომ გინახავს? მრუდეა. ამოიღებ ზემოთ და თურმე არ ყოფილა მრუდე. სიმრუდე მოჩვენებითი ყოფილა.

რესტორანი ნელ-ნელა ივსებოდა.

— „კიდევ მოვა შხაპუნა,“ — წაეიღიღინე მე.

— ვახ, შხაპუნაა, მა რა არი, — თქვა ოფიციანტმა.

— არა, ეს შხაპუნა არაა, დასაწყისში იყო შხაპუნა. ახლა შემოდგომის წვიმას დაემსგავსა. რა დროს შემოდგომის წვიმა იყო ამ ზაფხულში, ცოტას ვერ მოიცდის? შხაპუნა, იცი, რა არი? შხაპუნა წვიმას ჰქვია ისხარი. ისხარი როცა მოდის, შხაპუნაა რალა პირდაპირ! აი, შხაპუნობს და მოდის გაზაფხულზე, ზაფხულში, ხანდახან ზამთარშიც, და არ არსებობს ამ ქვეყნად კარგი და ცუდი ამინდი, არის კარგი ან ცუდი განწყობილება.

ენა მებმოდა და ვერ აგუხსენი, რა არის შხაპუნა. „ან რა საჭიროა, — გავიფიქრე. — თვითონაც იცის ამ ოფიციალტმა განსხვავება შხაპუნასა და შემოდგომის წვიმას შორის. მაგრამ არ იცის ოაზისი. თუმცა იქნებ იცის, მაგრამ არ ეხალისება ფიქრით თავის ატკივება“.

უიმედოდ ხელაწეული ვიდექი შუა გზაზე. შოფრები კბილთა ღრჭიალით მიქცევდნენ გვერდს. არც ერთი მანქანა არ გაჩერებულა. ტალახში კი მაგრად ამომსვარეს. ნახევრადცარიელმა ავტობუსმა ჩამიქროლა. უკან მჯდომი მგზავრები ხელის ქნევით მომესალმნენ. პასუხად მუშტი ვუჩვენე.

ბოლოს ზორცისფერმა „ვოლგამ“ შემიბრალა, ორნი ისხდნენ „ვოლგაში“ შოფერი და მანქანის პატრონი.

— თბილისი? — მკითხა მანქანის პატრონმა, თან თბილს შეექცეოდა.

— დიახ, — ვუპასუხე.

ჟინვალამდე მივინა. ჟინვალში მანქანა გააჩერეს და შოფერი ლიმონათის საყიდლად ავიდა სასადილოში.

გზის პირას, რკინისრიკულებიან გალიაში, დათვი აღარ იყო. მე შევირბინე გალიაში, გაღობის კარი მოვბურე და ვფიქრობდი, სად ჯანდაბაში დაიკარგა დათვი. ერთი თვის წინ აქ იყო და ახლა რა დაემართა?! ალბათ ვერ გაუძლო ტყვეობას და მოკვდა. ძლიერ დამენანა დათვი.

ჟინვალს ქვემოთ გავივავეთ. სპიდომეტრის ისარი უკვე ასთან ცახცახებდა. თათრული ბაიათი კვნესოდა რადიომიმღებში.

— ეჰ, ერთი ჩა-ჩა-ჩა მოგვცა! — ვთქვი მე. — ას კილომეტრს ბაიათი არ უხდება.

პატრონმა გაიცინა და თბილისი ჩართო. თბილისიდან უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ.

„კიდეც კარგი, თვითმფრინავი არ ფრინავს ბარისახოდან თბილისამდე, — ვფიქრობდი მე, — მაღლი არ ექნებოდა თვითმფრინავით მგზავრობას“. ახლა კი ყველაფერს ამჩნევ. ნელ-ნელა ეჩვევი ბარში გადასვლას. არაგვი აღარ არაგვობს, სლალომი შესცვალა კროსმა. მთები რიგში ჩამწყკრივებული ჯარისკაცებით მიჰყვებიან ერთიმეორეს და დაბლდებიან. ხეობა ფართოვდება, ბარისკენ მოიწევს, ათქვირებულ ბალებს იხუტებს და ნისლი რჩება მთაში გაუთავებელ წვიმებთან ერთად. მაგრამ ჯვრის მონასტრიდან გადმოხედავ მტკვრისა და არაგვის შეერთებას. ამღვრეული, ჭუჭყიანი ფერის მტკვარი და სუფთა არაგვი. მტხეთასთან ისევ ივრძნობ არაგვს. გაიზარებ: მაინც რამ სიგრძეა არაგვი. თანაც მარტო ერთი ხომ არაა. თეთრი და შავი არაგვი, ზევსურეთის არაგვი, ფშავის არაგვი.

ის იყო მცხეთას გამოეცდით და მაშინდა მომაგონდა, რომ ზურგჩანთა ბარისახოს ფოსტაში დამრჩა.

„ეგებ ჩამომიტანოს ნუგზარმა, — ვინუგეშე თავი. ზურგჩანთაში მარტო ნახმარი პერანგი და სვიტერი იყო, სხვა არაფერი. — მაგის დაკარგვით ქვეყანა არ დაიქცევა“, — გავიფიქრე ნიშნისმოგებით.



- გცხელა?
- მცხელა რომელია, ვიწვი.
- უწყლოდ, ულიმონათოდ, არა?
- ჰო.
- უნდა გაუძლო.
- ვახ, ერთი ლიმონათი მოგვცა...

ანზორი მაცდურად იღიმებოდა. გვიმ აღარაფერი თქვა. გურამიც ჩუმად იყო, ზედა თაროზე წამოწოლილი კითხულობდა წიგნს და არ ნატრობდა ლიმონათს. ანზორი უიმედოდ ნატრობდა.

მატარებლის ბორბლები ხმაურით ითვლიდნენ რელსებს. „რა სიცხეა, რა სიცხეა, რა სიცხეა“, — დაუსრულებლად იმეორებდნენ ამ სიტყვებს. ყველა ცდილობდა, რომ ბორბლებს სხვა სიტყვები ემღერათ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. „რა სიცხეა, რა სიცხეა, რა სიცხეა“, — გრძელდებოდა ისევ და ისევ.

— ერთი ბოთლი ლიმონათი მირჩევნია ახლა მთელი ქვეყნის გოგოებს, — თქვა ანზორმა.

- ერთი ცოტაა, ორი იყოს.
- ორი ბოთლი მთელ ქვეყანას მირჩევნია.
- რაო, რას ამბობს? — ჰკითხა გივის ლიდამ.
- ლიმონათი ურჩევნია გოგოებს, — გადაუთარგმნა გვიმ.
- უიმე, საწყალი, — თქვა ლიდამ.
- არა ვარ საწყალი, — გაიცინა ანზორმა, — ლიმონათი ყოველთვის მიყვარს, გოგოები ხანდახან.

- სიცხეში არ გიყვართ გოგოები? — ჰკითხა ლიდამ.
- არა. სიცხეში მიყვარს ლიმონათი და ძილი.

ყველას ცხელოდა. პირველად კრასნოვოდსკში დასცხათ, როგორც კი გე-

მიდან გამოვიდნენ. დილის შვიდი საათი იყო და უკვე ცხელოდა. აღმოსავლეთით ქალაქს ციხის კედლებივით ამოსდგომოდა ხრიოკი, გაშისვლელბული კლდეები.

გივი ფიქრობდა, რომ კრასნოვოდსკის იქით უდაბნო იქნებოდა, ვრცელი და უსაზღვრო, როგორც ზღვა, ოღონდ მოყვითალო ფერისა, და უდაბნო ზღვის ტალღებივით გადმოაგორებდა ბარხანებს ერთიმეორეზე. შორს, ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა შავი წერტილი და ყველანი ერთხმად იტყოდნენ, რომ აქლემების ქარავანი მოდიოდა აშხაბადიდან.

მაგრამ კლდეები ჰფარავდა უდაბნოს. უდაბნო არ ჩანდა ქალაქიდან-გავარვარებული მზე ყვითელი აბაჟურივით ეკიდა ქალაქის თავზე. მზე განცხრომაში იყო. მძაფრად იგრძნობოდა შუა აზიის სუნთქვა.

ქალაქი სიცხით იყო გათანგული. ამხელა ზღვის პირას მდებარე ქალაქს სუნთქვა უჭირდა. მთელი ზღვა რომ გადმოეპირქვავებინათ თავზე, მაინც არაფერი ეშველებოდა.

ზღვის ტალღები ზანტად ეხეთქებოდნენ ნაპირს, სილას ყლაპავდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ქალაქი სიცხეში იხრაკებოდა. „აქ ალბათ ერთ ბოთლ წყალზე ეპატივებიან სტუმრებს“, — გაიფიქრა გივიმ. ნაპირთან ზღვა ჭუჭყიანი იყო. ნავთსადგურში ამწეები მთვლემარე აღამიანივით აკანტურებდნენ თავს.

დილის შვიდ საათზე უკვე ცხელოდა. გემიდან ახალგადმოსულებს უჩვეულოდ დაცხათ და თქვეს: „რა ღვთის წყრომა იქნება შუადღისას“. ფართო-ფარფლიანი ოსური ქუდეებიც კი ვერ იჭერდა სიცხეს. გამვლელები ინტერესით აცქერდებოდნენ მათ, უკვირდათ და ეკითხებოდნენ სადაურობას.

მატარებლის გასვლამდე ცხრა საათი მაინც იყო დარჩენილი.

სადგურის რესტორანში ლიმონათი მოითხოვეს. სულ ათნი იყენენ და მოითხოვეს ოცდაათი ბოთლი ცივი ლიმონათი.

დიდხანს ისხდნენ ჩაბნელებულ რესტორანში. სვამდნენ მაცივრიდან ახალგამოღებულ ლიმონათს. გრილოდა.

გარეთ საოცრად ჩამოცხა.

აღარ იცოდნენ, როგორ მოეკლათ დრო. მერე ფეხბურთი ითამაშეს ჯარისკაცებთან, — ისინიც მატარებელს ელოდებოდნენ. სიცხეში არასასიამოვნო იყო თამაში და გივის უკვირდა, როგორ დასდევდნენ ჯარისკაცები ბურთს მძიმე ჩექმებით. ჩექმებში ალბათ უარესად ცხელოდათ. მერე ფეხი იტკინა გივიმ და ძლიერ გაუხარდა. სიცხეში არასასიამოვნო იყო თამაში.

მერე მოვიდა მილიციელი და თქვა, რომ ბურთის თამაში არ შეიძლებოდა ბაღში. „ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ“. „სულერთია, არ შეიძლება“. მილიციელსაც ცხელოდა. იგი ზანტად ლაპარაკობდა.

ყველას ცხელოდა და ნატრობდნენ, მალე გასულიყო მატარებელი...

მაგრამ მატარებელში უარესი ბუღი იდგა. ფანჯრებიდან ცხელი ქარი შემოდიოდა.

სიცხემ ხალისი წაართვა ყველას და არც კი შეუმჩნევიათ, როდის დაიწყო უდაბნო. თვითონ უდაბნოს ვერ ხედავდნენ. უდაბნო ბინდში იყო გახვეული. გრძნობდნენ უდაბნოს ცხელ ქარს, რომელსაც შვების ნაცვლად მოდუნება მოჰქონდა.

ეს არ იყო სამუმი. უდაბნოს ჩვეულებრივი ქარი იყო, მაგრამ საკმარისად სულშემბუთავი და მწველი.

ცხელოდათ კრასნოვოდსკში. ცხელოდათ ჯანგაში. მერე ჯგებელშიც და-
ცხებოდათ, მაგრამ ვაგონში ჩამოატარეს ცივი და გემრიელი კომპოტი. თეთრ-
ზალათიან გამყიდველს მოზრდილი ჩაიდანი სულ დაუტარიელეს და ჯგებელში
აღარ ცხელოდა.

— ნებიტ-დაღის სადგურზე მშვენიერი წყალია და რამდენსაც მოერევით,
იმდენი დალიეთ, — თქვა ლიდამ.

ლიდას არ ცხელოდა. ის მიჩვეული იყო სიცხეს. ამაზე უარესი პაპანაქებაც
ენახა, რადგან ნებიტ-დაღში ცხოვრობდა.

— ალბათ გულში დაგვცინის ლიდა, — თქვა გივიმ.

— ვახ, ერთი ლიმონათი, — ისევ დაიწყო ანზორმა.

— მორჩი რა, თუ ძმა ხარ, აღარ მოგბეზრდა?

— შენ ჩუმაღ. წიგნი იკითხე, ან სულაც მეორე კუბეში წავიდეთ.

— მოიცა, თავი გამანებე.

— ჩამოდი, კაცს ხელს უშლი.

გურამი რის ვაივავლახით ჩამოხტა ძირს. წიგნს კითხულობდა და ისე ჩა-
მოხტა.

— აბა შენ იცი, — თქვა ანზორმა.

გივიმ უსიტყვოდ გაუღიმა ანზორს.

მეზობელ კუბეში ჟრიაბული იყო. ხან მღეროდნენ, ხან იცინოდნენ. სიმ-
ღერა არ გამოსდიოდათ, სიცილი უფრო იოლი იყო. ჯგებელში დაიწყეს უაზრო
თამაში, რომელსაც ჰქვია „გზაში ერთი კაცი მიდიოდა რათა ერთი?“. თამა-
შობდნენ მხიარულად, სიცილ-ხარხარით.

— ძალიან გწყურია? — ჰკითხა გივის ლიდამ.

გივიმ თავი დაუქნია.

— უნდა მოითმინო. წყალი მაინც ვერ მოგიკლავს წყურვილს. დაგცემა
და კიდევ მოგწყურდება.

— ლიმონათი?

— არც ლიმონათი, — სიცილით თქვა ლიდამ, — ლიმონათი შენს ამხანაგს
უშველის, ანზორს.

— წყურვილის შეკავება შემძლია. საერთოდ უნდა იცოდეს ადამიანმა
თავის შეკავება. მაგრამ წყალი სიამოვნებაა, განსაკუთრებით უდაბნოში, და
რად უნდა დავიკლოთ სიამოვნება.

— როცა არ არის, რას იზამ.

— ნებიტ-დაღში ხომ იქნება?!

— ნებიტ-დაღში კი.

— ჰოდა, მოვიკლავთ წყურვილს.

გივი და ლიდა მხრებით ეხებოდნენ ერთიმეორეს. გივი ხედავდა მის მშვიდ,
ძლიერ მშვიდ და სუფთა თვალებს. ოღონდ ვერ გაეგო, თვალები ცისფერი იყო
თუ მომწვანო. ნათურა მკრთალად ანათებდა ვაგონს.

ლიდას ეცვა მოკლესახელოებიანი, ზურგზე ღრმად ამოჭრილი კაბა. ღა-
ფერის კაბა უხდებოდა მის გაშავებულ ტანსა და მკლავებს.

მოპირდაპირე ფანჯარასთან ორი თბილად ჩაცმული მოხუცი იჯდა. ბეწ-
ვიანი, წოწოლა ქუდეები ეხურათ და უღრტეინველად სთვლემდნენ მატარებლის
გაჩერებისას. დანარჩენ დროს კი ათვალეირებდნენ ლიდას და გივის, დაეინე-
ბით და მომაბეზრებლად, თითქოს თვალების ნაცვლად ფოტოაპარატები ჰქონ-
დათ, რომლებზეც უნდა აღებეჭდათ ყველაფერი, რაც კუბეში ხდებოდა.

გივი მიუბრუნდა მოხუცებს და რუსულად შეეკითხა:

— როდის ჩავალთ აშხაბადში?

მოხუცებმა ვერ გაიგეს რუსული. ოდნავ შეყვინდნენ და თავის ენაზე უპასუხეს რაღაც.

ახლა გვიმ ვერ გაიგო.

ორივენი ძლიერ ჰვავდნენ ერთმანეთს. ასე იფიქრებდი, წინასწარ შეკრეს პირი, რომ ერთდროულად აკეთონ ყველაფერი: როცა მატარებელი გაჩერდება — ჩასთვლიმონ, და როცა მატარებელი სადგურს დასტოვებს — ისევ აამოქმედონ ფოტოაპარატები. ახლაც ხმაშეწყობილად უპასუხეს გივის.

გივი ისევ რუსულად დაეღაპარა.

— არ ესმით რუსული, — თქვა ლიდამ.

— კარგია. მომწონს, — თქვა გივიმ.

— რატომ?

— შეხამუშება, როდესაც უცნობები ხვდებიან ჩემს ნალაპარაკებს.

— აშხაბადში ხვალ ვიქნებით, დილის თორმეტ საათზე, — თქვა ლიდამ.

გივიმ წელზე მოხვია ხელი ლიდას, ახლა მას აღარ ცხელოდა. ლიდამ ცალთვალით გადახედა გივის, ხმის ამოუღებელი დააყრდნო თავი მხარზე.

— თქვენ მართლა ლიდა პავლოვნა ბრძანდებით, როგორც გაგვაცანით თავი, — თქვა გივიმ, — ლიდა პავლოვნა და არა ლიდოჩკა.

— რატომ?

— ლიდოჩკა უფრო ცელქი და გიჟმაჟი იქნებოდა. დიდი ხანია, რაც აღარ ცელქობთ?

— ორი წელიწადია, — სიცილით თქვა ლიდამ.

— ახლა თქვენ აღარა ხართ ლიდოჩკა.

— ზოგთან ახლაც ლიდოჩკა ვარ, ყველა ნაცნობი ასე მეძახის.

— ჩვენ უცნობები ვართ?

— თითქმის.

— ჩვენ უკვე ორი დღეა ვიცნობთ ერთმანეთს. უცნობები ვიყავით ბაქოში, გეშუე ვავხდით ნაცნობები, კრასნოვოდსკში კარგი ნაცნობები, და ახლა მეგობრები ვართ. გასაგებია?

ლიდა იცინოდა.

— ხვალღან ისევ უცნობები ვიქნებით, — თქვა მან.

— არა. მე ჩამოგყვები აშხაბადში. იქნებ დაგეხმარო.

— არაა საჭირო.

— მაინც დაგეხმარები. მე მინდა, რომ დაგეხმარო, თორემ შენ ისედაც მოხვდები უნივერსიტეტში.

— რა ვიცი, მოხვდები?

— უეჭველად. შენ ხომ ლაბორატორიაში მუშაობდი, სტაჟიანებს შელავათს უწევინ. კარგადაც იქნები მომზადებული. ბაქოში მეცადინეობდი, არა?

— ჰო, ბაქოში, დეიდასთან.

— უცნობ ქალაქში უფრო ადვილად იმეცადინებს კაცი. დამიჯერე, შენა უეჭველად მოხვდები.

— ვნახოთ.

— მე რომ ვიყო, სულაც უგამოცდოდ მიგიღებდი.

— რატომ? — გაკვირვებით ჰკითხა ლიდამ გივის.

გივიმ თვალებით ანიშნა ნაიარევზე. ლიდას ორივე ხელზე, მაჯასთან, ნაიარევი აჩნდა, ამომწვარი და გაწითლებული.

— გინდა ინვალიდად ჩამთვალონ?

— არა, არა, — საჩქაროდ გამოეჭომაგა გივი, — ინვალიდად კი არა, აი... — უცებ ვერ გამონახა შესაფერი სიტყვები. — იცი, უნდა მიგიღონ, როგორც მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანი.

ლიდამ გაიცინა. გივიც აპყვა.

— ალბათ მყავა გადაისხი ლაბორატორიაში, — თქვა გივიმ.

— ჰო, — უხალისოდ თქვა ლიდამ.

ლიდა არ მალავდა ხელებს.

„კარგია, რომ არ მალავს დამახინჯებულ ხელებს, — გაიფიქრა გივიმ, — არაფერი არაა ამაში სამარცხვინო, ნაიარევი სრულებით არ უკარგავს სილამაზეს“.

— თქვენ ალბინისტები ხართ? — ჰკითხა ლიდამ.

— თითქმის.

— როგორ თუ თითქმის?

— ო, ეს გრძელი ამბავია. აშხაბადამდე კი ერთი ლამე დარჩა. არ ღირს მოყოლა.

— საქართველოში ბევრი მთებია?

— ბევრი, ძალიან ბევრი.

— ცხადია გეყვარებათ ალბინიზმი.

— კი, გვიყვარს.

— შენ არ ჰგავხარ ქართველს.

— ვითომდა რათაო?

— ულვაშები არა გაქვს.

— შავი ულვაშები არ ამომდის და მოვიპარეს.

— თმა რომ კუბრით შავი გაქვს?!

— არ ვიცი, ალბათ პაპიროსის ბრალია ულვაშების გახუნება.

— ალბინისტი და პაპიროსი?!

— რა მოხდა მერე. ჩვენთან ერთი ცნობილი ალბინისტია, პამირის შვიდათასიან მწვერვალებზე ეწეოდა ხოლმე პაპიროსს.

— მე კი მეგონა, მწვერვალებზე ისედაც ეკვრება სუნთქვა ადამიანს და უანგბადს ისუნთქავს.

— ჩვენ სიცხეში გვეკვრება სუნთქვა. შენ კი შესანიშნავად იტან სიცხეს.

— ეს რაო, ქათინაურია?

— არა. საქათინაურო იმდენი რამ გაქვს, აღარ ვიცი, საიდან დაეიწყო.

— გეყოფა ხუმრობა.

— მე არა ვხუმრობ.

— მაინც გეყოფა.

ოპ, სულ დამავიწყდა, რომ შენ ლიდია პავლოვნა ხარ, უკვე ლიდოჩკა შეგონე.

— ჯერ არა, — თქვა ლიდამ.

გივის უხაროდა, რომ მის გვერდით იყო ლიდა. გივის ისიც უხაროდა, რომ საერთო ნაცნობი გამოძებნეს. ძალიან, ძალიან მაღალი ინჟინერი, რომელაც გვარიანად თამაშობდა პინგ-პონგს. ძალიან, ძალიან მაღალი ინჟინერი ორი წლას წინათ გაიცნო გვიმ სვანეთში და რატომღაც დაამახსოვრდა, რომ ის ნებიტ-დაღელი იყო.

მერე ლიდამ უბის წიგნაკი ამოიღო, და ერთად ათვალიერებდნენ ლიდას ჩანახატებს.

— ბავშვობაში მეც ვხატავდი, ომის დროს, — თქვა გვიმ.

— მე არ მახსოვს ომი, — თქვა ლიდამ.

— მე მახსოვს. მაშინ სულ გენერლებს ვხატავდი, გენერლებს და ტანკებს.

— რატომ აღარ ხატავ?

— ახლა გოგოები მიყვარს, მაგრამ ვერ ვხატავ. მამაკაცის დახატვა შეად-ვილებს. ქალს საერთოდ ვერ ვხატავ.

წინ იყო მთელი ღამე. „როდესაც სიცხისაგან არაქათგამოლეული ვაგონი ძილს მიეცემა, ჩვენ ვილაპარაკებთ დილაღად, — ფიქრობდა გივი, — ვიქნებით აი ასე და ვილაპარაკებთ“.

გივის აღარ ესმოდა სიცილ-ხარხარი მეზობელი კუბიდან. აღარც იმ ორი თბილად ჩაცმული მოხუცის დაჟინებულ მზერას გრძნობდა. ირგვლივ ყველა-ფერი გაქრა.

გზას ბოლო არ უჩანდა და კმაყოფილები იყვნენ უსასრულო მოგზაურობით. მატარებლის ბორბლები აღარ დგრიანებდნენ „რა სიცხეა, რა სიცხეა“ — მათ თითქოს აუჩქარეს სვლა და უფრო ხალისიანი სიმღერა გაიზეპირეს: „ლიდა, ლიდა, ლიდა...“

ლიდა და გივი ტამბურში გავიდნენ, გივი საკოცნელად ელამუნებოდა ლი-დას, მაგრამ ლიდა გამოექცა. მატარებელი ნებიტ-დაღს უახლოვდებოდა.

„არა უშავს რა, წინ არის მთელი ღამე“. გაიფიქრა გვიმ.

უდაბნოს ცხელი ქარი დაიღალა, ჩამორჩა მატარებელს, მართლაც ქარივით გაუჩინარდა.

მატარებელი გაჩერდა ნებიტ-დაღში.

წყალი მართლაც კარგი იყო. მგზავრები ხარბად ეწაფებოდნენ წყალს.

სადგურის ბაქანზე აუარებელი ნესვი იყიდებოდა.

ვაგონის შესასვლელთან ლიდა იდგა. შეიდი-რვა წლის გოგონა მკლავში ჩაბლაუჭებოდა და ტიროდა.

— ლიდოჩკა... ლიდოჩკა... — ტიროდა მაღალი და გამყივანი ხმით.

მშობლები აშხაბაღში აცილებდნენ ლიდას.

კაცს ეცვა თეთრი პიჯაკი და შარვალი, საგულდაგულოდ დაუთოვებული. შოკლე, თეთრი წვერი ჰქონდა მოშვებული ნიკაპზე, წყნარად და აუღელვებლად იდგა ცოლთან ხელგაყრილი და რალაცნაირად გლუვი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

პატარა გოგონა ისევ ტიროდა. მთელ სადგურს ესმოდა მისი გამყივანი ხმა.

— ლიდოჩკა...

მშობლები არ ამშვიდებდნენ მას. ლიდა დაბნეულად უსვამდა თემბუჯე ხელს. ქალი რაღაცას ეუბნებოდა ლიდას. ლიდა თავს უქნევდა.

კაცი ჩუმად იყო. ხელში ეკავა თერმოსი.

„ნაღდად მათემატიკის მასწავლებელია, — გაიფიქრა გივიმ, — ასეთები არიან მათემატიკის მასწავლებლები, დინჯები და წყნარები, რომლებსაც კარგად გაუთოვებული შარვლები აცვიათ. ალბათ ბავშვებს ასწავლის მათემატიკას და უხარია, რომ მოწაფეები ვერ იყვანენ ამოცანას. ამაყობს, რომ ასეთი რთული საგანია მათემატიკა. მაგრამ უფრო მეტად უხარია, როცა მოწაფეები ერევიან ყოვლისშემძლე ფორმულებს. უხარია და ამაყობს მოწაფეებით“.

პატარა გოგონა ისევ ტიროდა. ალბათ მშობლებსაც უნდოდათ ტირილი, მაგრამ ცრემლებს იკავებდნენ. ხდებოდა ჩვეულებრივი რამ: შვალმა დაამთავრა სკოლა და ახლა სტოვებდა მათ. რაღაც იყო ამ ამბავში დასალონებელი, მაგრამ მშობლები იკავებდნენ ცრემლებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ასე ხდება და ასეც არის საჭირო. ლიდას დამ არ იცოდა და ტიროდა. ტიროდა გამყვიანი ხმით მხიარულ სადგურზე. სამივენი საცოდავად იდგნენ და მოსიყვარულე თვალებით შეჰყურებდნენ ლიდას.

მთელი სადგური მოძრაობდა მათს გარდა. იყო ერთი გნიასი და ფუსფუსი. ევაქრებოდნენ ნესვის გამყიდველებს, სვამდნენ წყალს, ეძებდნენ ნაცნობებს, ან მხოლოდ სეირნობდნენ.

მთელი სადგური მოძრაობდა.

მატარებელი აუღელვებლად გაწოლილიყო რელსებზე.

— ჰა, როგორ მიდის საქმე?! — ანზორმა მუჯღლუგუნი გაჰკრა გივის.

გივიმ პასუხი დააყოვნა.

— აბა, შენ იცი, — თქვა ანზორმა.

— წადი, შენი ყოფაც ავატირე, — იყვირა გივიმ.

ანზორი შეცბუნდა.

გივი ავიდა ვაგონში. მისი ამხანაგები ნესვს შეექცეოდნენ.

— ნესვი არ გინდა?

— არა, — თქვა გივიმ.

— რა დროს ნესვია, ვარსკვლავივით გოგო გამოიჭირა.

— ხო-ხო-ხო, რა გოგოა მერე!

— ბედი უნდა ყველაფერს.

იყო სიცილი და მხიარულება.

გივი წავიდა ვაგონის-ბოლოში. მონახა თავისუფალი თარო, სულ ზემოთ, სადაც ბარგს აწყობენ ხოლმე, და როცა ბარგი არ არის, უბილეთოები წვიბიან. ავიდა ზედა თაროზე და გაიშოტა.

„აქ ვერ მომნახვენ“, გაიფიქრა გივიმ და დაძინება გადაწყვიტა. იძინებს, სანამ აშხაბადს გასცდებიან. ლიდა ხვალ ჩავა აშხაბადში, დილის თორმეტ საათზე. გივისაც უნდოდა აშხაბადში ჩასვლა, მაგრამ ისინი პრაქტიკაზე იყვნენ წამოსულები და მიდიოდნენ ბუხარაში, მერე სამარყანდში, მერე პამირზე.



ფრიად უსიცოცხლო რამ არის რუკა. კარგი რომანის მოკლე შინაარსსა ჰგავს, სისხლდაცლილი და გახუნებული. თუნდაც ფერადი რუკა იყოს. დაბლობები მწვანედ შეღებილა, მერე ნელ-ნელა მალღდება და მწვანე ხორცისფერში გადადის. მერე მთებიც უფრო მატულობენ მეტრებს ზღვის დონიდან. სულ ზემოთ მუქი ყავისფერი ლაქებია, თითქოს შოკოლადის ნაფხვენი დაუყრიათ. ზღვაზეც ფერის მოჭარბებაა, თანდათანობით იძირება ფსკერი და ნაპირის ცისფერი სივრცე უხვ სილურჯეში თავდება. მყინვართა ნახევრადთეთრი, ნახევრადციფერი კრისტალები, რკინიგზის წითელი ზოლები სისხლძარღვებივით. მაინც ყველაფერი მოკლე შინაარსია.

მაგრამ როდესაც შენს საყვარელ მხარეში მოგზაურობ, ცდილობ დაიმასსოვრო, რასაც ხედავ, თითქოს უკანასკნელად განიცდი სიამოვნებას, მეტჯერ არასოდეს მოგიწევს აქ მოსვლა; ყველაფერს გულისყურით აკვირდები და უკვე ფიქრობ კიდევ ესტუმრო ერთხელ ნახულ მხარეს, ხოლო რუკა, უფერო და უპრეტენზიო, ჩვეულებრივი ორკილომეტრიანი რუკა, მეგობარივით გესაუბრება, სკეპტიკურ სიცილს არ დაგაყრის, თუ ბევრი ღირიკა შეგეპარა სათქმელში, და გისმენს, გისმენს, მოუბეზრებლად გისმენს.

„ახიელი“; — გეტყვის რუკა. სოფელი ოდნავ შესამჩნევი სიმაღლით სცილდება მდინარის ნაპირს. ზევიდან ძველისძველი კოშკი გადმოჰყურებს რიყესთან კითხვის ნიშანივით დასმულ ეკლესიას, რომელიც ობლად მიუტოვებიათ და მხიარული თეთრი ფერი აღარ უხდება მის მარტობას. თუმცა მარტობა არც ეთქმის. ხევსურებს ცხვარი დაუბინავებიათ ეკლესიაში, რადგან, მათივე სიტყვივით, ცხვარი ადამიანსაც უყვარს და ღმერთსაც.

ხევსურები დაქანებულ ფერდობებზე თიბავდნენ ბალახს. მზის სხივები ალაპლაპებულ ცელებს ეთამაშებოდნენ. ფერდობი საშინლად დაქანებული იყო და ფეხს ძლივს მოიკიდებდა კაცი. ხევსურები კი ბალახს თიბავდნენ. მე და როლანდი ფოტოსურათებს ვიღებდით. გვინდოდა, მივხმარებოდით ხევსურებს,

მაგრამ ტყავისძირიანი ფეხსაცმელები ნამეტნავად ცურავდნენ ბალახზე. გაბრიელი გვაშვიდებდა, ვერც ერთი ბარელი კაცი ვერ მოთიბავსო ბალახს ასეთს ალაგას. არხოტის გადასასვლელის გასწვრივ მოჩანდა ხერხივით დაკბილული კლდეები და გაბრიელი ამბობდა, რომ იმ ქიუხებში ჯიხვი იცის და როცა ქალი დაესიზმრება სანადიროდ ყოფნისას, უსათუოდ მოჰკლავს ნადირს.

„როშკის ხიდი“ — გეტყვის რუკა. ახლა როშკის ხიდზე მოუყევი. მოუყევი, როგორ მოაქენებდნენ ცხენებს ხევსური ქალები; ჩვენს დასანახად მთლად გაცხარდნენ, ხმაძალა შესჭყვივლეს ცხენებს, რომლებმაც თქაფათქუფით ჩაგვიქროლეს. „ეგე, ის ყმაწვილი ქალი ხევსურეთის ჩემპიონია“, თქვა ჩვენმა გამყოლმა, კახელმა მწყემსმა, და ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე თვალადი გვანიშნა ხელით. იოლად დაუფჯერეთ. მერე უკან მოაბრუნა ცხენოსნები გამყოლმა და აჩხაკუნდა ფოტოაპარატები. „სად მიხვალთ?“ ჰკითხა ჩემპიონმა ჩვენს გოგობს. „შატილში“, იყო პასუხი. ჩემპიონმა გაიცინა, მას თანამგზავრებიც აყენენ. ჩემპიონმა აგდებულად ისროლა: „თქვე-ეენი“. სიცილით დავიხოცენით, თბილისელი გოგოების შატილში მგზავრობა რომ გაიკვირვა ჩემპიონმა. არ ვიცი, ასე ძალიან რატომ გაიკვირვა. მითუმეტეს, ორი თბილისელი გოგო თავისი ვაჟკაცური იერით არ დაუვარდებოდა თავიდან ფეხებამდე დაუფარავ ირონიად ქცეულ ჩემპიონს.

„პო, კარგი, გეყოფა როშკის ხიდი; ახლა გუდანი თქვი“. გუდანის ხატში გოდროხებივით ეყარა სალუდე ქვაბები. ელექტროფანრის შუქი სჭრიდა სიბნელეს. გუდანში აუცილებლად ვეტყვიან, რომ აქ ერეკლე მეფე ყოფილა; გუდანის ჯვარს ეთათბირებოდა და მერე საომრად მიჰყავდა ხევსურები გუდანის ჯვრის თანხმობით. ამოდ ლამობ მცირეოდენი ინტერესი გამოჰხატო სახეზე, რომელიმე შორისდებულთი გამოამქლავნო შენი აღტაცება. ბარაქალა შენს ფანტაზიას, როცა მიხედები, რომ ერეკლეს ნაფეხურებს აბიჯებ. ისიც ასე იდგა გუდანის ხატთან და ღურბინდით ათვალეირებდა სუნთქვაშეკრულ ხეგებს.

მიჰყვები გზას ბარისახოდან შატილისკენ, მიჰყვები და ანგარიშშიუცემლად ელოდები რაღაც ახალს, რაც ავაფორიაქებს ჯერ არნახულით, და განცვიფრება სრული იქნება და ძლიერი. ნუთუ ხევსურეთში აღარაფერი დარჩენილა ხევსურული, გარდა ლუდის სმისა და ჯვრებით მოქარგული ტალავრებისა, რომლებსაც ხატობაზე იცვამენ ხევსურნი, ან როცა სურათებს უღებ. ატრიალებენ ზელში ხმლებს, მერე ჩვენც ვიცვამთ ტალავრებს და ხმალოდებულნი არაბუნებრივად ვმეშდებით.

აქამდე ნებასდაყოლილ საფერხე ცხენივით მოგდევდა განცვიფრება, ბოლომდე ვერ გიმონებდა. სანახევროდ შენჯღრეული ეჭმბდი უკეთესს სანახაობას, თვალი უკვე შეეჩვია ხევსურეთს...

მოულოდნელია შატილი თვით ხევსურეთისთვისაც.

თითქოს თეატრში ხარ. უცებ აიხდება ფარდა და სცენაზე კოხტად გამოწყობილ დეკორაციებს ხედავ. ბუნებრივ კლდეზე ხელოვნური კლდეები ამოყვანიათ, გეგმიანად და მშვენიერად გაშენებული. კიბეებივით ადის ქვიტკირის სახლები ზევით. შემკიდრობებულნი ერთმანეთს ეხახუნებიან და მკაცრად გადმოსცქერიან მშვიდობიან პეიზაჟს.

ციხე-სიმაგრედ ქცეული სოფელი თავისი ჩრდილით აბნელებს მდინარეს.



მდინარე ველარ უქვრეტს მზეს და თითქოს უფრო სწრაფად მიექანებოიან ტალღები, რომელთაც მრუმე ფერი მისცემიათ.

შატილი ადამიანის შეჯიბრებაა ბუნებასთან.

ასე მეგონა, ძველ ღვინოს ვშინჯავდი. წინასწარ წარმოიდგენ მომავალ ნეტარებას, არ გინდა მალე მოათავო, იცი, ჩაგითრევს და ველარ მოსწყდები, და რომ გაიხანგრძლივო განცდა, განზრახ წრუპავ ნება-ნება, აღფრთოვანების ყვირილით არ გინდა დაარღვიო იღუმალება.

გავყურებ შატილს მდინარის გაღმიდან. თვლით ვზომავ მისი ქვიტირების სვეტბივით ცაში ატყორცნას, სათოფურებს, დაშრეტილი თვალბივით რომ გარინდულან, და ხვალისთვის ვიტოვებ მისი ახლო ნახვის, ახლო გაცნობის მოუთმენელ სურვილს.

მეორე დღეს არეული ამინდია. მზე ღრუბლებში ბანაობს, რამდენიმე წუთით ჩაყვინთავს, მერე ისევ ამოჰყოფს თავს და სხვა ღრუბლისკენ მიიწევს.

კინოოპერატორები მონადირის ძალივით განაბულან და დაკვიპულნი ელოდებიან მზეს, რომელიც დამალობანას თამაშითაა გართული. დანარჩენებს არ გვაწუხებს უმზეობა.

ნასახლარებში კაცის სიმაღლე ჭინჭარი ამოსულა. ყველაფერს უბატრონობის ნიშანი ემჩნევა. ავდივართ მალა, თითქოს რომელიღაც დანგრეული სასახლის კბეებია. «გაქვავებული ქალაქი გეგონება, არა?» ამბობს ნანა. ნანა შუა აზიაშია ნამყოფი და უნებლიეთ ახსენდება სამარყანდის დანგრეული სასახლეები, რომელნიც სიგანეში არიან გაფანტული და მართლაც სტოვებენ გაწვავებული ქალაქის შთაბეჭდილებას. იქაც ბევრი ბალახია და უსაზღვრო სინათლე მოხატული ქვებისა. შატილი გაცილებით პატარაა, მაგრამ უფრო შეკრული და დაძაბული, როგორც კუნთებად ქცეული ამოსხარტული ვაჟკაცი დონდლო გოლიათის პირისპირ.

უხალისოდ დააბოტებ ჰერში გაკიდებულ ბანზე. ორი-სამი ნაბიჯი ბანის კიდემდე — აკრძალული ხილია, მაგრამ არ გეტკბილება. ოდნავ ჩაზნექილი ბანის კიდესთან მისული, უფსკრულს მცირე მანძილით დაშორებული გადაჰყურებ სივრცეს.

ირგვლივ მთებია. ყოველგვარი შერბილებებისა და მობოდიშების გარეშე ნათქვამ მკვანხე სიტყვას ჰგვანან ეს მთები. კარგია ზაფხულში მთები, კარგია, როცა ნისლიდან ამოძვრებიან მთელი თავისი სიგრძე-სივანით. „არ გენანებათ ამ მთებიდან წასვლა?“ ამღელ ჭოლიკაურს ვკითხე შარშან არხოტში. „ამ მთების ასე და ისე“, მადიანად შეიგინა მან და თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გადააფურთხა. გალიაში დამწყვდეულ ნადირს ვერ გაიმეტებ შესაგინებლად. მაგრამ თუ გალიიდან გამოსულიც გინახავს და ცუდად გასსოვს ეს შეხვედრა, მაშინ სხვა ამბავია. ჩვენთვის მართლაც ზოოპარკში დიზინავებული მხეცბივით არიან ეს მთები. მიხვალ და გიკვირს: ნუთუ ეს ის ლომია, რომელზეც ამდენი რამ ვაგიგონია. ეს რა ლომია! მიდი და რამდენაც გინდა უყურე. არაფერს არ დაგიშავებს. ასეა ეს მთებიც. ზაფხულის სვებულებას ზამთარში ინაზღაურებენ, გამოძვრებიან გალიიდან და მერე უფრთხილდი.

შატილის ლაბირინთებში იშვიათად შეგეჩხება ვინმე და გვეუცხოვება გაქვავებულ ქალაქს შეკედლებული ცოცხალი ადამიანები. გამოღმა, ნასკოლარის კედელზე, დიდი ასობით წერია: შატილიონი. სიტყვის ბოლოში დიდძვე ძახილის ნიშნით. მაგრამ შატილიონები აქ აღარ ცხოვრობენ. თითო-ორიოლა

კაცისა და რჩენილისა თითქოსდა მხოლოდ ჩვენთვის, რომ მთლად უდაბური არ გვეგონოს შატილი.

ინგრევა ღვთის ანაბარად მიგდებული შატილი. იშლება ქვიტკირები. ალბათ ვერც დრო დაანგრევდა ამ ციხე-სიმაგრედ ქცეულ სოფელს, ვერც ავღარი, მაგრამ ისევ აღამიანებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე წინაპართა ხელით შექმნილს, წავიდნენ ბარში, ახალ ცხოვრებას ეზიარებიან და ინგრევა შატილი.

თითქოს თეატრში ხარ. სპექტაკლის უკანასკნელ მოქმედებას მოუსწარი. იცი, რაც მოხდა ადრე, წაკითხული გაქვს და გაგონილი. საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ ერთხელ იდგმება ეს სპექტაკლი.

გონებით წარმოიდგენ წინა მოქმედებებს, გინდა გრძნობაც შეურო, განაცადო რაღაც ისეთი, რაც ხდებოდა ამ სცენაზე, ამ სცენის იქით, კულისებად ქცეულ ხეობებსა და ბილიკებზე. მაგრამ გრძნობა ჩამორჩა აზროვნებას. გულგრილი ხარ კომკების სათაფურებით დაცხრილულ კედლებთან. წარმოიდგენ გაგონილსა და წაკითხულს, უხალისო ნაბიჯით ზომავე უკაცურ ლაბირინთებს და ცხადი ხდება, რომ ცნობილი სპექტაკლის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი დარჩა და სტატისტიდაც არ მიგიწვევენ. ხარ მაყურებელი, რომელიც რომანტიკული განცდებით აღკურვლილი წავიდა თეატრში, მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებას მიუსწრო და სიბრაულუნარევი სკეპტიციზმით თვალს არ აშორებს სცენას. მის წინ მართო გაქვავებული ქალაქია, სადაც მოჩვენებათა დარად დაბობლავენ დიდ ნანგრევებში კანტიკუნტად შემორჩენილი აღამიანები. მის წინ სიჩუმეა და უდრტინველობა, თავმობეზრებით შეფერილი. მის წინ საუკუნეების იდუმალებაა, რომელსაც მხოლოდ გაიზიარებ და ვერ შეიგრძნობ. ყოველივე ამას შატილის დასასრული ჰქვია.

გინდა განიცადო ეს დასასრული. ხელმარცხნივ, ფერდობის ზევით, ვაკე ადგილზე ყანა ღაღანებს. ღია ფერის ტალღები თანმიმდევრობით გადადიან ერთიმეორეზე. გაგასენდება ზღვა, თავს ძალას ატან და ირგვლივ აზიდული მთები ზღვის ტალღები გგონია, უძრაობისას წამის ერთ მეთაფეში დანახული.

ხომალდივით არის შატილი, ძველებური, აფრებიანი ხომალდივით, მიტოვებული და დასალუბავად განწირული. ტალღები უპირებენ ჩაყლაპვას, ტალღები ეხეთქებიან მის გვერდებს და ბედს მინდობილი ცურავს შატილი. განიცდი დასასრულს, მაგრამ დასაწყისი მაინც განუცდელი დაგრჩა. და ხელს ჩაიქნევამოა ახლო კედელს თავი.

კინოოპერატორები ისევ ნატრობდნენ მზეს. სხეები მუცეუს აკლდამის სახავედ წავიდნენ. მუცეუს აკლდამაში კაცის ჩონჩხები ყოფილა.

მე ხვთისოს მივადექი სტუმრად.

ხვთისო შატილის დეკანოზი გახლავთ, ალბათ უკანასკნელი. ცოლს გაპყრია, ხოლო შვილები ბარში გაქცევია. ზის სამფეხა სკამზე და თითქმის დაბრმავებული თვალებით გაპყურებს მთებს თავისი სახლის ბანიდან...

— მოეწიოთ ქალაქური თუთუნი, — თქვა ხვთისომ.

ჯიბიდან წვიმაში დასველებული „პრიმა“ ამოვიღე. სიგარეტის ქალღიდი ყვითელი ლაქებითაა დაფარული. ხვთისო ჯერ თითებით სინჯავს სიგარეტს, მერე თვალებთან ახლოს მიაქვს და უკმაყოფილოდ იქნევს თავს.

— დასველებულა.

— ჰო, ვერ ვაუფრთხილდი.

— მზის გულზე ვაშრება. სათითაოდ ამოიღე.

გასაყიდი მწვანილივით ვშლი სიგარეტებს მიწაზე.

— შატილში დიდხანს იქნებით? — მეკითხება ხვთისო.

— კიდეც ორი დღე.

— მერე?

— მერე არდოტის გზას გავუდგებით.

— მთავრობის ხალხი ხართ?

— არა, ჩვენ თვითონ...

— ფულს არ გაძლევენ?

— არა, ჩვენი ფულით დავდივართ.

— ამბობენ, ახალი ფული იქნებაო მალე, მართალია?

— ჰო, ახალი წლიდან ახალი ფული იქნება.

ვცდილობ, საუბრის გეზი შევატრიალო.

— რამდენი წლისა ბრძანდებით, ძია ხვთისო?

წუთით ფიქრში მიდის ხვთისო და მერე მპასუხობს:

— შატილიონებს ჩხუბი რომ ჰქონდათ გუროელებთან, თერთმეტ-თორმეტი წლისა ვიქნებოდი.

— რა ჩხუბი იყო, ძია ხვთისო?

მზე ოდნავ გადაადგილდა. ხვთისომ სამფეხა სკამი გასწია გვერდზე.

— დიდი ჩხუბი იყო, ჩვენებურ ბაღლებს ცხვარი წამოესხათ გუროელებისა, ბევრი არა, რაღაც ათი-თორმეტი სული. გუროში გათხოვილი შატილელები ქალი გამოსდევნებიათ უკან, ჩემი ხათრით მაინც ნუ მიგყავთ, დატოვეთო. იმათ არ დაუშლიათ. გუროელებს ხატობა ჰქონიათ: ლუღს სვამდნენ თურმე. გაუგიათ ეს ამბავი და გაფიცებულან. ერთს უთქვამს, დღეს ცხვარი წაგვართვეს შატილიონებმა, ხვალ ცოლებს დავგზარბდებიათო. მთვრალეებს გული ერჩოდათ, იარალი აუსხამთ და წამოსულან შატილისაკენ...

ხვთისომ სიგარეტებს მოუფათურა ხელი, ერთი აარჩია, ისევ თითებით შეამოწმა სიგარეტის სიავკარგე.

— ცოტა გამწრალა, — თქვა მან.

ჩაიდო სიგარეტი პირში. ასანთს გაკვარი. სიგარეტი ჩემს თითებს ყნოსავდა. ძლივს მოვაციდებინე.

— ველარ ვხედავ რიგიანად.

— შატილმა რაღა იღონა, ძია ხვთისო?

— შატილიონებიც გამზადებულან საჩხუბრად. ჰოდა, ბევრი სისხლი დაღვრილა, ბევრი დახოცილა. მერე სტრაჟნიკები ამოვიდნენ, გვირტყეს და გვირტყეს მათრახი. ნიკოლოზის დროს ძან უყვარდათ მათრახით ზურგის აჭრელება სტრაჟნიკებს.

დინჯად, ყოველგვარი ინტონაციის გარეშე მომიტხრობს ხვთისო ძველ ამბებს. დროდადრო პაუზას აკეთებს, სიგარეტი პირისაკენ მიაქვს გაძვალტყავებული, ბებრული თითებით და მადიანად ქაჩავს.

ვსხედვართ ბანზე, ვაბოლებთ და ვსაუბრობთ.

— გარსიას იცნობდით, ოჩიაურს, ძია ღვთისო?

— ვიცნობდი. კარგი ვაჟაკი იყო გარსია. კარგადაც მოკვდა, ქეიფსა და თამაშში.

„ჰო, მხიარულად მოკვდა, — გავიფიქრე მე, — თუკი არსებობს მხიარული სიკვდილი“.

კვირა დღეს ხარჯები იყო ახიელში. მთელი დღე სვამდა გარსია ლუღს და არაყს, ცეკვავდა, მღეროდა, ლექსებს ამბობდა ექსპრომტად. მეორე დილით

სული დალია. მერე ვნახეთ ხევესურული დაკრძალვა. ქალები დაჩნენ სოფლის ბოლოს. მამაკაცებმა წასვენეს ცხედარი სასაფლაოზე. სამარე გათხრილი იყო უკვე, სიბი ქვები მოაგროვეს საბურავის გასაკეთებლად. „თქვენებურ ხის კუბოს სჯობია. ქვა დიდხანს შეინახავს მკვდარს“, მეუბნებოდა გაბრიელი. ბეწიკო, რომელიც ხევესურისთვის უჩვეულო სიშავით გამოირჩეოდა, მოშორებით წამოწოლილიყო მაგრად ნასვამი და ამბობდა: „საბურავი კარგი გაუკეთეთ გარსიას, გულადი კაცი იყო და არ ამოფრინდეს. ეპ, რკინასავით მაგარი იყო, რკინას გატეხავ, გარსია არ გატყდებოდა“. მაგრამ მაინც არ იგრძნობოდა სასაფლაოს განწყობილება. დატირება სოფელში დარჩა ქალებთან ერთად. მამაკაცები საქმიანად არჩევდნენ ერთი ზომის სიპებს. გამურული ბეწიკო ბოდიშს იხდოდა, ვერ გეხმარებითო. მიწას მიაბარეს მოხუცი კაცის ცხედარი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ადამიანი იყო, მოკვდა და აღარ იყო ადამიანი. სიბი ქვებით ამოაშენეს სამარე და ყოფილი ადამიანი ჩაასვენეს შიგ. „ეს საქმე ხომ მოვათავთ, ახლა სხვა საქმეებს მივხედოთ“, თქვა ხირჩლამ. სხვა საქმეები — ბარში გადმოსახლება იყო. სასაფლაოზე ხევესურები კარგად გრძნობდნენ ბუნების შარადიულ კანონს. სიცოცხლეს მოსდევს სიკვდილი. გარსია მოხუცდა და მოკვდა.

შატილიც მოხუცდა და მარტოა სიკვდილთან; შატილი და შატილივით დაჩაჩანაკებული ხეთისო.

— ათენგენობა როდის გექნებათ, ძია ხეთისო?

— ეპ, რალა ათენგენაა ახლა. ხალხი აღარა გყავს. ბევრი-ბევრი სამო საკლავი დაიკვლება.

— წინათ როგორი იყო?

— დიდი ხატობა ვიცოდით, ბევრი ლუდი იყო და ბევრი საკლავი.

— ბარში რათ არ მიდიხარ, ძია ხეთისო, შვილებთან?

— არ შეიძლება ჩემი წასვლა. დეკანოზი ვარ. ხატი ვის დავეუტოვო?!

ზის ბანზე და თვლემს. შვის სხივები ძილ-ბურანში ახვევენ ხეთისოს. ხეთისოც ნირვანაში არის წასული შატილივით.

შენ დასალუბად ვანწირული გემის კაპიტანი ხარ, ძია ხეთისო. მგზავრები გადაჰყავთ ნაპირზე, ბარშია ნაპირი და ახალი ცხოვრება. შენ ყველაზე ბოლოს უნდა დასტოვო გემბანი, ან საერთოდ არ დასტოვებ და გემთან ერთად დაიღუპები. ყველაფერს გირჩევენია შენი ვანწირული გემი. ახალი ცხოვრების დიდმა ზღვამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ხეთისოს გემს და შატილის უკანასკნელი დეკანოზი ალბათ ამბობს თავისთვის: მე უნდა მოგვედო შატილში, აღარ ვიცოცხლებ ბევრსაო.

გაღმიდან სათევზაოდ მუპატიყებიან. ნაჩქარევად გამოვეთხოვე ხეთისოს.

— მშვიდობით ვნახეთ, ძია ხეთისო.

— იცოცხლე.

ხელს მაგრად ვართმევ.

— წინდებს არ იყიდით? — მეკითხება შატილის უკანასკნელი დეკანოზი.

— ხვალ ამოვალთ და ვიყიდით, ძია ხეთისო, — უპირდები და თავქვე ვეშვები.

მთელი საღამო ვთევზაობდი. მეზიზღებოდა საქონლის ნეხეში ნაპოვნი ჭიკაყვლა, ფირფიტასავით თხელი სიბის ნატეხით ვაცლიდი თავს, მერე ფოთოლში ვახვევდი, რომ არ მეგრძნო თითებზე მისი სიღბილე და სისველე. ანკესის

კაუჭი გამოზომილად იჭრებოდა კიაცელას სხეულში, თითქოს ტანსაცმელს იცვამდა ანკესი.

ნელ-ნელა დავეყვი ნაპირს. ხან წყნარ ადგილს ვარჩევდი, ხანაც სწრაფ დინებას, სადაც წყლის ქაფი იყრიდა თავს. მდინარის ზედაპირზე არაფერი ჩანდა და ანკესი სიღრმეში მიიწევდა. მერე უეცრად მოედო ანკესს ჩემი პირველი კალმახი. ამოვწიე ანკესი. წითელწინწკლებიანი კალმახი უმწეოდ ფართხალებდა ჰაერში, ანკესიც აქეთ-იქით ქანაობდა ტელეგრაფის ბოძიდან ჩამოგლეჯილი ძვეთულივით. კალმახი უმწეოდ ფართხალებდა, დიდი და ლამაზი კალმახი. თურმე უმაღლე უნდა გაუჩეჩქვო თავი ქვაზე და აღარ იფართხალებს. ეს უბრალო წესი არ ვიცოდი და ჩემი პირველი კალმახი დიდხანს ფართხალებდა ჰაერში.

ღამით კოცონთან შევექცეოდით ერბოში შემწვარ კალმახებს. ჩემი ერთადერთი კალმახი, რომელიც ყველაზე დიდი იყო, არც გამისინჯავს. გოგოები ნიშნისმოგებით მარწმუნებდნენ, რომ მათ ერგოთ ჩემი დიდი კალმახი. არ მწყინდა, რომ ვერ გავსინჯე ჩემი პირველი კალმახის გემო. ვალიკოს კალმახებიც საკმაოდ გემრიელი გამოდგა. თენგიზი წუხდა, რომ არ გაუმართლა დღევანდელმა თევზაობამ და ბედი გამოუცდელი მეთევზეების მხარეზეა. ისიც მადიანად შეექცეოდა კალმახს, თუმცა ძლიერ უკმაყოფილო იყო, რომ თვითონ ვერც ერთი კალმახი ვერ დაიჭირა.

მერე დიდხანს უკრავდა პირის გარმონს გერმანელი ტურისტი, სახელად კლაუსი. მთვარის შუქზე შავად აჩონჩხილი შატილი ყურს უგდებდა გაუგებარსა და უცხო მუსიკას.



ჩვენს ბერძენს


დგახარ სარკმელთან, გასცქერი შორეთს,
გარეთ წვიმისგან სველია შარა...
გახსოვს, ასეთი დღე იყო სწორედ,
მან რომ სათქმელი ვერ დაგიფარა.

გახსოვს, ასეთი დღე იყო სწორედ,
მან რომ სათქმელი ვერ დაგიფარა,
ღრო მიდიოდა მტკვარივით მღორედ,
თქვენ კი გეგონათ, რომ თერგზე ჩქარა...

შენ სად ხარ ახლა,
ამ მზიანმა დღემ
სად შემოგვცინა ოქროს თვალებით,
იქნებ ვარდების ამაღა გახლავს,
მათ ხომ ვერსაით დაემალები...

იქნებ ღრუბლებმა
მოგტაცეს მზერა,
თეთრმა ღრუბლებმა, თოვლივით
თეთრმა,

სულ დაგავიწყდა წერილის წერა,
იმათთვის მაინც რაიმე ვეთქვა...





სოსო კოჩინოაძე

ანამ კოჩინოაძე

რომანი

ირაკლი გარინდებული იყო. ხათუნა მაგიდასთან იჯდა, ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული. იგი მალიმალ გამოხედავდა ირაკლის და მერე ფანქარს აჩქარებულად ამოძრავებდა ქალაღდზე. ირაკლიმ იცოდა, რომ ხათუნა ხატავდა მას, უნდოდა წამოწოლილიყო, მაგრამ არ ინძრეოდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. სიამოვნებდა, რომ ხათუნა ხატავდა და თან არ უნდოდა ასე გაუნძრევლად მჯდარიყო. არასდროს არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როცა ხატავდნენ, ან როცა აქებდნენ.

დაიღალა ასე ჯდომით და გადაწვა ლოგინზე.

— წამოდექი რა! დაჯექი ისე, როგორც იჯექი... — სთხოვა ხათუნამ. ირაკლიმ ყური არ ათხოვა.

— წამოდექი, ნუ ხარ ჯიუტი. პროფილში მინდა დაგხატო.

ირაკლი წამოდგა და ფიქრობდა იმაზე, რომ ხათუნას ყველაფერი ეხერხებოდა, სასიამოვნოდ მღეროდა, შესანიშნავად ხატავდა, ჩინებულად ცეკვავდა, ქარავდა, ჰრიდა, კერავდა... ხათუნასავით ლამაზად ვერავინ გაგინასკვავდა. პალსტუხს, ჰქონდა გარდასახვის უბადლო ნიჭი.

— შენ არც კი იცი, რა დამახასიათებელი პროფილი გაქვს.

ირაკლიმ გაიცინა.

— ხუმრობის გარეშე... განზრახული მაქვს ზეთით დაგხატო შენი პროფილი.

ირაკლის საოცრად სიამოვნებდა ყველაფერი, რასაც ხათუნა ამბობდა. ამ წამში იგი უზომოდ ნაამები იყო და ფიქრობდა, რა ეშველებოდა, როცა აღარ ეყოლებოდა ხათუნა. რადგან არავის დედამიწის ზურგზე ისე არ შეეძლო ეამებინა მისთვის, როგორც ხათუნას.

— აუცილებლად ზეთით უნდა დაგხატო... მინდა ვადმოვცე შენი სახის სიფერმკრთალე, თვალების სიმუქე და გამომეტყველება... სიტყვებით ვერც ავიხსნი, რას გამოხატავს შენი თვალები. ამიტომ მინდა დაგხატო... მაგრამ თუ შეეძელი შენი თვალების გამომეტყველების გადმოცემა. ცოტა ზემოთ ასწიე თავი, ასე, კარგია. მთავარია, შეეძლო შენი თვალების გამომეტყველების გადმოცემა...

ირაკლი ჩაფიქრდა. ხათუნამ მოათავა მისი პროფილის ხატვა ფანქრით, მაგრამ ირაკლი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. ერთი წერტილისთვის გაეშტერებინა

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 5.



მზერა.

— რაზე ფიქრობ, ირა?

ირაკლი შეკრთა, მაგრამ თვალი არ მოუშორებია წერტილისათვის.

— ჰა, რაზე ფიქრობ?

— გული მიგრძნობს, მალე დავცილდებით, — ხათუნასთვის არ შეუხედავს, ისე თქვა ირაკლიმ.

— ნუ ლაპარაკობ სისულელეს.

— მალე, სულ მალე დავცილდებით... გული მიგრძნობს.

— იცი რა... შენთან ყოფნა მართლა ძნელი ხდება. მეორედ აღარ თქვა.

— მალე, სულ მალე... მე ვგრძნობ. წინათგრძნობა მაქვს ასეთი, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ირაკლი.

— გეყოფა, — შეაწყვეტინა ხათუნამ გაჯავრებით.

მცირე ხანს ჩუმად ისხდნენ. ირაკლიმ ახედა ხათუნას, რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ არ უთხრა, თავი ჩაქინდრა.

— და დროზე ადრე ნუ დარდობ, — უთხრა ხათუნამ.

ირაკლიმ კვლავ დააპირა რალაცის თქმა.

— მოიცადე, სანამ მართლაც დავცილდებოდეთ, — ხათუნამ გაიციანა.

ჩამოხედა. არც ქუჩა იყო განათებული. ფანჯრების წინ დარგული ხეები უფრო აბნელებდა ოთახს. ისხდნენ და ხმას აღარ იღებდნენ. ირაკლი ფიქრობდა იმაზე, რომ მშვენიერი საღამოა და ასეთ მშვენიერ საღამოს ხათუნას სეირნობა ურჩევნია, მაგრამ არ სეირნობს, მასთან ზის ოთახში. გარეთ კი საუცხოო საღამოა, ყველანი სეირნობენ.

მერე ირაკლი ფიქრობდა იმაზე, რომ თბილისში სიცხეები დაიჭირა და მალე ყველანი აგარაკებზე გაიკირფებიან. ხათუნამ კი უთხრა, რომ იგი არსადაც არ აპირებს წასვლას და მასთან დარჩება, თბილისში აუტანელი სიცხეებიც რომ დაიწყოს... ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენ სიამოვნებას აკლებდა თვითონ ხათუნას, ხოლო ხათუნა რამდენ სიამოვნებას ანიჭებდა მას...

— ირა! — გაისმა სიბნელეში და სიჩუმეში ჩურჩული.

— ჰა? — ჩურჩულითვე უპასუხა ირაკლიმ.

— მხედავ?

— ვერა.

— ვერც მე გხედავ. — ხათუნა კვლავ ჩურჩულებდა.

ირაკლის უნდოდა ეთქვა ხათუნასთვის, რომ წასულიყო და გაეარა, უნდოდა აგრეთვე ეთქვა, ნუ იტანჯავო თავს, მაგრამ არც ერთს ეუბნებოდა, არც მეორეს.

— მოიწი, ახლოს დამიჯექ, თორემ სიბნელემ წავიღო, — უთხრა მან.

შემდეგ ირაკლი ფიქრობდა იმაზე, რომ სისულელეს ჩადის, არ იყო საჭირო კვლავ ასე დაახლოება ხათუნასთან. ისინი მაინც უნდა დასცილდნენ და რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება ორივესთვის. იგი ყოველდღე ფიქრობდა დაცილებაზე, ფიქრობდა ახლაც, რომ ხვალ, როგორც კი მოვიდოდა ხათუნა, ეტყოდა:

„ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, უნდა დავცილდეთ“.

ირაკლი საყვედურობდა თავის თავს სისუსტეს, ყოველდღე საყვედურობდა. მაგრამ მეორე დღეს ისე კარგად გრძნობდა თავს ხათუნასთან, ისე უნდოდა მასთან ყოფნა, რომ წუხანდელი ფიქრები სისულელედ ეჩვენებოდა და ფიქრობდა:

„რა მოხდა, რატომ მაინცდამაინც მე უნდა ვუთხრა, წადი-მეთქი, უნდა

დავცილდეთ-მეთქი?! ხათუნა მაინც წავა, როდისმე მაინც წავა... და წავა თავისით, ჩემს უთქმელად. ეს დღეც არ არის შორს. მაშ, რატომ ვუთხრა მე?”

წინა დღით, წინა ღამეს ირაკლი ყოველთვის სხვანაირად ფიქრობდა. მაგრამ საკმარისი იყო ხათუნას შეხვედროდა, რომ მთლიანად შეცვლოდა აზრები. მეორე დღეს ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა, სულ სხვანაირად, ვიდრე გუშინ, წუხელ.

ასე გადიოდა დღეები. ძლიერი უსიამოვნებანი და ტკივილები გაზავებული იყო ყოველდღიურობის წვრილმანებში. თურმე ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენები ითქვიფება ჩვეულებრივობის შოსაწყენ მსვლელობაში, ხოლო ცხოვრების ტრაგიზმს ყოველდღიურობის წვრილმანი საპირობებიანი და ჩვევები ანელევენ.

ქუჩის კუთხეში ორი გოგონა იდგა. ერთს სახე აღვზნებული ჰქონდა და საიდუმლო ხმით ეუბნებოდა მეორეს:

— ...მალალი, ფართო შუბლი აქვს და ფერმკრთალი, თხელი და ისეთი ვაჟკაცური სახე... თვალები მკაცრი და ძალიან ჰკვიანი... და კიდევ რაღაცნაირი... როგორ გითხრა...

— ძალიან ლამაზი?

— ლამაზი, ჰო, მაგრამ კიდევ რაღაცნაირი...

— რა ფერის თვალები აქვს?

— რა ფერის? ზუსტად ვერ გეტყვი, რადგან ყოველთვის შორიდან ვუყურებ. ისე კი მუქი თვალები აქვს და ისეთი ვაჟკაცური, მკაცრი ნაკვებები...

მზიამ ყურადღებით შეათვალიერა ამხანაგი თავიდან ფეხამდე.

— არ მჯერა, რომ მოგესალმება, — თქვა მან.

— რატომ? — ჰკითხა ნათიამ.

— არ ვიცი, მაგრამ რატომღაც არ მჯერა.

— ნახავ! მომესალმება და თან გამიღიმებს. როცა დამინახავს, ყოველთვის მიღიმის. ისე ლამაზად იღიმება... იცი, როცა იღიმება, მაშინ სულ აღარა ჩანს მკაცრი...

— არ მოგესალმება. აი ვნახოთ, თუ მოგესალმოს.

— ვნახოთ! — ნათიამ მზიას ხელი ჩაჰკიდა. — არ დაგავიწყდეს, როცა გამოიხედავს, ვითომ მივდივართ. არ შეამჩნევინო, რომ ველოდებით, გესმის, არ შეამჩნევინო! ვითომ ჩავიარეთ და ამ დროს გამოიხედა... თორემ სირცხვილია. არ დაგავიწყდეს!

— ვიცი, ვიცი... რამდენჯერ უნდა მითხრა!

— როგორც კი გამოიხედავს, ჩვენ იმ წამში დავიძრებით. ძალიან შესამჩნევად ნუ დააკვირდები, გესმის...

— მესმის, მესმის... — მზიამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

ნათიას იასამნისფერი თხელი კაბა და შალის ლამაზი ქაკეტი ეცვა. მისი ასაკისათვის შეუფერებელ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე იდგა. ნაწნავები დაეშალა და ღია წაბლისფერი თმები თავისუფლად დაეყარა მხრებზე. იგი პატარა, მინიატურული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეტიჩარა, კოხტა ცხვირი უფ-

რო ასკვინტილებოდა. ცვილისფერი ანცი თვალეზი საოცრად უბრწყინავდა, დაწევი შეწითლებოდა... და საერთოდ ძალიან აღგზნებული ჩანდა.

— მზია, იცი, როგორი ხმა აქვს?! — ოცნებაში წასულივით ლაპარაკობდა ნათია. — მგზავინავი, ფოლადისებური, მქლერი... როგორც გიორგი სააკაძეს... გინახავს „გიორგი სააკაძე“ კინოში?

— მინახავს, — თქვა მზიამ.

— ჰოდა, ზუსტად ისეთი ხმა აქვს, როგორც გიორგი სააკაძეს. იმ დღეს თამაზი რომ მაწვალებდა, ისე უყვირა, გეგონებოდა მეხი გავარდაო...

— თამაზმა მითხრა, ისეთი ხმით მიყვირა, შიშით კინალამ ენა ჩამივარდაო... ნათიამ გაიცინა.

— მზია, იცი, მგონი გმირი უნდა იყოს... აუცილებლად გმირი იქნება. მხოლოდ გმირებს აქვთ ასეთი თვალეზი და ხმა...

— ნათია, მგონი მოადგა ფანჯარას!

— არიქა, გამოიარე, გამოიარე! ვითომ მივდივართ... — ნათიამ ხელი ჩაავლო მზიას და გაიარეს.

მზია თვალს არ აცილებდა ფანჯარას.

— მოიცა, — თქვა მან, — მგონი არაეინ არა ჩანს ფანჯარაში.

— ჰო, არა ჩანს, — გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა ნათიამ. — მოვიცადოთ და გამოიხედავს, აუცილებლად გამოიხედავს. უკვე რამდენი ხანია აღარ გამოუხედავს.

— შეიძლება არც არის შინ.

— ამ დროს ყოველთვის შინ არის ზოლმე.

— შეიძლება შინაც იყოს, მაგრამ ფანჯარაში არ გამოიხედოს. სავალდებულოა, რომ გამოიხედოს?

— გამოიხედავს. დარწმუნებული ვარ, გამოიხედავს. თორემ აი ნახავ!

ნათიას აღგზნებისაგან სახე უპრიალეზდა. თვალეზი საოცრად უბრწყინავდა. იგი იმ ასაკში იყო, როცა ადამიანს ჯერ კიდევ არა აქვს შერჩეული ის ერთადერთი, რომლის ერთგულიც რჩება შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში... მისი გული ჯერ კიდევ სუფთა და თავისუფალი იყო დიდი გრძნობებისათვის. ბედნიერი დრო, ბედნიერი ასაკი!

— ნათია, გამოიხედა იმ არის? ფანჯარას მოადგა.

ნათიამ ხელი ხელში ჩასჭიდა მზიას და მოუჭირა. მათ ხელიხელჩაკიდებულეზმა გაიარეს ირაკლის ფანჯრის წინ. ნათიას ქალაღდის ფერი დასდებოდა, ირაკლის თვალს არ აცილებდა და გაფითრებული, მთრთოლვარე ტუჩებით ეჩურჩულებოდა მზიას:

— აი ახლა დამინახავს... აი ახლა და მომესალმება... ნახე, როგორ მომესალმება... აი ახლა!

მაგრამ გოგონეზი ისე ვაცდნენ სახლს, რომ ირაკლიმ ისინი ვერ დაინახა.

— უჰ! ერთხელ კიდევ ჩავიაროთ... ახლა აუცილებლად დამინახავს, — თქვა ნათიამ და მზია უკან წამოიყვანა.

ჩამოიარეს. როცა ფანჯარას გაუსწორდნენ, დაინახეს, რომ ირაკლი ზურგით იჯდა ქუჩისკენ. ნათია შეჩერდა. აღლევეზისაგან სახის კუნთები უკანკალებდა. ბაგეები სავსებით თეთრი გავლმოდდა.

— ვეღარ დავგინახავს. უყურებ, ზურგით დგას ჩვენსკენ.

— მოიცა, მოიცა... — ჩურჩულებდა ნათია გაფითრებული ტუჩებით.

— როდემდის ვიდგეთ ასე, ხომ ხედავ, ზურგით დგას ჩვენსკენ.

— ვაი! — შეჰყვირა ნათიამ.

— რა იყო? — შეკრთა მზია.

— ვაი, — ახლა უფრო ხმამაღლა იკივლა ნათიამ და, როცა დაინახა, რომ ირაკლი შეინძრა, ჩაცუცქდა და კოჭზე იტაცა ხელი.

ირაკლიმ შეკივლება გაიგონა და მოიბრუნდა. ნათია სასწრაფოდ გაიმართა, მიესალმა. მზია გაოცებული და ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდა ირაკლის. იგი ისე მოუბრუნებლად მიშტერებოდა და პირი ისე დაებჩინა, რომ ირაკლის გაეღიმა.

— ხედავ, მიღიმის... მიღიმის, ხედავ! — ჩურჩულებდა აღელვებული და გახარებული ნათია და მზიას ხელზე ხელს უჭერდა.

— დედა! — დაიძახა ირაკლიმ.

— რა იყო, ირა? — დედა იქვე იჯდა ოთახში.

— ერთი აქ მოდი. გაიხედე ფანჯარაში. ხედავ, აგერ რომ ორი გოგო მიდის?

— ვხედავ, — თქვა დედამ.

— შენი მოწაფეები არიან?

— ჩემი მოწაფეები? არა მგონია. — დედა დააკვირდა. — არ არიან ჩემი მოწაფეები. რატომ შეკითხები?

— ისე, ხშირად აივლ-ჩაივლიან ხოლმე აქეთ და მე შენი მოწაფეები მეგონა, — თქვა ირაკლიმ.

— შეხედე, როგორ მომესალმა! ხომ დაინახე, რომ გამიღიმა! — ნიშნისმოგებით ეუბნებოდა ნათია მზიას. ნათია აღტაცებული იყო. სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

— დავინახე, — თქვა მზიამ.

— ნახე, როგორი ვაჟაკია! არა ჰგავს გმირს?! ნამდვილი გმირია! დარწმუნებული ვარ, რომ გმირი იქნება...

გადაწყდა, ხათუნას ახალგაზრდა ქალის მთავარ როლში იღებდნენ.

ირაკლი ვერ გარკვეულიყო, უხაროდა თუ არა ეს. ერთი მხრივ ეამაყებოდა, მაგრამ მეორე მხრივ გული ეთანადრებოდა. ხათუნა კი აღტაცებული იყო. იმ ხანებში მხოლოდ თავის როლზე და ახალი ფილმის შექმნის თაობაზე ლაპარაკობდა. დაწვრილებით უამბობდა ირაკლის პარტნიორ მსახიობებზე, რეჟისორზე, ოპერატორზე, გადაღების წვრილმანებზე, სხვადასხვა შემთხვევაზე... თავი ვერ შეიკავა და უამბო ისიც, როგორ აქებდა რეჟისორი, ხოლო მსახიობმა, რომელიც ხათუნას თაყვანისმცემელს თამაშობდა, უთხრა:

— შენს გვერდით თამაში განუსაზღვრელ სიამოვნებას მანიჭებსო.

ეს მსახიობი კი ახალგაზრდა, ლამაზი კაცი იყო და საკმაოდ პოპულარულიც გახლდათ.

ფილმი ჯერ არ გამოშვებულა, მაგრამ კადრები, რომლებშიც ხათუნა მონაწილეობდა, რამდენჯერმე დაიბეჭდა ჟურნალებში, გაზეთებში. ხათუნა ცნობილი გახდა. ლაპარაკს მის შესახებ თითქმის ყველგან მოკრავდით ყურს იმ ხანებში.

სხვა მხრივ ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარებოდა. თუმცა ირაკლი უკვე მაშინ გრძნობდა, რომ რაღაც შეიცვალა, რაღაც მოხდა. ხათუნა კვლავაც თითქმის ყოველდღე დადიოდა მასთან, მაგრამ სულ უფრო და უფრო მცირე ხნით. მას ახლა ყოველთვის ეჩქარებოდა, ყოველთვის საღდაც აგვიანდებოდა...

ცხადია, ამის ახსნა არ იყო ძნელი: ხათუნას ახლა ინსტიტუტშიც უნდა ევლო, გადაღებზეც... ირაკლიც სწორედ ასე ხსნიდა და იიმედებდა თავს, მაგრამ ამგვარი დაიმედება როგორღაც არ შველოდა. ის, რასაც გული ლაპარაკობდა გონების საწინააღმდეგოდ, უფრო ძლიერი იყო და თანდათან დასტურდებოდა...

ირაკლის ეჩვენებოდა, რომ ხათუნა შინაგანად უყურადღებო გახდა. ეჩვენებოდა, რომ ხათუნას რაღაც მთელი ძალით ეწეოდა მისგან შორს. ირაკლი გულდამშვიდებით ვერ ფიქრობდა ახალგაზრდა, ლამაზ მსახიობ კაცზე. შეიძლება იგი არაფერ შუაში იყო, მაგრამ... მაგრამ მას ეგონა, რომ ხათუნა ვაიტაცა რაღაც სხვა ინტერესებში...

არ იცოდა. არ იცოდა და ამიტომ იჭვიანობდა ყველაფრისა და ყველას მიმართ. განსაკუთრებით კი იმ მთავარისა და ამასთანვე რაღაც ზოგადისადმი, რითაც, როგორც ეგონა, მისგან ფარულად ცხოვრობდა ხათუნა ბოლო დროს. ირაკლი დარწმუნებული იყო, რომ ეს დაფარული და ახალი ცხოვრება დაუძლეულად ექაჩებოდა ხათუნას მისგან შორს და შეიძლება რაღაც ისეთისაკენ, რაზე ვაფიქრებაც კი საშინელი იყო.

დაღდა ახალი ფილმის ჩვენების დღეც. პირველად იგი სპეციალისტთა და საზოგადოების ვიწრო წრეს აჩვენეს. ხათუნამ ირაკლიც წაიყვანა. ირაკლი დელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა. პირიქით, ცდილობდა ხათუნაც გაემხნეებინა.

დარბაზში განწყობა საზეიმო იყო. ჰაერი მოლოდინით გაქვნილიყო. ერთგან უკანასკნელ მოღაზე და ერთგვარი დაუღვევრობით ჩაცმული მამაკაცები და ქალები იდგნენ, მეორეგან ხნიერი, ჰალარა და სათვლიანი დინჯი მოხუცები. ცოტა მოშორებით კი რამდენიმე ჯგუფი იდგა. ლაპარაკობდნენ ხმამაღლა, მსჯელობდნენ, ერთმანეთს არწმუნებდნენ, ეკამათებოდნენ...

ირაკლი ახლა განმარტოებით იჯდა. ცალკეული სიტყვები ან ფრაზის ნაწყვეტები თუ აღწევდა დროდადრო მის სმენამდე საერთო ხმაურიდან. ხათუნამ იგი მიატოვა და აქ, ამ უცხო ხალხის შეკრებილობაში, თითქოს საგსებით ველარ ხედავდა, ველარ ამჩნევდა ირაკლის. უცბად იგი ძალიან შორეული და უცხო გახდა... და ირაკლი პირველად ახლა დარწმუნდა თავისი იჭვიების საფუძვლიანობაში.

ფილმს კინოსტუდიის სადემონსტრაციო დარბაზში აჩვენებდნენ. სინათლე ჩაქრა. ირაკლი გაურკვეველმა, აქამდე განუცდელმა მღელვარებამ მოიცვა. შესცქეროდა ეკრანს და გრძნობდა, როგორ უძაგდაგებდა სხეული. მის გარშემო და მის გვერდით ისხდნენ ადამიანები, რომლებიც ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ იგრძნობდნენ იმას, რასაც ირაკლი გრძნობდა, რადგან ეკრანზე ხათუნა იყო, რადგან ყველაფერს ირგვლივ ხათუნას ხმა ავსებდა, მისი ღიმილი გარდაქმნიდა...

ირაკლი შესცქეროდა ეკრანს და იყო წუთები, როცა თავდავიწყებით, გაგიჟებამდე უყვარდა ხათუნა, უნდოდა ეყვირა ან რაღაც არანორმალური ჩაედინა... და იყო წუთები, როცა მზად იყო დაედრჩო, საკუთარი ხელებით დაედრჩო ხათუნა, რადგან იგი ისევე ალერსიანად და სიყვარულით ეპყრობოდა ახალგაზრდას, ლამაზ ვაჟაკს, — რომელსაც ღირსეულად ეჭირათავი და ამიტომ საშინელი იქვს უღვიძებდა ირაკლის, — ისეთივე მიმზიდველი და განუთმეორებელი იყო მასთან ურთიერთობაში, ისევე გაილურსა, გაინაბა და დახუჭა თვალები, როცა იმ ახალგაზრდა კაცმა აკოცა, როგორც ხუჭავდა თვალებს და ინაბებოდა, როცა ირაკლი ჰკოცნიდა... და საერთოდ ყველაფერს ისე აკეთებდა და ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ირაკლისთან. ყველაფერს...

ირაკლის აწუხებდა ჯოჯოხეთური იჭვი და თავს გაქურდულად გრძნობდა,

გაქურდულად და შერცხვნილად იმ ადამიანივით, რომლის ინტიმური ცხოვრება და გრძნობები ქვეყნის დასანახად და საქაქოდ გამოიტანეს.

დროდადრო ირაკლი გონებით სწვდებოდა, რომ ასე ფიქრი სისულელეა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ეკრანზეა და მეტი არაფერი, რომ ხათუნამ ითამაშა ისე, როგორც იგი ბუნებით არის და სხვანაირად შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს არაფერს შველოდა...

აინთო სინათლე. ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. განძრევითაც კი არავინ განძრეულა. შემდეგ ტაშმა იქუხა. განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდნენ ხათუნას. მას ყველანი მხურვალედ და ერთსულოვნად უკრავდნენ ტაშს, ხელს ართმევდნენ, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ.

ხათუნას დაწვები შეფაკლოდა. აღღვებული და უზომოდ ბედნიერი ჩანდა. იგი განსაკუთრებით ღამაში და მომხიბვლელი იყო ამ წამში. ირაკლიმ საოცრად მწვავე სიახლოვე იგრძნო ხათუნასთან, — როგორსაც ყოველთვის გრძნობს კაცი ბრბოში მის მიმართ, ვინც უყვარს, — იგრძნო ენითუთქმელი სიამაყე, რადგან ბოლოსდაბოლოს ხათუნა მას ეკუთვნოდა, მისი იყო! და ამავე დროს იგრძნო, რომ იგი ძალიან უცხო და შორეული გამხდარიყო და უკვე აღარ ეკუთვნოდა ირაკლის, მისი აღარ იყო.

სტადიონი გამაყრუებლად გუგუნებდა. ანგარიში ფრე იყო, ორმოცი-ორმოცი. თამაშის დამთავრებამდე ნახევარი წუთიღა რჩებოდა. ბურთი თეატრალური ინსტიტუტის კალათბურთელებს ჰქონდათ. ისინი მოწინააღმდეგის ნახევარზე შეგროვილიყვნენ და მოკლე გადაცემებით თამაშობდნენ, რომ როგორმე ბურთი არ დაეკარგათ, დროც გაეყვანათ და უკანასკნელ წამებში ჩაეგდოთ გადაწყვეტი ბურთი. სტადიონი გამაყრუებლად გუგუნებდა.

დარჩა რამდენიმე წამი. მოთამაშეები უფრო სწრაფად და ნერვიულად იცვლიდნენ ადგილს და ამ დროს, ერთ-ერთი გადაცემისას, დათომ თვალშეუვლებელი ნახტომი გააკეთა, ბურთი ხელთ იგდო, უდიდესი სისწრაფით გადასჭრა მოედანი, გადავიდა თეატრალური ინსტიტუტის ნახევარზე, ცრუ მოძრაობით მოატყუა ერთი მოწინააღმდეგე, მეორეც და გამაყრუებელ გუგუნსა და ხმაურში, ფართან შეკრებილ შეიდ-რვა კალათბურთელს შორის მონახა ხერელი, კალმახივით მოიქნია ტანი, დაიკლანა და ბურთი კალათში ჩააგდო. იმავე წამს გაისმა მსაჯების სასტვენის ხმა, — რაც ნიშნავდა, რომ თამაში დამთავრდა, — მაგრამ იგი შთაინთქა მყურებელთა ყურისწამლებ შეძახილებში, გუგუნსა და ტაშისცემაში.

თამაში დამთავრდა. დამთავრდა სპორტსკოლის გუნდის სასარგებლოდ, რომელსაც გამარჯვება დათოს მიერ ბრწყინვალედ ჩაგდებულმა ბურთმა მოუტანა. ამ თამაშს ხათუნაც ესწრებოდა. იგი თავისი ინსტიტუტის გუნდს გულშემოტყვივობდა, მაგრამ დათოს წარმატებამ ძალიან გაახარა და აღტაცებული სხვებთან ერთად მხურვალედ უკრავდა ტაშს.

ხათუნა სტადიონის გამოსასვლელთან დაელოდა დათოს. მალე დათოც გამოჩნდა. იგი ამხანაგებით გარშემორტყმული მოდიოდა. ხელში სპორტული ჩემოდანი ეჭირა. როგორც ჩანს, შხაპი მიეღო და სველი თმები უფრო გამუქებოდა. გახურებული სახე ცეცხლივით უელავდა. როცა ხათუნა დაინახა, ამხანაგებს გამოეყო და მასთან მივიდა.

— მომილოცავს, ძალიან კარგად ითამაშე, — უთხრა ხათუნამ.



— გმადლობთ, — გაუღიმა დათომ.

— თუმცა მე ჩვენი ინსტიტუტის გუნდის მოგება მინდოდა...

— გასაგებია, — დათომ კვლავ გაუღიმა.

დათომ ჯიშვერი გააცნო ხათუნას.

— რამდენი ბურთიც ჩაგვიგდევ, იმდენი ანეკდოტი უნდა მიაგებო, — უთხრა ხათუნამ დათოს.

დათომ ხმამაღლა გაიცინა და ჩემოდანი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა. ხათუნას გააყრკოლა: უეცრად მოეჩვენა, რომ გვერდით ირაკლი მიჰყვებოდა, ისე ჰგავდა გაცინებისას დათო თავის ძმას.

ირაკლის ოთახში ხათუნა, დათო და ჯიშვერი ერთად შევიდნენ. ხათუნა გამხიარულებული ჩანდა, გულიანად იცინოდა.

— ძალიან კარგი ანეკდოტები მიაგებო დათომ, — უთხრა მან ირაკლის.

ირაკლიმ ძმას გადახედა. იგი ხათუნას გვერდით იდგა და მასზე ბევრად მაღალი მოჩანდა. გაუყვირა. დათო კვლავ პატარა ბიჭად მიჩნდა. „როგორ გამაღლებულა, — გაიფიქრა, — ხათუნაზე მაღალი თუ იყო, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი...“

— ისე ცოტა მაწყენინა კიდევ დღეს დათომ, — თქვა ხათუნამ.

— რა მოხდა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჩვენი ინსტიტუტის გუნდი სპორტსკოლის ნაკრებს შეხვდა კალათბურთში. დათომ უკანასკნელ წამს ჩაგვიგდო ბურთი და ორი ქულით წაგვაგებინა თამაში.

— სამაგიეროდ იმდენი ანეკდოტი მათქმევინე, რამდენი ბურთიც ჩაგვიგდეთ. მეტი რა გინდა? — გაიცინა დათომ. მას შავი შარვალი და თეთრი ხალათი ეცვა. თეთრი ფერი ძალიან უხდებოდა. ნიკაპსა და ლოყებზე ღინღლი შავად მოსდებოდა, მაგრამ ჯერ არ იპარსავდა.

მაგიდაზე კარტი იდო. ხათუნამ აიღო და აჭრა.

— ვის ეთამაშებოდით? — ჰკითხა მან ირაკლის.

— არავის, ისე იდო.

— გინდათ, ფოკუსს გაჩვენებთ, — თქვა დათომ. მან აიღო ატლასის სრიალა კარტი და შეუბერა. — არავითარი ჯადო, არავითარი გრძნეულება, მხოლოდ მოზრბევა და ხელის სისწრაფე...

დათომ რამდენიმე ფოკუსი გააკეთა. ვერც ერთი ვერ მიუხვდა ეშმაკობას. მხოლოდ ჯიშვერი იღიმებოდა ორჭოფულად, ვითომდა, მე კი ვხვდები, მაგრამ ხომ არ გავცემო.

ჯიშვერი დათოს უახლოესი მეგობარი იყო. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ. დათოზე დაბალი ჩანდა, მაგრამ უფრო ჩასკენილი და ჯმუხი. ვარდამავალ ასაკში იყო და სახე წერილ მუწუკებსა და ფერიშკამლებს დაეფარა.

დათო ზომრობდა. მას ჯიშვერიც აჰყვავდა, ხათუნა იცინოდა. ირაკლიმ შეამჩნია, რომ ორივენი, დათოცა და ჯიშვერიც, ძალიან თამამად ლაპარაკობდნენ. ოხუნჯობდნენ, მხიარულობდნენ. ამავე დროს ისინი მოსაწონად მოკრძალებულები და თავაზიანები იყვნენ. დათოს სხარტი მიმოხვრა ჰქონდა. მის ყოველ მოძრაობაში შნო და ლაზათი ჩანდა. ლაპარაკისას მოსაუბრეს თვალეში უყურებდა და ძალდაუტანებლად, ლაღად იცინოდა. ირაკლიმ ყურადღება მიჰქცია, რომ მისი მსჯელობა, საუბარი სავსებით მოზრდილის მსჯელობასა და საუბარს ჰგავდა.

„დათო უკვე დიდი გამხდარა, — გაიფიქრა ირაკლიმ, — უკვე სავსებით მოზრდილია. მე კი ისევ პატარა მეგონა. ისევე როგორც უფროსებს მე ვეგონე

პატარა მის ასაკში, სინამდვილეში კი დიდი ვიყავი და ბევრიც ვიცოდი“.

- საქართველოს ყველა კუთხე მაქვს მოვლილი. მე მიყვარს მოგზაურობა. — ამბობდა ჯიმშერი. იგი მთამსვლელობა და ტურისტთა სექციის წევრი იყო.
- მოგზაურობა ჩემი ოცნებაა, მაგრამ სამწუხაროდ ცოტას ვმოგზაურობ, — თქვა ხათუნამ, — საქართველოს ყველა ქალაქშიც კი არა ვარ ნამყოფი. არ ვყოფილვარ, მაგალითად, ფოთში, ჭიათურაში.
- ფოთი ჩემი დედუღეთია, — თქვა ჯიმშერმა.
- კარგი ქალაქია? დიდი ქალაქია?
- არც ისე დიდი, რომ გათენება მამლის ყვივლიმა არ შეგატყობინოს, — გაიცინა ჯიმშერმა.

ირაკლიმ რატომღაც მოიწყინა. დასაწყისში იგი რამდენჯერმე ჩაერია საუბარში. მაგრამ მერე მხარი ვერ აუბა დანარჩენებს და გაჩუმდა. ხვას აღარ იღებდა. იჯდა და უსმენდა.

— ვილნიუსის მახლობლად შესანიშნავი ტაძარია აშენებული, — ამბობდა დათო. — იგი უცხოელ ხუროთმოძღვარს აუგია. მეფეს იმდენად მოსწონებია ტაძარი, რომ ხუროთმოძღვრისთვის თვალეები დაუთხრია, სხვა ქვეყანაშიც არ ააშენოს ასეთი დიდებული ტაძარი. შემდეგ თურმე თავის ხარჯზე ინახავდა თვალედათხრილს.

- ბედი არა ჰქონია საწყალ ხუროთმოძღვარს, — თქვა ხათუნამ.
- ბედი რა შუაშია, მეფე ყოფილა ვერაგი.
- ბედი რომ ჰქონოდა, რაღა ვერაგ მეფეს გადაეყრებოდა?!
- მე არა მწამს ბედი, ღმერთი, — თქვა დათომ.
- ღმერთი არც მე მწამს, მაგრამ ბედი მწამს, — თქვა ჯიმშერმა.
- ირა, შენ გწამს ბედი? — ჰკითხა ხათუნამ.

ირაკლი გამოერკვა, თავი გაართვა ფიჭრებს. იგი უკვე აღარ უსმენდა და არ იცოდა, რას შეეხებოდა საუბარი. მის პასუხს ელოდნენ, მაგრამ ირაკლი არ პასუხობდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. იგი თანდათან უხერხული ხდებოდა.

— მე არც ბედი მწამს, არც ღმერთი, — თქვა დათომ, — მწამს სიმართლე და სიკეთე. მწამს, რომ თუ სიკეთე ჩაივლინე, ცუდი რამ აღარ დამემართება. იმიტომ კი არა, რომ ამ ამბავს რაღაც ზებუნებრივი ძალა განაგებს. არა. ეს ჩემი საკუთარი რწმენაა, ჩემი გულისა და გონების რწმენა... სიკეთე მაქვს გაკეთებული, რატომ უნდა დამემართოს ცუდი? ხოლო თუ ვინმეს ცუდად მოვექეცი, ვუმუხთლე, მაშინ მეც მეშინია. ეშინია ჩემს გონებას, გულს და როგორღაც მართლა წავაწყდები სიმუხთლეს...

ირაკლი ხედებოდა, რომ დუმილი უხერხული იყო, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ჩარეულიყო საუბარში. მალე შეამჩნია, რომ მის დუმილს აღარც აქცევდნენ ყურადღებას, აღარაფერს ეკითხებოდნენ. თითქოს კიდევ მიავიწყდათ, რომ იგი მათ გვერდით იჯდა. ეს ერთგვარად ესიამოვნა კიდევ. სრულებით არ სწყენია. პირიქით, შვება იგრძნო.

სიამოვნებით გაეცლებოდა ამ კამპანიას... გაეცლებოდა ხათუნას, რომელიც დიდი ხანია აღარ უნახავს ასე გულწრფელად გამხიარულებული და გართული; გაეცლებოდა თავის ძმას — დათოს, რომელსაც ეამაყებოდა უფროს ქალიშვილთან საუბარი და სიხარულისა და აღზნებისაგან დაწყებული წამოჭარხლებოდა; და გაეცლებოდა ჯიმშერს, რომელიც უდიდესი რიდიით და მოკრძალებით, აღტაცებითა და შესამჩნევი გაცეხებით შეჰყურებდა ხათუნას, რომლის შესახებ სმე-

ნია თავისი უფროსი ძმისა და მისი ტოლებისაგან, რომლის სილამაზის შესახებ ასე ბევრს ლაპარაკობდნენ.

მაგრამ ირაკლიმ იცოდა, რომ შეუმჩნეველად ვერ გაეცლებოდა, ამიტომ იჯდა გაუნძრევლად და ხან ყურს მიუგდებდა მათ საუბარს, ხან თავისი ფიქრები მოეძალებოდა და გაიტაცებდა.

— ...მომენტში ყველაზე კარგად ჩანს ადამიანი, მისი ხასიათი.

— არ არის მართალი. ერთი მომენტი ვერ აგისხნის კაცის ხასიათს ისევე, როგორც წაქცევა ვერ აგისხნის წაქცეულის ხასიათს.

ირაკლი ფიქრობდა, თუ რაოდენად განსხვავდებოდა იგი დათოსა და ჯიმშერისაგან. მათი ხნის რომ იყო, შეიძლება არაფრითაც არ განსხვავდებოდა, მაგრამ ახლა განსხვავება დიდი იყო. ძალიან დიდი. განსხვავება უამრავ რამეში იგრძნობოდა.

დათო და ჯიმშერი თავის თავში დაჯერებული, სიცოცხლით სავსე, მზიარული, ცოდნას დაწაფებული და თავაზიანები იყვნენ. ისინი ხალისით და რწმენით ეკიდებოდნენ ცხოვრებას. სჯეროდათ ცხოვრების... ბედნიერებისავენ ღია გულით და იქვემიუკარებელი იმედით მიისწრაფოდნენ...

ირაკლის ზოგჯერ არ ესმოდა დათოსა და მისი ამხანაგების. არ იცოდა, როგორ ესაუბრა, როგორ დაეპირა მათთან თავი. ხათუნა მხოლოდ ორი წლით იყო მასზე უმცროსი, მანაც ცოტა ტანჯვა როდი გამოიარა, მაგრამ ირაკლი ამჩნევდა რომ იგი გაცილებით ახლო იდგა დათოს თაობასთან და გაცილებით მეტი გაეგებოდა მათი, ვიდრე თვითონ.

ამის შემჩნევა არ იყო ძნელი. ეს ერთი შეხედვითაც იგრძნობოდა. ირაკლის აწუხებდა ეგ ამბავი. განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ ხათუნა დათოსა და მის ამხანაგებთან უფრო თავისუფალი, მზიარული და მრავალმხრივი ხდებოდა, ვიდრე მასთან იყო.

— ... მე ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ წვრილმანებს.

— ცხადია, წვრილმანებში უფრო ჩანს ადამიანი.

— მეც ასე ვფიქრობ. მთავარზე მეტად წვრილმანებში ჩანს ადამიანი. მთავარზე ყოველთვის ბევრს ფიქრობენ და ხანდახან თავისი ხასიათის საწინააღმდეგოდაც იქცევიან. წვრილმანებს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ამიტომ აქ უფრო მოჩანს ადამიანის ხასიათი.

ირაკლი უყურებდა ხათუნას და ფიქრობდა, რომ მალე ვეღარ ნახავდა მის სახეს, ვეღარ მოისმენდა მის ხმას...

ირაკლი თვალს ვერ აცილებდა ხათუნას. ხედავდა, რომ ხათუნა სულ სხვა გახდა. ასეთი ახსოვს ირაკლის იგი ძველად... ყომრალი ფიქრები დაეხვია.

„მე როცა გახარებული ვარ, ვფიქრობ, რომ მალე მოვიწყენ. როცა ტკივილები წამით მიმიყურძება, ვფიქრობ, რომ ისინი ახალი ძალით შემომიტევენ. როცა ერთი წამით მაინც ბედნიერი ვარ, ვფიქრობ, რომ იგი უმალ გამომეცლება ხელიდან და კვლავ უბედური ვიქნები. მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა, ლამაზ და ჯანსაღ ყმაწვილებს ვხედავ, ჩემი თავი მახსენდება და ვფიქრობ, რომ მათაც ჩემი დღე მოელით...“

მე აღარ შემიძლია ოცნება. მე ყველაფერს შეუფერებლად, შეუღამაზებლად ვხედავ. ახლა, როცა ხათუნა ჩემთვის ყველაფერს წარმოადგენს, როცა უიმისოდ წარმოუდგენელი მაქვს ცხოვრება, როცა ხვალამდე მხოლოდ იმიტომ ვცხოვრობ, რომ ვიცი, ხვალ ხათუნა მოვა, ხვალ ხათუნას ვნახავ, მე არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ ისეთი დღეც გათენდება, როცა ხათუნა აღარ მოვა...

„ვიცი... მე არ შემიძლია ჩემი ცხოვრება ხათუნას დაეუკავშირო... მე ეს ვიცი... მე ამას არ ვიზამ. დადგება დღე, როცა თუ ხათუნამ თვითონ არა თქვა უარი ჩემზე, მე ვიტყვი უარს, რადგან ვერ ავიტან, რომ ხათუნაც გაუბედურდეს... ჩემისთანა კაცის ცოლობა უბედურებაა“...

ირაკლი გრძნობდა, რომ ხათუნასთან ყოფნით, საუბრით სიცოცხლე უბრუნდებოდა. ხათუნა თვით იყო მისი სიცოცხლე, სიცოცხლეზე მეტი... ამიტომაც აყოვნებდა განშორებას. ამიტომაც ვერ ეთქვა უარი ასე ერთბაშად.

მოზღვავებული დარდი თანდათან გაუნელდა. მერე თითქმის გაუარა. მაგრამ ირაკლიმ იცოდა, რომ ეს უარესი იყო. როცა სტკიოდა, როცა დარდობდა, გრძნობდა, რომ ცოცხალი იყო, გრძნობდა, რომ რაღაცას ებრძოდა. ახლა დარდმა გაუარა და საოცარი გულგრილობა დაეუფლა. არაფერზე არ უნდა დაიწყებოდა ნერვები. სანამ ცოცხალია — იცოცხლებს. სულერთია... და მერე...

მერე... ყველაფერი სულერთია.

ნათიამ თმები შეისწორა. მერე ტანსაცმელზე დაიხედა.

— მზია, დამიჭირე რა ჩანთა.

— რატომ? — ჰკითხა მზიამ.

— არ მინდა მოსწავლის ჩანთით დამინახოს.

— სისულელეა.

— გთხოვ. ახლა შენ დაიჭირე და აქედან რომ წავალთ, შენს ჩანთასაც მე წამოვიღებ.

მზიამ ჩუმად ჩაიცივნა და გამოართვა ჩანთა.

— დედა რას გეუბნება, ასე რომ იცვამ?

— როგორ ასე?

— ვითომ არ იცი... რა ვითხრა დღეს ნუცა მასწავლებელმა?

— აბა მოწაფის ფორმით ვიარო?

— იარე. მერე რა მოხდა!

— შენ არაფერი გესმის, მზია. სხვა დღეებში ხომ ვიცვამ მოწაფის ფორმას, მაგრამ როცა ბეშქენთან მივდივარ...

— ბეშქენი! — მზიამ დამკინავად ჩაიფრუტუნა. — სად გამოძებნე ეგ სახელი?

— სწორედ ბეშქენი ერქმევა, ან ემხვარი... უფრო ბეშქენი...

— ემხვარი გვარია.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

— რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც ბეშქენი ერქმევა?

— იმიტომ, რომ გმირებს ასეთი სახელები ჰქვიათ. — უფრო მეტის მცოდნესავით აუხსნა ნათიამ. — აბა ლეტუშა ხომ არ ერქმევა, ან კუსა?!

— კუსა არა, მაგრამ მე მგონი გოდერძი ერქმევა.

— არაფერიც. ბეშქენი ჰქვია. ბეშქენი, ბეშქენი!

ამ დროს მოსახვევში ხათუნა და დეიდა თამარი გამოჩნდნენ. ისინი ხელკავით მოღვრიდნენ და საუბრობდნენ.

— მზია, ხედავ, ის ქალიშვილი...

ნათიამ ნერვიულად გააქნია თავი, თვალს არ აცილებდა ხათუნას და დეიდა თამარს.

— ის მოხუცი ქალი ალბათ დედაა ბეშქენის, — თქვა მან, — ხედავ, როგორ ჰგავს?

- ქალიშვილი ძალიან ლამაზია, — თქვა მზიამ.
- ლამაზი? — ნათია მტრულად შეჰყურებდა ხათუნას. — კარგად აცვია... ძალიან კარგად არის ჩაცმული და იმიტომ ჩანს ლამაზი...
- ცოლი ხომ არ არის?
- ცოლი? ცოლი არა. ცოლი არა! არ შეიძლება რადგან ფანჯარასთან ყოველთვის ისე კარგად გამოწყობილს ვხედავ, როგორც შინ არ ეწყობიან.
- რა იცი, შეიძლება ცოლია, მაგრამ შინ კარგად ჩაცმული დადის...
- არა, არა-მეთქი! როცა ბეშქენთან შევა, ყოველთვის ველოდები და სულ ცოტა ხანში გამოდის ხოლმე გარეთ... თანაც ყოველთვის იმ ტანსაცმელით, რომლითაც შევიდა. მისი სახლი რომ იყოს, ერთხელ მაინც არ გამოიცვლიდა ტანსაცმელს?!
- ძალიან ლამაზი კი არის. შეხედე, რა კარგი ფეხები აქვს.
- კარგი ფეხები... კარგი ფეხები ბევრს აქვს... — თქვა ნათიამ.
- და ძალიან ლამაზად დადის...
- ნათია უსიამოვნოდ შეიმშუშნა. იგი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ხათუნას.
- ნათია, დააკვირდი, რაღაც ძალიან ნაცნობი სახე აქვს, არა? — ჰკითხა მზიამ. — თითქოს კიდევ სხვაგან მინახავს... დაიცა... კინოში! არ გაგახსენდა, კინოში თამაშობს!
- ნათია თვალს არ აცილებდა ხათუნას.
- კინოში რომ თამაშობს, ის ქალიშვილია. აქამდე როგორ ვერ მივხვდი! — იძახდა თავისი აღმოჩენით აღტყინებული მზია.
- კინოში რომ თამაშობს, ის ქალიშვილი მზეთუნახავია...
- ჰოდა, სწორედ ეგ არის!
- მოყვები ზღაპარს... შეიძლება ჩინეთის დედოფალიც გახადო! ეს არც კინოში თამაშობს, არც ლამაზია და არც ბეშქენის ცოლია...
- გოდერძის...
- დიდი-დიდი ბეშქენის ნაცნობი იყოს, ან შორეული ნათესავი... დეიდა თამარი და ხათუნა რკინის ღია ჭიშკრიდან შევიდნენ ეზოში.

ირაკლიმ იმ წელს ინვალიდებისათვის საგანგებოდ გამოშვებული მოტოციკლი შეიძინა, გვერდები გაუყეთა, ფანჯრები ჩასვა, ტენტი გადააფარა და მსუბუქ ავტომობილს დაამსგავსა. გახელებულივით დაატარებდა თბილისის ქუჩებში. ყველა ქუჩა, ყველა ადგილი მოინახულა...

ძველი ადგილები, ქუჩები, სახლები... თვითეულ მათგანთან ათასი მოგონება აკავშირებდა. თურმე რამდენი აკლდა მათ უნახავად! ძველი ადგილები! მათ შემოენახათ უამრავი მოგონება. ისინი უზომოდ ბევრს ნიშნავდნენ ირაკლისათვის, უფრო მეტს, ვიდრე თვალებს შეეძლოთ დაენახათ. ისინი აგონებდნენ წარსულს, ბედნიერ ბავშვობას, ჭაბუკობას...

დაატარებდა თავის ერთ ციკქნა მანქანას რუსთაველზეც, პლეხანოვზეც. სოლოლაკი ნახა, სვანეთის უბანი, დიდუბე, ისანი... ახლა ირაკლიც სხვებივით დადიოდა. ახლა ფეხებში აღარ შესცქეროდა გამვლელებს. თუმცა მისი მანქანა ერთი ციკქნა იყო, ინვალიდებისაც იყო და ნაკლები სისწრაფით მოძრაობდა, ვიდრე სხვების, მაგრამ ისიც იმ გზით დადიოდა, რა გზითაც დადიოდნენ სხვების მანქანები.

ირაკლი ფიქრობდა, რომ გაუჩნდა ახალი ხავსი, რომელსაც ჩაებლაუჭებოდა, თუ წყალი დაუპირებდა წაღებას. როცა შინ გული არ უღებოდა, როცა უყმური ფიქრები დაეხვეოდა თავს, მაშინ მანქანა მხსნელად ველინებოდა. გაიჭრებოდა ქუჩებში და დადიოდა უსაზნოდ. საოცრად ამშვიდებდა ღია ცა, ავტომობილების ორომტრიალი, ქუჩებში გამოფენილი ხალხის ქოთქოთი, ხმაური...

ქვეყანა ცხოვრობდა, თბილისი არსებობდა. ხალხი განაგრძობდა თავისი გზით სიარულს, ზოგი ღრმად დამარხული წუხილით, ზოგიც პირზე ღიმილით.

ხალხი არსებობდა. ისინი ცხოვრობდნენ... და ამის შეგნება ამშვიდებდა ირაკლის, აღვიძებდა მასში სურვილს ცხოვრებისას, ინტერესს ხვალინდელი დღისადმი, ცნობისმოყვარეობას სხვების სიცოცხლისადმი...

ერთხელ, საღამოს პირს, ხათუნა ჩაუჯდა მანქანაში, გავისეირნოთო. ირაკლის ძალიან ესიამოვნა. ხათუნას გულისპირთან ღრმად ამოჭრილი მოყვითალო კაბა ეცვა. ყელზე გამჭვირვალე, ჰაეროვანი ხილაბანდი მოეხვია პიონერული ყელსახვევივით. მანქანა გარბოდა, და ხილაბანდის წვეროკინები იშლებოდა, უკან, ყურებისაკენ მიფრინავდა.

ირაკლი უზომოდ ბედნიერი და ნასიამოვნები იყო. მის გვერდით იჯდა ხათუნა! ისინი ერთად იყვნენ და ქალაქში სასეირნოდ გამოვიდნენ! რამდენი ხანია ეს აღარ მომხდარა. რამდენი ხანია ქალაქში აღარ გამოსულან ერთად! ბედნიერებას გრძნობდა და უჩვეულო სიამაყეს. მის გვერდით ხათუნა იჯდა, მისი ერთადერთი, მისი სიცოცხლე და ცხოვრება, მისი ყველა.

მანქანა რუსთაველის პროსპექტზე მიდიოდა, ოპერის მოპირდაპირე მხარეს. ბინდებოდა. ნიავეა ამოუბერა და საღამოს სიგრილე მოიყოლია. იღუმალად შრიალებდა ჭადრები, იღუმალად გადადიოდა ერთმანეთში ხეების სიმწვანე, გაზონების ყვავილების ნარინჯისფერი, ყვითელი, თეთრი...

და იღუმალი იყო თვითონ საღამო...

ხათუნა და ირაკლი კვლავ ერთად იყვნენ. ისინი ერთად იყვნენ დიდი ხნის შემდეგ, მთელი თბილისის თვალწინ, რუსთაველის გამზირზე, ზაფხულის იღუმალ და ბედნიერ საღამოს.

და ჭადრებზე შებუღრული ჩიტების ჭიკჭიკი, მოსეირნეთა ნაბიჯების შარი-შური, ერთიმეორის მოყოლებით ჩარიგებული მანქანების მწკრივები, ხეთა სიმწვანე, აქა-იქ გამომერთალი ვარსკვლავების სხივოსნობა, ირაკლის მანქანა, თვითონ, მის გვერდით მჯდარი ხათუნა, სიცილი, ხმაური და ყველაფერი შეადგენდა ზაფხულის ამ საღამოს, იღუმალ და ბედნიერ საღამოს.

ირაკლიმ ხათუნას გადახედა. რა ხანია აღარ უგრძვნია ასე დიდი ბედნიერება! უნდოდა თვალმოუცილებლად ეცქირა ხათუნასთვის, რომლის გამჭვირვალე ხილაბანდის წვეროკინები გაშლილიყო და გაფრენილ თეთრ მერცხლებს ჰგავდა.

ხათუნას თავი ჩაეჭინდრა და დროდადრო შეფარავით, ქვეშიდან თუ გახედავდა მოსეირნეებით გავსებულ ფილაქანს. თავი ჩაეჭინდრა და შუბლი შეეჭმუნა, უხერხულად იჯდა, თითქოს სკამის კიდზე... და დაბნეული და დარცხვენილი ჩანდა...

მერე ირაკლიმ შენიშნა, რომ ფილაქანზე სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი შეჩერდნენ და ხათუნას მიესალმნენ. ხათუნამ თითქოს ვერ შეამჩნია ისინი, მეორე მხარეს გაიხედა. მანქანა ფილაქანის გასწვრივ, ფილაქანთან სულ ახლოს მიდიოდა. მოსეირნეები ხედავდნენ ხათუნას, ნაცნობები ჩერდებოდნენ... ირაკლი ხვდებოდა, რომ ისინი ნაცნობები იყვნენ, რადგან ხანგრძლივად აკვირდებოდნენ

ხათუნას და სალმის მისაცემად ემზადებოდნენ, მაგრამ ხათუნა თითქოს ვერ ამჩნევდა მათ.

ირაკლი ხედავდა, ხათუნა არაფრით არ იყო ისე გართული, რომ ამხანაგები ვერ შეემჩნია... და ამ სალამოს იღუმალებას და ბედნიერებას უცბად ცივი წყალი გადაევილო...

ხათუნას რცხვენოდა!

ინვალიდის მანქანაში თუ ინვალიდთან ჯდომა ეთაკილებოდა...

ნეტავ ჩაირღვეს დედამიწა, პირი დაალოს უფსკრულმა... ან ქვესკნელში, თვალუწვდენ სიღრმესა და სიბნელეში, აქაფებული, დუქმორეული ნიაღვარი კლდის წვეტიან ლოდებს მოაგორებდეს...

მთელი სისწრაფით მიუშვებდა ირაკლი თავის მანქანას და ჩაიკარგებოდა ქვესკნელის სიღრმეში, დუქმორეული ნიაღვრის ჩანჩქერში და თან ჩაიტანდა ხათუნას, რომ აღარასდროს აღარ დაბრუნდნენ ამ ქვეყანაზე ერთმანეთის ტკიროთად, ერთმანეთის ტანჯვად და ქენჯნად...

— ირა, თავბოუ მენგევა, დავირუსდეთ შინ...

მიუშვებს მანქანას და შესკდება ლითონის ბოძს...

— ირა, რას შვრები, კინალამ მანქანას შეაჯექი!..

შესკდება ლითონის ბოძს და აღარასდროს გაიგონებს ამ ტკილ ხმას, აღარასდროს აღარ იგრძნობს მისი ხელის ჩაჭიდებას მკლავში...

— ირა, ფრთხილად, რა მოგივიდა?!


ვისღა მოუვიდა, თუ ირაკლის არ მოუვიდა, ვისღა დაემართა, თუ ირაკლის არ დაემართა! ეოთხელ კიდევ შეხედავს ამ სახეს, სამუდამოდ დაიმახსოვრებს მისი ხელის მკლავში ჩაჭიდებას და შერე... შერე ჯანდაბას ყველაფერი...

— ირა, გააჩერე, შენი ჭირიმე, ირა!

ხათუნას შეკვივლებამ ირაკლი გონს მოიყვანა. სელას უკლო. ხათუნა წინ გადახრილიყო, თვალები დაეხარა და ბაგეები უთრთოდა, როგორც სატირლად გამზადებულ ბავშვს...

ირაკლის მოეჩვენა, რომ ხათუნა ახლა ტირილს დაიწყებდა. თავი უმაღ-მიიბრუნა და მანქანას სიჩქარე მოუმატა. შიშით ელოდა, თუ როდის გაიგონებდა ტირილის ხმას.

(გაგრძელება იქნება)





ლეოპარდი

ნაწილი პირველი

I

ისინი ოცდაათნი იყვნენ, ოცდაათი რაზმელი, რომელთაც ალიონზე დაარბიეს ლომანის ფერმა. შინაურთაგან ყველა გაყლიტეს, სანოვაგე, შაშხანები და ვაზნები წამოიძღვანეს და კვლავ შაშხანარში გაუჩინარდნენ. და მათი უკუშეცდვისას არავის აუტეხია ყვირილი — აგერ, იქით გარბიანო! რადგან დრო ჰქონდათ მარჯვედ შერჩეული და არ ფხიზლობდნენ მუდამეამს ფრთხილი და გაფაციცებული ახალმოსახლენი. მაგრამ ეს იყო — სამიოდე შაშხანაც ძლიეს მოიგდეს ხელში.

ეს სამი შაშხანა ყველა უიარაღოს ვერასგზით გასწვდებოდა. ამიტომ ნებუ, რომელიც გენერალ კოკოს ბანაკს ოთხიოდე თარეშის წინახანს შემოერთებოდა, ამჯერადაც უშაშხანოდ დარჩა. იგი ფეხდაფეხ მისდევდა ფერმის უკან აშლილი ტყისკენ გაქცეულ ამხანაგებს და ჰკვირობდა — როგორ ჯიუტად არ მწყალობსო ბედი. ხეებს რომ შეერივნენ, რაზმელებმა სირბილს უკლეს, დინჯად გაალაჯეს. იმ დროისათვის, როცა ნაირობიდან წამოსული დილის



პატრული მათი თავდასხმის კვალს წააწყდებოდა, ოცამდე მილი უნდა გაეცლოთ.

შეგახსენებთ, რომ შიშველი, შავი ფეხისგულეები შეუმცდარად არჩევენ ბილიკის იმ ადგილებს, რომლებიც ნაგვალაგზე ქვასავით გამაგრებულა; მიმავალთ იდაყვები გულდასმით აქვთ მიკრული ფერდებზე, რათა ერთი ფოთოლიც არსად ჩამოაგდონ, თვალმახვილი მღევრისათვის რაიმეს მიმნიშნებელი ფოთოლი. სანდო გზას მიჰყვებოდნენ ისინი. მდინარეში შესტოპეს და ადგაფუნებული წყალი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც რაზმი შუაგულს გასცდა. აქ მკერდზე სცემდათ წყალი. შაშხანები თავზევით ეჭირათ, ასე დაუყვენ და მთელი მილი ჩაიარეს, რათა თავგზა აებნიათ პოლიციელთა მეძებრებისათვის, რომლებსაც მალე გამოუყენებდნენ მათს კვალს ფერმიდან. დაბალი მანგოს შორს. გაწვდილ ტოტებს ამოჰყვენ წყლიდან და ტოტიდან ტოტზე ხტომით გაუყვენ ხეებს. ხოლო როდესაც ხეებიდან ჩამოხტენ, მდინარეს უკვე ნახევარი მილით იყვნენ დაშორებულნი.

მაღლა ხეებზე რამდენიმე მაიმუნს გამოეღვია. თვალმოკრიაფენი და კბილებმოვლვარენი უმალ ალაპარაკდნენ დაბლა მიმავალი უცნაური ქარავნის შესახებ. ქარავანმა ჩაიარა. საუბარი შეწყდა. ყოველივე დასრულდა. მხოლოდ რალაც შემთხვევის წყალობით მოსწვდა ტყეს ლომანის დარბეული ფერმიდან სიკვდილის მონაბერი.

II

ნებუს კი განუშორებლად ასდევნებოდა თავისი სადარდელი — რატომ არ მწყალობსო ზედი? მაგრამ ვერაფრით აესხნა ეს ამბავი. ფერმაზე თავდასხმისას მან კარვად შეასრულა თავისი საქმე — შუბი უგმირა და დაამოშმინა ჯიუტი შავი მსახური. შემდეგ იმათ იფარავდა, ვინც კოკოს ბრძანებით რაც ეკუთვნოდა, ის დამართა ახალმოსახლეს, მის ცოლსა და ავ ზედამხედველს. მაგრამ როდესაც სახლი მოჩხრიკეს, სამად-სამი შაშხანა და ვაზნები იოკუნეს მხოლოდ.

ო, ისურვე რამე, რაც აქვია, ერთი მილის სიშორეზე, და სასურველ საგნამდე ათი მილის გავლა მაინც მოგიწევს. ადამიანს სიყმაწვილეში შეუძლია თავით ფეხებამდე სურვილებით დაიტვირთოს; სურვილებით დაუშვინდება სხეული, მაგრამ ახლომით არც ერთი არ აუხდება, ვიდრე ჟამი არ მოვა. და მაინც ცხადზე უცხადესია, რომ ადამიანის შვილს აუცილებლად ეჭირებება შაშხანა ლოყებდაქლავა ჯარისკაცებთან საბრძოლველად.

მათ ყოველგვარი იარაღი აქვთ; შენთვის უჩინარ ჯარისკაცს ადვილად შეუძლია გაგაფუჭოს ამ იარაღით. პირისპირ შებმისას უკვე დანის ხმარებაც შეიძლება. ამ საქმის შემძლე ზოგიერთი კიკუიუ ჰყვება ხოლმე, რა კარგები ხდებიან თეთრკანიანები ყელის გამომღადღერელი პანგას დანახვისას. მაგრამ მათთან პირისპირ მიჭრა მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად თუ შეიძლება.

კოკოს ნიშანზე რაზემლები უჩუმრად გაეკრენ მიწას. მათ წინაშე ბიბინებდა სპილოს ბალახით დაფარული მიწდორი. მშვენიერი ადგილი იყო ჩასასაფრებლად. ბალახის ყოველი ღერო მოჩხრიკეს მათ მზერით, სმენითა და ყნოსვით და მხოლოდ მაშინ წამოიშალენ, როდესაც დარწმუნდნენ — გზა ხსნილიაო. ისიც მანამდე, კოკოს ნიშანზე, ნებუმ თავისი მშვილდით ორი სწრაფი ისარი გაგზავნა ბალახებში. რამდენიმე წინტალა წამოფრთხილდა, მაგრამ იმ ჟამად წინტალების ალო იდგა და რაზემელთაგან წარბიც არავის შეუხრია. მაინც ფრთხილობდნენ წამოდგომისას, რადგან საგანგებო მდგომარეობის დროს ინგლისელები ნამდვილ ბუმბენებად იქცენ და აფრიკელებს ხშირად აფრიკულივე ხერხიანობით უსწორდებოდნენ.

სისხლით და ხორციით ნებუ საესებით ჯანსაღი იყო, მაგრამ უშაშხანობა გულს უშვინებდა და მტკივანი კბილივით აწუხებდა. რამდენჯერაც აპყარეს ბანაკი და სამხრეთისაკენ, კიკუიუს მშობლიური მხარისაკენ გაემართენ, იმდენჯერ ეჩვენებოდა — ახლა კი წყალობის თვალით გადმოხედავსო ყოვლად-ძლიერი. მის მხარს, მის თითებს სწყუროდათ ხე და რკინა შაშხანისა, რომელიც მხარს მიეგზინებოდა და ძალოვანს გახდიდა მაჯას. მაგრამ ვერ იქნა და ვერსად მოიხელთა ეს იარაღი.

შუადღისას მდინარის პირას შეისვენეს და შეეძვენენ შემწვარ, ტბილ კარტოფილს, რომლის ბოლქვები მოზრდილი ბურთისოდენა იქნებოდა. ზედ აყოლებდნენ ანკარა წყალს, წკრიალითა და რაკრაკით ჩამავალს პირში. თან ოხუნჯობდნენ ზედამხედველზე, რომელიც ფერმის აკლებისს ჭიშკარს მიაკრეს და მის თვალწინ სახლის პატრონს დამართეს, რაც ეკუთვნოდა, რათა ზე-

დამხედველსაც გაეგო მოსალოდნელი. ბელადმა კოკომ, თავს რომ გენერალ კოკოს უწოდებდა, თქვა: როდესაც წამოსვლისას ჰიშკართან შევ-
ყოვნდით, ზედამხედველი ძალიან კარგი შესახედავი იყო.

შემდეგ ისინი მუქლურჯი აჩრდილებივით კვლავ გაექანენ ლიანით მო-
სირმულ მძლავრ კედრებსა და ტანწერწერტა პალმებს შორის. ვეება ბრინჯა-
ოსფერ კაპარს მოუარეს და ქვიან თავქვეს დაუყვენ. და იქ, სადაც ქვაგნარს
ისევ ტყე ენაცვლებოდა, მიწით ამოვსებულ ღრანტეებთან, კვალი შენიშნა
ნებუმ.

ნალდარტყმული ფეხსაცმლის კვალი იყო — ამგვარ ფეხსაცმელს ახალ-
მოსახლენი ატარებენ. მწკრივის ბოლოს მიმავალი ნებუ ჩაიხუტკდა. რაზმმა
თავისი გზა განაგრძო.

განსაკუთრებით მკვეთრად ქუსლი აღბეჭდილიყო, დუიმის მთელ მეოთ-
ხედზე მიწაში წასული ქუსლი. ნებუმ თითი მიწისკენ წაიღო, მაგრამ კვალის-
თვის არ მიუკარებია — პაერში მოხაზა ის კვალი თითმა. საოცარია — ნებუ
ამდერდა, თუმცა მის ბაგეს ერთი ბგერაც არ დასცდენია. თავი სწრაფად
ასწია და თვალი გააყოლა მყარ ნიადაგს: მას მიჰყვებოდა თეთრი ადამიანი.
მხოლოდ ერთხელ გადაუცდა ფეხი, ერთადერთი შეცდომა მოუვიდა. იმ ადგი-
ლას, სადაც თეთრკანიანი ბარდებში შესულა, ნებუმ არაბუნებრივად მოხრილ
ტოტს ჰკიდა თვალი, გადაბრუნებული კენჭის სველი ძირიც შენიშნა, მცირე-
ოდენი მიწაც, აბრეშუმის მუხის ფესვებთან ფეხსაცმიდან დაცვენილი.

იქნებ მონადირეა ამ კვალის პატრონი, ან გზააბნეული ახალმოსახლე.
მძიმეა მისი ტვირთი — ქუსლი ღრმად წასულა მიწაში; ბევრი საფასური მი-
აქვს თან, მაგრამ საფასურთაგან უმშვენიერესია შაშხანა.

ეს ყოველივე მოხდა ყოვლადძლიერის ნებით, რომელმაც შეისმინა ნებუს
ვეღრება.

იგი აიშართა და მიმოიხედა; ბორა ირაოს აკეთებდა ცაში, ტყის განაპირას
არწივი მიფრინავდა. მზის სხივები შუბებივით ეცემოდა მიწაზე და ნიავს
მოჰქონდა სურნელი მიწისა, რომელიც ქვანახშირს ალმასად აქცევს. ნებუმ
შემოიჭირა ქამარი. ზედ პანგა ეკიდა. ვეება მშვილდი მარჯვენდ ჰქონდა მოგ-
დებული ზურგზე. შვიდფუტიანი შუბი ისე მიჰკროდა, როგორც მოყვარული
ცოლი მიეკვრება ცივ ღამეში კაცს. ნებუმ შეიბნია თავისი ძველი მეზღვაუ-
რული კურტაკი. თეთრი ადამიანის კვალი თავისკენ უხმობდა და ამ კვალს აე-
დევნა კიკუიუ.

III

კენიას მთიდან (რომლიდანაც წარმოდგება სახელწოდება მთელი ქვეყნისა)
ნგონგის მთამდე და იმას იქითაც გადაშლილა კიკუიუს მიწა. ეს არის მაღალი
მთებისა და სავანების, წყლისა და გარეული ფრინველების მხარე, მხარე
ულრანი ტყეების და მდინარეთა ველებისა, რომლებიც იმდენად ვრცელია,
ქვეყნის ყოველგვარ მანკსა და უბედურებას დაიტევდა.

მომბასასთან კონტინენტზე შემოჭრილი ქარი მშრალია და ცხელი; ქარი
ცოტათი ვრილდება ზეგნებზე, სადაც ზოგზოგეირთის აზრით ისეთივე ამინ-
დები იცის, როგორც ზაფხულობით კენტის საგრაფოში.

ჯუნგლებში კამეჩები, ლომები, მარტორქები და ლეოპარდები დაძრწიან,
სავანებში ანტილოპების, ზებრებისა და ქირაფების დიდ-დიდი ჯოგებია.

მარტასა თუ აპრილში დგება ალო წვიმებისა, რომლებიც შიშისამომგვრელ

ნაყოფიერებას ანიჭებენ ნიადაგს. გადაიხსნება ძველთაძველი იარები და მათგან ახალი ყლორტები აღმოცენდება.

მდიდარია კიკუიუს ქვეყანა, მდიდარია მიწის ნაყოფიერებითაც და მასზე არანაკლებ მძულვარებითაც, რადგან ყველა მის მკვიდრს მისითვე უღვას სული. ეს არის ქვეყანა მტრობისა, რადგან გადამთიელ თეთრკანიანს მისი დამონება სურს, შავ კიკუიუს კი — თავისთვის დანარჩუნება.

მაგრამ თეთრკანიანთაგან ამ ქვეყნისა არავის არაფერი გაეგება და არც ძალუქს მისი დამორჩილება. ამას ვერც შავკანიანთა უმრავლესობა დაიქადის. იგივე ითქმის კეთილშობილ ლომთა, კამეჩთა და მარტორქათა გამო. მხოლოდ ლეოპარდმა გაუგო მას; ამიტომაც, რომ ძლიერთ გაურბის და დაჭირლებსა და დაძაბუნებულებს ესხმის თავს.

*

კვალი ორი-სამი დღისა იქნებოდა. ნებუს შეეძლო სწრაფად მიჰყოლოდა მას და თან შიში არაფრისა ჰქონოდა. მაგრამ სისწრაფე უნდა შეეხამებინა თავისი ჯანისთვის — როცა ფეხდაფეხ დევნის დრო დადგებოდა, ყოველ წუთს იქნებოდა მოსალოდნელი მსხვერპლთან გადამწყვეტი შეხება. ეს ყოველივე ნათლად იყო აღნუსხული მის ტვინში. ეს იყო კანონი.

ხუთ-ექვს საათში ტყეს ბინდი მოიცავს და კვალი დაეკარგება. ამიტომ ამ ექვს საათს მარდად უნდა ირბინოს, ღამით რივიანად გამოიძინოს წაქცეული ხის ფულუროში საიმედოდ მოკალათებულმა, ხვალ კი ისევ მთელ დღეს სირბილი მოუწყვეს. ზეგ უკვე სიფრთხილე იქნება საჭირო. ეს ყოველივე მან ისევე ზუსტად იცოდა, როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე მატარებლის გასვლის დრო განრიგის ნახვის შემდეგ.

ნებუ ძალიან მალე მიხვდა, რომ მისი სამსხვერპლო მონადირე არ უნდა ყოფილიყო, რადგან ლანჩების კვალს კი არ სტოვებდა მხოლოდ, ფორხილობდა კიდევ. ჯუნგლები არაა ფორხილით მავალი თეთრკანიანის სამყოფელი. მას ის ველიც კი პირდაპირ გადაუჭრია, რომელსაც, ეტყობა, ხშირად ეწყვევა ხოლმე ძუ ლომი თავისი სამი ბოკვერითურთ. ახლადფეხადგმული ბაღლი რა არის, ისიც იცნობდა სუნით ამგვარ ადვილს და შორს მოუვლიდა. იქნებ ახალ-მოსახლეა მის წინ მიმავალი? მაგრამ ახალმოსახლეებს ნაირობის ქუჩებში უფრო უყვართ სეირნობა, ხოლო თუ მაინცდამაინც ბარდებსა და ტყეში ფორხილობენ, ეს ღამღამობით ხდება ხოლმე, როდესაც მათ მასაის პირმშვენიერი და სასურველად ბერწი ქალებიც თან ახლავენ.

ნებუ კარგად იცნობდა ყავის პლანტაციათა მფლობელ ფერმერებს. ერთ-ხელ მსახურად იდგა ერთ ქვის სახლში, კენიას მთის ფერდობზე რომ იყო აგებული, იქ სადაც მის მამა-პაპას ოდესღაც საქონელი უძოვებია. ნებუ ჩქარობდა, კაპარჭი თეძოზე სცემდა, მისი თვალები კი გამალებით ეძებდნენ ლანჩის ყოველ ანაბეჭდს, ტყავის შარვლისაგან ხის ქერქზე შერჩენილ ყოველ კვალს. იგი ივონებდა.

როდესაც ყვავილმა მის ტომს მუსრი გაავლო, ნებუ — ჩვიდმეტი წლის მღვივანი ჰაბუკი — ჯუნგლებს გაეცალა, გზატკეცილზე გამოვიდა და მაშინვე მალევის სატვირთო მანქანაზე მოხვდა. ბვანა გიბსონის ფერმის თეთრკანიანი ზედამხედველი იყო მალენი, იგი მუშახელს ეძებდა — ყოველ მუშაზე ხუთ შილინგს ღებულობდა ჯილდოდ.

— ახალგაზრდებს უფრო მიეტანე, ადვილად გამოიწვრთნებიან, — ეუბნებოდა გიბსონი. — მოწიფული კიკუიუ ხეირს არ მოგვეცემს. გადასაკრავ ფულს

იმოენის თუ არა, ყველაფერს თავს ანებებს ხოლმე. შენ თუ იცი, როგორ ვძულვართ მაგვთ? ზოგიერთი მოხუცი ყელს სიამოვნებით გამოგვლადრავდა. შენ თუ იცი, რომ მაგათი აზრით ჩვენ დამპყრობლები ვართ?

დამპყრობლები! ცოფმორეულ ბენა გიბსონს სული შეეხუთა. მას მოაგონდა ოფლი და შიშინილი, შიგნეულის დამწეწი ტკივილები, როცა წვიმები დაიგვიანებდა ან როცა ღამისაობით ისე აცივდებოდა, რომ ყავის მარცვლებს დააზრობდა ხოლმე. მას მოაგონდა სიზმარი, ყოველ ღამით რომ ნახულობდა: ვითომ ის ქალი იყო, ხოლო ნაირობის ბანკი — მამაკაცი, და ვითომ ამ ბანკს, რომელზეც ასე ძალიან იყო დამოკიდებული გიბსონი, მისი გაუპატიურება ეწადა.

ნებუ საირიგაციო არხებს თხრიდა და გუთანს მისდევდა, ვიდრე ერთხელ ბენა გიბსონი სამშობლოში არ გაემგზავრა და თან ცოლი არ ჩამოიყვანა. დამთავრდა მარტოხელა კაცის გზაბნეული ცხოვრება. და ტანადი ნებუ ველმინდვრებს მოაშორეს, სახლში გადაიყვანეს იატაკის საპრიანლებლად თუ ავეჯის მისადგმელ-მოსადგმელად. ქალი კარგი ცხენოსანი გამოდგა. ძალიან ახალგაზრდა ცოლი იყო, ბენაზე ორჯერ უმცროსი.

აფრიკელი წარსულს მოსწყდა და ყური მიუვლო — აწყო რას მეუბნებო. მისი ბელადი — გული მკერდში მკაფიოდ და ზომიერად სცემდა. სუნთქვა უქმე ღღესავით წყნარი ჰქონდა. ვერ ამჩნევდა — შიოდა თუ არა.

გზა ციკაბო აღმართს მიუყვებოდა და მის გასწვრივ ახლა გოროზად ამაერთულიყენენ მწვერვალთა მპყრობელნი — გივანტური ღვიანი და ევეკალიბტები. ტყის გამეჩხრებულ ნაპირას სოკოები გამოკრთა, მთის ირემმა ისე სწრაფად ჩაუქროლა, სროლას აზრი არ ექნებოდა. ნებუ ავტომატურ შაშხანაზე ოცნებობდა. იმედოვნებდა — თეთრკანიანი შაშხანას ოპტიკურ სამიზნესაც გაუკეთებდა. ავტომატურ შაშხანებს ზანგები ქალებს უწოდებდნენ, რადგან შაშხანებმაც კიკუიუს ქალებივით სწრაფი და ბოროტი ენით იციან ლაპარაკი. ნებუს მოაგონდა კიამბუს საპყრობლეს თეთრი პოლისმენი, რომელიც თავს იმით ირთობდა, რომ ასაჭურისებდა ხელში ჩავარდნილ კიკუიუებს. ერთ ღამეს კოკომ დალაშქრა კიამბუ, იმ თეთრს ლოგინში მწოლარეს მიუსწრო, ტყვედ წამოიყვანა და ვაკამბაში იმ ქალებს მიუვლო, ვისი ქმრებიც დასაჭურისებული იყვნენ. ქალები ერთ კვირას მარჯვედ უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს პოლისმენს, მაგრამ ამ ამბავმა ნადირობის საქმე წაახდინა — ყველა მხეცი განერიდა იმ ადგილებს, საიდანაც პოლისმენის ყვირილის გაგონება შეიძლებოდა.

პალმების ძირას გამოურული ქვეები იმაზე მეტყველებდნენ, რომ ლოყებდაჯღაჟას ცეცხლთან ღამე გაეთია. ნებუს თვალებმა იქაურობა მოიფათურეს და ხელახლა მიაგნეს კვალს. თეთრკანიანი ბრიყვი ისე ნელა მიდიოდა, თითქოს მთის გადალახვისათვის მთელი კვირა ჰქონოდა მარაგად. ბავშვიანი ქალი უფრო ჩქარა ივლიდა. ნებუ სირბილს განაგრძობდა, პირმოკუმული მიიმღეროდა და ფიქრობდა — უმჯობესი იქნება, შაშხანას ქსოვილის ღვედი ჰქონდეს და არა ტყავისა, ტყავის ღვედმა შორი ლაშქრობების დროს მხრის გადახეხვა იცისო. ასე იტყოდა ხოლმე კოკო, რომელსაც ორი შაშხანა ჰქონდა. კოკომ თქვა, რომ მას, როგორც ბელადს, ორი სჭირდებოდა.

ყოველდღე იყო მოსალოდნელი წვიმების დაწყება. ნებუმ იგრძნო — ნაშუადღეის ქარს უკვე ტენიანობა დაჰკრავდა. წვიმების მოსვლამდე უნდა



გასწორებოდა თეთრკანიანს. კვალი ახალი იყო. მაინც გონივრული იქნებოდა ფეხის აჩქარება, რადგან აფრიკაში ზოგჯერ მოულოდნელად იცის თქეშმა მოვარდნა. მსაბუ გიბსონმა, ბენა გიბსონის ახალგაზრდა ცოლმა, არ იცოდა აფრიკული ავდრის ამბავი. აფრიკაში ერთი წლის ნაცხოვრებიც არ იყო, როცა ის ამბავი მოხდა.

იმ დღეს ბენა გიბსონი აღრიანად გაემგზავრა ნაირობს, საკანონმდებლო საბჭოს სხდომაზე, მისმა ცოლმა კი ცხენით გაისეირნა. მსახურმა ნებუმ დაა-ლაგა სასტუმრო ოთახი, რომლის კედლები თლილი ქვისა იყო, ხოლო იატაკი — წითელი ხისა; გაწმინდა ბუხარზე ჩამოკიდებული ნიანგის ტყავი; ჯიუტი შვაბრა სასადილოს იატაკზე გაატარა. სასადილოს რომ შორჩა, ყველაზე დიდ ოთახს — საძინებელს მიჰხედა.

ძნელი იყო მუშაობა: წვიმების ალო ახლოვდებოდა და ტენიანი, მძიმე იყო ჰაერი. სიცხით და დახუთულობით შეწუხებულმა ნებუმ თავისი წითელი, მაიმუნის ტყავის კურტაკი გაიძრო. შემდეგ ბრიყული ჩაჩი მოისროლა. დაბოლოს დადგა ჯერი თეთრი შარვლისა, რომელიც ჩასძვრა, როცა აბუზარ ბუზს იგერიებდა ზარმაცად. მისი კანის ყოველი პორი ცხელსა და წებარო ოფლს ამოევსო. ნებუმ ვეება ქალუზი ასწია და იმავე წამს მოეჩვენა — გახურებულმა, მოთენთილმა მიწამ შვებით ამოიოხრაო. იგი გაუწყნარებლად იდგა ფანჯარასთან, როცა ხეთა შორის გრილი ქარი გამოიჭრა, პურის თავთავები მიაწვინა, ველებს გადმოევლო და ფარდები ოთახში შემოაფრიალა.

მამინვე ვეება, გრილი და ნაზი მკლავები შემოეჭლო მისი ალმურმოდებული შიშველი სხეულის ყოველ უჯრედს. მათ შეხებაზე შეკრთა, შემდეგ კი მისმა ტანმა, რომელიც ტყეში მდგარ ხეზე ნაკლებ არ იცნობდა სტიქიონს, ეს ქარი ღრმა და ჩუმი შვებით მიიღო. თავი უკან გადაუვარდა. გაეცინა. შორით ესმოდა ხმაური წვიმისა, რომელიც ახლოვდებოდა და ურტყამდა ბვალ-უწყვდენი, განაბული მიწის საფარველს. და, აი, ხეებს თავს დაატყდა თქეში და მთელი სახლი ახმაურდა მისი დარტყმებისაგან.

ნებუმ შვაბრა მოისროლა და ხელები ფართოდ გაშალა. ბნელსა და წყლით საცე უდაბნოში, რადაც გადაქცეულიყო იმ წუთას მისი ქვეყანა, გაიჭრა ნებუს ომანიანი სიცილი. და უეცრად დადგა დღესასწაული, რომელსაც სომალიელთა, მასაის თუ კიკუიუს საუკეთესო მოცეკვავეც ვერ მოიგონებდა. თქეში დოღს აბრაზუნებდა, ქარის ნალარა ბლაოდა, და, თუმცა ნებუ ამ ზეიმზე ერთადერთი მოცეკვავე იყო, მასში განსახიერდა ყველა ტომი, დაწყებული ეთიოპიისა და უგანდას საზღვრებიდან, ვიდრე კილიმანჯაროს დიდებულ მთამდე და ამ მთას იქითაც მცხოვრები.

წვიმის დოღის ხმაზე პროკავი ზანგი ძალღონით აღსავსე და სასწაულებრივად მოქნილი იყო. მის შიშველ სხეულს ქარი კი არ ელამუნებოდა, ის მშვენიერი ქალიშვილი იყო, უხუცესებმა რომ შეუტრჩიეს ნახევრადდავიწყებულ სიმ-წიფის დღესასწაულზე, როდესაც ნებუმ პირველად დაამტკიცა თავისი და-კაცება. სარკმლის იქით სიხარულით ოხრავედა წვიმის მკლავებში გათანგული დედამიწა. ღრმულებს ავსებდა, ბორცვებს ეკვეთებოდა წვიმა. ხეები ძირფესვიანად წყლით იედინებებოდა.

ცეკვადა ახოვანი, ვიწროთემობიანი, კანქმაგარი, ბეჭებგანიერი ნებუ. მხარბეჭი ისე უბრწყინავდა, როგორც ძველი ღვინო ბრწყინავს ხოლმე მკრთალ სინათლეზე. მის ნარნარ მოძრაობას ვეფხის შიშისმომგვრელი იერი შეეპარა. კაცი იფიქრებდა, ამ ოთახზე თავის უფლებებს აცხადებდნო: ზეწრებს ხელს უსვამდა, ტუალეტის მავიდაზე მდგარ სამშვენისებს, სკამის საზურგეზე გადა-



კიდებულ მაქმანიან საგნებს თითის წვერებით ეხებოდა. და უცებ ოცნებებმა დასტოვეს ნებუ. იგი შებრუნდა და მისი თვალები ქალის თვალებს შეხვდა.

ქალი წვიმაში მოაჭენებდა ცხენს. სველი კაბა სხეულს მჭიდროდ შემოტმანსოდა; ნებუ ხედავდა გრძელსა და მაგარ ფეხებს, ლავიწის ღრმულებსა და ბაბილონივით ზვიად მკერდს. მსაბუხს დასველებული და მოჩვარული ფეტრის ქუდი ეჭირა ხელში. წყლის წვეთებით დამძიმებული ბრინჯაოსფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ნახტომისათვის გამზადებულ კატასავით უკან გადახრილი ზანგი სიკაბუჯის ნამდვილი განსახიერება იყო. მსაბუმ ენის წვერით აილოკა ბაგეზე შერჩენილი წვიმის წვეთი.

ფერდობი უფრო და უფრო ციცაბოვდებოდა. ნებუ მთიულივით მიდიოდა, ფეხებს განიერად იქნევდა. ამგვარად სიარული დაძაბვას არ მოითხოვდა, ძალას უნარჩუნებდა. პლატოზე ასული ისევ სირბილით გაეშურა, ჩანთიდან გუავის ნაყოფი ამოიღო, გახლიჩა და ლებნები ხელისგულეებში მოიჭია, რათა შეუჩერებლად გამოეწუნა.

სახვლიოდ უკვე უნდა დასწოდა თეთრკანიანს. თეთრკანიანი ჯუნგლებში ნამდვილი ბაღია — გზის გასაგნებად კომპასს ხმარობს, მაშინ როცა ყველაზე გამოშტერებული თხაც კი არ დაკარგავს თავისი ბაჟის გზას, რაც უნდა შორს იყოს ტყეში შესული. თეთრკანიანის დასჯა თუ გინდა, ჯუნგლებში უნდა შეიყვანო და უკომპასოდ დატოვო. ნამდვილად დაილოუება. ისევე როგორც შავკანიანი, რომელსაც ქალაქში შეიტყუებენ ხოლმე და მყარალ ქუჩებში თავგზააბნეული ჯუნგლის გზას ველარ აგნებს. მაგრამ ეს თეთრკანიანი მას ეკუთვნის; ხვალ ის ძალიან კარგი შესახედავი იქნება. ასეთია მისი წერა.

ყოვლადძლიერის შეილთა ცხოვრებას, ისევე როგორც ნიერის მთავრეხილისას, ბედისწერა განსაზღვრავს. მთის უდიდესი იყო ნიერის გრიგალი. ზათქითა და ღრიალით მოარღვევდა თავის გზას. მაგრამ მისი ძალა ცარიელი ხუმრობა ყოფილა — დილია, გაჰქრა, დიკარგა. კბილებით ოცი სახლის ოდენა ლოდებს ეჭიდებოდა, მთელ სოფლებს აღგვიდა პირისაგან მიწისა. მაგრამ იბობოქრა, იბობოქრა და ზღვაში ჩაიღუბა. ასეთი იყო მისი წერა. აღამიანთა ამბავიც ასეა.

ქალებს აქვთ სიბრძნე მიწისა, რომელიც ზრდის ჩირგვსაც და თავმოთნე ფიჭვსაც, ლომსაც და კრავსაც. ზრდის და არასოდეს არაფერს ზარალობს. ლომი ჰკამს კრავს, კრავი ბალახის მძოველია, ბალახი კი, ბოლოს და ბოლოს, ლომის შთამნთქმელი. მამაკაცები ყოველ დამით უგმერენ ქალებს, მაგრამ ქალნი თავიანთ პრილობებს სიცოცხლით, მომავლის აღმონაცემით აღავსებენ. ეს ქვეყანა, მისი აფრიკა, ნამდვილი ქალია: შეხედე, რა ჩქარა ამოიზრდება ბალახი წვიმით ჩამორეცხილ ნაპრალებში!

ახლაც ნათლად ახსოვს, როგორ ებრძოდა მსაბუ შიშს და როგორ ფიტყვებოდა მას თავისი სხეულის ბარაქიან ენაზე. ახსოვს გაუბედავი მოძრაობა მისი მკლავებისა, რომლებმაც იმდენი რამ მიუბოძეს. ეს ის დრო იყო, როცა ბომბასაში, არაბ დამპყრობელთაგან ოდესლაც გაყვანილ ვიწრო, მოკირწყულ ქუჩებში, ზანგ პოლისმენებს ნახევრად წალეკილი სკოლის შენობებიდან გამოჰყავდათ ინგლისელ ჯარისკაცთა გადარჩენილი ბავშვები.

IV

„ეს ლოყებდავლავა ნამდვილი ბრიყვია, და ლოყაწითლები ყველანი ბრიყვეები არიან“, — ესიტყვებოდა მეორე დილით თავისთავს ნებუ. მირბოდა ნებუ — მაღალი, ახოვანი, სოლისებური აღნაგობის მქონე. მისი ფეხები მაკრატლის პირებივით კვეთდა ჰაერს. ლურჯდაკრული შავი ფერის სხეული ჯანღონეს აღევსო, სახე ნიღაბივით გულცივად გამოიყურებოდა. კარგა ხანია გაეძრო მეზღვაურის კურტაკი, სახელოები წელზე შემოეკრა და ახლა კურტაკი შოტლანდიელის იუბკასავით ეფართხუნებოდა თეძოებზე.

ნებუ კარგად იყო გამოძინებული. წუხელ უკვამლო კოცონზე გავარჯარებულ ქვებში შემწვარი კურდღლით ივანშმა. მერე წაქცეული ხის ფულუროში მოიკალათა. ინათა თუ არა, გამოეღვიძა და კვალს აედევნა. მზე ამოდინდა. ზეცა თვალმუელდგამი იყო და ლურჯი, ხეთა წვეროკინები ბრწყინავდა. გუშინ გაცივებულ კვალს ავყევი, დღეს უკვე თბილ კვალს მივსდევო, — ფიქრობდა თავისი სიმარჯვით გაამაყებული. ხვალ კვალი ფეხისგულეებსაც დაუწვავდა. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ თეთრკანიანი ნელა მიდიოდა.

მიწა არის წიგნი, რომლითაც კითხვას სწავლობს კაცი.

ეს წიგნი ყოველივეს მოგვითხრობს ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა, მთვარის გზისა და ხეთა აღნაგობის გამო.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც წვრილად შეიტყობ ტყეში მობინადრე ტომთა დახვანჯული ბილიკების ამბავს, მხოლოდ მაშინ შეძლებ ბილიკებუ გაათართოვო, ზედ ბეტონი დააგო და ბენზინის წერტები მოაწყო.

„ყველა ლოყებდავლავა ბრიყვია, — ესიტყვებოდა თავისთავს გაჩქარებული ზანგი. — ისინი მოდიან, დასცინიან ჩვენს ღმერთს და გვეუბნებიან — რას აბრაახუნებთ მაგ დოლებს კერბთა წინაშე, დიდი ხანია აღარაფერი ესმითო თქვენი. შემდეგ მათ მოაქვთ თავიანთი ღმერთი, რომელსაც საკმეველს უკმევენ და სანთლებს უნთებენ. ისინი ისევე ცოტანი არიან, როგორც პეშვით მოხვეტილი კენჭები, და მაინც გვეუბნებიან ჩვენ, კილინდინის ქეიშის მარცვლებზე უმრავლესთ: „ოჯეკი შენს ადგილზე, ვიდრე ყავის პლანტაციაში წაუყვანიხართ!“ და მაინც ამგვარ ბრიყვეებს თავიანთი თავი ჩვენი ქვეყნის ბატონპატრონებად მიაჩნიათ.

ყოველადძლიერო, გრძელი დანები მოგვეც ჩვენ!“

ნებუ მისდევდა ვიწრო ბილიკს, რომელიც მის უნიათო მსხვერპლს გაეკვლია დაჭაობებულ ლერწმოვანში. თვალეში სისასტიკე ჩაჰგუბებოდა.

„ალბათ ჩასუქებული და მძიმედ მსუნთქავი კაცია: ტყავის ფეხსაცმელი მოსავს და ზურგჩანთაში სარდინის ქილები აქვს ჩაწყობილი...“ მაგრამ თეთრკანიანის ქონება მას პატივისცემასაც აღუძრავდა, რადგან შაშხანა თეთრკანიანს ეკუთვნოდა. ნებუ გაამაყდებდა, თავის მსხვერპლს რომ მოკლავს. სიმღერასაც შეთხზავს თავისი გამირობის გამო და სიბერეში შევილიშვილებს უმღერებს ხოლმე ამ სიმღერას.

მაგრამ ნებუ არ იბრუნებდა, ბევნა გიბსონის მოკვლა რომ დასჭირებოდა, რადგან ერთხელ ბოროტი უყო ამ თეთრკანიანს. შემდგომში მსაბუხს აღარასოდეს ვაკარებია.

მაგრამ ქალი მრისხანებანარევი სინაზით მოაგონებდა თავისთავს, და ნებუ მზად იყო ამ თეთრკანიანი ქალის გულისათვის ლომებს შეჰბმოდან

უიარაღო. მას გაუჩნდა კადნიერი აზრი — მზეს ყველაზე მცირე ყვავილი უყვარსო, ზოგჯერ ბარდნარს ჩაეფინება და ნათელი ხელით უალერსებსო ამ ყვავილს.

ერთ დილას სასადილოში შესულმა ბენა გიბსონმა დაინახა, რომ ნებუ ქალის ჭურჭელთან ყვავილიან ვაზას დგამდა. ვაზას მოხვეული შავი თითების მოძრაობაში იყო რაღაც ისეთი, რამაც ბენას სული აუმღვრია. მან ყვავილი იქით გადადგა, ბრაზმორეულმა გაიცინა და ცოლს უთხრა:

— შენ თუ იცი, რომ ეს შავი ბიჭი შენზე შეყვარებულია, ედიტ! ერთი რეზედე, თავს როგორ გეველება.

— ვიცი, — მშვიდად მიუგო ქალმა.

ბენა გიბსონს ისღა დარჩენოდა, საუზმეს შესდგომოდა და ჩაედუღდუნებინა:

— ფრთხილად იყავი მაგათთან. რაღაც საძაგელი ხმები დადის, ვითომ ტერორისტული ბანდის მაგვარი რაღაცააო.

დიდი ღრო გამოხდა და ნებუს შესახებ სიტყვაც აღარ დასცდენიათ, იმიტომ, რომ ყველანი ნაირობში მომხდარი ამბებით იყვნენ შემფოთებულნი. სიტყვა აღარ უთქვამთ იმ ღამემდე, როდესაც მოვარდინლ ქარიშხალში მოთქვამდნენ კედრები, წაბლები და ზეთისხილის ხეები, მოთქვამდნენ და მიწას ენარტებოდნენ წელში გადატეხილნი, როდესაც ნაგზაურებზე მდინარეები ბობოქრობდნენ, როდესაც ბენა გიბსონი ჭკუიდან შეიშალა.

ნებუ მიწას შეეზარდა, აღარ განძრეულა. მისმა თითებმა პანგა ჩაბლუჯეს. კლდის ქიმიდან მინდორზე ლეოპარდმა ისკუბა. კვალს გამოყოლილი მხეცი გვერდულად იდგა, თავი ნებუსკენ მოექცია. ხელისგულში სულჩადგმული დანა სუნთქავდა. ნებუ მოზიდული მშვილდივით დაძაბულიყო. ლეოპარდი ყვითელ თვალებს არ აშორებდა და ნელნელა აჩენდა კბილებს. გამყინველი მზერით მისჩერებოდა მხეცი, მიიმე კლდს ნელიად ატლამუნებდა. ნებუს სუნთქვა შეეკრა, როცა თავში გაუღვლა — ჩემი სახის ნაკვთებს ათვალეირებსო ლეოპარდი. უეცრად მხეცმა შამპნარში ისკუბა. ჭირვეული და მკაცრი იყო მისი მოძრაობა. გზა გაიხსნა, ნებუმ შევებით ამოისუნთქა.

ლეოპარდის უღმობელმა დინგმა მას საოცრად მოაგონა ბენა გიბსონი. ამგვარი იყო გამხეცებული ბენა, როდესაც ღრიალებდა და მშობიარობით ქანცმილეულ მსაბუს ურტყამდა მშვენიერ სახეში. ნებუ იდგა თავსხმა წვიმაში და ღრიქედ დარჩენილი ფარდებიდან უყურებდა ამ ამბავს.

შუადღეს გადაცილებული იყო, მაგრამ მაღლა მთებში გრილოდა. ქარი შიშველ თხემზე წამოეწია ნებუს და მეზღვაურის კურტაკი ხელახლა ჩააცმევინა. შალმა მხრები გაუთბო. მთელ დღეს მიბრბოდა იგი, წყაროს წყლით იკლავდა წყურვილს. მოუსვენრობის ცეცხლი შემოგზნებოდა გულზე. გრძნობდა თეთრკანიანის სიახლოვეს. ნებუ მას ხვალ დაეწევა, იქნებ დღესაც შეძლოს დაწევა, იმიტომ რომ თეთრკანიანი ძროხასავით ზანტი ყოფილა.

ცხადია, კაცის მოსაკლავად მიიჩქაროდა, ოღონდ თავად სხვა აზრის იყო ამ ამბავზე. მისი ფიქრით საშიშ მხეცკაცს იყო აღევნებული, ისეთ მხეცს, რომელსაც საქარო მხრიდან ვერ მიეპარები. რადგან მან არც საქარო მხარე იცის და არც უქარო — იგი შამპნანის მფლობელია, ხეს ეფარება და

ერთი მილის სიშორიდან სულს გაფრთხობინებს. შენ შეგიძლია ისე შეიძულო შაშხანის მფლობელი, როგორც ლომსაც არ შეიძულებდი, იმიტომ რომ ლომს არ ეზიზღება შენი ადათ-წესები და არც დასცინის მათ. ლომს ისიც კი სურს, მხარე ისე გაინაწილოთ, რომ შენ დღე გერგოს, ხოლო მას დამე დარჩეს საუფლოდ.

ნებუმი მარჯვენა ტერფი გაიჭრა ხავსში ჩამალულ ქვაზე და ახლა ყურს უგდებდა დაჭრილი ფეხის ჩივილს. მისი სხეული იყო იარაღი, რომელიც ამ დღეებში ყოველნაირად გამოიყენა, ამიტომ ჭრილობა შესაძლოა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ მტრის კვალს კოჭლობით მიყოლა სახიფათო ამბავია; ნებუ იმაზეც ფიქრობდა, როგორ დაუბრუნდებოდა თავისი ნადავლით კოკოს ბანაკს. საიმძროოდ იგი ალვის ხესავით უნდა იყოს გამართული. ვენერალ კოკოს ერთ რამედ მიაჩნდა კარგად სიარული. კოკო დიდხანს იყო თეთრკანიანთა ქალაქებში ნაცხოვრები და ამბობდა — იქ შავკანიანები წელში მოხრილნი, ქედმოდრეკილნი დადიან, თითქოს ნამდვილად უღლის ღირსნი იყვნენო.

— ჩვენ თეთრკანიანებთან არაფერი გვაქვს საერთო! — ხშირად ამბობდნენ ბოლომდე კოკო. — ერთადერთი ის შეგვიძლია, გავლამაზოთ ისინი! ლამაზები კიდევ მხოლოდ მაშინ არიან, როცა მაუ-მაუს ხელით სიკვდილს ღებულობენ.

კოკო იმასაც ამბობდა:

— ძმებო, როცა ისინი არ გამცირებენ, მაშინ დაგცინიან მაინც, ძმებო! ჰოდა, განა ჟირაფები ხართ ან მაიმუნები, რომ ისინი დაგციონდნენ?

ერთხელ ნებუმ მოზრდილთა სკოლა მონახულა კიამბუში. ტომების უხუცესნი თეთრი მასწავლებლის წიგნში დამარცვლით კითხულობდნენ სიტყვებს, ხოლო სარკმლის იქით მდგარი ახალგაზრდა თეთრკანიანი ზედამხედველნი მასხარად იგდებდნენ მათ. მაშინ ნებუს მოაგონდა, როგორ წყაროსავით მორაკრავებდა ამ უხუცესთა პირში სიტყვები ტომთა საქმეების გამო ბუბობის დროს: მათი სიტყვები ქარი იყო, უმაღლესი ფიქვების წვეროკინებს რომ არხვედა, ანდა ქუხილი, წვიმების ალოს დადგომისას რომ გრგვინავდა, ან კიდევ გაზაფხულის დღესასწაულის უტკბილესი სიმღერა იყო მათი სიტყვები. და როდესაც ნებუმ ხელახლა შეჰხედა ახალგაზრდა ზედამხედველებს, შურისძიების, წამებით სულის ამოხდის, მკვლელობის სურვილი აკიაფდა მის თვალებში.

„ვის უნახავს ჩვენი ქვეყანა განთიადისას“

კილინდინიდან თეთრი თოვლის მხარემდე? —

მღეროდნენ ნებუს ნერვები და ძარღვები. —

ყოველადმღიერო, გრძელი დანები მოგვეცე ჩვენ!“

სალამოქამს, როცა ტყის წვრილფეხა მკვიდრნი დიდ-დიდ მტაცებელთა გამოჩენის შიშით დამალვად ეშურებოდნენ, ირემი მოკლა ნებუმ. თეთრკანიანის მიერ გავლილ მინდორზე გამოათრია, აკაციის ხესთან მოიკალათა და გატყავებას შეუდგა. მეხდაცემულივით გაშეშდა, როცა თავის წინაშე დაინახა ის, რაც მისმა თვალებმა იხილეს.

გათელილ ფოთლებსა და დატეხილ ჯოყრებს შორის, მისი მსხვერპლის უთავბოლო გზას რომ აღნიშნავდნენ, ნებუმ ნათლად გაარჩია ფეხსაცმლის კვალი, ქალის ფეხსაცმლის კვალი. ფეხსაცმელი სველ ფოთოლზე დამსხლტა-

რა და მიწაზე მკვეთრად აღბეჭდილა. მაგრამ ზანგისათვის თითქოს მეხი გავარდნილიყოს.

„თვალეზო! — უხმოდ ამოიგმინა ნებუმი. — ჩემო თვალეზო, სად იყავით გუშინდელს აქეთ? როგორ ვერ იგრძნო ჩემმა ყნოსვამ ვერც ერთი სურნელი, რომლებშიაც თეთრკანიანთა ქალები ბანაობენ?“

სირცხვილეული, დაჯავრიანებული უჩუმრად საყვედურობდა თავის მხედველობასა და ყნოსვას, რომელთაც ასერიგად გააცურეს ნებუ.

„დამიბრმავდეს თვალეზი!

ან ჩემი ცხვირი რაღა ოხრად მინდა!“

წელში მოხრილი ჩამომჯდარიყო ფეხსაცმლის კვალთან, რაღაცას ფიქრობდა, და მისი სული მკვდარი იყო უკვე.

•

გამთენიისას, ვიდრე გაცრეცილ ბალახს ნამი შეაშრებოდა, მან დაინახა თეთრი ადამიანი.

V

მან დაინახა თეთრი ადამიანი კუნელის ბუჩქებს იქით, სადაც ბოლი ამოდიოდა. თეთრკანიანი მდინარის პირას გაჩერებულიყო ღამის სათევად, იმ მდინარისა, აურაცხელ ქვაზე რომ მოქშუთოდა. ადვილი საქმე არაა ასეთი მდინარის დამოშმინება. მაგრამ ბუჩქებს იქით დაბინავებული კაცი ნამდვილი ბალღი იყო, შაშხანის მფლობელი ლოყებლაქდაჟა ბალღი. აბა სხვა ვინ გაჩერდებოდა ღამის სათევად ბობოქარ მდინარესთან, რომლის ხმაური იფარავს მოახლოებულ მტერს?

კიკუიუ კვალს ძალიან ადრე აედევნა და გათენებისთანავე წაადგა თეთრკანიანის სამყოფელს. ნახტომისათვის გამზადებული ახლოს მიცოცდა, მაგრამ მოისაზრა, რომ ყველაზე დოყლაპია თეთრკანიანიც კი საშიშია, თუკო ხელთ შაშხანა უპყრია. ამ ამბავმა საგონებელში ჩაავდო, მაგრამ იმავე წამს მოაგონდა, რაოდენ სულელი იყო ეს თეთრკანიანი, გზას რომ ქალთან ერთად დასდგომოდა, და მის თავში კვლავ გახშიანდა მძიმე სიცილი. აბა ერთი გაუსწორდეს თეთრი! ბალახში გაცოცდა და თეთრკანიანის ბანაკს რომ ჩასცდა, შეჩერდა.

დადგა მოლოდინის დრო. ხოლო ნებუს ისეთივე შემზარავი მოთმინებაჰქონდა, როგორც მთელ მის ქვეყანას, სადაც მტაცებელი ცხოველები აჩრდილებივით ელოდებიან მსხვერპლს, სადაც დაჩეხილი ხეები ტყისმპრელთა წასვლას ელოდებიან, რათა ხელახლა გაიფურჩქნონ.

მისი ლოყა მიწაზე მდებარე შვიდფუტიან შუბს დაყრდნობოდა. პანგა ქარქაშიდან ამოედო. კუნთები მშვიდად ისვენებდნენ. მხოლოდ მის ტვინში კვლავ მოძრაობდა დაწყვეტილი ფიქრები.

„უკო ახლა კითხულობს: „ბევრი დაგვიხოცეს დაგორეტში? რამდენი მოიკლა ნდრობოში? ჩიბალუნგუში? ნაირობში?“

როგორ შეიძლება ცხვრის მოშენება ჩვენს უმიწაწყალო დროში, როცა წვიმები სულ უფრო ხშირად მთებისკენ მიდიან?

როდის უფრო ღამაზად ჰყვავის ყვითელი ბამბუკი — გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე? სახლები ბამბუკისაგან უნდა აიგოს და ღვით გადაიხუროს. მაშინ კაცი ღრმად დაიძინებს და მის ყნოსვას სურნელი დაატებობს.“

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრი მოსდიოდა მხოლოდ.

უქარო დილა იყო, ნისლი არ იფანტებოდა. მაგრამ მზე მაღლა მოიწევდა და ხეთა წვეროკინებთან უკვე დღე ბრწყინვალეობდა. მზის შუქი მომქლავრდა და ნისლი ბოლქვა-ბოლქვა აიკრიფა. თეთრკანიანი მგზავრი უეჭველად გაიღვიძებდა, ალბათ რაღაცას საქმიანობს.

„მაგრამ იქნებ ცოლს ჩახვეული ნადირობს?“ — გაიფიქრა ნებუმ. ასე იყო ნგონის მთებში, როცა ბვანა ვიბსონი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად მიემგზავრებოდა. უკვე დიდი ხნის გათენებული იყო, მაგრამ კარვის კარი არ იხსნებოდა და ახლოს რომ მისულიყავი, მათს მძიმე სუნთქვას გაიგონებდი. ნებუ შებრუნდებოდა ხოლმე, როდესაც სახეწამოწითლებული, დაქანცული და გულჯავრიანი ბვანა კარვიდან გამოძვრებოდა; შემდეგ გამოწნდებოდა მსაბუ, რომლის თვალები ასეთ წუთებში ნიაშორის თვალებსაც მოგავგონებდათ და კატისასაც.

როცა ცეცხლიდან ყავადანი ჩამოდგეს, კუნელს იქით კვამლის სვეტი წამოიშარათა. ახლა ქალი ყავას უსხამს ბატონს. ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდებიან და ხელისგულებით ფინჯანს მიეფერებიან. მიწას განრთხმული იწვა აფრიკელი და უსმენდა მიწაში მოგუგუნე ძველთაძველ ჰიმნებს. მრგვალ ქვაზე ჭრიჭინა აჭრიჭინდა, გაისმა ხაჭუნის ხოჭოს ძვლოვანი ფრთებისა. ბალახში რომელიღაც მწერი მიცოცავდა და ბალახის ღეროები მოუთმენლად ელოდნენ, როდის ეღირსებოდათ ხელახლა წელში გამართვა. მას ჰქონდა მძლავრი მშვილდი, ხარის ძარღვებით დაჭიმული, მაგრამ ამჯერად დანა ერჩია. ისარები სტვენით მიფრინავენ და აფრთხილებენ მოწინააღმდეგეს. თეთრკანიანთა შაშხანები არასოდეს არ გაფრთხილებენ ხოლმე.

მისი ქვეყნის ყველა დიდი მონადირე მსხვერპლს წინასწარ აფრთხილებს. მხოლოდ თეთრი ადამიანი და ლეოპარდი არ იქცევიან ასე. ო, შეხედე! ტყეში ქარი შეიჭრება, ცა ღრუბლებით იფარება და ელვას აკვებს. გარეთლმა ტახმა იცის, რომ, როდესაც ხეებქვეშ ჩრდილები გამოქდება, ლომი სანადიროდ გამოდის. მიწამ ზუსტად იცის, რომელ თვეში ჩააფრინდება კბილებით წვიმასშირობა. მაგრამ ბვანები წარბშეუხრელად იტაცებენ მიწის უზარმაზარ ნაკვეთებს, რომლებსაც ერთ დღეში ვერც კი შემოუვლი. ლეოპარდის მსგავსად ბვანაც წვრილფეხა მტაცებელია: მას არც ჯუნგლების მეფე ეთქმის და არც სავანებისა. ბვანა საფარიდან ესხმის თავს მოწინააღმდეგეს, დაჭრილებსა და დაძაბუნებულებს ასაღმებს სიცოცხლეს. „ბვანები სხვა ქვეყნებიდან გადმოიხვეწენ და ახლა თავი მოაქვთ იმ ქვეყნების სიმდიდრით. რატომ არ ბრუნდებიან უკან და არ გვიტოვებენ ჩვენს მხარეს, რომელსაც შეურაცხყოფენ და დასცინიან?“

ყოველივე ამის შესახებ ფიქრობდა ნებუ. იმ წუთას სიძულვილისათვის არ ეცალა — ერთობ რთული საფიქრალი გასჩენოდა. ეს იყო ტრაგედია იმდენად მარტივი ჭეშმარიტებისა, რომ მხოლოდ წმიდანთ შეეძლოთ ამ ჭეშმარიტების მიკვლევა და მისით ცხოვრება. ხოლო მის იქითაც და აქეთაც ცოდვილნი სუფევდნენ.

VI

და ყოვლადძლიერმა ისე ინება, რომ ლოყაწითელი მუცელს შეეწუხებინა, ქალს მოშორებოდა და მდინარისკენ წამოსულიყო მყუდრო ადგილის მოსაძებნად. გულმოსული გოჭოვით ბუზლუნებდა, მიდიოდა და რბილ სილაში კოჭებამდე ეფლობოდა. ბალახებში ჩამალულ ნებუს ესმოდა მისი მოახლოება; სიკვდილის სიმღერა ხმინებდა მის არსებაში; ვეება სხეული მიწას ეკვრო-

და და თრთოდა, რადგან მიწა ამცნობდა გათელილი ბალახის ოხვრას, ქვიშის შრიალს, შემფოთებულ მწერთა ზუზუნს — ახლოვდებოდა დრო, როდესაც უნდა წამომართულიყო და მოეკლა თეთრი ადამიანი.

ნებუ კითხულობდა ბევანას მოახლოების მოთხრობას და ამავე მოთხრობას უმეორებდა ფეხის დაჭიმულ კუნთებსა და დაბლუჯულ ხელს. „მსუქანი ღორი მზადაა“, — უჩუჩჩულებს ბოლოს კენჭებმა და ბალახებმა. ზეწამოიჭრა ზანგი და დანიანი ხელი აღმართა. მაგრამ ვიდრე დანას დასცემდა, მთელი წამით შეყოვნდა.

შეყოვნდა იმიტომ, რომ ბევანა, რომელიც ხმამაღლა ითქვამდა სულს, ბევანა, რომელსაც შეშინებული თვალები შუბლზე აუცვინდა, ბევანა გიბსონი იყო.

მთელ საუკუნეს ვერ გაინძრა ნებუ. და ბევანას შაშხანა მანამდე ალაპარაკდა, ვიდრე ზანგი გონს მოვიდოდა. თოფმა იგრიალა, მოქნეული დანა ბევანას მკერდში ჩაერჭო. ნებუ შეტორტმანდა, წაიქცა და მძიმედ დაასკდა მიწას.

„ყოვლადძლიერო, ისმინე ჩემი, — შეპლრიალა ნებუმ. თეთრკანიანის ნასროლი ტყვია მიზანს მოხვდა, მაგრამ ზანგი მაინც ზეიმობდა. — ყველა ველი ჩვენია, ატის ყველა ველი, კენიას დიდებული მთის ძირას, სადაც თეთრკანიანებმა ქალაქები გააშენეს!

ყველა მთა ჩვენია! ყველა მდინარე! ტყეებიც! ცხოველებიც!

ჩვენ გვეკუთვნიან ისინი! ჩვენ არ გვინდა სხვა ქვეყანა, კიკუიუს გარდა! ვინც ჩვენთან მოდის, ჩვენს წესებს პატივს უნდა სცემდეს, თორემ ისევე მოვსპობთ, როგორც შენ სპობ, ყოვლადძლიერო, იმ ხეებს, რომლებსაც ქედის მოღრეკა არა სურთ შენეული ქარიშხლის წინაშე!“

დაჭრილ ფერდზე ხელი ჰქონდა მიჭერილი ნებუს, ისე წამოიჩოქა. ტყვია მეორე მხარეს გასულიყო, ასე რომ ორივე ჭრილობიდან სისხლი მოთქრიალვებდა. იგი ცალი ხელით სისხლის შეჩერებას ცდილობდა, მეორით კი მიწას ფხოჭნიდა წყლულზე დასაყრელად. მისი სახე ნიღაბით გულცივი იყო; ჭრილობას თვალი მოაშორა და დააცქერდა ბევანას, რომელიც მიწაზე იწვა და ბუტბუტებდა:

— იმ ქალმა... შავი ბიჭი... გავიჩინა...

ნებუმ იცოდა, რა იყო სიგიჟე. სიგიჟე დაინახა ბევანას ნათელ, წმინდა თვალებში, რომლებიც ტკივილისაგან მოქცეულ სახეს სულ არ ეგუებოდა. ბევანა უაზროდ ებრძოდა პანგას, მაგრამ დანა ღრმად იყო ჩასმული მკერდში. თეთრკანიანს სახე წამით დაუმშვიდდა, მერმე დაემანჯა, წაუგრძელდა და უცებ მოუღბა. „მე გავალამაზე ბევანა“, — ამაყად გაიფიქრა ნებუმ.

— დიაცის იდიოტური ყინი... იდიოტური ყინი! — ღვარძლიანად წამოიყვირა ბევანამ.

„მომაკვდავი ადამიანი მშვიდობის სიმღერას უნდა ამბობდეს, — ფიქრობდა კიკუიუ. — ისე როგორც ახალმოზარდი ნერგი, რომელიც ქარის მობერვაზე წყნარ-წყნარად ჩამოფრიალებულ ფოთოლთა შრიალით გვემშვიდობება. გულგამოჭმული და ჭირვეული ბებერი ხე იკრუნჩხება, ხმაურობს და დაცემისას ნორჩ აღმონაცენს ღუბავს. იმას არ უნდა დაემგვანოს კაცი.“

— ...იმას... პატარა მაიმუნს... შენი ამბავი ვუთხარი... მისი შემქმნელის... შავი გორილას ამბავი... სწორედ ჯუნგლებში შემოყვანამდე ვუთხარი... ხახა.. ერთი გენახა... იმის სიფათი!..



ისევ მოექცა სახე ბენას. ნებუ შეინძრა და იმავე წამს ტკივილმა იფეთქა ფერდში. დაჰყურებდა მომაკვდავს და სახე ნიღაბივით გულცივი ჰქონდა. შეიცადა, ვიდრე ტკივილი გაუყურდებოდა. მუცელსა და თეძოებში ძალას იკრებდა, თან იმაზე ფიქრობდა — ფეხზე წამოვდგები, ბენას სულთაბრძოლას ისე უნდა ვუყურო. გიბსონმა თვალები დახუჭა, სახე ტანჯული ჰქონდა, სიკვდილი ახლოვდებოდა. ზანგმა სიღრმეში ჩაჰხედა ბენას და დაინახა, როგორ ნთქამდა მის გულსა და ტვინს ტკივილის შავბნელი ტალღები. მოქცევა იწყებოდა და ბენას წელს მოჯარულ სიცხეს სიცივე ცვლიდა. ყოვლად ძლიერი რამ არის ტკივილი. ტკივილისაგან ხალხი ისე იგრიხება ხოლმე, მათი შემდგვარე ქვებსაც ეციენებათ. ბენამ დაიგმინა და მოიკრუნჩხა. სისხლმა ერთბაშად შეუღლება მკერდი, ტუჩებზეც გამოხეთქა.

— ნებუ, შავო გორილა!.. — შეჰყვირა მან. — შენი შვილი... მოვიყვანე ჯუნგლებში... ნახოს, როგორ ამოსძვრება სული მამამისს!.. ნახოს მერე... მე... მერე ყელს გამოვჭრი!..

ბენას კეთილშობილება არ გააჩნდა. სულთმობრძავი ბენა გიბსონი უფრო და უფრო საზიზღარი ხდებოდა. ენის ძირთან მწარე წყლები დაუგროვდა და მათ ადგილი აღარ დატოვეს მშვიდობის ტკბილი სიმღერისათვის. მისი ნათქვამის მოსმენა კაცს გულს შეუღონებდა.

ნებუ კი გულცივი ნიღაბით ფარავდა თავის გრძნობებს და უხმოდ უძღვროდა გიბსონს სიკვდილის საგალობელს. თეთრი ადამიანი ყელში ძვალგაჩხირული ძაღლივით კვდებოდა — გატანჯული და გაწვალბული; თან კენესოდა, წრიალებდა, თითქოს ნებუს მსგავსად ფეხზე წამოდგომა უნდო. კიკუიუს აზრად მოუვიდა შუბის დარტყმით შეემსუბუქებინა მომაკვდავის ტანჯვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა; ის უამბობს გენერალ კოკოს, როგორ ლამაზდებოდა მისი ბენა. ღრმად ამოისუნთქა. ტკივილი გამქარალიყო. გიბსონმა მილულული თვალები გააჩილა და ნებუს დააშტერდა.

— მიყურე... შევტუხა ღორი... მიყურე, — წყნარად თქვა მან. — ნახე, როგორ კვდება... თეთრი ადამიანი... ხომ ვერ შესძელი ჩემი დამცირება!..

„მაგრამ შენც ვერ შესძლებდი ჩემს დამცირებას, — გაიფიქრა ნებუმ. მისი შავად მოელვარე, უღმობელი თვალები ნაკვერჩხლებივით ისარკებოდა სულთმობრძავის სახეზე. — როგორ ვერ გაუგიათ ეს ამბავი თეთრკანიანებს?“

ეპვი არ იყო, ბენა უფალს ჰბარდებოდა. კრუნჩხვა შეუჩერდა. მოსისხლიანებული მიწა კარი იყო და ამ კარს უკაკუნებდნენ ბენას თითები.

„თეთრკანიანებს არაფრის გაგება არ შეუძლიათ!“ — წყრომით შეჰყვირა აფრიკელის სულმა. ნებუ სწრაფად დაიხარა და დანა ამოაძრო კრილობიდან.

ბენამ გიბსონისათვის წუთისოფელი დასრულდა ტკივილის ნაკადით, რომელმაც მისი განწირული სხეული დანასთან ერთად ზემოთ ააქანა.

ნებუ ნელა დასწვდა შაშხანას. იგი მის ხელთ იყო. ცივი ლულა ნამს დაეფარა. ახალა გაახსენდა ქალი. შეტრიალდა სადგომის მოსაძებნად და უცებ ბავშვი დაინახა.

VII

ნებუ თავით ფეხებამდე შეიარაღებული იყო. მარცხენა ხელში სხვისი იარაღი — შაშხანა ეპყრა; მარჯვენათი პანგა, შუბი და მშვილდი ჩაებლუჯა. მან შემართა იარაღით დახუნძლული ხელები და ასე იარაღის ჯებირის გაღმა-გამოღვიდან უჭკრეტდნენ ისინი ერთიმეორეს. ჯიშთან ხისგვარად ტანაშოლტილი ზანგი გამართული, ფეხიფეხზე მიდგმული ასვეტილიყო. ბიჭი წელში მოხრილი იყო, ცალი მხარი მეორეზე მაღალი ჰქონდა.

„ქალი არსად ყოფილა“, — ჩილაპარაკეს ნებუს შეცბუნებულმა თვალებმა. მან ბიჭი აათვალიერა და დასახიჩრებულ ფეხს ჰკიდა თვალი. პატარა ფეხსაცმლის მიწაზე აღბეჭდილმა ქუსლმა ნებუს აფიქრებინა — ჩემს წინ თეთრკანიანი ქალი მიდისო. ახლა მის თვალებს რცხვენოდან თავიანთი შეცბომისა.

„ჩემს შვილს ერთი ფეხი აქვს მხოლოდ, მეორე ფეხი ტოტყვით მოგრებიანო“. უშვერი სიცილი გახშირდა მის არსებაში. ყური მოჰკრა ნებუმ. სიცილი შეწყდა.

ბიჭი გამხდარი იყო, ფაქიზი, უფერული. წაბლისფერი თმა კვამლის რგოლებივით ხვეული ჰქონდა. ნებუსთვის თვალი არ მოუშორებია; სისხლით გაწითლებულ მიწასაც კი არ დაჰხედა. ზანგმა შეიარაღებული ხელები დაუშვა და როგორც სწორი სწორთან, ისე წარდგა ბიჭის წინაშე.

— გამარჯობა, — თავაზიანად უთხრა ბიჭმა.

— ბენა... ე... ე... დაილალა, — განუმარტა ნებუმ. მან გაჰიჩრებოდა ამოდერდა სანახევროდ დავიწყებული უცხო სიტყვები, რომელთა წარმოთქმისას ღიტიანს გრძნობდა ხორხის არეში. — ბენამ... დაიძინა... დიდი ხნით.

— შენ კიკუიუ ხარ? — შეეკითხა ბიჭი.

— სანახევროდ, — მიუგო პირქუშად ნებუმ. — დედაჩემი მასაი იყო.

— სტყუი! — ბიჭი ბენასნაირად ლაპარაკობდა. ნებუმ გაიფიქრა — ეს ყმაწვილი ნაირობში პოლიციის უფროსად გამოდგებო. — მასაის ქალები უცხოებს ცოლად არ მიჰყვებიან.

ამ სიტყვებმა ზანგი შეურაცხყო, მაგრამ მოითმინა, იმიტომ რომ ოდესღაც ბოროტი უყო ბენასს, რომელიც ახლა მის ზურგს უკან იწვა ბალახში. და მან მიუგო:

— მამის მხრივ მე მიწის მუშა ვარ, დედის მხრივ — მონადირე. ნაჯგვარი ვარ.

— როგორ დგახარ ასე გამართული? — შეეკითხა ბიჭი. — ველოსიპედის ტარება იცი?

„შენ ჯერ ბევრი რამის გაგება მოგიწევს, ნახევრადბენა, — ფიქრობდა ნებუმ. — შენ რომ მწყემსი ყოფილიყავი, მთელი დღეები იდგებოდი ცალ ფეხზე, მეორე ფეხის ტერფი კი მუხლზე გექნებოდა მიბჯენილი. ასე დგომით სიმალლე მოგემატებოდა და დროზე დაინახავდი შენი საქონლისაკენ ხოხვით მიმავალ ლეოპარდს“. და მან ჰკითხა:

— შენ როგორღა დადინარ ტყეში მტკივანი ფეხით? ჩიტვით ხიდან ხეზე დაფრინავ?

კმაყოფილ ბიჭს გაეცინა:

— მამაჩემი დამატარებს. მამაჩემი სულელია, მარტის კურდღელივით შექანებული.

დილა მოეძალა იქაურობას. ფრინველები იღვიძებდნენ და თავთავიანთი გზით მიფრინავდნენ. ნებუმ ბიჭს ჩაუარა და ბუჩქნარით მდინარისაკენ წავიდა. ეკლიან კუნელს რომ გასცდა, სწორედ იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც სადგომი მოეწყო ბენასს. ყნოსვას მოსწვდა თეთრკანიანთა სხვადასხვაგვარი სუნი და ნებუს ნესტოები გაუფართოვდა. ქალი არსად იყო.

მიწაზე ეწყო რეზინის ორი საბანი და ზურგჩანთა, ცეცხლის პირას კარდალა იდგა, იქვე იყო ორი კორპის ჩაფხუტი — ერთი დიდი, მეორე მომცრო, აგრეთვე სავაზნე. ეს იყო და ეს. ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით გამოჰყვა ნებუს, ცეცხლის პირას ჩამოჯდა და მტკივანი ფეხი მუხლზე გადაიდო.



— რატომ მოჰკალი მამაჩემი? — შეეკითხა ნებუს. — შესულილი რომაა, იმიტომ?

— მამაშენი?

ბიჭს მზერა დაენისლა, მაღალი მხარი უფრო მაღლა აეწია და ლოყას მისწვდა. სული რომ მოითქვა, ბავშვურად გაუღიმა ზანგს. თავისი მოკლე კურტაკის ჯიბეს შეახო ხელი. მისი თვალები ორი თაფლისფერი კარიბჭე იყო, რომელთა მიღმა დიდი თუ მცირე საიდუმლოებანი იმალებოდნენ.

ნებუმ ყოველივე უნდა მოითმინოს, ეს მთავარია. ეს არის კანონი. ბრძოლაში შეგიძლია წარბშეუხრელად მოკლა მტერი. მაგრამ როცა შენგან ერთხელ უკვე სიავექმნილი ადამიანი შემოგაკვდება, საზღაურად უნდა გაიღო — ძროხა, მოზვერი და თორმეტი თხა, ან კიდევ საყვარელი ცოლი. მაგრამ მას არაფერი მოეძევებოდა ბევნა გიბსონის საქმის საზღაურად გადასახდელი. მიწა კიკუიუებს აღარ ეკუთვნოდათ. ესეც არ იყოს, ვიღას უნდა უზღოს? ნაირობელ პოლისმენს? ინგლისის დედოფალს? ბევნას არავეინ ჰყავდა, ვეიშვილიც კი არ ჰყოლია.

— შენ რა... სამოგზაუროდ ხარ წამოსული? — ჰკითხა ნებუმ. — თუ ნადირობ?

— ასე მითხრა — ზანგებზე ვინადირებთო, — იცრუა ბიჭმა. — ნამდვილად აირეკა. თუ გავიგონია როდისმე, მონადირე მონადირეს ზურგზე მოკიდებულს ატარებდეს?

„შენ რომ გაიზრდები, ჩასმულ კბილებს ატარებ და ფეხშიშველს ივლი, — ნებუ ნათლად ზედავდა ამას, — სანახევროდ თეთრკანიანი ხარ.“

— მე ნებუ ვარ, — თქვა ნებუმ. — შენ რა გქვია?

ბიჭი გაფითრდა:

— შენ... შენ... ნებუ ხარ?

ბიჭი უცებ მოიკუნტა, სახე მაღალ მხარში ჩამალა და ნებუს ქვეშქვეშ გამოჰხედა.

ბოლო ხანებში მას სულ უფრო ხშირად ესმოდა მუსიკა; და ეს საგუბრის ფსკერზე ყრუდ და უღიმიამოდ მოკლრიალე სიმები კი არ იყო, არამედ მაღალი და წმინდა ზილი, რომელიც პატარა მწყემსების საკრავებიდან მორაკრავებდა იქ, მთვარის მათათა მწვერვალებზე.

ზანგი დასცქეროდა მას. ბიჭმა თავი უფრო დახარა და ეშმაკურად იჭვრიტებოდა იდაყვს ზემოდან. ამ ზანგმა ყოველ წამს შეიძლება შუბზე წამოაგოს, სიფხიზლეა საჭირო. „ფრთხილად!“ — ეწერა ბიჭის თაფლისფერ თვალთა კარიბჭეს მიღმა. და ეს კარიბჭე კვლავ დაიგმანა.

— მამაჩემმა... რამე გითხრა?

— არაფერი უთქვამს, — მშვიდად იცრუა ნებუმ. — ბევნა ძალიან დაღლილი იყო.

ბიჭი ქვეშქვეშ შეჰყურებდა, სწავლობდა მას. მერე წელში გასწორდა და მიაშტერდა:

— მე ახალგაზრდა ბევნა ვარ, დალიე ერთი ფინჯანი ყავა.

— ყავა, — სერიოზულად გაიმეორა ნებუმ და კარდალას შეჰხედა.

„ჩვენ, კიკუიუს ხალხმა, ამ ქვეყნის მიწა გავწმინდეთ, დავხანით და ზედ ყავა მოვიყვანეთ“, — ფიქრობდა იგი, როცა კარდალას ნაკვერჩხლებზე დგამდა.

— თქვენ ნაირობიდან მოხვედით?

— ჰო, ნაირობიდან მოვედით, — დინჯად მიუგო ბიჭმა და მოღრეცილი

კიდურის ფეხსაცმელზე სუფთა ლანჩას დაუწყო თვალიერება. — მე მგონია, შენ უფრო მეტ კითხვას იძლევი, ვიდრე შავკანიანს შეეფერება.

ნებუ ბიჭს მიაშტერდა და გვერდზე გაახედვინა.

„ვის უნდა უზლო, როცა მიმღები არავინაა? ან რით უზღავ, როცა ყველა თხა დიდი ხანია დაგიკარგავს? როცა მიმღები არავინაა, მთელ ტომს უზღავენ ხოლმე. ასეთი კანონი მოქმედებს ხეობებიდან ვიდრე იმ მხარემდე, სადაც მზე კენიას მთას ეფარება. საზღაურად აძლევენ თხებს, ძროხებს ანდა დიაცებს“. საზღაურად სხეული მიიღება — ლაღადებს კანონი, ნებუს კი არ გააჩნდა არავის სხეული, გარდა საკუთარი, ტყვიით გახვრეტილი სხეულისა.

— დალიე ყავა, გენერალო ნებუ, — შესთავაზა ბიჭმა.

ნებუმ ყავა თეთრკანიანის ტოლჩაში ჩაისხა და ხარბად შეუღდა ხვრებას. ცხელი სითხე ყელს უწვავდა, სურნელებითა და ძალით აღავსებდა.

ბიჭმა შეხედა და გამყივანი ხმით შეუყვირა:

— არა! — და აფრიკელს ტოლჩა ხელიდან გააგდებინა. მერე ჯანსაღი ფეხით მარჯვედ მიუჩოჩა შესქელებული რძის გაცილილი ქილა. — ამით დალიე!

ნებუს კიდევ ჰქონდა იმედი — აზვირთებული მძულვარება დამიცხრებოო. მაგრამ ამ გრძნობამ აიტაცა, დააბრმავა და მძაფრად განაცდევინა თავისი მარტოობა. და მან ხელები წაიღო თავის დამაბრმავებელი უცხო ყმაწვილისაგან.

— არა! — ისე იწვილა ბიჭმა, ხმა კინაღამ ჩაუწყდა. — ნუ, ნებუ, ნუ!

ყვირილმა იმოქმედა და ნებუს ბიჭის ყელთან გაუშეშა ხელები. მან თვალი ჰკიდა, როგორ ფართხალებდა ყმაწვილის ძარღვი თალხი კანის ქვეშ, როგორ გამოასხა ოფლმა ყელის ძირებში. ხელისგულის ერთი გვერდული დარტყმა და ეს არსება ტიკინასავით დაიფშვნებოდა. ზანგი ისევ ჩაუტყქდა, მხრებში მოიხარა.

— ყვავილივით... ბვანას სიგიჟე ყვავილივით ვადმოგედება, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, რომელიც კვლავ თრთოდა და თავისი მხსნელი ენა ჯერაც ხეივანიდან ვერ დაემორჩილებინა.

— მე დავლევ ბვანას ტოლჩით, — წყნარად თქვა ნებუმ.

თვალთა თაფლისფერი კარიბჭე უხმოდ დაიგმანა: „ნება შენია!“

*

ზანგი წამოდგა, აღმა შეუყვა და მდინარის პირას გავიდა. ფერდის ჰრილობა ხელახლა ალაპარაკდა. ნებუ მძიმედ ითქვამდა სულს და ნელნელა გრძნობას იკრებდა. ჩაყლაპა თავისი სისუსტითა და სირევგენით გამოწვეული წყენა, როდესაც ირწმუნა, თითქოს ცრუ ცეცხლი ჰეშმარიტი ცეცხლი ყოფილიყოს, მათრობელი ძალა — ნამდვილი ძალმოსილება, ხოლო თხის შავი კურკლი — შავი ალმასი. ნახევრადბვანამ ვერ მოაღორა ნებუ. მან შენიშნა, როგორ დაიგმანა ბიჭის თვალთა კარიბჭე და მიხვდა — ბიჭი მხოლოდ იმიტომ დამეთანხმა ტოლჩის თაობაზე, რომ ჩემზე სუსტი იყო. მაგრამ განა მამაკაცს თავისი კარიბჭე დაგმანული არ უნდა ჰქონდეს? ყველა ადამიანი აგებს ჯებირებს წეს-ჩვეულებათაგან და ამ ჯებირებს იქით უტხოს არასოდეს პატივებს ხოლმე. დალოცვილ დროს, ძველად, ერთი სომალიელიც ვერ გაბედავდა სასმელი შეესვა კიკუჟუს წმიდათაწმიდა სასმისიდან, რომელიც გოგრის კანისაგან გამოითლებოდა და ზეთისხილის ლანგარზე იდგმებოდა. დალოცვილ დროს, ძველად, როდესაც მეომარი დოინჯუმეოყრილნი დაალაჯებდნენ და თავს იწონებდნენ იმით, რომ ასობით მტერი ჰყავდათ გალამაზებული.



და ნებუმი აპატია ბიჭს.

მდინარე კლდეებს ებრძოდა, მშვიდ ადგილებს სწრაფად ტოვებდა და ქვემოთკენ ეშურებოდა ახალ-ახალ ბრძოლათა გადასახდელად. ნებუ ცეცხლის პირას დაბრუნდა, რათა მშვილდი აეღო და რამე მოეკლა სადილად. მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ახლა უკვე შაშხანის მფლობელი იყო. შვიდი მილის სიმაღლის გოლიათად წარმოუდგა თავი ზანგს.

VIII

შაშხანა სწორედ ისეთი გამოდგა, ნებუ რომ ოცნებობდა. ოფლით გაპრიანებული კონდახი მხარს მარჯვედ ებჯინებოდა; სამიზნეს რომ გაჰხედავდი, შეგეძლო ცა თანაბარ სეგმენტებად დაგეყო. აი, ფოლადის საარკმელში არწივს მოჰკარი თვალი; უმზირე დიდხანს, რადგან თითის ერთი გამოკვრით შეგიძლია მიწას დაანარცხო ღრუბელთა მეუფე! ნამდვილად ღვთაებრივია ასეთი გრძნობა. შაშხანა ხელზე გისვენია და ხელს შერწყმულია; დასაბამიდან შენთვის იყო განკუთვნილი იგი. ეს ისეთი დიდებული რამაა, კაცს სიმღერა მოგინდებდა.

ნებუმ მუხლებზე დაიდო შაშხანა და ხელის ზურგით შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ასეთი შაშხანის მქონეს გულმშვიდად შეგიძლია დაიძინო. ისევ ასწია და ლოყა ცივ ლულას მიახუტა — ასე შერებოდა ხოლმე კოკო. მერე თვალთ გაზომა ტყვიის საფრეწი რამდენიმე გზა. მას შეეძლო ხის წვერი ჩამოეგდო, მაღალი მთის თხემისათვის გაერტყა, შეეძლო გაფრენილი მტრედი მოეკლა. შაშხანამ განადგურების ნიჭი შესძინა.

ფერმკრთალ ბიჭს შეჰხედა, თავით ფეხებამდე ჩაათვალეირა: ტოტივით მოგრეხილი მტკივანი ფეხი; გადაჯვარედინებული თითები; სქელი ჭირვეული ტუჩები; ხვალინდელ დღესავით გამოუცნობი თაფლისფერი თვალები. „შენც, ნახევრადბვანა, შენც ადვილად მოგაშთობდი ამ შაშხანით“, — გაიფიქრა ნებუმ.

იგი წამოდგა და გაემართა. „რამე ცხოველი სადილად“, — ეუბნებოდა მშიერი კუჭი. ხოლო სულში იღვიძებდა მაღალი ოცნება, რომელიც არწმუნებდა — სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფე შეიქენიო ამიერიდან. თითქმის სირბილით შეერია შამბნარს ნებუ.

IX

შამბნარი მიელოდა და მოუთმენლობით ათრთოლებული უამრავი მწვანე ხელის ქნევით თავისკენ უზნობდა. მოიხედა, როცა მის ზურგს უკან შეერთდა ბანანის ნორჩი რტოები, და შესცურა მწვანე გამოქვამულში. შაშხანა ისე ეჭირა, თითქოს მთელი სიცოცხლე ეს იარაღი ეტარებინოს, იმიტომ რომ ერთობ დიდი ხანი იყო ოცნებით შაშხანას უკვე ატარებდა. და, აი, მას მართლაც ხელთ ჰქონდა ჩაბღუჯული შაშხანა და ეს ამბავი სულაც არ იყო უჩვეულო. ნებუ აღტაცებული იყო. ამიერიდან იგი იქცა მარილად ქვეყნისა.

მაგრამ თავმა განუცხადა: „კვალი ეძიე, ნებუ!“ და მისი არსების ის ნაწილი, რომელიც მონადირეს წარმოადგენდა, ამაო ფიქრებს მოეშვა და ცხოველთა წყალზე ჩასასვლელი გზების შესწავლა დაიწყო. ბილიგი გაეთელა ტყის ათასგვარ მკვიდრს — დიდსა თუ მცირეს, ბეწვიანს თუ შიშველთათიანს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ გზით წყალზე ჩადიოდნენ. ზანგი სწრაფად ჩაჰყვა ამ ბილიკს. ხელებს მაგრად ჩაებღუჯათ კონდახი, რომლის ღრმულები მასაის ტომის ქალიშვილთა ბარძაყების ღრმულებს მოაგონებდა; და ნებუ ფიქრობდა, როგორ გამოაფრქვევდა შაშხანა

გიალსა და ცეცხლს, როგორ იქცეოდა სიყვარულში გამოტეხილ უტკბილეს დიაცად.

ჯერაც ძალიან ადრე იყო საიმისოდ, რომ წყურვილის მოსაკლავად და ტანის გასაკრავად მდინარისკენ დაძრულიყენენ პატარ-პატარა, ჩასუქებული ღორები და ირმები, კაკბები, ციცრები, ანტილოპები და ნიამორები, რომელთა ხორცი თავად ყოვლადღიერსაც გამოადგებოდა საჭმელად. ნებუ გამართა მდინარიდან ათი-თორმეტი ფუტით დაშორებული მცირე ბორცვისაკენ, კონდახის რამდენიმე მარჯვე დარტყმით ადგილი მოისუფთავა და შიგ მოკალათდა ტოტებს ამოფარებული.

გარეულ ცხოველთა მრავალი თაობის კლანჭებითა და ჩლიქებით იყო აჩინჩენი სილიანი ნაპირი, ღრმა ნაიარევი დასჩნეოდა, ისე როგორც თიხის ჯამს დაჩნდება ხოლმე ბზარი. ნაპირზე შემობტორილ წყალში საითკენაც მიცურავდა მოზრდილი, მხრებგანიერი ბაყაყი; მისგან გაჩენილი ტალღები ორნატს მოგაგონებდათ.

ჩასაფრებული ნებუ განსხეულებისათვის გამზადებული ბნელი ლეგენდა იყო. სხეული ერთიანად ადგზნებოდა. ხელისგულებს ხშირ-ხშირად იმშრალეზდა კურტაკზე. იდაყვებისათვის მაგარი ადგილი მოძებნა. ახლა ქვის მრუმე მდინარედ ქცეულიყო და იცდიდა, იცდიდა შეურყეველი მოთმინებით აღჭურვილი. გაიხედა ლულის გასწვრივ, იქით, საითკენაც სულ მალე ტყვიების მბრწყინავი ნაკადი გაიჭრებოდა. ნებუს ბევრი რამ უსწავლია ბვანებისაგან. მან იცის, როგორ უნდა გახსნას მოპარული კომპოტის ქილა ლითონის პაწაწა მხეცის მეოხებით, ისე რომ ქვებზე არ დასჭირდეს მისი გატეხა; შეუძლია იდაყვექვეშ გაჩენილი ნაოჭივით ერთბეწო კლიტით გააღოს უმტკიცესი რკინის კარი. ისწავლა მაკრატლით თუნუქის ისევე იოლად გაჭრა, როგორც დანით კარაქს ჭრიან ხოლმე. მისი ცოდნის მარაგი დიდია და საკვირველი. კიკუიუთა უმრავლესობა ტყეებში ცხოვრობს და მათ ამდაგვარი რამეები არასოდეს სმენიათ. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრებაა ლითონის ცხოველი, რომელიც ახლა ხელთ აქვს ჩაბლუჯული; თეთრკანიანებმა არითმეტის დენტთან შეჯვარებით გამოიყვანეს ეს ცხოველი და მისით ისევე ხნავენ თავიანთ მტრებს, როგორც კიკუიუები მიწას ხნავენ კამეჩისა და ძროხის თვინიერი და ძაღვანი შენაჯვარით. ნებუმ მოიპოვა სასურველი ცხოველი და მისი მოხმარებაც ისწავლა. „იდაყვებით მაგარ ადგილს დაეყრდენით“, — სულ ამას უჩინებდა მათ ორი შაშხანის მფლობელი კოკო.

პირველად გამოჩნდა კაკაბი თავისი ბარტყებითურთ. ფეხჩქარებით, გულსხეთქვით მიგოგმანდა ერთ მდინარისპირა ვუბემდე. ზანგმა დაუმიზნა. მისი ღრმა, ავისმომასწავებელი თვლები, სახის წამოგზნებულ მოზიკაზე აკიანებული, პირქარით აალებულ რრ სანთელს ჰვავდა. ნელნელა უსწორებდა ლულას და თან სიამაყე ემატებოდა. თვითონ მარჯვედ მოკალათებული იწვა საფარში, ხოლო მისი ცნობიერება ქცეულიყო ხახვერადგანათებულ ბრძოლის ველად, სადაც იბრძოდნენ და უჩუმრად კვდებოდნენ მისი აზრები. ღორი, ანტილოპი და საჭმელად ვარგისი სხვა ცხოველები ტყიდან მდინარისპირს ჩადიოდნენ, მზე უფრო ღრმად იჭრებოდა ფოთლოვანში. ხოლო მის თავში მომწიფდა აზრი: „ეს არ შეშენის მეომარს!“

არ შეშენის ახალთახალი იარაღის ხმარება წვრილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. ეს იარაღი განკუთვნილია მძლეთამძლე ლომის, მძლავრი კამეჩის

ანდა გაიძვერა ლეოპარდისათვის, რომელმაც ძლიერის გვერდის ავლა და ძაბუნის ადევნება იცის. და ნებუ წამოდგა და ტყის სიღრმეს მიაშურა. ამოდ ეძებდა კვალს, გიდრე შუადღის მზემ არ დაარწმუნა, რომ ირგვლივ არსად იყო მისადევნებელი კვალი. სადგომიდან შორს წასვლა კი არ უნდოდა. კვალი არ გამოჩენილა, ვიდრე აბოლებულ ღრუბელთა ველი არ გადასვრა. ასე შე- არქვა ამ ველს თავისთვის იმის გამო, რომ იქ ბორცვებსა და ბორცვებს შუა ბოლივით ვაკლაკნილი მრეში ღრუბლები ჩამოწოლილიყო.

მიწის სუროისა და გამოხურვებულ სპილენძისფერი ცინერარიის დიდე- ბული ხალიჩა ფარავდა ამ ველს; აქ იზრდებოდა პოეტური პოდო, ხეთა შო- რის უმშვენიერესი, მზის სხივივით სწორი, რომელსაც სამოცდაათიოდე ფუტის სიმაღლეზე ედემურად მწვანე ფოთოლთა გვირგვინი ედგა. ხოლო ლელვის ხეზე, ძვირფასი თვლებივით მობრჭყვიალე ფოთლებით დამშვენებული ლელვის ხის ქვედა ტოტზე, სულ სამიოდე შუბის სიშორეზე ნებუმ დაინახა მისი მომლოდინე საზიზღარი. ურჩხული, რომელიც ამ მშვენიერ ველს ისევე არ შეჰფეროდა, რო- გორც წმიდათაწმიდა ჭურჭელში დაგორგლილი სიკვდილის მოციქული მამბა არ შეჰფერის ამ ჭურჭელს. ზანგი შეჩვეული იყო ფოთლის პირველსავე საეჭ- ვო შრიალზე გაქვავებას. ახლა იგი ქანდაკებად იდგა მზიანში.

ტოტზე ლეოპარდი იჯდა. წარბსზედა რკალები ქვეწარმავალს ამსვავსებდა საოცრად; ხახა პირგავლეჯილ ქისას მიუგავდა; წინა თათები გადაეჯვარედინებინა. სავსებით მშვიდი იყო, კისერი გველისნაირად არ ერკალებოდა და არც კუნთები უთრთოდა. ნებუმ შაშხანა შემართა. მხარზე მიიბჯინა. დაუმიზნა. მერმე წუთით სუნთქვა შეიკრა და სათუთად დააწვა ჩახმახს—მას ნანახი ჰქონ- და, როგორ შერებოდა ამას კოკო. მაგრამ ნებუ აპერდა და აპერდა თითს, არაფერი კი არ ხდებოდა, არაფერი ფეთქდებოდა. ლეოპარდი ცოცხალი იყო, უვნებელი.

ხელახლა გამოკრა ჩახმახი, ამჯერად უფრო მკვეთრად, მაგრამ თეთრ- კანიანის იარაღს არ სურდა მის ხელში ალაპარაკებულიყო. იგი აწვებოდა და აწვებოდა ჩახმახს, თითს გამოჰკრავდა და გასწევდა — ჩახმახი ჩხაკუნობდა მხოლოდ. შუბლზე ოფლი გამოასხა. ლულა იქით მიმართა და ხელახლა გამოკრა. ლულაში ზემოდან ჩაიჭვრიტა, ისე დააპირა თითი ჩახმახს. ტყვია რომ გაეარდ- ნილიყო, თავის ქალას წააცლიდა. მაგრამ ყრუ ჩხაკუნის მეტი არაფერი ისმოდა და ამ სიჩუმეში ნებუს გულმა ექვსიოდე სახლის სიშორეზე ისკუპა. მისი შიგ- ნეული ამბობდა და ისეთი ტკივილი მოჰგვარა, რომლის არსებობა აზრადაც არასოდეს მოსვლია. მთები გარს მოეჯარენ, გულის ფიცარი შეუნგრეის, ძვლე- ბი ერთიანად დაუღუწეს, გაჰყლიტეს ნებუ. და როდესაც მისი გვამი გაცამტვერ- და და მზის შუქი მიწას ხელახლა დაეფინა, მან დაინახა, რომ ლეოპარდი გამ- ქრალიყო. ლელვის ხე და ველი დაცარიელდა. ნებუს გული სტკიოდა, საშინე- ლი ეჭვები მოსძალებოდა.

ეტყობა, ნგაიმ, ყოვლისმხილველმა, დაივიწყა ნებუ. ნგაის, ყოვლისმხილ- ველს, რომელიც კენიას, ჯუჯას, აბერდარესა და ნგონგის მთათა მწვერვალებ- ზე სუფევს და კიკუიუს ხალხის ყველა შვილშია განზავებული, ყოვლისმხილ- ველს დიდზე დიდი ხანია მიუტოვებია ნებუ. თეთრკანიანებზე მოწყობილ ხუთ თავდასხმაში მონაწილეობდა ნებუ და შაშხანა ხელში ვერ მოიგდო. ხოლო რო- ცა შაშხანის ცივ კვალს წააწყდა და ბოლომდე მისდია, იმ ადგილამდე, სადაც კვალი შანთივით გაეარვარებული იყო, როცა ნანატრი იარაღი ხელში ჩაიგ- დო, აღმოჩნდა, რომ შაშხანას არ სურდა ნებუსთვის ალაპარაკება. მაგრამ მან იცოდა, რატომ მოეცარა ხელი. აბოლებულ ღრუბელთა ველზე გასრესილმა



და მიწასთან გასწორებულმა ნებუმ იცოდა, რატომ არ სწყალობდა ბედი. ნგაი ბრძანებს: ბოროტის მყოფელი დასჯილი იქნება, ვიდრე უძვირფასესს, უსაყვარლესს — თავის ჯოგს ან ცოლს თავისას — არ შესწირავს მსხვერპლად. ხოლო ნებუმ ორჯერ უყო ბოროტი ბვანა გიბსონს და ერთხელაც არ უზღავს სამაგიერო.

და უცებ, მსგავსად ზურგის ქარისა ან ზაფრანას პირველი ყვავილისა, მსგავსად ძველი ღვინისა, ნელნელა რომ გეკიდება და უეცრად მთელ შენს სისხლს კი დაეუფლება, ნებუს გაუჩნდა აზრი, თუ როგორ შეეძლო ბოროტის წილ საზღაურის გადახდა. მას ახლდა სხეული, ყოვლადძლიერის მიერ ნაწყალობევი სხეული, და იცოდა, სად უნდა მოეძებნა ბვანას ტომი საქანონოს გადასახდელად. ყველა ბვანა ნაირობელი იყო ან მომბასელი, ან კიდევ დაგორეტისთან, სმიტის ფორტში ცხოვრობდა, იქ, სადაც ძველად კიკუიუებმა გამაგრებული სოფლები ააგეს და უკუთვადეს ინგლისელთა პირველი ტალღა, რომელსაც მილორდი ლუგარი მოუძღვებოდა. ნებუ დაიბრუნებს ყოვლადძლიერის ნდობას.

ნებუ უკან გამობრუნდა. ფერდის ქრილობამ გაიღვიძა და მთელი გზა გაჰყვიროდა. როდესაც ნებუ სადგომთან მივიდა, ბიჭმა ცნობისმოყვარედ შეათვალა იგი.

X

დიდი წვიმები ნაშუადღევს დაიწყო. ნებუმ ბვანა დამარხა. ყველა წესის დაცვიტ დასაფლავა ბვანა, რათა შაშხანა წყევლისაგან განთავისუფლებულიყო. დანით გათხარა სამარე და ძველთაძველი ჩვეულების თანახმად ცხედარს გვერდით ორი ისარი დაუდვა. მიწის წაყრა ფეხების მხრიდან დაიწყო: მთელი სხეული ვიდრე არ დაიფარა, მოკლულის სახეს ნამცეცი არ დასცემია. მერმე მტვრიანი ხელები გაიფერთხა და ბვანასთან დაკავშირებული ყველა მოგონება გააძო სულიდან. ამ მოძრაობასთან ერთად წყევლაც უნდა ახსნილიყო. ფეხის წვერებზე აიწია, გაიმართა და ფერდის ტკივილი შეკრულ მუშტად მოეჩვენა, ჩაისუნთქა და დაელოდა, ვიდრე მუშტი გაიშლებოდა. ნათხარი მიწის გრძელ სწორკუთხედს ზურგი შეაქცია და მიაყურადა. წვიმის მოახლოება და შორეული გრგვინვა ჩაესმა ნებუს. სადგომისაკენ გაქანა. ბუნქნარიდან რომ გამოვარდა, ბიჭი მის ხელებს დააქცერდა. წვიმის პირველი წვეთები დაფანტული მტევნებივით აცვიოდა შიშველ თავზე.

— არაფერი მოგიტანია! შენ არ იცი შაშხანის ხმარება, — უთხრა ბიჭმა, რომელიც მის ხელებს თვალს არ ამორებდა.

ნებუ სხარტად ჩაცუცქდა და თაფლისფერ კარიბჭეთა დაგმანვამდე მოასწრო მათ მიღმა გადახედვა. მოეჩვენა, რომ მათში დინახა რაღაც სიცილის-დაგვარი, იარაღით საგულდაგულოდ გადაძალული. მაგრამ ბავშვზე გულისმოსვლა არ იქნებოდა. ლომს ხომ არ მოსდის გული წრუწუნახზე!

— მონადირე მასაი შერცხვენილი დაგვიჩა. იქნებ მიწისმუშა კიკუიუმ რაიმე ფესვები მოგვითხაროს საუზმედ?

მაშინაც კი, როცა თავი აწუნებს, ლომი არ უნდა ბღღვინავდეს. ბიჭი ბვანას მიერ საბნებისაგან მოწყობილ ჩარდახს შეეფარა. წვიმის მტევნები ცრემლთა უწყვეტმა ნაკადმა შეცვალა. ამ ცრემლთა ღვრას ზეცა მზის გამოჩენამდე აღარ შეწყვეტდა. ნებუს თვალი არ მოუშორებია ბიჭისთვის, ისე წაეტანა ერთ საბანს. ბიჭს ნესტოები აუთრთოლდა, ხოლო ნებუ საბანს მოეკიდა და წყლის წვეთები და ზედ დაკრული ფოთლები ჩამოფერთხა. საბანი



თავსა და მხრებზე ლაბადასავით მოისხა და თასმები წელზე შემოიკრა. მერე კვერცხივით ნაჭუჭში გახვეულმა ბიჭს მეორე საბანზე ანიშნა და წამოდგა. მხარზე გადაყიდებულმა შაშხანამ საბანი ამობურცა, წვიმამ წვრილი, სწორი, გრძელი და ფართოდ გადგმული ფეხები ჩამოჰბანა ნებუს. ამგვარ ფეხებს მონობის დროს არაერთხელ გადაუსერავთ მთელი კონტინენტი. გარდასული დროის უცნაურ ნატებს ჰგავდა ნებუ.

იგი გაბნეული ნივთების ზურგჩანათაში ჩაწყობას შეუდგა.

— საით გაუტეი? — ხმამალა შეეკითხა ბიჭი.

ზანგი წელში გაიმართა და ბიჭს მალლიდან დაჰხვდა. მტკივანი ფეხის მოგრეხილ ტოტს ჰკიდა თვალი და მოაგონდა, როგორი ტაატით, როგორ თავგზააბნეულად მიდიოდა მის წინ ბვანა. მას შურისძიების უცნაური ხერხი მოეგონებინა. თუკი ნებუს კვალის მიგნებას და მოკვლას აპირებდა, ჯუნგლებში უტვირთოდ უნდა წასულიყო. მაგრამ იქნებ ბვანას თავში დომხალა აღრევე, იმთავითვე იყო და არა მარტო დღეს, როდესაც ლამაზდებოდა. ქარიშხლიან ღამეს, როდესაც მსაბუ წაახრჩო, ბვანა ნამდვილად შეშლილი იყო. ამნაირი ტვირთით დამძიმებული ჯუნგლებში მხეცებსაც რომ არ დაეგლიჯათ, დაღლილ-დაქანცულს თვითონვე ამოხდებოდა სული. თუმცა საფრთხეს რომ იგრძნობდა, ბიჭი იქნებ თვითონვე მოეშორებინა თავიდან. ალბათ ასე იზამდა. ბვანამ იცოდა, რომ ნაცრისფერკანიანი ბიჭი მისი სისხლი და ხორცი არ ყოფილა და უყოყმანოდ მოულებდა ბოლოს. ჯუნგლების მკვიდრის უღმობელმა ლოგიკამ ნებუ სწორედ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა. ბიჭი იმთავითვე განწირული იყო.

თეთრკანიანთა ქალაქებში ხანგრძლივად ნაცხოვრები გენერალი კოკო იტყოდა ხოლმე: სირაქლემას ფრთებსა ჰგავს თეთრკანიანთა მოძღვრება ძმური სიყვარულისა. ჯერ არავის უნახავსო გაფრენილი სირაქლემი.

„ყური მიგდეთ, ძმებო, — მიმართა ერთხელ კოკომ ვეება მიმოზის ქვეშ შეკრებილთ, — ყური მიგდეთ! თეთრკანიანები ყოველ ქალაქში აგებენ სიკვდილის სახლებს. ზოგიერთ ქალაქში ჩამოსახრჩობი სახლებია, ზოგში — მანქანით ან ნაჯახით თავის წასაკვეთელი. სხვაგან კიდეც ისინი თავიანთ მოძმეებს სკამზე სვამენ, სკამში დენს უშვებენ და ისე წვავენ ადამიანებს. ჰოდა, თუკი თავიანთ მოძმეებს — თეთრკანიანებს ამას უშვრებინ, ჩვენთვის რაღა ექნებათ განზრახული!“

ბიჭმა უცნაურად გაიცინა.

— შენ... გეცინება? — შეხედა ნებუმ.

— იცი, შენ ჩემი ტარება მოგიწევს, — კმაყოფილი ხითხითებდა ბიჭი.

ნებუმ წყნარად გადააქნია თავი. იგი ბიჭის სიცილის გამო ფიქრობდა.

— მამაჩემი ხენეშოდა და ბორძიკობდა, როცა ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე მივეყვდი. ისეთი მემკვიდრე მყავხარ, სიამოვნებით მოგიშორებდიო. მაინცდამაინც არ გყვარებივარ მამაჩემს. ზოგჯერ ისიც მგონია — ეშინოდა ჩემი. როცა ერთხელ ნაირობში გასაცინებლად ვუთხარი — ბიჭები რუხ ვირთაგვას მესძახიან-მეთქი, სახეზე ხელები აიფარა და დიდხანს შემომყურებდა თითებშუა ჰერეტებიდან. ისიც გამიგონია — ჰკუაზე შეშლილა ჩემი დაბადების დღეს, შავკანიანებს რომ დედაჩემი მოუკლავთ. ჩემი გადარჩენაც ძლივს მოუხერხებია. შენ როგორ გგონია — დედაჩემზე აღრე ჩემი გადარჩენა რამ აფიქრებინა?

წამოსასხამიდან ფერმკრთალი, ჩამომხმარი სახე შემოსცქეროდა, სქელ ბაგეებს ღიმილი დასთამაშებდა, თაფლისფერი კარიბჭეები გაუწყნარებლად

იღებოდა და იგმანებოდა. ნებუ უმზერდა, მაგრამ მისი ცნობა დაბინდული იყო.

— მე ახალდაბადებული ვიყავი. ვერაფერს ვგრძნობდი. რატომ მაინცდამაინც მე გადამარჩინა?

და უცებ ბიჭმა დაინახა, რომ კიკუიუ ტყისკენ მიდიოდა. მალევე დაბრუნდა. თავჩაქინდრული მოემართებოდა, წვიმის ვერცხლისფერ შოლტებს სახეს არიდებდა. ტყიდან ორი მაგარი ორკაბი ჯოხი მოიტანა, ბიჭის წინ გაჩერდა და რამდენიმე ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლებითაც ახვედრებდა — ჯოხების დახმარებით ასე უნდა იაროო. მერე ჯოხები მიწაზე დააწყო, ბვანას პლასტმასის დასაკეც ტოლჩას დასწვდა და კურტაყის ჯიბეში ჩაიდვა. ეს ის ტოლჩა იყო, დილით ბიჭმა ხელიდან რომ გააგდებინა.

ბიჭი სახეგაქვავებული დასჩერებოდა ყავარჯნებს. მერე ჩარდახს მოეკიდა და წამოღვა. მტკივანი ფეხი უმწეოდ მოსთრევდა მიწას. ყავარჯნები გასინჯა. აღმოჩნდა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმ ყავარჯნებს, რომლებსაც ხმარობდა ნაირობში და აქეთ გამოგზავრებისას, ვიდრე მდინარეში ჩაუვარდებოდა. წყალში ნიანგის ხახები მოჩანდა და ბიჭი იმედოვნებდა — მამაჩემი ყავარჯნების ამოსაღებად წყალში ჩავაო. ბიჭმა ზანგს გაუღიმა და უკან გაჰყვა.

XI

ქალაქ კიამბუში, შავკანიანებით გაჭედილი, ეკლიანი მავთულით შემოღობილი ბანაკის გვერდით მდგარ რკინა-ბეტონის შენობაში, პოლიციის ინსპექტორმა გაიზიარა შეხედულება არმიის ახალგაზრდა ლეიტენანტისა, რომელიც ეს-ესაა თავისი რაზმითურთ ნაირობიდან ჩამოსულიყო. მისი აზრითაც ამ ოპერაციით შეიძლებოდა კიკუიუს ბანდის სრული განადგურება. პირქუში ახალგაზრდა ლეიტენანტი ტრიალა სკამის საშურგეზე გადაწვა კმაყოფილი იმ ამბით, რომ ზემდგომი დაეთანხმა.

— ახლა ჩვენ მხოლოდ ეტიკი გვჭირდება, გამოცდილი, იმ მხარის კარგად მცოდნე გამყოლი.

— გიბსონი საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა, — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა.

— მამ მომეცით გიბსონი.

— გაქრა სადღაც.

— გაქრა? ვინ არის გიბსონი?

— პლანტატორია. უცნაური ამბავია, ამ ორი კვირის წინანდელი. გიბსონი და ის მახინჯი... ვაჟი... მისი ვაჟი...

— თქვენ იმის თქმა გინდათ — შავკანიანებმა გაიტაცესო? ამის თაობაზე პატაკში არაფერი იყო ნათქვამი, არა?

პოლიციის ოფიცერმა თავი გადააქნია.

— არა. უფრო სწორად, ჩვენ არაფერი ვიცით — ამ საქმეში კიკუიუს ხელი ურევია თუ არა. გიბსონი უბრალოდ... გაქრა, ისა და მისი მაიმახი ბიჭი.

— მაშინ კიკუიუს საქმე ყოფილა. მაიმახიო? რა გინდათ ამით სთქვათ — ზეიბარია?

— არა, ისეთია... ერთი სიტყვით, უცნაური. მაგრამ ეს გრძელი ამბავია, ძველი ამბავი. საგანგებო მდგომარეობამდე მოხდა ეგ ამბავი, ვიდრე მე აქეთ გამომამწყსებდნენ. გიბსონის ცოლი მშობიარობის დღეს მოკლეს. სახლი დიწვა. იქნებ ამ მხარეში მალე-მალე პირველ გამოსვლას უნდა მივაწეროთ ეს

ამბავი. ყველა იმ აზრის იყო, ამ ამბის შემდეგ გიბსონი შეირეკაო. თუმცა ჩვენ ამ საქმისათვის საეულდაეულად არასოდეს მოგვიკიდიდა ხელი. ისე კი მითხრეს — ერთი ზანგი, რომელზედაც ეჭვი აღეს, სწორედ მკვლელობისა და სახლის დაწვის დღეს გაქცეულა.

— ჰმ, ასეა თუ ისე, ჩვენ ამით არაფერი გვეშველება. ეტიკი ახლავე გეჭირდება. წვიმების დრო დადგა და ზანგები აღარ მიგველიან. ჩვენ შეგვეძლო ოც-ოცდაათკაციანი რაზმით დაგვერტყა და ორი ნალმტყორცნიც მიგვეშველებინა, ამ დაწყევლილ ჯუნგლებში სწრაფად გადაადგილება რომ ეხერხებოდეს. რაც მთავარია, უნდა გავანადგუროთ იმის ბანდა... რა ჰქვია იმას?

— კოკო, — თქვა პოლიციის ოფიცერმა, — გენერალ კოკოს ბანდა. მე მგონია გიშოვნოთ კარგი ეტიკი. უბედურება ისაა, ახლა ყველას ჰგონია, საგანგებო მდგომარეობა დამთავრდაო და თავიანთი ყავის პლანტაციების გარდა აღარაფრის გაგონება აღარ უნდათ.

არმიის ლეიტენანტი წამოძვდა.

— ყავის პლანტაციები? ერთი მოაგონეთ ლომანის ფერმის ამბავი.

ტანმალალი და მხარბეჟიანი ლეიტენანტი მიუვალ ციხესავით პირქუშში იყო.

XII

კლანჭებით წეწავდა დედამიწას, ტყის სახურავს ჩამოჰკიოდა წვიმა. ხეთა წვეროკინებს ავად უტლამუნებდა, მოთქრიალებდა, რტოებს ამტკრევდა, ფესვებსა და ფესვებს შუა ღვართქაფად მოედინებოდა. დელგმას დაეპურა დღის სინათლე. გაშიშვლებული სხეულებივით ელავდა მრუმეში ხეები.

ნებუ ტლაპოში მიალაგებდა. უკან თავჩაქინდრული ბიჭი მოკელანობდა — ყავარჯნები წამისწამ ტალახში ეფლობოდა და მთელი ძალის მოხმარება უხდებოდა ამოსაქაჩად. მტკივანი ფეხი მიწას მოსთრევდა, სიარულს უშლიდა. მაგრამ, როდესაც თავს ასწევდა წინმიმავალი ზანგის დასანახად, მისი მხერა ნათელი იყო. ბიჭს არ სურდა ნებუ დაჰკარგოდა.

დაჭირდა ფერდი ხოჭო შესჩენოდა, კანქვეშ მოკალათებულიყო და ისე იკაწრებოდა, როგორც ლეოპარდი რკინის სახურავზე. ნებუ ხოჭოსთან შესიტყვებით იყო გართული. ფერდი აუტანლად ექავებოდა. ბენას ტყვია ძლიერი გამოდგა. მართალია, მან ვერ შეძლო სხეულში ჩარჩენილიყო, მაგრამ კანქვეშ ხოჭო მიინც დაუტოვა თავის გასახსენებლად. შაშხანავადაკიდებულს სიარული ეძნელებოდა, ამიტომ ნებუმ იარაღი ხელში დაიჭირა — ვითომ სიფრთხილეს თავი არ სტკივო. არ სურდა ნახევრადბვანა მიმხედარიყო, რომ მას ეშინოდა ამ შაშხანისა. შაშხანა უსიცოცხლო იყო, ცივი, და ვინ იცის, რა უბედურებებს დატეხვა შეეძლო.

ერთმა აზრმა ბიჭს შანთივით დაუღალა ტვინი. იქ, სადგომთან, ზანგი დაიხარა, რათა მის თვალეზში ჩაეხედა — არ ენდობოდა მის თვალებს. აქეთობისას კი გიბსონი ერთხელ ისე შეაძრწუნა ბიჭის გამოხედვამ, შემდეგში შაშხანა მისი ამარა აღარ დაუტოვებია. მერე რა მოხდა? დაუკვირდი — ამ დილითაც, მოსასაქმებლად რომ მიდიოდა, გიბსონმა შაშხანა წაიძლო და ისე გამოადგა, მეტი აღარ შეიძლება. ამ აზრმა გაუხვრიტა ტვინი იმ წამს, როცა ზანგი მის თვალეზში მიჩქმალულის ამოკითხვას ცდილობდა. ასე ბიჭსაც ძალიან უნდოდა ნებუს აზრები ამოეითხა, ვთქვათ, მის ტერფებზე.

„შეხედე ამ დიდრონ ტერფებს, ტლაპოში რომ მიაბოტებენ. მტვერში ამოგანგულულ ქონის ნაჭრებს ჰგვანან ისინი. ნეტავ რა იცის ამ ზანგმა? მისა

ტერფები მიწაში ღრმად ეფლობა და მერე მაღალზე ადის. მათ ფარავს ბნელი საიდუმლო, რომელსაც თავის შავს თავში დაატარებს ზანგი. მაგრამ წვიმა უმალ ჩამორეცხავს ხოლმე ამ საიდუმლოს, ვიდრე მე ერთი სიტყვის წაკითხვას მაინც მოვასწრებდე. მის ტერფებს თვალები ასხია. შეხედე, როგორ ერიდებიან ქვებსა და შექუჩულ ფოთლებს! მათ იციან — ფოთლოვანებში გველებია ჩამალული“.

ბიჭმა იცოდა — არის ისეთი ეკლები, ზედ ფეხის დამდგმელს უქველად მოაკედინებენ. შხამი სისხლს აპყვება, ვიდრე გულს არ მიადწევს. მაგრამ ამის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. შავკანიანი ისევე იცნობდა თავის მიწაწყალს, როგორც ლეკვი იცნობს დედის ძუძუს. მის... მამას მაღალყელიანი ჩექმები ჰქონდა და მუხლებამდე კი დაეხა ჯუხგლებში. მას უფლება აქვს მამად მიიჩნიოს გიბსონი. გიბსონი ნამდვილად მამამისი იყო. უტვინო ბერიკაცმა რალაც მოჩნახა, რომ ეს... ეს...

ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა თავისი ვიწრო მკერდით და დიდ ადამიანად შეიცნო თავი. ზოგჯერ აზრად მოსდიოდა — იქნებ ცუდიც იყოსო დიდად ყოფნა. სხვები იმას სჯერდებოდნენ, რომ პატარები იყვნენ და სულელები. იქნებ სჯობდეს კიდეც პატარა და სულელი იყო! ყოველთვის როდია სასიამოვნო იმის შეცნობა, რომ აზრის ერთი დაკვესებით ერთი პატარა სულელთაგანის მოკვლა შევიძლია. ბევრგზის განუშორებია აბეზარი აზრი, რომ მას შეუძლია მოკლას გიბ... მამამისი, და ეს აზრი მუდამ უბრუნდებოდა თავის სამყოფელს სადღაც კეფის არეში. მას ჰქონდა სისუსტის წუთებიც, როცა შიში იპყრობდა — ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ შევძლებ კეფაში დავამწყვდიოო ეს აზრი. მაშინ მარტოდმარტო დარჩება ტყეში. და მაშინ მთვარეზე მცხოვრები პატარა მწყემსები სიცილით დაიხოცებიან მისი შემყურენი და მიანიშნებენ კიდეც — აჰ, მაღლა, ადგილი შენთვისაც მოიძებნებაო. იგი მარტო არ დარჩება ამ დაწყვეტილ ტყეში, ოღონდ ყოველთვის, როცა კი შავკანიანს შეხედავს, უმშვენიერესი აზრები კეფისკენ უნდა გადალალოს ხოლმე.

წვიმა მხიარულად შხაპუნობდა ველებზე, ხარობდა, რომ მიწის შესახვედრად ტოტებთან ბრძოლა აღარ სჭირდებოდა. წყლის ნაკადი გაუწყნარებლად ჩამოთქრიალებდა ნებუს სახეზე, ყელთან მილიკლიკებდა და წელის არეში გროვდებოდა. ზანგს ქვედა ტუჩი გამოეშვირა, პირში მოხვედრილ ტბილ წყალს ყლაპავდა. ეს წყალი მაღალი ზეცის მადლით იყო აღვსებული, ყოვლადძლიერის საუფლოდან მოედინებოდა. მას მაცოცხლებელი ძალა შესწევდა, პოდოს მშვენიერ ხეს ფეროვნებას ჰმატებდა და გალობად უხმობდა შრომანს. გამოგვალულ მოწითალო ნიდავგს რუხი, ალაგ-ალაგ კი შავი ფერი ეძლევა. ხანი გამოხდება და ნიდავაგი ნაყოფს გამოიღებს, ბალახით დაიფარება. ბალახი ნიამორებს გამოზრდის, ამათ კი თავის მხრივ ლომები შთანთქამენ.

ორი დღეც არ დასჭირვებია, რომ ბევანას დასწვოდა. მართალია, დილიდან საღამომდე მისდევდა კვალს, ძალღონით იყო აღსავსე, მუხლები და კოჭები ზამბარასავით მარჯვედ ეჭიმებოდა, მსუბუქად სუნთქავდა და არც ფერდის ჭრილობა აწუხებდა. მაშინ გრძნობდა, რომ დიდი იყო, რადგან მის ქვეყანაში შემოჭრილ მტერს ასდევნებოდა. ახლა კი ტვინში ეჭვი აუჩუჩუნდა. ბევანა ხომ ნამდვილი მტერი არც ყოფილა! ბევანა გიბსონს გასაჭირში ჩაეარდნილი უფრო ეთქმოდა. წლებმომატებული, განაწამები ნებუ მიაბიჯებდა და გამოქვაბულს დაეძებდა.

ლამე ჩამოვდა, ნამდვილი ლამე და არა ხეებქვეშ დელგმით დამკვიდრებული წყვილი, და იმ გამოქვაბულის შესასვლელიც ამოქოლა, ნებუს რომ ლამის სათევად შეერჩია. გამოქვაბული საესებით მშრალი იყო, ღრმად მიდიოდა. ნებუს ათიოდენ ნაბიჯით დაშორდა შესასვლელს და სიღრმეში სამი ისარი სტყორცნა. ესმოდა, როგორ აისხლიტა სამივე ისარი უკანა კედელზე. არა მხეცი არ აღრიალებულა და არ გამოვარდნილა. ნებუს ბევრს ბენზინის სანთებელათი ფიჩხს მოუკიდა. გველებიც არ ჩანდნენ. მაშინ გამოქვაბულში შევიდა და თავისი ისრები აკრიფა. ერთს ბუნიკი წასტეხოდა. ცეცხლი გააჩალა და მოსასხამი მოიხსნა. ბიჭი უკვე ცეცხლისპირს მოკალათებულიყო, ყვარჯნები კედელზე აეყუდებინა. ნებუს ზურგჩანთაზე ანიშნა. ბიჭმა დააყოვნა, მერე კი გახსნას შეუდგა. თან ცდილობდა აფრიკელისათვის ზედაც არ შეეხედა.

ცეცხლი უზარმაზარ გუფასავით კიაფობდა გამოქვაბულის თვალის ბუდეში. ზანგი ბნელში გაუჩინარდა და ფარჩხით დატვირთული შემობრუნდა. ცეცხლი მთელ ლამეს უნდა ენთოს. მან წვიმის წყლით გავსებული კარდალა ცეცხლის პირას მიდგა. ყავა მოზრდილ მიხაკისფერ ქილაში იყო. ცელოფანის პარკში ბეკონის გვარიანი ნაჭერი აღმოჩნდა. ნებუს წინაშე ეწყო შაქრით და ფქვილით, შაშხითა და სარდინებით სავსე თუნუქის ქილები. ასე მდიდარი არასოდეს ყოფილა ნებუს. ყავა რომ მოღულდა, ბენა გიბსონის ტოლჩა ამოიღო. ბიჭმა კარდალა გადმოვდა და შეუესო.

ბიჭი უსმენდა მის არსებაში გახმიანებულ მუსიკას, რომელიც ხეთა შორის მოთქრიალენ წვიმის ხმაზე მაღალი იყო. ეს იყო იღუმალის და მშვენიერი მუსიკა. იგი არ ჰგავდა რადიოთი გადმოცემულ ჰანგებს, ზევით-ქვევით რომ აღი-ჩამოდის. ეს მუსიკა მაღლიდან მოედინებოდა, ვარსკვლავთა საუფლოდან, და საოცარ აზრებს აღუძრავდა. ეს მუსიკა გახმიანდა ერთხელ, აქეთობისას, მამას რომ ზურგზე მოკიდებული მოჰყავდა. ამ ამბის შემდეგ გიბსონი ზურგზე მოკიდებამდე მუდამ ხელებს უყოჰავდა.

— მე მიყვარს, როცა ლამეს შინ არ ვათეგ ხოლმე, — თქვა ბიჭმა და ყავა დაუსხა მღუმარე ნებუს. — ნაირობელი ბიჭები ჩემზე ამბობენ — ხელიც ჰგავსო, ხელიც გეკოს. იცი, რომელია ხელივი გეკო? ნაცრისფერია, ღამლამობით ბუბუბუყი იცის. ნაირობელი ბიჭები მეუბნებიან — ამ ხელიც ჰგავხარო, მე კიდევე ავბუბუყუდები ხოლმე და თვალებს გადმოგვარკვავ. გინდა, გადმოგვარკვლო თვალები? ავბუბუყუდე შენთვის?

ყავადანი იქით მიდგა და სახე ღრმად, საზიზღრად დაინაოჰა, მართლა გეკოს სახეს დაიმგვანა, ხორხიდან კი ამაზრზენი ხმები ამოუშვა: „ურკ, ურკ, ურკერ, ურკ“. თან თვალს ადევნებდა ნებუს.

— ან, თუ გინდა, აფთარივით გადავიხარხარებ! ან კიდევე ხვადი ნიანგივით მოყვეები ყეფას!

უქიფოდ მყოფი, ჩიხში მომწყვდეული ნებუს ცეცხლს ჩაშტერებოდა. მას საკმარისად არ უზღავს თავისი დანაშაული. იმიტომ რომ, მართალია, კანონი დალადებს — სხეულით უნდა ზღო, მაგრამ იგულისხმება ისეთი სხეული, რომლის გაცემა უფრო ღარიბს, უბედურს გავხდის. სიტყვაზე, ეს შეიძლება იყოს თხა, ძროხა ან ხელმარჯვე ცოლი შენი. მისი ჭრილობაც კი არ იყო საკმარის საზღაური იმისა, რაც მან ბევრს უყო; ფერდში ხომ ტყვიაც არ იყო ჩამჯდარი, ხოჭო იყო მხოლოდ. ზოგ ჭრილობაში მბდღვინავი ლომი ზის, ზოგს ლეოპარდი წიწკნის ბრჭყალებით. სასიკვდილო ჭრილობებში ხეებს ძირფესვიანად გლეჯენ გამძვინვარებულ სპილოთა ჯოგები. ნახევრადბენა ნამდვილი



ხურდა ფულია. მისი მსხვერპლად შეწირვა იგივე იქნება, სულაც უარია რომ თქვას საზღაურზე. მასაის ქალის ნაშობი ვაჟიშვილი სხეულით ანაზღაურებისათვის აუცილებელი იქნებოდა. ნელად მიმავალ ზვიად მდინარესა ჰგავს მასაის ქალი — მშვენიერია და ხელმწიფური იერის მქონე. მისგან შობილი ვაჟიშვილი ახალთახალი ნაღდი ვერცხლის ფულია.

ნებუმ ჩაისუნთქა გარედან მონაბერი წმინდა ჰაერი. მერე ცეცხლის იქით მჯდარ მის მოთვალთვალე უტიფარ ბიჭს შეხედა. იცოდა — ბიჭი გულში მასხარად იღებდა. მხარი შეიცვალა წამოწოლილმა და რაც კი შეეძლო ხმატკბილად შეეკითხა:

— ბენას საღვთო წიგნი წაგიკითხავს?

თაფლისფერი კარიბჭენი განეხვნენ.

— შენ გინდა თქვა — ბიბლია?

ნებუს მოაგონდა მოხუცი ბელადი მოზრდილთა სკოლაში. ტომის უხუცესთა თავყრილობის მრისხანე მოპაექრემ ისე ბეჯითად შეისწავლა ინგლისური წიგნები, რომ ბენებთან კამათისას მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. მტერს მისივე იარაღით განემგერდა. და ნებუმ აღმოთქვა სიტყვები, რომლებიც მოხუცმა ბელადმა ერთხელ უთხრა ინგლისელ პოლიციელს:

— ამიერთვან, — ნებუ ენის ტეხით ამბობდა უჩვევ სიტყვებს, — ამიერთვან რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალუნ, ნუ უკვე დაეცეს. ბიჭველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი მეათე, მუხლი მეთორმეტე. ბიჭმა ტაში შემოკრა და გამოქვაბულის ეხომ ხმა გაიმეორა.

— ვაჟა! — შეჰყვირა ბიჭმა. მის არსებაში სულ უფრო მძლავრად ხშიანებდა მუსიკა.

ნებუმ ჩაახველა და ჭრილობის ირგვლივ თითი მსუბუქად შემოატარა. ქაილის დათმენა აღარ შეეძლო.

XIII

გამოქვაბულის შესასვლელთან წვიმა ქვევს ესხმებოდა და უმციორეს შეხფებად იფანტებოდა. და ამ შეხფებში გულადად იღუპებოდნენ აბრიალებული ცეცხლისაკენ მოძქროლავი ფარვანები. ნებუ — შავად მოკიადე, მდუმარე და შეუცნობი ღვთაება — უთვალთვალებდა, როგორ გულდაგულ ინთქებოდნენ ცეცხლში მწერები. ერთი მათგანი შაშხანის ლულაზე დაფრინდა და პაწაწინა ფრთები დაკეცა. მსხვერპლი იყო, მტერით დაფარული. „სუსტია, გაუბედავი, — გაუელვა ნებუს, — სკვდილის ეშინია“. იგი უმზერდა ცეცხლის აღისკენ უშიშრად მიმქროლავ ფარვანებს.

შაშხანა ხელში აიღო და მხდალი ფარვანა დააფრთხო. ბიჭმა მყისვე თავი წამოსწია, ნებუს ჩააშტერდა. ზანგმა კონდახი ლოყაზე მიიღო, სამიხნე ფარვანას მიაყოლა. მწერი ბიჭს შუბლზე დააჯდა და ნებუმაც ჩახმახი გამოკრა.

— ჭახ! — სერიოზულად თქვა მან.

გაფთრებულმა ბიჭმა შუბლზე ხელი იტყეცა და ფარვანა გასრისა.

— მე მოვკალი ფარვანა, — თქვა ნებუმ. — სუსტი ფარვანა მოკვდა.

ბიჭმა ლულას ჩაჰხედა. ფერმკრთალი სახე მიწისფრად ქცეოდა, ნესტოები დაეწროებოდა.

— ცუდ დღეში ჩავარდი, — მთრთოლვარე ხმით თქვა მან. — ცუდი დღე გადგას, კიკუიუ. სულ მალე თეთრკანიანი ჯარისკაცები მოგვლავნენ შენ.

— ფარვანა მოკვდა, — გაიმეორა ნებუმ, — ხომ დაინახე, როგორ მოკვალა?

თვალთა თაფლისფერი კარიბჭენი ფართოდ განეხვინა, ზანგი წაიხარა და ჩაჰხვდა.

— ამ შაშხანით ვერასოდეს მოკლავ ვინმეს! — დაიკვილა ბიჭმა. — შენ მამაჩემიც კი გჯობდა. ნამდვილად გჯობდა! თავის საკმელსაც შოულობდა და ჩემსასაც, ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდა! აბა! მამაჩემი თეთრკანიანი იყო, გესმის, თეთრკანიანი! შაშხანას შენთვის ჯადო აქვს დადებული, შავი კიკუიუ!

ნებუ მშვენივრად იყო მომზადებული ამ სიტყვებისთვის. ხმა ნაზი ჰქონდა და მოალერსე.

— ჭიამ არ იცის, ფერი რა არის. დიდი წვიმების დროს კი ყველა ჭიალუა მიწისქვეშ მიძვრება. მათ კარგი საქმე გაუჩნდებათ. ზვალ დილით ბვანას კანი აღარ შერჩება და ყოვლადძლიერი მას ჩემგან ველარც განასხვავებს. — ეს სიტყვები კიკუიუს ენაზე წარმოთქვა და ახლა ძველთაძველი სიბრძნის სიმძიმით მოდრეკილი მღუმარედ მისცემოდა თავის საფიქრალს. — ასეთია ყოვლადძლიერის წესი. ჩვენ კანგაცილილი წარვდგებით მის წინაშე. არც შეგკანიანი იქნება ვინმე და არც თეთრკანიანი. ეს დიადი ჭეშმარიტებაა.

— აყროლებულო მძორო! — დაუყვირა ბიჭმა ავრეთვე კიკუიუს ენაზე. ნებუ შეკრთა. თავისთავს უცბად დაეუფლა და იმდენი წამის განმავლობაში იყურებოდა განზე, რამდენიც საჭიროა ერთიდან ოცამდე დასათვლელად. მერე ბიჭს გაუსწორა მზერა.

— შენ ჩემი ენა გცოდნია, — კიკუიუსავე ენაზე უთხრა ნებუმ. იგი პურივით უშფოთველი იყო. — ბედნიერი ვარ, რომ შენ ჩემი ენა გცოდნია.

მათ ოღნავ დაუკრეს თავი ერთმანეთს, როგორც ჩაის სმის დროს ერთმეორისათვის ფინჯანის გადაცემისას იციან. მაგრამ ნებუს არსება შინაგან ტივილს მოეცვა. იგი დაძაბული იყო. კურტაკი შეიხსნა და კვლავ მოისვა თითი აქავებული ჭრილობის ირგვლივ. ბიჭმა დაინახა ჭრილობა.

— შენს ადგილას ჭრილობას თავს გავუხსნიდი, — თანამგრძნობი კაცის ხმით უთხრა მან. — თავს გავუხსნიდი და ჩირქს გამოვრწყავდი.

ნებუ გაოცდა.

— რა... ჩირქს?

წარბშეკრული ბიჭი ყოველ ღონეს ხმარობდა სახეზე ანგელოსური გამომეტყველება აღბეჭდოდა.

— ჩირქი უკეთური წყალია, — ალერსიანად მიუგო მან. — ეს წყალი აღამიანს კლავს.

— დიდი არაფერი ჭრილობაა, — თქვა ნებუმ მცირე დუმილის შემდეგ. — ხოკოა მხოლოდ. — მისი თითები უფრო მაგრად იფხანდნენ მტკივან ადგილს.

ბიჭმა გულიანად ჩაიხითხითა. რაღაცას ნიშნავდა ეს სიცილი. ოღონდ ეს იყო — არ ღირდა იმის იმედად ყოფნა, რომ ზანგი ჭრილობის თავს გაახსნევინებდა. საიდან მოივონა ნეტავი — ზანგს ჩემი ნდობა გაუჩნდაო? ცოტა უფრო დიდი რომ ყოფილიყო, დანას იხმარდა. დიდებული განცდა უნდა იყოს — დანას ნება-ნება, გულდაჯერებული ჩაუშვებ სხეულში და თან შენი მსხვერპლის სახეს თვალს არ მოაცილებ. ერთხელ ასე უქნა სეტერს, წითური ხარის — მამამისის ძაღლს. ამ ამბავზე მამას კინაღამ შემოაკვდა. სეტერს სახე გახევებული ჰქონდა, ზედ არაფერი აღბეჭდილა. მხოლოდ კბილები ვაღმოყა-



რა და რაღაც დაიკმუველა ძალღურად. მაგრამ ზანგის სახე ასე უგრძობელი არ იქნება. წყეული შავი კანი ჩვარივით დაეკმუტუნება ალბათ.

— შენ თეთრკანიანთა სკოლაში დადიხარ? — ჰკითხა მოულოდნელად ნებუმ.

ბიჭი გაიკრიჭა. კიდევ ხომ არ აპირებს ეს ზანგი საღვთო წერილის ადგილებს თქმას?

— კი, თეთრკანიანთა სკოლაში დავდივარ, — დაუდასტურა მან.

— და მათ ეკლესიაშიც დადიხარ?

— მათ ეკლესიაშიც დავდივარ.

— და მათთან ერთად უზიხარ სუფრას?

— მათთან ერთად ვუზივარ სუფრას, გენერალო ნებუ. შენ — არა? —

ლვარძლიანად ამბობდა ბიჭი.

— და თეთრკანიანთა ბავშვებთან ერთად თამაშობ? — ღელავდა ნებუ. — თეთრკანიან ბავშვებთან?

მალახშიანი მუსიკა ტვიზს უხვრეტდა ბიჭს. დაძაბული უსმენდა და მის ხმას შეწყობილი განივრად მიიბიჯებდა თავისი სალი და ღონიერი ფეხებით. მისდევდა ამ მუსიკის წვერმახვილ ალმებს აგრიალეზულ, აგუგუნეზულ სივრცეში ვარსკვლავთა შორის. იქ, მალა, თავს ისე გრძობდა, როგორც საკუთარ სახლში. სინათლის გზები გამრავლების ტაბულასავით იცოდა. თერთმეტს მივუმატოთ ოცდათერთმეტი, იქნება ორმოცდაორი, ცამეტჯერ ორმოცდაორი — ხუთას ორმოცდაექვსი, ხუთას ორმოცდაექვსი გაყოფილი ჩვიდმეტზე — ოცდათორმეტი და დაახლოებით ას თვრამეტი მეთათსედი. იგი მეორე კლასში იყო, მაგრამ მეოთხეკლასელთა ამოცანების გამოყვანა შეეძლო უკვე. რას ფიქრობს ეს უტვინო ზანგი? ჩავარდნილ მკერდზე წაივლო ხელები.

— მე თვითონაც არ მინდა იმათთან თამაში! გესმის, შავო ჩერჩეტო! — დაუყვირა ნებუს.

ნებუმ ცეცხლს შეუყვითა და გამოქვავებულში ცოტათი დათბა. ბიჭი კიკუიუს ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ნამდვილი ბვანა იყო, ერთი ბვანათაგანი. ნებუს თავისი სიამაყე შევლოდა. როცა კაცს რასმე მოპარავ, ვალდებული ხარ იმდენივე ან უფრო მეტიც დაუბრუნო. რამე წაკლებღირებულის დაბრუნება უპატიოსნებაა. ხეიბარ ნახევრადბვანას ნებუს თვალში ფასი მოემატა იმის წყალობით, რომ კიკუიუს ენა იცოდა. ჯერ კიდევ ბევრ რამეს ისწავლის ნებუსაგან, ვიდრე თეთრკანიანებს დაუბრუნდებოდეს. იქნებ მათი ერთად მგზავრობისას ბიჭს კიდევ უფრო დასაფასებელი თვისება გაუჩნდეს! ადევნებული მოუთხოვდა ყოვლადძლიერს ნებუ, როგორ დააშუქა მის არსებას მზის სხივმა. ისევე აიღო შაშხანა. მაგრამ ყოვლადძლიერმა თითები გააშლევინა და თოფი ხელიდან გაუვარდა. ძილი ერეოდა და გრძობდა ამ ამბავს.

საჭირო არაა საქმის აჩქარება. იმავე წამს იგრძნობს, როგორც კი ყოვლადძლიერი კმაყოფილი შეიქნება მისი.

შაშხანა ახლოს მიიჩოჩა, საბანში გაეხვია და ცეცხლისკენ ფეხშეკეული დაწვა. ხოჭო ისევე უკაწრავდა ფერდს. ეს ტკივილიც შურისსაგები ტკივილია. ასეთია კანონი.

XIV

ღამით ფარჩხი ერთიანად დაიწვა. ცეცხლი ჩაქრა. ბიჭს დაძინება არც უცდია — იწვა და წვიმის ხმას უსმენდა. გამოქვავებულში სინათლეს ჩრდილები მოეძალა, გარეთ ღვარცოფები მიშხუოდა ველურად. ვეება ქვეები ხეთქებით მიგორავდა.

ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც აღსარების დროს სიცრუის თქმა. ჰო, ასეა, სწორედ ასე. ისეთივე საძაგლობაა, როგორც აღსარების დროს მოტყუება. აქამდე ვერაფერი გაუკეთებია საიმისო, რომ შავკანიან რეგვენს რამე დამართოდა. როცა ღვიძლ მამაზე იყო საქმე, კაცი ხელის მოცარვას კიდევ ახსნიდა როგორმე. მამამისი როდი ხუმრობდა, ლამლამობით ხელებს რომ გაუკოჭავდა ხოლმე. ის კიდევ თავის შხრივ ნამდვილ სახიობას მართავდა: ძილის წინ მორჩილად მუხლს მოიყრიდა, ხელსაბამით გათოჯილ თითებს შეიერთებდა და სახეზე ანგელოსურ გამომეტყველებას აღიბეჭდავდა — ზუსტად ისევე, როგორც წაირობის ეკლესიაში კედლებზე გამოსახულ ანგელოსებს ჰქონდათ.

მერმე „მამაო ჩვენოს“ ჩაიკითხავდა და გულაჩუყებული მოაყოლებდა: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდეს“, „კურთხეულ ხარ შენ ღვთათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“. როგორ აწრიალდებოდა ამ დროს ის წითური ხარი! „ევედრე ღმერთს ჩვენ ცოდვილთათვის!“ თან მამას თვალს არ აცილებდა. მაგრამ წითური ხარი საბოლოოდ ვერაფრით მოალორა. გაკოჭილ ხელებს არ უხსნიდა. ახლა კი თავისუფალი და ხელგახსნილიყო.

თავი ასწია და ზანგს თვალი შეავლო. საბანში გახვეულ ნებუს ღრმად ეძინა.

ეძინა მსგავსად მისი მიწისა, მსგავსად ჯერაც დაურბეველი და გაუძარცვაი ტყეების და მდინარეებისა. თვალეზი მჭიდროდ დაეხუჭა, მხოლოდ საზნის რხევაზე თუ შეატყობდით, რომ მასში სიცოცხლე ბინადრობდა. მისი ძილი მისივე ქვეყნის რიტმს იყო შეწყობილი; წვიმას რომ გადაეღო ან უეცრად ქარი ჩამდგარიყო, იმავე წამს გაეღვიძებოდა. გაეღვიძა კიდევ, როგორც კი ღელამიწა მზის მხარეს მიიქცა.

ისევე გამოცურდა ძილის წიაღიდან, როგორც ამ რამდენიმე საათის წინ შეცურდა მასში. ჩიტის ფრთის შერხვევასავით ძლივს გასაგონი იყო ფაჩუნნი ნებუს გამოღვიძებისა, მაგრამ ბიჭის აზრები ინტენსიურად გამოსხივდებოდნენ და ისინი უმაღლე გადააწყდნენ ამ ფაჩუნს. ეს იყო გაფრთხილება. მქრქალი სახე მოექცა ბიჭს. ძირს დაგებულ საბანზე წამოწვა. შავმა თვალებმა კი მიყვებულად შემოუბრინეს გამოქვამულს, მერე შემოსასვლელს მისწვდნენ. ვარეთ ღვართქაფი არ შეწყვეტილიყო, ბნელოდა, მაგრამ ნებუს ესმოდა რიყრაჟის მოახლოება. ეს ამბავი წრიბინით აუწყა სველმა და შემცივნულმა ხვლიკმა, რომელიც ფოთლის ქვეშ მიყუჟულიყო. ამავე ამბის გამო ჩაახველა წვიმით თავგაბეზრებულმა დიდმა კატამ. ნებუ წამოჯდა, ნაკვერჩხლებს რამდენიმე ჩინჩხვარი შეუტყათა და ჩრდილებმა უკან გადაინაცვლეს.

ღამით ჭრილობაში ჩაბუდებული ხოჭო ვაზრდილიყო. ბრჭყალებით ზანგის შიგანს ეჭიდებოდა და კაწრავდა. ტკივილი მუცელშიაც აჭრთქოთდა. როდესაც მასაის მამაკაცებს ორმოცი წელი შეუსრულდებოდათ, ჯანიანნი და ახალგაზრდანი მათ შამბნარში სტოვებენ ხანდაზმულ ცოლთა და მძლავრ ღმრთა ანაბარას. მაშინ მოხუცებულნი მდინარის პირას მესერს აღმართავენ, ნაკელი-საგან აგურს ამზადებენ, სახლს აგებენ და სიკვდილის მოსვლას შიგ ელოდებიან. გზად მიმავალი ზოგჯერ წააწყდება ხოლმე ამგვარ ბერიკაცებს; არწივასებური თვალეზი ჩაჰქრობით, ქუთუთოებზე ძარღვეები დასჩნევით, ბებერი ძვლები იდაყვებთან და მუხლისთავებთან გამოჩრიათ, მუცელი გაბერვით და ბურთივით დამრგვალებით. ხელთ რომ შუბი უჰყრიათ, ის შუბი თითებშუა ამოტყორცნილ მზის სხივს აღარა ჰგავს, ყასბის ნაჯახს უფრო მოგაგონებთ.



საქონელს იქვე სახლთან იბამენ და აღარც შოლტი სჭირდებათ ჯოგის გადასადენად.

ნებუს ახსოვდა, როგორ დიდებულად აშუქებდა მთვარე იმ დღესასწაულზე, როდესაც იგი ჭაბუკ მეომრად ცნეს. ისიც ახსოვდა, როგორ გაემართა პირველად სათარეშოდ კოკოსთან ერთად, როგორი გააფთრებით შხუოდა მაშინ შოლტები. აქაურ ახალმოსახლეთაგან ერთი კონსტებლი შეიპყრეს. ბაზრის გზაზე მოიგდეს ხელში, თავში დარტყმით დაარეტიანეს და ჯუნგლებში შეათრიეს. ეს იყო უამი განუცდელი გრძნობისა.

— შეხედეთ მაგას, ყველამ შეხედეთ! — შეჰღრიალა ახალშემომეტებულთა გასაგონად კოკომ. — შეხედეთ და განიცადეთ განუცდელი გრძნობა!

და ტალახში მობუხული თეთრკანიანი კონსტებლი შეძრწუნდა მათი შემხედვარე.

— დაგვიჩოქე, ურჩხულო, მუხლი მოიყარე აფრიკის წინაშე! — შეუყვირა კოკომ. — დაპხსენი ჩემი ბიჭები განუცდელი გრძნობისაგან! შეეჩვიონ ზვიადად დგომას მუხლმოყრილი ბვანების წინაშე!

და შოლტებდაბლუჯულ ჭაბუკ მეომრებს წამუყო — შეუდექითო! ნება-ნება განძარცვეს სამოსისაგან კონსტებლი. მწყემსის შოლტებმა ზონრებად აქციეს მისი ტანსაცმელი. სულ გააშიშვლეს თეთრკანიანი და იგი აბაზანაში ჩაგდებულ ჩვილს დაემსგავსა. იკლავებოდა მათი დარტყმებისაგან, ყვიროდა, ღმუოდა ლაფში ამოსვრილი. ხოლო ჭაბუკ მეომრებს, განსაკუთრებულ მდგომარეობამდე იშვიათი მწყემსები რომ იყვნენ, იმ მეომრებს წვეთი სისხლი არ გამოუდინებიათ მისთვის, ვიდრე მთლად არ გააშიშვლეს. ამის მერეც სისხლმა ნემსის ყუნწისოდენა ლალისფერ წვეთებად გამოჟონა მხოლოდ.

ფეხები ცეცხლს მიუფიცხა ნებუმ და ფერდში კვლავ აუფარდა ტკივილი. საბანი გადაიძრო, კურტაკის კალთა აიწია და დაინახა, როგორ აყვავებულიყო სხეულში დაგროვილი შხამი. ღამით სიმსივნე მუშტისოდენა შექნილიყო. ხელები ცეცხლზე შეითბო და ჭრილობას დააჭირა. კბილები აულრჭიალდა შეკავებული ტკივილისაგან. საბნიდან გამოძვრა, შემოსასვლელისაკენ გასწია, სველი თიხა მოფხოჭა და ჭრილობაზე მიიდვა. ტკივილმა იმძლავრა თითების შეხებაზე. ზეიხებდა ხეთა წვეროკინებიდან ვიწროდ გახელილი თვალებით უმზერდა რიყრაყი. ისევ ცეცხლის პირას დაბრუნდა.

ბიჭი წამოდგა და უთხრა:

— გესმის, როგორ ასხამს წვიმა?

ნებუმ ქაღალდის პარკიდან წყლიან კარდალაში ჩაყრილ სუპს ურევდა.

— მამაჩემი მიაბობდა — ინგლისში ასეთ თავსხმაშიც შეიძლება გადაეყრო კაცს, რომელიც სალამს მოგცემს და გეტყვის — ხომ მშვენიერი ამინდიაო?

ნებუმ კოვზი გვერდზე გადადო, შეხედა და კიკუიუს ენაზე მიუგო:

— კარგი ამინდი გულში დგას ხოლმე.

ბიჭმა გაიცინა. ახლა ისიც კიკუიუს ენაზე ალაპარაკდა:

— სანამ ბანდიტობას დიწყებდი, ალბათ მქადაგებლად იყავი შენს სოფელში.

— ყველა მქადაგებელი ბანდიტია, და ყველა ბანდიტი — მქადაგებელი.

ყველა ბელადი გლახაკია, და ყველა გლახაკი — ბელადი. ყველა ადამიანი ადამიანია, როცა ადამიანობა ეთქმის.

ბიჭს თვალები აუციმციმდა. ხმა მხიარული გაუხდა და აუწყრიალდა.

— იცი, მე მომწონს, ასეთი ყბედი რომ ხარ. იმიტომ ხომ არ აყბედლი ასე, კიკუიუს ენაზე რომ ლაპარაკობ? ან იქნება წვიმა გალაპარაკებს? მამაჩემი მეუბნებოდა — მთვარის გავსებისას და წვიმანშირობის დაწყებისას ყველა ზანგი გაცოფდება ხოლმეო. მართალია, განერალო ნებუ? მითხარი — შენც ცოფდები ხოლმე დიდი წვიმების მოსვლისას?

ეს სიტყვები ნებუს ცნობიერებას ასცდა და გამოქვაბულის შემოსასვლელში გაუჩინარდა. ზანგს თავი საპნის ბუშტივით გასიებოდა და ეს საპნის ბუშტი ახლა ერთი აზრით იყო გამსჭვალული: ეს ბიჭი ერთი თუთიყუშვივით ყბედი ყმაწვილია და მეტი არაფერი. არ შეიძლება მან იცოდეს ყველა ის ამბავი, რაც მამინ მოხდა.

— ერთხელ მაინც მანახა ჩემს სიცოცხლეში, როგორ გაცოფდები, — თქვა ბიჭმა და მის ფერმკრთალ, გამხდარ სახეზე მომჯადოებელი ღიმილი აისახა. იგი გადაიხნიჭა, ხელები მუხლსა და ზედ გადადებულ მტკივან ფეხს შემოჰხვია.

ნებუმ შეჭამადი ცეცხლიდან ჩამოდგა, ორ ჯამში ჩაასხა და ერთი ბიჭს გაუწოდა.

— ჭამე, ენაგრძელო. დღეს დიდი გზის გავლა მოგვიწევს.

ღიმილი გაკრთა ბიჭის ბაგეზე. ჯამი ჩამოართვა, ოღონდ კერძისთვის პირი არ დაუკარებია, ნებუს დააშტერდა. მაგრამ ნებუ უკვე ჭამით იყო ვართული, ხოლო მისი ფიჭვი სადღეისოდ მონიშნულ გზას მიჰყვებოდა. მდინარეები ახლა ადიდებულია და დამლუბველი, წვიმა მატებს მათ ძალას. შორა გზებით მოუხდებათ სვლა, რომ ჩქერებს შემოუარონ. მის ფერდში ბალი გაფურჩქნულიყო. ნებუ გრძნობდა, როგორ იზრდებოდა იქ ფერად-ფერადი, შხამით სავსე ყვავილები. ნებუ გრძნობდა ბიჭის დამცინავ მზერას, რომელიც მკრელ დანასავით სიგრძე-სიგანეზე სერავდა მის სახეს. მაგრამ მაინც არაფერს იმჩნევდა.

— ნეტა რაში ვჭირდებ, თან რომ მიმათრევ? — შეეკითხა მოულოდნელად ბიჭი. მას ჯამი დაბლა დაეშვა და ნებუს შესცქეროდა. — რა, გამოსასყიდზე ფიჭობ? როგორც წიგნებში წერია?

კიკუიუს ენაზე „გამოსასყიდი“ და „ნადავლი“ ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება. ნებუს თავში აღძრულმა სიცილობა ერთ იარღზე ისკუბა, მერე იქიდან შემოჰხვდა და უკანვე დაბრუნდა.

— შენ იცი — მე არავინ გამაჩნია, სულ არავინ, — ბიჭი ნაღვლიანად ლაპარაკობდა. — ერთადერთი, ვინც მყავდა, შენ მომიკალი.

— ჭამე! — უხეშად უთხრა ნებუმ.

ბიჭს თითები დაეხსნა, ჯამი ხელიდან გაუვარდა. დაღვრილი შეჭამადი ცეცხლის პირას ნაკვერჩხლებზე აშიშხინდა. ბიჭი ახალ მთვარეზე გადამჯდარიყო და იქიდან დასცქეროდა ნებუს.

— შენ მამაჩემის ხმას გიგავს ხმა, — საიდანღაც ზემოდან ჩამოისმოდა სიტყვები.

ნებუ ძირს დავარდნილ ჯამს დასწვდა და ისევ ბიჭს გაუწოდა. მერე ზურგჩანთა მიწაზე გაშალა და შიგ ჩაყარა სხვისი ავლადიდება: წვეთლწყვილად დაგვარგნილი წინდები, ახლაგარეცხილი, უხერხულად დაკეცილი საცვლები, კოლოფში ჩამალული დიდი სამართებელი.

„შეიძლება ისეც მომხდარიყო — მე კი არ მომეკლა ბევანი, იმას მოვეკალი, — ესიტყვებოდა თავისთავს ზურგჩანთის შეკერისას. — რადგან სიკვდილი მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ კაცი იმდენად ზანტი ყოფილა — სასიცოცხლოდ არ გაჩენილა. სიკვდილი იმას ნიშნავს, კაცი ვერ ასწრებს დროზე აერიდოს გამოტყორცნილ ისარს, ვერ ასწრებს მოიგერიოს ძილის ავადმყოფობის შემყრელი ბუზი, ვერ ასწრებს გვერდზე გახტომას ხის წაქევისას. და მაინც ზოგჯერ კაცს არ შეუძლია ზანტი არ იყოს. ასეთია კანონი“.

დიდის ამბით უღრმავდებოდა ამ აზრს ნებუ და თავადვე ისე აოცებდა ეს აზრი, როგორც ლექსი აკვირვებს ხოლმე ადამიანს. „ზოგჯერ ქარი წვიმას წინ გამოუსწრებს და მთებთან მოჭრილი ოდნავ შეუოვნდება. მაშინ მეომარნი შუბებით ჰკვეთენ მას. მაგრამ ხომ არ კვდება ქარი? ქარი ისევ ცოცხლობს. ქარი წვიმას შეერთვის. და წვიმა იქცევა ბრწყინვალე მხედრობად, რომელსაც დროშები გაუშლია, მოჰქრის, მოჰქრის და ვერცხლის ნალებით აზანზარებს დედამიწას. და მაშინ ბებერი, ქედმოდრეკილი მიწა უკან იხევს, უკან იხევს და საცოდავად იბუზება“.

გიბსონის ჩექმის რბილ ტყავს ხელი მოუთათუნა და თქვა:

— როდესაც ნებუს მოკლავენ, მისი არსების ნაწილი კოკოს ან იქნებ რომელსამე სხვა მეომარს გადაეცემა და ძალას შემატებს. არავინ იცის, ვის შეეძინება ეს ძალა, ისე როგორც არავინ იცის, ვის გადაეცემა ძალა ქალის ხვევნა-ალერსის დროს მკვდარი მამაკაცისა.

რბილ ტყავს ნები გადაუსვა, შორით გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას.

— ორი მხრით მონაბერ ქარსა ჰგავს სიცოცხლე, ჯერ აღმოსავლეთით და მერე დასავლეთით მონაბერ ქარს. ქარი შეიძლება ჩადგეს, მაგრამ სიკვდილით არასოდეს მოკვდება. — და ბოლოს ასპარეზს მოველინენ თეთრკანიანთა ცხოვრების სურათები: — ნაირობის მალაზიებში დაწყობილი ძეხვების ძეწკვსა ჰგავს სიცოცხლე. ერთი ძეხვის დამჰქნარი, მოჩვარული ბოლო მეორისას უერთდება და კვლავ იწყება სავსე, გატიკნილი ძეხვი.

— ბუს კვერცხები, — წაიჩურჩულა ბიჭმა ინგლისურად.

ნებუ ზურგჩანთის შეკერას მორჩა და ბიჭს იმ სიტყვებით მიმართა, რომლითაც მგზავრობად იწყებენ ხოლმე უხსოვარი დროიდან:

— მოდი, ვნახოთ ერთი, მოსახვევს იქით რა უნდა იყოს!

XV

— შენი ჰრილობა საშიშია, — ალერსიანად უთხრა ბიჭმა. იგი შეჩერებულყო და კითხვის ნიშანსავით მოკაკული ჩამოჰკონწილებოდა ყავარჯნებს, თან ნებუს სახეს უკვირდებოდა. — შხამია შენს ჰრილობაში.

თავდაპირველად გზას რომ გამოუყვენ, ჰრილობა ძლივას ბეუტავდა ფერდში, მაგრამ როცა ნებუმ წაიფორხილა, დამაბრმავებლად იფეთქა.

სუნთქვა შეიკავა. შუბლზე ოფლმა გამოასხა. ყურს უგდებდა თავისსავე არსებაში მოღალადე ტანჯვის ხმას და მის დაცხრომას ელოდებოდა. თავში ჩაიბეჭდა ერთი აზრი — ბიჭს წრფელი სახე არა აქვსო.

ფერმიმპრტალი, უდიდლამო დღე გაქირვებით მოიპარებოდა ხეებს შორის — მზეს თავისი სისხლით არ გაევსო მისი ძარღვები. ქარი მიწაზე აწვენდა ბუჩქებს. წვიმა დილანდელივით კოკისპირულად აღარ ასხამდა, მაგრამ ნებუმ იცოდა — მალე ისევ თქეში წამოვიდოდა. მუდამ ასეა ხოლმე წვიმანშირობის დაწყებისას. ერთხანს ანჩხლი ცოლივით ყვირილსა და მუქარას მოჰყვება წვიმა, მერე თვინიერი და ნაზი შეიქნება, როგორც ახლაა. მაგრამ როგორც



კი თავს გაიშვილებ და ხელებს გაიწვდი გასაგრილებლად, უმალ თავს დაგაცხრება და ყოველგვარ იმედს გაგიქარწყლებს. ცხოვრება ზოგჯერ წვიმასავით მარჯვედ გააცურებს ადამიანს. ან იმ ველის ტბასავით მოალორებს, რომლის მოლივლივე ზედაპირის საფარქვეშ უზარმაზარი ნიანგებია ჩასაფრებული.

ტკივილი დაუამდა, ახლა ნაძვის წიწვების ნაზ ჩხვლეტას გრძნობდა ფერდში. ხელახლა დაწინაურდა. შორს წვიმა ხმაურობდა. მაღალი ბალახის ვიწრო ზოლს მიჰყვებოდნენ. შორიასლო ბამბუკების კუნძულს კატასავით ფრთხილად წამოეყო თავი. ნებუმ ბიჭს ხელით ანიშნა — შეჩერდიო, თავად კი ბამბუკებისაკენ წავიდა. ექვსიოდე ღერო მოჭრა, დაბრუნებულმა გასხლა, ეკლიანი რტოები მოაცილა. როცა ისევ ტყეში შევიდნენ, დადგომა ბრძანა ნებუმ. მერე ბამბუკის ღერები სიგრძივ დახლიჩა და თითო ფუტის სიგრძეზე დაჭრა. ბოლოს ლიანები დასხიბა და რამდენიმე ჭილობი დაამზადა. ორი ჭილობი თავად ამოიკრა, ერთი ბიჭს ამოუკრა ჯანსაღ ფეხზე, ორიც კიდევ ყვარჯნებისთვის იხმარა. ბიჭმა ხელახლა გასინჯა თავისი ყვარჯნები და დარწმუნდა, რომ ახლა სვეტივით მტკიცედ შეეძლო ჩამდგარიყო ტლაპოში.

— შენ ძალიან ჭკვიანი ხარ შავკანიანის პირობაზე, — ინგლისურად თქვა ბიჭმა, მერე კიკული ენაზე გაიმეორა იგივე, ოღონდ სიტყვა „შავკანიანის“ ნაცვლად „კიკული“ იხმარა.

წვიმამ ხელახლა კოკისპირულად წამოუშინა, იქაურობასაც მოსწვდა და ხეებს თავები დაახრევინა. ბიჭსა და ნებუს წყალი ისე ჩამოსწურწურებდათ, თითქოს სველი ქოლგები ყოფილიყვნენ. მაგრამ რეზინის მოსასხამებქვეშ შეფარებულთ წვიმა ასერიგად არ აშინებდათ, წყალი მხოლოდ კოჭებთან ეხებოდა მათს სხეულებს.

— ზოგი კიკული ჭკვიანია, ზოგიც სულელი, — თქვა ნებუმ თავის ენაზე. — ზოგი თეთრკანიანი ჭკვიანია, ზოგი კიდევ სულელი. მითხარი, შენ ჭკვიანი თეთრკანიანი ბიჭი ხარ თუ სულელი?

ბიჭმა ჩურჩულით უპასუხა. ნებუმ შაშხანა მხრიდან ჩამოიღო, ხელში დაიჭირა. ყველაფრით ისეთივე იყო ეს შაშხანა, როგორც კოკოს იარაღი: გაზეთილი ლულა, რომლიდანაც წყალი ისე მოსრიალებდა, თითქოს ვარეული იხვის ზურგი ყოფილიყოს, გაუმძღარი ხახა, მშვიდი და ზუსტი ჩახმახი. თავისთავზე გაეცინა ნებუს: მართალია, კოკოს შაშხანების ტყუბისცალია ჩემი შაშხანა, მაგრამ უწყინარი ხასიათი აქვს, ხმამაღალ ლაპარაკს ერიდებაო. აი იმ დაღვლარქნილი ბებერი ზეთისხილისთვის რომ დაემიზნებინა თავისი ტყუბისცალი და საკმაოდ დიდხანს დალოდებოდა, უეჭველად მოკლავდა ქვედა ტოტზე მჯდარ ცხოველს, რომელიც უნდა ყოფილიყო. და ზეთისხილს მიახლოებულმა ნებუმ უეცრად თვალი ჰკიდა მურა ფერის, სველ, ხალიჩის მსგავს არსებას, რომელიც ტოტზე ნებვიერად მოკალათებულიყო. სუნთქვა შეეკრა ნებუს. შაშხანა მის ფერხით დაეარდა, ხოლო ხელი მყისვე ამოქმედდა. რკინის მძიმე შუბი ხელისგულზე მოექცა, ცერსა და საჩვენებელ თითს შორის გაწონასწორდა. ნახევრადმოხრილი ფეხი წინ ჰქონდა წადგმული ნებუს და ლეოპარდის ნახტომს ელოდებოდა. წვიმით მოსილ ტყეში ვეება კატის ნახტომს ელოდებოდა ნებუ და ამ მოლოდინის თანხლებ გაურკვევლობის გრძნობას მის არსებაში დაერთო ნათელი შეგნება იმისა, რომ ლეოპარდს მისთვის თავი დაეველო, სწორედ მას ჩასაფრებოდა. შემამფოთებელი იყო ეს აზრი, მოულოდნელი და წონასწორობის დამკარგვინებელი.

მძიმე თავი შექანდა, მომწვანო-მოყვითალო თვალეები წამით ნებუს თვალებს შეხვდნენ. მერე ლეოპარდი ერთი ნახტომით გაუჩინარდა შამბნარში. და

ნებუ მეტად და მეტად დარწმუნდა, რომ ლეოპარდი სწორედ მას ასდევნებოდა.

XVI

დაბინდებამდე გამოქვავული მოძებმა ნებუმ და იძღენი ფარჩხი მოიძარავა, რამდენიც საჭირო იყო გუნებაწაუშმდარად ღამის გათევისათვის. შესასვლელთან ქვების ზვინი პირამიდასავით აღმართა, რომ გამოქვავულში მხეცები ვერ შეჭრილიყვნენ. მერე ჭრილობა გაისინჯა და ჩირქი დაყნოსა. დილით ისევ იგრძნო ჩირქის სუნი და ტკივილიც აჰყვა. ეშინოდა ჭრილობის ხელის ხლება. იცოდა — საშიში ჭრილობა იყო, მაგრამ სველი თიხის გარდა სხვა რამ წამალი ვერ მოეგონებინა. მის მშობლიურ სოფელში მოხუცი დედაკაცები ჭრილობას დაღეპილი ბალახის საფენს დაადებდნენ და ადვილად შეუხორცებდნენ. მაგრამ აქ, ამ უღრანში, ნებუ იყო ლომებისა და ლეოპარდების ამარა მიტოვებული ორმოცი წლის ბერიკაცი. ახლა სადაღაც ახლო-მახლო დაძრწის ლეოპარდი, სიბნელეში დაგზნებულ კოცონს შემოჰყურებს და თავში ათასგვარი კადნიერი აზრი მოსდის. ოღონდ იმას არასგზით იფიქრებს ცეცხლით მოზღუდულ ადამიანს მიეჭრას. ვერც ერთი ლეოპარდი ვერ გადალახავს ცეცხლის ზღუდეს. იგი დაგელოდება, ვიდრე შენში უზრუნველობა კეთილგონიერებას დაძლევედეს, ვიდრე ცეცხლის რკალიდან გამოხვიდოდეს, მაშინ კი დაგახტება ზურგზე და კბილებს იქ ჩაგასობს, სადაც კისერი მხრებს უერთდება. დაგახტება და ვედარც მოიშორებ. ნებუმ ერთხელ ნახა, როგორ მიიკვლედა ჯუნგლებში გზას ლეოპარდი და პირით თხას მიაპორწიალებდა. თხა ჯერაც ცოცხალი იყო, შიშისაგან გამომეტყველება დაჰკარგოდათ მის თვალს. ლეოპარდი გვერდულად უთვალთვალებდა ნებუს. ავის მომასწავებელი ღრიალი ჯავარივით აეშალა ხახაზე. ეკლის გვირგვინს მოგაგონებდათ ეს ღრიალი, დაკრუნხული თხისთვის შეთხზულ ეკლის გვირგვინს.

საბანში გახვეული ნებუ ცეცხლის პირას იწვა და მირიად მოგონებებში იყო დანთქმული. მაგრამ ჩირქის სუნის შეგრძნება მაინც ვერ განეშორებინა. ბიჰსაც არ ეძინა. იწვა და იგონებდა, როგორ დაიჭირა ერთხელ ნაირობში თავი და მამამისის კატასთან ერთად მოამწყვდია დაგმანულ ოთახში. თავად სარკმლიდან უთვალთვალებდა, როგორ დაწრიალებდა წრუწუნა, როგორ ხტებოდა, ყალყზე დგებოდა, მაგრამ თავი ვერაფრით დაიცვა, როცა თათი დაჰკრა კატამ. თავს ხერხემალი გადაუტყდა და ბიჭი ნეტარებამ აათრთოლა, როცა მოაგონდა მისი უმწეოდ გაფშეკილი ფეხები და პატარა კუდი, რომელიც მაინც კიდევ წრეებს ავლებდა, ვიდრე კატის ხახაში არ გაუჩინარდა, მოაგონდა, რომ, როცა ყოველივე დასრულდა, ოთახში შევიდა, კატა ხელში აიყვანა, თათი აუწია და აღტაცებული დიდხანს ათვალთვალებდა სიკვდილის ამ იარაღს, რომელიც ახლა ქარქაშში ჩამალული და უხიფათო იყო. და როცა ყური მოჰკრა, როგორ ბრუნავდა საბანში ზანგი, იდაყვზე დაყრდნობილი ალერსიანად შეესიტყვა:

— დილა მშვიდობისა, ნებუ. მგონი დღესაც მშვენიერი ამინდია, არა? შესანიშნავად გრძნობდა თავს, ატაცებული იყო და წყალობის მადლით აღესებული.

თარგმნა რევაზ თვარაძემ.

(დასასრული იქნება)



ვესტარე ბუბრისპი

სპიჯი

პირველი მიძვენა (ირონიული)

ქება-დიდება ხელმოცარულებს,
რომლებიც თვლემენ დუქნების
ჩრდილში,
რომლებსაც შათ. მაგრამ მალულად
და ვაქაცურად იტანენ შიმშილს.
ხელმოცარულებს, სუსტებს და მხდა-
ლებს

და გაგუდულებს ქუჩის ქამანდით
სამაგიეროდ ექნებათ მალე
ფაფუკი პურიც და შექამანდიც,
როდესაც ღმერთი მოუხმობთ ცაში
შეძრწუნებულებს სიკვდილის შიშით
და სამუდამოდ ჰპოვებენ საშველს
აღთქმულ დუქნების ნესტიან ჩრდილში.

მეორე მიძვენა (რომანტიული)

აფსუსს, ძვირფასო, დავბერდით ადრე.
დავბერდით უცებ, უშნოდ და მწარედ.
სადღა ძველი ქეიფის მადლი
და სატრფოს მხრებზე მბრწყინავი
მთვარე.

დღეს სიყვარულიც აღარ გვალეღვებს
და ოჯახური ლირიკაც ჰჭრება
და ძლივს ინახავს ძვირფას სახელებს
მოგონებათა ფერმკრთალი წყება.

ჩვენ ბევრი ტკბილი წამი ვივგემეთ
და სარდაფებში ჩავგვრჩა ქონება,
სადაც ნისიად არ არიგებენ
აღფრთოვანებას და შთავონებას.

და სიბერეში ტკბილდება უფრო,
რაც სამუდამოდ გადაჰყვება ქარებს:
შმაგი დუელი და ლალი სუფრა
და სატრფოს მხრებზე მბრწყინავი
მთვარე.

სცენა წარმოადგენს გადაკვეთილ სხვენს. სხვენიდან ღრუბლებამდე აღმართულია ხვეული
კიბე. მაგიდასთან ზის თავჩაქინდრული პოეტი. ავანსცენაზე გამოდის მთქმელი...



მოქმელი

მე მოგიყვებით პოეტის ბედზე
თქვენ, ცხოვრებაში ხელმოცარულებს,
გაწილებულებს და გარიყულებს...
რომლებიც მკრთალი ჩრდილების

დარად

დაეხეტებით კარიდან კარად
გაწვრთნილ ძაღლებით და გიტარებით
და დაბნეული ხმა გიკანკალებთ
ბნელ კიბეებთან და დარბაზებთან
და არაფერი არ გაბადიათ.

ვახვრეტო ჩანთის და ჯოხის გარდა.
ხოლო ისინიც, რომლებიც მშვიდად
თბებიან ცეცხლთან და უღიმიან
აბუზღუნებულ ქოთნებს და ქვაბებს,
კარგი იქნება თუ მოუსმენენ,
რასაც მე ვფიქრობ და ვიტყვი ახლა.

პოეტი

ამოიწურა დღეცა და საქმეც...
მეწაღემ ნელა გამართა წელი.
და წინსაფარი გადააფარა
თანხაირად დამრეცილ წულებს
და ჩათბუნებულ მეუღლის გვერდით
მინებდა თავის უშფოთველ სიზმრებს.
თერძი, ყასაბი და მზარეული
ქაფქაფა ლუდით სავეს კათხებით
ეგებებიან მომავალ დამეს
სტუმართმოყვარე სამიკიტნოში.
და უკვე ათი საათი რეკავს
და დაქანებულ სახურავებზე
დგება კატების განცხრომის ქამი,
ქამი ქურდობის და სიყვარულის,
იღვრთოვანების და გაწბილების,
გემრიელ ნამცხვრის და ცხელი ყავის,
მსუბუქი ვახშმის და მშვიდი ძილის...
და მხოლოდ ჩემზე არ გავრცელდება
შენი წყალობა, კეთილო დამე.
მე მეძინება და ეხუტება თვალებს,
მაგრამ როგორც კი დაეხუტება თვალებს
უფრო გარკვევით ვუყურებ ქუჩებს
გაჩაღებულებს ვიტრინის შუქით.
იქ რიერაფივით ვარდისფერ ძეხვებს
ეხვევა ნაზი ქონის ღრუბელი
და ფუნთუშები... ოხ, ფუნთუშები
ბჭკილები ღუმელის სიცხით

მე გამომწვევად მიშვებენ მუცლებს
ბრჭყვიალა შაქრით შეჭირხლულები
და ბნელ ღუქნებში აქნილ-აჩეხილ
და გატყავებულ ძროხების გვერდით
დგანან ყასბები გრძელი დანებით,
თეთრი ჩაჩებით და წინსაფრებით
მოკაზმულები და მორთულები.
მე ვუცქერ სახელაღღაჯა ყასბებს,
გაქონილ დანებს და ხორცის ზინენს
და მეჩვენება, რომ ჩემს მუცელში
დაცოცავს თავი და მთელი ძალით
მწიწკნის და მკაწრავს ბასრი თათებით.
ღმერთო, იდიდოს შენი სახელი!
რამე თუ მომეც მახვილი თვალი,
რამე თუ მომეც მახვილი სმენა
და ჩემი ენა ჩიტვიით მღერის,
რაკი შენ ერთხელ შეახე ხელი
მაგრამ ჩემთვისაც მოგეცა ნეტავ,
ცხოვრება ტკბილი და უდარდელი.
მე მენატრება ცეცხლის ტკაცუნნი
და მენატრება მკრთალი სანთელი,
რომ გავინათო საღამო ჩემი.
და აი, თვალებს ცას ვაპყრობ ისე,
და გულზელს ვიკრეფ და გეუბნები:
ოხ, ღმერთო ჩემო, იქნება სადმე
ცხოვრობს ყასაბი ნაზი ბუნებით,
რომელიც ლექსებს ეჩურჩულება
თავის ვარდისფერ და მსუქან სატრფოს.
მე მას ვასწავლი მშვენიერ ლექსებს,
მივცემ ჩემს თვალებს, სმენას და ენას,
მე კი წინსაფარს მოვირგებ მყისვე,
გავლესავ დანას და მედიდურად
ჩაედგები დახლში საქმიან სახით.
მაგრამ რომელი ყასაბი გაცვლის
თავის წინსაფარს პოეტის ბედში
და მივჩანჩალებ ჩემ ბედშივ გზაზე
და შემოდგომის ნესტიან დამეს
ვხვდები მშვიერი და გათოშილი.

მოქმელი

ბევრჯერ, ოხ, ბევრჯერ შესჩვილა ასე
პოეტმა ზეცას და ზეცის მფლობელს
და აი, ერთხელ, როდესაც ცაში
ნაზად გალობდნენ ანგელოსები
და აუღვრებდნენ ციურ საკრავებს,
ტახტზე ნებივრად მჯდომარე ღმერთმა
მოჰკრა პოეტის მუდარას ყური
და ბრძანა ასე:



ბმა

ჩემო შიკრიკო,
ჩადი მიწაზე და მომიძებნე .
გაწამებული პოეტი ჩქარა.
ჩაკიდე ხელი და მომიყვანე,
აქ მომიყვანე, შიკრიკო, ჩქარა.
რათა იჩრდილოს სამოთხის ჩრდილი
და განიცადოს ციური პური
და ჩაისველოს გამშრალი ხორხი
ჩემი ვენახის შუშხუნა ღვინით.
მერე დაუგეთ რბილი საწოლი
სასიამოვნო და სანებერო.
შიკრიკო წადი!

მოქმელი

და აი უკვე
შიკრიკი ნაზი ფრთების შრიალით
მისდევს ჭრილა და ვიწრო კიბებს
და უკვე არჩევს სველ სახურავებს,
ტაძრის გუმბათებს და კენწეროებს.
და უთვალთვალვებს მკრთალ სინათლეზე
ქალაქის ჩუმ და ბუნდოვან ქუჩებს
და გულს უხეთქავს მიწიერ მტრედებს,
ჩათბუნებულებს და ჩათვლემილებს.
და შეუჩვეველ ყურებით უსმენს
დიდი ზარების საუბარს მძიმეს.
მირბის შიკრიკი და ძირს იშლება
გადაყრუებულ სხვენთა სამეფო.
მირბის შიკრიკი და აბლაბუდის
მტერიან ბადეში კრთება და ელავს
მისი სამოსი და ფართე ფრთები.
აი, აქ სადღაც ცხოვრობს პოეტი,
გაწამებული და დაქანცული.
აჩქარდი ფართეფრთიანო მხსნელო,
დაუკაჟუნე ღია კარებზე,
დაუკაჟუნე და სანამ დროა
გადაარჩინე შიმშილს და წუხილს.

(ისმის კაცუნი)

პოეტი

ვის არეგია გზაკვალი ბნელში,
ვინ მიკაჟუნებს მე ასე გვიან,
იქნებ მეზობელს დასჭირდა ცეცხლი.
ან იქნებ ვინმეს ჩემსავით შია
და ლუქმას ეძებს. ვინა ხარ,
მოდი!

მოქმელი

და კარებს აღებს მიკიტნის ბიჭი,
სახელაქლაქა და ჭორფლიანი
და მის ბედნიერ და თამამ სახეს,
მის მსუქან ხელებს და მბრწყინავ თვა-
ლებს
გაოცებული უცქერს პოეტი.

პოეტი

საოცარია, სამიკიტნოდან
რისთვის მოსულა ჩემთან შიკრიკი,
დიდი ხანია, ჩემო ძვირფასო,
გადავეჩვეე მე ასეთ სტუმარს.

შიკრიკი

ჩემი ბატონი ვახშამზე გიწვევთ
და უკვე გელით ჩემი ბატონი.

პოეტი

საიდან მიცნობს, საიდან ვიცნობ,
ანდა ვინ არი შენი ბატონი

შიკრიკი

ჩემმა ბატონმა ზეპირად იცის
თქვენი ლექსები და სიმღერები.
ის თუმცა მხოლოდ მიკიტანია,
არც პოეზიას არ რჩება ვალში
და აი, ახლა ვახშამზე გიწვევთ,
მოეწყეთ ჩქარა, გზა გველის შორი
და სანამ მივალთ, ალბათ განმება
ფაფუკი პური და გაცივდება
მსუყე ვახშამი.

პოეტი

მე მზად ვარ უკვე.
სად გაქრა ჩემი წყეული ქუდი.

შიკრიკი

ჩქარა, ბატონი ვერ ითმენს ლოდინს
პოეტი

სად გაქრა ჩემი წყეული ქუდი.

მოქმელი

ისინი გაცდენ ნესტიან სხვენებს,
სველ სახურავებს და ბუხრის მილებს,
კატების კნავილს, ყვავების ყრანტალს,
ზარების გუგუნს... და უფრო ზევით



მისდევენ ვიწრო და მაღალ კიბეს.
კიბეზე ფეხი უცდება პოეტს,
გაოცებული და დაბნეული
ებლაუქება მეგზურის კალთას.
ზევით, სულ ზევით... აი, ღრუბლებიც,
ჩაწოლილები ნესტიან ბინდში.
ზევით, სულ ზევით მისდევს შიკრიკი
ჯიუტი ქარით დარხეულ კიბეს,
და ჩაფრენილი მეგზურის კალთას,
ფეხის ბორძიკით და მძიმე ქშენით
პოეტიც მიდის ზევით, სულ ზევით,
ათრთოლებული, გამჭოლი ქარით.

პოეტი

საით მივყავარ ამ გზას ნეტავი,
ანდა როდისმე თუ დამთავრდება.

შიკრიკი

ნუ გეშინია, ტყუილად დეღავ.
შენ გელის მყუდრო თავშესაფარი.

პოეტი

პრაქუნობს კიბე და ფეხი მიცურს
ნესტით გალუბულ საფეხურებზე.

შიკრიკი

უფრო თამამად. ნუ იყურები
რიკულებს შორის. პა, ჩემი ხელი,
ის მაგარია და დავიკავებს.

მთქმელი

და სახიფათო გზაც დაილია
და დაბურული ღრუბელი უცებ
გაიხსნა, როგორც შრიალა ფარდა
და თვალებს, როგორც ბრჭყვივიალა
მტვერი,

მოაწყდა დიდი სინათლის ტალღა.
და კარის თავზე დაკიდულ აბრას
ველარ მოწყვიტა პოეტმა თვალი.
აბრაზე მშვიდად სთვლემდა ქაშაყი
და ირხეოდა მსუქანი ძეწვი
და იქვე ტლანქი ხელით ეწერა
„კეთილი ეზო — მაღალი მგზავრთა“.
ოხ, სამიკიტნოვ, ქებულო მარად,

მარად და ყველგან. შენს ღია კარში
ტრიალებს მადის აღმძვრელი ორთქლი
და შენს სანუკვარ ზღურბლთან

გროვდება

ყველა გზა, ყველა; დიდი თუ მცირე.
აი, პოეტიც მოსულა შენთან
და ხარბად უქქერს შენს ღია
კარებს.

არა, უკეთესს ვერც ინატრებდა:

აი, ლაქებში ჩამკვდარი პერი
და აი, ღორის მძიმე ბარკლები,
გარინდულები ორთქლში და ბოლში.
ქონი კი წვეთავს ნელა და ზანტად
დახლზე, სკამებზე და მაგიდებზე
და კედლის გასწვრივ უზარმაზარი
და შესალტული კასრები დგანან
და ძეგლ ფიცრებზე დაეხეტება
ფაფარაშლილი და მთვრალი ლუდი
და გრძელ ლანგარზე წვანან თევზები.
პირში მწვანოლის გაფოფრილ ღერით,
და მოთმინებით ელიან მუშტარს
სქელ საწებელში ჩაძირულები.
ნაზად ყარს ყველი და ბრწყინავს ქონი
ვით მარმარილოს თეთრი ფენები
და ახვავია ვაშლის ზვინები
დაწვმეფაკლული და დათაფლული
და მაგიდებთან სხედან სტუმრები
კმაყოფილები და ჩაიდნები
ფრინავენ, როგორც ზანტი მტრედები
და ჩიი ფინჯნებს აესებს წკრაილით.
აი, სად მოხვდა ჩვენი პოეტი.
და ეუბნება მას ანგელოსი:

შიკრიკი

მიდი, მიუჯექ მაგიდას ჩქარა.
ხანგრძლივი ცდის და წამების შემდეგ
აჰა, ასრულდა შენი ოცნება.
შენია, რასაც გარშემო ხედავ.

პოეტი

კი, მაგრამ
რითი გაგისწორდება

შიკრიკი

ეს საფასური იქნება მხოლოდ
სიმღერებისთვის, რომლებსაც თხზავდა.

მთქმელი

მთელი დღე მხოლოდ ჭამა და ძილი...
სადაც კონს იქით ჩაწვენ თვალები
და ძეხვებივით გაფუყულ ზელებს
ძლივს ამოძრავებს უკვე პოეტი.
ლექსებიც სულ მთლად გადაავიწყდა
და მხოლოდ ცხვირში დუდუნებს ხოლმე
დუქანში ნასწავლ უწმაწურ მოტივს
და ასე გადის კვირა კვირაზე,
მაგრამ საჭმელიც მობეზრდა ბოლოს,
მობეზრდა ძლიერ და კვლავ ოცნებობს
მიწიერ გზებზე და სიყვარულზე,
საწთლის უმწეო და მსუბუქ ალზე,
ცარიელ სხვენზე და ყველაფერზე,
რაც კი აქამდე შემორჩა ხსოვნას,
და ასე ამბობს:

პოეტი

ახლა კი კმარა!
შე მელის ჩემი ჰერი და საქმე
და მგონი კმარა, რაც ვინებივრე.

მთქმელი

მაგრამ ტყუილად ჩქარობს პოეტი,
ჯერ მასპინძელი არ უშვებს პოეტს
და თავის ზელით ურჩევს ღვინოებს,

მბრწყინავ ღვინოებს და მსუყე კერძებს
ანდა რა უნდა მიწაზე პოეტს,
სადაც შიმშილი და ძარცვა მეფობს.
იჯექ და ჭამე! რა გინდა კიდევ.

პოეტი

გამიშვი, თორემ დავლეწავ ჭურჭელს,
სულ მთლად დავლეწავ ამ წყეულ ოთახს.
მე ძლიერი ვარ. მე თავის დროზე
ვჭამდი და ვსვამდი და შემიძლია,
რომ მტვირთავივით ვინახუბოჟუკვე.
მე ქვემოთ დამრჩა მთელი ქვეყანა,
განათებული მწვანე ტყეები,
გამიშვი! თორემ დავაგლეჯ წვერებს
და სანამ დროა, გამიშვი, ჩქარა!


მთქმელი

უცებ გაისმა:

ხმა

ჯანდაბას იქით!
წადი, მიწაზე ეთრე იხევ!

თარგმნა ოთარ ჭილაძემ.





პაიტი მინაილოვი

მე და სხვები

შემოდგომის უფერული დღე იყო.

დაცარიელებულ ოთახებში მათულზე დაკიდული ლამპები ქანაობდა.

ჯარისკაცებმა საბარგო მანქანის ძარაზე საწოლი და ორი სკამი შემოსდეს და წავიდნენ.

შემდეგ ვილაცხები შემოდინდნენ და გადიოდნენ ოთახებში. ჩვენ არ გვიკურებდნენ. გაქონდათ ჩვენი ბარგი-ბარხანა. ზოგს გულზე სარკე მიეკრა, ზოგს ტაშტი, ზოგს რა და ზოგს რა. ფხაჭუნითა და გრუხუნით მიაცურებდნენ გაცვეთილ ხავერდგადაკრულ სავარძელს.

ღედის გვერდით ვიდექი. დედა ჯერ გაოცებული შეჰყურებდა ამას... შემდეგ კი დანაღვლიანებული.

ღედას გავეჩეცი, ეზოში გავვარდი. ჯულბარსი შემომეგება, თოკი, რომლითაც მათულზე იყო მიბმული, დაიჭიმა, დაიძაგრა.

— ჯულბარს! ჯულბარს!

ძალს თოკი შევხსენი, გზა გადაეჭერი და თინასთან გავეშურე.

— ჩვენ არ მივყავართ. — თქვა თინამ, — მამა წავიდა და ჩვენ არ მივყავართ.

— იცი რა, თინა... მე დამელოდე.

თინამ შემომხედა და ვერა გაიგო რა. ცოტა ხანი კიდევ ვიდექი თინასთან და წავედი.

„სულ ერთია, აქ გერმანელები ვერ მოვლენ! ჩვენ იმიტომ მივდივართ აქედან, რომ ასეა საჭირო, თორემ აქ გერმანელები ვერ მოვლენ... ასე იყო ყოველთვის, მოვიდოდა მამა და გვეტყვოდა: ბრძანება მივიღეთ, ხვალ მივდივართ“.

— რატომ?

— ასეა საჭირო. გაიზრდები და გაიგებ.

„გაიზრდები, მაგრამ რომ ვერ გაიგო!“

— ხომ ასეა, ჯულბარს, ხომ ვერ მოვლენ გერმანელები აქ?

შინ დაბრუნება არ მინდოდა, არ მომწონდა ის ხალხი, რომლებიც შედიოდნენ და გამოდიოდნენ ჩვენს ოთახებში. თითქოს ის ოთახები ყოველთვის ცარიელი იყო და ჩვენ იქ არ გვიცხოვრია.

შინ დაბრუნება არ მინდოდა. ვიდექი ქუჩაში. ქარი წვილით დაჰქროდა. გარშემო არაფერი იყო. მხოლოდ ყურდაცქვეტილი ჯულბარსი იდგა ბოძთან.

თხით შეგლესილი, უფერული, ბრტყელსახურავიანი სახლები, რომლებსაც კედელზე პლაკატების ნაგლეჯები ეკრა, ძველ, შემოდარცულ კუბიკებს ჰგავდა და ერთი წაით მომჩვენა, რომ ეს აული მე ავამენე ამ კუბიკებისაგან. ბრმა, უთვალეზო სახლები იყო.

ისევ და ისევ ვიმეორებდი, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც საჭიროა და აქ გერმანელები ვერ მოვლენ. უცებ მოსახვევიდან გამოვიდნენ ახმეტი და ელდარი — ჩემი ამხანაგები მეორე „გ“ კლასიდან. ბიჭები თემურელების რაზმიდან შინ სხედან და გარეთ არ უშვებენ მშობლებიო, მითხრეს მათ. ელდარი და ახმეტი მშობლებს გამოაპრიან. ისინი ყველაზე ყოჩაღები იყვნენ რაზმში. ელდარი და ახმეტი არ მიწყობიან, რომ მე, „მუშეკეტერების კაპიტანი“, ვტოვებ რაზმს, როცა ჩვენი ოცნება — პარტიზანები გავმხდარიყავით, ზორცს ისხამდა... არა უჭირს რა, ბიჭები უჩემოდაც იოლად გაიღწნენ. არა, ელდარი და ახმეტი არ მიწყობიან.

— აი, — თქვა ელდარმა, — საშახსოვროდ წაიღე ჩვენგან ეს პატარა სატეფარი. უბრალო არ გეგონოს, არაბული წარწერა აქვს... აი, კიდევ ესეც... — შინკში გამოხვეული შამილის თავი მომაწოდა. — ეს შამილია. გახსოვს, რაიონულ გამოფენაზე რომ ვნახეთ?! მუსამ გამოაქანდაკა, შემდეგ გამოწვა... არ დაგვიფიწყო, ანდრეიკა!

შებრუნდნენ და წავიდნენ.

მოსახვევიდან მსუბუქი მანქანა გამოიჭრა და ჩვენს სახლთან შედგა.

— დედა, ჯულბარსიც წავეყვანოთ, — ვთხოვე დედას.

დედას თითქოს არ ესმოდა ჩემი ხმა, ხელის ნელი მოძრაობით მიბნედა პალტოს ზედა ღილებს. მოვიდა ჩემი და, ჩვენს წინ შედგა და გაშტერებული თვალებით შემოგვხედა.

მანქანა დაიძრა. უკანასკნელად ვუყურებდი ჩვენი ქუჩის პატარა სახლებს, თხით შეგლესილ მეჩეთს, ბაზარს, სადაც ყოველთვის ნახავთ შეენადლიან და გრძელი ბეწვის ქუდიან მამაკაცებს. ვუყურებდი მართლმადიდებელთა დამწვარი ეკლესიის შავ ჩონჩხს. ჩვენს შესახვედრად სამჯერ გამოიჭრნენ ეტლიანი მოტოციკლისტები. მოტოციკლებზე მსროლელები ისხდნენ, მაუდის სათხილამურო კოსტუმები ეცვათ და თავზე მწვანე პანამები ეხურათ. მოტოციკლების ეტლზე ტყვიამფრქვევები იყო დამაგრებული. მსროლელები გადმოიყვანეს აქ ჩვენი ნაწილის შესაცვლელად. ჩვენ ღრმა ზურგში გადავყავით.

სადგურზე გამზადებული სამგზავრო მატარებელი ჩამომდგარიყო, ღია ვაგონებზე კი ზარბაზნები და სახენიტო ტყვიამფრქვევები იდგა. მერე — საბარგო ვაგონები, რომლებშიაც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, და ისევ ღია ვაგონები ზარბაზნებითა და სახენიტო ტყვიამფრქვევებით.

ვაგონებზე კიბე იყო მიდგმული. ვაგონში შევედით. იქ უკვე დაბინავებულიყვნენ. ლეიტენანტ სნეგურკინის ცოლი ძუძუს აწოვებდა ბავშვს. შეეცოვა რაღაცას აცხელებდა ნავთქურაზე, სხვა ქალები ტახტზე ლოგინს აგებდნენ. მორეცხილ იატაკზე ბავშვები დალოდავდნენ, სხვები, უფრო დიდი ბავშვები, რკინიგზის ყრილზე თამაშობდნენ. დედაჩემმაც დაიწყო ლოგინის დალაგება იმ ტახტზე, რომელიც ჩვენთვის იყო განკუთვნილი. გადავწყვიტე ბიჭებისთვის სატეფარი მეჩვენებინა, მაგრამ გადავიფიქრე. შამილის თავი ლიბქვეშ ამოვდე და ბაქანზე გავედი.

მამაკაცები შეშფოთებული იყვნენ და სადღაც მიიჩქაროდნენ. მატარებლის ბოლოს იდგა ოფიცერთა ჯგუფი და ჩვენი ეშელონის უფროსი, პოლკოვნიკი გლაიშვეი. პოლკოვნიკს შავი ნაბადი და ყუბანკა ეხურა. ყველა საქმით



იყო გართული. ვერავის მიუღებოდი. მხოლოდ კლუბის გამგე — უფროსი ლეიტენანტი, თმახუტუშა და თერთობილება დოზორცევი გამდგარიყო განზე და მთებს შეყურებდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო დოზორცევი! — თავზიანად მივესალმე უფროს ლეიტენანტს.

— გაგიმარჯოს, ანდრეიკა! — მიპასუხა დოზორცევმა.

— ამხანაგო დოზორცევი, გერმანელები ზომ ვერ მოვლენ აქ?

— ვერ მოვლენ, ანდრეიკა, — მიპასუხა დოზორცევმა. — არ მოვუშვებთ.

— როგორ არ მოვუშვებთ! — აგენტე უცებ. — ჩვენ ზომ მივრბივართ აქედან! ვტოვებთ ჩვენს აულს! — ვუთხარი გულმოსულმა, მაგრამ როცა ვნახე, რა ნაღვლიანად დუშდა დოზორცევი, დაეჟმატე: — უკანასკნელი ცნობები მოისმინეთ? ფრონტის ყველა უბანზე გერმანელებმა ხუთასი ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგეს და მაინც წინ მოიწევენ, ხოცავენ ბავშვებს და მოხუცებს, თავის ქვეყანაში მიერეკებიან ჩვენს ქალებს.

დოზორცევმა როგორღაც უცნაურად შემომხედა და ისე გამშორდა, სიტყვა არ უთქვამს.

ბაქანზე ვიდექი, ვცდილობდი გამეგო, რა ხდებოდა, და უცებ ჯულბარსი დაეინახე. ჩემკენ მობოლოდა — დიდი, ღონიერი და ალღევებული. თავი, ყურები, მკერდი და ბეჭები წითური, ნარინჯისფერი თითქმის ჰერმისფერი ჰქონდა, თავები კი თეთრი, თითქოს თეთრი ხელთათმანები აცვიოდა.

ჩავიმუხლე და გულზე მივიკარი. ცივი, უხეში ბეწვი ჰქონდა. ყურზე ენა მომისვა. მძიმედ და აჩქარებით სუნთქავდა. ბაქნის ნაცრისფერი ასფალტო ყავისფერ, უზარმაზარი ვაგონების ფერს შეუერთდა, ადამიანის სახეები პაწაწინა ლაქებად ირეოდა ჩემს წინ. მარცხენა ლოყაზე მეგობრის ცივი და უხეში ბეწვი მეკვროდა და მესმოდა მისი მძიმე, აჩქარებული სუნთქვა.

შემდეგ ვაგონისაკენ გავეშურეთ. როგორღაც მკვროდა ჩემი, ჩემი ძალის, ჩემი უფლების და ვიცოდი, რომ მე და ჯულბარსი არასოდეს, არასოდეს არ დავშორდებოდით ერთმანეთს.

— არა, — მითხრა დედამ.

— არა, — მითხრეს ქალებმა, — ძალღი დაგვისვრის ბავშვებს.

— ცხვირს ჩაყოფს ქვაბებში.

— დაგვცოფავს.

— ჯულბარსი კარგი ძალღია, — ვუპასუხე ქალებს, — გზაში გვიგულშაგებს. თუ ბინა ტყეში დავიდეთ...

სიტყვა გამაწყვეტინეს, მაინც თავისას გაიძახოდნენ. მხოლოდ ტონია, უფროსი ლეიტენანტის ორლოვის ცოლი, გამომექომაგა.

— მართალი ხარ, ანდრეიკა! არ შეიძლება მეგობრის დატოვება. რა დაგე-მართათ, ქალებო! რას დაგვიწავებს ძალღი! აბა, შეხედეთ, რა სიმშათიურია!

— კარგი, — თქვა ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიწროთვალეზიანმა პანკრატოვამ, — თუ ეშელონის უფროსი ნებას დაგვრთავს... რას იტყვი, ქალებო?

— თუ ეშელონის უფროსი ნებას დაგვრთავს, — თქვა დედაჩემმა.

— თუ ეშელონის უფროსი...

ბაქანზე მამა დაეინახე. შავი, პრილა ტყავის პალტო ეცვა და როგორც ყოველთვის, სუფთად იყო გაპარსული. სადღაც მიიჩქაროდა, ვიღაც ფეხდაფეხ მისდევდა და გაწაწაწა იმეორებდა: „ამხანაგო პოლკოვნიკო, ამხანაგო პოლკოვნიკო!“

მამას მივაშურე.

— მამი, ვერ დაეტოვებ ჯულბარსს, — ვუთხარი მამას. — არ შეიძლება მეგობრის მიტოვება, — ჯულბარსს ღონიერ კისერზე ხელი დავუსვი. — თუ ვშელონის უფროსი ნებას დაგვრთავს, ქალები თანახმა არიან. რას იტყვი, მამი?

— მართალი ხარ, ანდრეიკა, არ შეიძლება მეგობრის მიტოვება, — შითხრა მამამ. — მეჩქარება, შვილო. გლადიშევს გადაეცი, რომ მე ვთხოვ... — მამა დაიხარა, მაკოცა და მისი შავი, პრიალა პალტო სადგურის კარში გაუჩინარდა.

გლადიშევის საძებნად მოვუსვი. გლადიშევი მაშინვე მიმიხვდა, მამის თხოვნა არ გადამიცია, უცებ დამთანხმდა.

— იჩქარე, ანდრეიკა, საცაა დავიძრებით...

ვაგონთან რომ მივირბინე, კიბე მოხსნილი იყო. შეშფოთებული დედაჩემი კართან იდგა და მელოდა.

— ანდრეიკა!

— ნება დამრთეს, დედი! — შევძახე დედას. — ნება დამრთეს!

ვაგონში ამიტაცეს. ჯულბარსი თვითონ შემოხტა.

ვაგონები წინ და უკან დაიძრნენ და შედგნენ. ქალები აფუსფუსდნენ, ბავშვებს დასტაცეს ხელი. უცებ, უნებლიეთ, ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ პანკრატოვამ ჯულბარსს კუდზე ფეხი დაადგა. ჯულბარსმა შეუღღრინა, ვაილღვებს გრძელმა და ბასრმა კბილებმა. შეშინებული პანკრატოვა განზე გადახტა, შევცოვას ნავთქურას წამოედო და წააქცია. ცხელი, ქაფქაფა წვენი ვალია კატუსკინას შეეშხეფა. ბავშვი აღრიალდა, აქაქანდნენ ქალები.

— მთელი ჩვენი ავლადიდება აქ დაეტოვეთ და ძალი მიგყავს!..

სულ უფრო კატეგორიულად და მტკიცედ ისმოდა უკმაყოფილო ხმები.

„ნეტა მალე დავიძვრებოდეთ“, — ვფიქრობდი შიშით.

— ამ საზიზლარს უნდოდა ეკბინა, — არ ცხრებოდა პანკრატოვა.

— ის მართო უცხოებს კბენს, — ვამშვიდებდი პანკრატოვას.

— ბავშვებს დაგვისვრის.

— სიცოცხლეს გაგვიმწარებს...

— ისედაც ვიწროდა ვართ...

— შეხედეთ, რა საზიზლარია!

სიმპათიური ჯულბარსი უცებ ყველას შეეზიზლა.

ძალად ამაგლიჯეს მეგობარს, ვაგონის ღია კარში გაიღვია და გაქრა მისი წითური ზურგი. მინდოდა გავსხლტომოდი ქალებს, მაგრამ ამაოდ. მაშინ სული გაეტრუნე, რათა გამეგონა, როგორ ებლაუჭებოდა ჯულბარსი ზღურბლს ბრჭყალებით, მეძახდა, წკმუტუნებდა, ახტებოდა დაძრულ ვაგონს და ხელის კვრით აგდებდნენ უკან, ახტებოდა და აგდებდნენ ისევ, სანამ მატარებელმა სვლას არ უშატა.

შემდეგ ვაგონის ფართო კარიდან დავინახე მთები, თიხით შეგლესილი, ნაცრისფერი მეჩეთი, პატარა კუბიკები ბრტყელი სახურავებით და რკინიგზის ყრილის შავი რკალი.

ჯულბარსი უკანასკნელ ვაგონს მოსდევდა.

უსათუოდ ვავარღვევდი ჩემს წინ ამართულ ხელების ჯებირს და გადავხტებოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ამაო იყო.

ჯულბარსი ჯერ წითურ ისრად იქცა, შემდეგ ძლივს დასანახ წერტილად...



ყველამ დაიძინა.

ტახტის ნაპირზე ჩამოვჯექი. ჩემს წინ მოძრაობდნენ თავები; შიშველი ფეხები. კარი დაკეტილი იყო. მიმე, სულის შემხუთავი მქავე სუნი იდგა ვაგონში.

ტონია ორლოვა გვერდით მომიჯდა, თავზე ხელი გადამისვა. ტონიას ნამცხვრის სუნი ასდიოდა. ისიც სწუხდა ჯულბარსზე და მე მადლიერი ვიყავი მისი. ნახევარი წლის წინათ ციმბირიდან ჩამოვიდა ჩვენთან ტონია. მაღალმა, სახელაქლაქა ლეიტენანტმა ორლოვმა ჩამოიყვანა. ტონია ისეთივე წმინდა და ჯანმრთელი იყო, როგორც ორლოვი. მხოლოდ უფრო პატარა. ტონიას გულთბილობით მოხიბლული ვფიქრობდი, როგორ გავიზრდებოდი და ყველაფერს სხვანაირად გავაკეთებდი: დაებრუნდებოდი აულში, წავიყვანდი ჩემს ჯულბარსს... თინასაც... და ყველა თემურელს... ტონიასათვის გავაკეთებდი რაღაც კარგს, ვაქცაყურს...

— ბეატრიჩე... — ვთქვი და ტონიას შევხედე.

ტონიამ ჩუმად გაიცინა.

— დაიძინე, ანდრეიკა...

თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა



გაზენიკი

თბილისი

განცდა მიწისა

ლაგირწევია ჩემი აყვანი,
ვეებერთელა ვარსკვლავებს შორის
ფრთხილად მატარებ ხელში აყვანილს
და შეუცდომლად შემოსწერ ორბიტს.
შენ დამატებე თავზე სიცოცხლე
და მარადიულ მყუდრო თვლემიდან
ამ დიდ ღელვაში შემოვიტყორცნე
გაოცებული ფართო თვალებით.
და, დედავ, შენი წითელი სული
ჩემს ლურჯ ძარღვებში იძვრის და შფოთავს.
მეც შენებრ ცაში გაფრენა მსურის,
პირისპირ შეყრა ვარსკვლავთა შორთა.

რა მაღლა, რა შორს

შიშველ ზეგნებზე ცა ალანძული,
მზე დაქანცული, დღე დანაცრული —
ასეთი მახსოვს გზა ტაბაწყურის,
ასეთი დაგვხვდა ტბა ტაბაწყურის.
მერე მწყემსებთან ქარიან სერზე
პურისქამა და დამბაჩის ბოლი
და შორს, ვით კიბე მარმარილოსი,
მთებს შეყოლილი თოვლების ზოლი.
მწყემსურ ნაბდებში შემოგვკვამდა
და, ტარიელის ცალად შობილი,
შორით ბნდებოდა ცა ჯავახეთის,
შენსავით თბილი და დაჭორფლილი.
გამიკვლევ კიდევ მკათათვის ღამეს
რაინდულ კრძალვით და გულში ცეცხლით?
გადამატარებ უკაცურ ყამირს,
უგზოო გზებს და ამიყვან ზეცას?

რა კარგი იყავ, რა ვაჟკაცი, რა
 რა სანანური, რა საგანძური,
 რა მალა დარჩა ტბა ტაბაწყურის,
 რა შორეს დარჩა გზა ტაბაწყურის.

სიზმროვანი მყვირალობის თვე

ოქროს სხივებით მოქსოვილი წიფობისა თვე,
 შიგ ახატული-ჩახატული ანანურის ტყე,
 მთის საფეთქელზე შეპარული ვერცხლისფერი მხცე,
 ზედ სახატესთან ანთებული კენტი ალვის ხე,
 და იქვე ჩემი მთრთოლი სული, თავისთვის რომ მღერს,
 აუყვება კლდეს, დაუყვება ხევს,
 ქორბუდა ირმის ნაკვალევსა სდევს...

მყვირალობის თვე, სიზმროვანი მყვირალობის თვე...

და მერე თუნდაც...

სულ მალა იწევს სიცოცხლე ჩემი და კალაპოტი ივსება ნელა,
 სულ მალა იწევს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ ასცდა კიდეს,
 ერთი ვეება ზამთარი კიდევ და გაზაფხულის სიკეთე ყველა,
 ერთი ავსება და აზვირთება, ერთი ცდა კიდევ,
 და იქნებ მოველო დიდი მინდვრები, აყვავებული ჭალა, დიდუბე,
 როგორმე მივსწვდე იმ მაგნოლიას, ფრთავაშლილს მუდამ,
 ფერუცვლელს მუდამ, ოთხივე ქარის მესაიდუმლეს
 და მერე თუნდაც... დე, მერე თუნდაც...

ჰოი, ბათალბეგ!

ამ ბნელ ღამეში, ვითა ვარსკვლავი,
 საფეთქელს ზემოთ შემრჩა და ჰყვავის
 უუკრძალესთა ბაგეთა კვალი.
 ჰოი, ბათალბეგ, ზეცაა მკრთალი,
 ვით შენი სწორი, ლამაზი შუბლი,
 დაგტოვე, მივალ ქარით და ღრუბლით,
 მივყვები ქვემოთ ცხენს და ცხენისწყალს
 და საფეთქელიც ქარში ღვივდება,
 როგორც ნატეხი ნაკვერჩხალისა.
 მე მთებში ყოფნა არ მომწყინდება,
 ნელი სურნელი ყარამფილისი,
 მაგრამ მიჩქარის ჩემი თბილისი —
 ჩემი ლურჯთვალა მზეთუნახავი,
 მზის ღიმილით და ოქროს ნაწნავით.
 ო, დაიფიცე, მარად იქნები,

ჩემი ძმა, ჩემი ჩუმი რაინდი,
 მწუხარების ქამს არ ჩამიქრები,
 მარტოობის ქამს ვით დას დამინდობ,
 ისევ შემხვდები ალვიან გზაზე,
 კვლავ გამახარებ, რითაც ვხარობდით...
 ჰოი, ბათალბეგ, სულია საესე
 მხოლოდ ალვებით და საღამოთი.


ჩემო ელია!

მესმის, შენ ჩემკენ მოესწრაფები ბრწყინვალე ეტლით, ჩემო ელია,
 მე ამას ვატყობ იმ ნაპერწკლებზეც, დამეულ ზეცას რომ მიჰფენია,
 იმ რძისფერ ნისლეც, ცას რომ შუა ჰყოფს —
 იგი შენს ცხენთა ფეხის მტვერია,
 შენ ერთმა უწყი, თუ სიყვარული რარიგ ძნელია!

ცის უფსკრულეზე შმაგ ნახტომებით გზას იმოკლებენ შენი ცხენები,
 შენ მოვარდები და გამიტაცებ და მიწას აღარ მოვეჩვენები,
 მოკვდები შენთვის, ვიცოცხლებ შენთვის,
 როგორც ინებებ...
 ჰა, უკვე აღჩნდა ოქროს ავშარა,
 ეტლის ბორბლების მოსმის გრგვინეა...
 აწ და მარადის მე ეტოვებ ღამის სევდიან გვირაბს.

ჩრდილი, სინათლე, ჩრდილი...

რარიგ ვიხდება კრძალვა,
 რა უბოლოოდ შვენი,
 თვალმწვანე, ფეხშიშველი,
 ალვა, მაღალი ალვა!
 ჩემი ფანჯრების წინა
 თრთის ჩრდილი — სული შენი,
 დილა-საღამოს ვრცელი,
 შუადღით—პაწაწინა.
 შენ ჰკვირობ, ჰკვირობ ძლიერ,
 ეს საოცრება გაკრთობს,
 რად ხარ ხან ასე მცირე,
 ხან ასე დიდი, რატომ?
 ვერ გარკვეულხარ სრულებ,
 არ გესმის ქვეყნის წესი,
 რატომ მოკლდება სული
 დიდი შუადღის მზეში,
 რატომ იზრდება დილით
 და საღამოს ქამზე,
 ან რისგან ბრუნავს ასე:
 ჩრდილი, სინათლე, ჩრდილი...





გიორგი კაკანაძე

ლურჯი ტყეები

მამის მარჯვენა წალღს შეაცივდა,
დარჩა ეწერი გაუკაფავი,
მამის მარჯვენა წალღს შეაცივდა,
სერზე აყვავდა მამის საფლავი.
ქარი მოათრევს ღრუბლების ხურჯინს,
მთებმა ზურგიდან ზეგანი ჩამოსვეს,
თითქოს მორბიან ტყეები ლურჯი.
იმ დადუმებულ სასაფლაოსკენ.
დედავ, მორბიან ლურჯი ტყეები
და სასაფლაოს წყლულს დაფარავენ,
იჩურჩულებენ მწვანე ხეები,
თითქოს მომკვდარა ქვეყნად არავინ...
დედავ, მორბიან ლურჯი ტყეები.

დამესიზმრება: მოვკვდები, ჩიტი დამტირის კრელი,
ჯოგის ბლავილზე მწვანდება გახუნებული ველი.

მიდიან როგორც ლომები, თათებს მამჯენენ მთები,
და საფლავიდან მეწვევა სურნელი შენი თმების.

დამესიზმრება: მოვკვდები, მეძახის მწვანე ხნული,
არ მესმის თესლის ჩურჩული, გული სად არის, გული...

დამესიზმრება, მოვკვდები: მეძახის მწვანე ჩიტი,
და ჩემს საფლავზე დაფრინავს გაღვიძებული კვირტი.

მომკვდარიყო პეპელა გადამთვრალი,
მაღალ მთებზე ფათქუნებდა სამთარი,

ნათიბ თივას თავს უყრიდნენ ქალები,
ჩამქრალიყვენ ყვავილების თვალები.

ხუნდებოდა ველი გადათიბული,
კრიახობდა წერო ლაქვარდს მიბმული.

ქარს მიჰქონდა პეპელა დღეჩამქრალი,
ზვინი ეგდო, როგორც ოქროს ჩაჩქანი.

ოქროს ვერძი

გუმათჰესის მშენებლებს


ის ოქროს ვერძი ბერძნებს კი არ გაუტაცნიათ,
ის ოქროს ვერძი ღმერთისათვის არ შეუწირავთ,

ის ათას წლობით ჩვენს რიონში მწარედ ბლაოდა,
თქვენ დაიხსენით ის ტალღების სასაფლაოდან.

შრომის გენით ეს რიონი გახდა ფეხმძიმე,
და გუმათჰესიც დაიბადა ოქროს ვერძივით.

ვინღა იტირებს რიონის ფშანთან,
გაჰლიმებიათ ბაგრატის ფრესკებს,
ვინღა უმღერებს წყნარ სუროს კალთას,
როცა სინათლე გაატანს ქვესკნელს.

ძველი მითების გახდით მეზადე,
სახლები ნათელ მკერდს იღვღავენ
და ქუთაისში ლეგენდების შუქი დაცვივდა.



სოლომონ დამუხანაშვილი

მხარე სკანდინავიის

ამინდი უცებ შეიცვალა. უწადინოდ დიწყო ეინვლევა. წვეთები სუსტად ახმურდა მანქანის თავზე და მინაზე გასრიალდა. სულ მოკლე ხანში ასფალტი გადაშავდა. ალაგ-ალაგ ბრწყინავდა პაწია გუბურები.

გზაზე მიდიოდნენ საბარგო მანქანები და ასფალტზე ორ მოთეთრო ბრტყელ ზოლს სტოვებდნენ. დახერტილი ყუთებით დატვირთული მანქანები ჩაის ფოთოლს ფაბრიკისკენ ეხიდებოდნენ.

ირგვლივ პლანტაციები იყო. პლანტაციები იყო ყველგან და მთელი მიწა მწვანედ აბიზინებულ ზღვას წაგავდა.

სიმწვანეში ჩაფლულიყო ლამაზი ოდა-სახლები. სოფელი თითქოს აყრილაო, აღარც დიდი ჩანდა, აღარც პატარა.

ალაგ-ალაგ თვალს მოგკრავდი ხოლმე კილის ქუდებს და ისინი ბუჩქებზე ჩამოიხსდარ ვეება ბეპლებს წაგავდნენ შორიდან.

მანქანის მინა აწვიე და გოდერძის გასაგონად ვთქვი:

— ცუდ დროს მოვდივართ, პლანტაციებში ახლა არავინ იქნება, მე მინდოდა პლანტაციებში მენახა ახალგაზრდები.

გოდერძიმ მანქანას სიჩქარე შეუცვალა და კრუსუნით შეუყვანა აღმართს.

— ეს რა წვიმაა, ასეთი წვიმა ხელს ვერ შეგვიშლის, — თქვა გოდერძიმ, — ყველას პლანტაციებში ვნახავთ.

ერთხანს მღუმარედ მივდიოდით. ვუყურებდით, მანქანის მინაზე როგორი მისრიალებდა წვეთები და როგორი ღიღის ამბით ცმუქავდნენ მინის საწმენდი ჯავრისებო.

ქალაქიდან დღეს ჩამოვედი, ერთი საათის წინ გვიცა-ნი გოდერძი ბაბილოქე. იგი კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობს.

ჩვენს წინ ახლა საბარგო მანქანა მიდიოდა, ზედ საწვიმარის ქვეშ ვილაც ბიჭი იჯდა.

აქეთლაქეთ წვიმამ იკლო, უბრალოდღა ეინვლევადა, კანტი-კუნტად.

— აბა ერთი ნახე, რომელი საათია გოდერძიმ საათი ნ.ხა, სამი იყო.

— როგორ ჩამოხუნვდა, ჰა, დაღამებულს მეგონა. — ვთქვი მე.

გზაზე არხეინად გადაგვიარეს ბატებმა და რომელიღაც ეზოში შებაჯბაჯდნენ.

— აი, ეს არის ქანიეთი, — თქვა გოდერძიმ. ქანიეთი მახარაქიდან შორს არა ყოფილა, ერთს ამოიჭაინებს მანქანა და ეგ არის. სოფელი დაკლილი მომჩვენა, თითქოს ბედის ამარა მიუტოვებით სიმწვანეში შეუყუებული ოდა-სახლები.

ბოგორზე კილაც კილის ქუდიანი გლეხი იდგა მხარზე თოხი ვაღო. ბოგორზე ნელა გადავიარეთ. გლეხმა ივლი გამოგვაცოლა.

ორსართულიანი მოზრდილი შენობის წინ გაეჩრდიო, შენობის წინ ფართო ეზო იყო, მესრით შემოღობილი, ალაყაფარიანი. რა დიდი გამოცანა უნდოდა, ეს შენობა კანტორა იყო და ეს კილაც კოლექტივის მანქანებისაგან მოხრიოქებული იყო.

კანტორაში კაციც ქაქინება არ იყო, ბოლოს კანტორის გვერდით, მგონი საყარულოში, გოდერძიმ ვილაც აღმოაჩინა, რალაც უთხრა და ისევ უკან გამობრუნდა, მითხრა: პლანტაციაში ყოფილან ყველანიო.

გზა ახლა მინდორზე გადაიდა. გზაზე მანქანები იდგა. გაეჩრეტო ჩვენი მანქანა და გადმოვედით. გზის გადღმა მთოხნავეები ჩანდნენ, მათგან მოშორებით სამნი იდგნენ და რალაცაზე საუბრობდნენ, როცა მივეახლოვედით, ერთი მათგანი შემობრუნდა და გოდერძის ღიმილოთ უთხრა: თქვენს სტუმრობას გაუმარჯოსო. სქელი კაცი იყო, მწითური, ვიწროდ შემოტმასინდ ტილის კიტელზე ბრტყელ ლაქებად აჩნდა წვიმის წვეთები. იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვიე მკავანაძე გამოდგა.

— კეთილი, — თქვა თავმჯდომარემ, როცა

ჩემი სტუმრობის მიზეზი ვაიგო, თვალთ გამზომა და ღიმილით მითხრა: — ჩვენი რაიონის ახალგაზრდებზე ცოტა იყურება, ბევრი უნდა იწერებოდეს, ჩვენს რაიონში რომ მშრომელი ახალგაზრდობაა, მისთანა სად არის, აგერ თვითონ ნახავთ, თუ ჩემი არა გჯერათ.

ვუთხარი, სწორედ ამიტომა ვარ მოსული-მეთქი.

თავმჯდომარემ ხელ-მკლავი გამიკეთა, მითხრა: წავიდეთ, ჩვენი ახალგაზრდები ენახოთო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მე და თავმჯდომარე ძველი ნაწილებივით ვსაუბრობდით.

მთონხაგებიდან ვილაკამ დაიძახა: სტუმარი არ გაუშეთა, საცა ჩვენც მოვათავებთ თონხას და გამოვვიარეთო.

გვიც ვკითხვ, ვინ არიან-მეთქი. თავმჯდომარემ გაიცინა.

— კოლმეურნეებს არა ჰგვანან, არა?! — თქვა მან. მართლაც არა ჰგავდნენ კოლმეურნეებს, რაც უნდა იყოს, კოლმეურნე მაინც სხვანაირი საშოსით გამოვა ყანაში.

— სახელმწიფო დამსაღების ინსპექციიდან არიან, — განაგრძო მან, — იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ეხმარებიან, განა მარტო ესენი — რაიონი. აგერ, ბოძის იქით რაც სიმინდის ყანაა, რაიონსაკომუნა გაპიროვნებულა.

პლანტაციოში მანქანით წავედით.

— ისე, რომ იცოდეთ, — თქვა თავმჯდომარემ, — ჩვენს სოფელს ამას წინათ ხრუშჩოვი ესტუმრა.

— ვიცი.

— აი, ეს გზა სულ ხალხით იყო სავსე. ჩვენი პლანტაციები დაათვალიერა, ძალიან მოეწონა.

— თქვენ თუ გესაუბრათ? — ვკითხვ თავმჯდომარეს.

— კი, შესაუბრა. მკითხა, როგორი შემოსავალი აქვს კოლმეურნეობასო, რამდენს ანაწილებთო, ძალზე მოეწონა ჩვენი პლანტაციები, შრომისმოყვარე ხალხი ხართ ქართველებო. რაც მართალია, მართალია, ხრუშჩოვის სტუმრობამ ძლიერ გაახარა ხალხი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მთელი რაიონიდან მარტო ჩვენს სოფელში იყო.

— სხვა სოფელში არ ყოფილა, ხომ?

— სოფელში არა. ისე მახარამეში ჩაის მეორე ფაბრიკა დაათვალიერა. ნასაკირალის ვადა-სასფელთან, ობელისთანაც შეჩერდა.

ისეთის გატაცებით ჰყვებოდა ვი ჩვენს სამშობლოში ამხანაგ ხრუშჩოვის მოგზაურობაზე, თითქოს ეს ამბები მხოლოდ მან იცოდა ან მხოლოდ მან შეეხებოდა. განსაკუთრებით ის უმაღლესი მოთხარება ახარებდა მას, რომელიც ჩვენი მთავრობის მეთაურმა ქართულ ჩაის, ქართველი მეჩაიეების შრომას მისცა. გვიც აღტაცება

და სიხარული ბუნებრივი იყო, ცოტა ოფლაროდი დაღვარეს ქანიეთელმა ქალ-ვაყებმა იმი-სათვის, რომ ქართული ჩაის ასე დიდი ქება თქმულიყო...

კოლმეურნეობის „ზიმი“ ასფალტიან გზაზე გავიდა და გაიძაგრა.

— როგორი გეგმა აქვს წელს თქვენს კოლმეურნეობას?

— წელს გეგმით 66 ტონა ჩაი უნდა ჩაება-როთ სახელმწიფოს. შარშანდელზე მეტი. შარშან 520 ტონა მოეკრათ... აი, მოვედით კიდევ. მანქანამ ასფალტიდან გადაუხვია და საველე ფარდულთან გაჩერდა.

ქივლელადა, მაგრამ ქალიშვილები უქმად არ ისხდნენ. ხუთიოდე წუთის შემდეგ ფარდული ჩითის უბრალო კაბიანი ქალიშვილებით გაივსო, მათ სამუშაოზე აიღეს ხელი და ძრიაპულით შემოვიდნენ.

ერთის შეხედვით მათი ბიოგრაფია, მათი ცხოვრება სოცერად წაავაგეს ერთმანეთისას. ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან; სისხამზე ერთად მიიღან პლანტაციაში, საღამოსაც ერთად ბრუნდებიან შინისკენ. რომ დაჯდეთ და ყოველ-ღვე უყურო, გარედან ისე მოგეჩვენება, თითქოს მათი ცხოვრება წყლის ორი წვეთივით წაავადნეს ერთმანეთისას. თუნდ ამ ქალიშვილების წარსულს გადახედეთ: ერთად მიდიოდნენ სკოლაში, ამზადდნენ გაკეთილებს და კლასიდან კლასში ერთად გადადიოდნენ. ერთად დატოვეს სკოლის კედლები, მერხები, ერთად დატოვეს ბავშვობა და მოვიდნენ პლანტაციაში. ბევრი მათგანი სწავლობს დაუსწრებლად და თავდაღებული შრომითა და გულმოდგინე სწავლით სამშობლოს ახარებს.

ისინი ახლა სხედან გრძელ მაგიდასთან. უბრალოდ გაკეთებულ საველე მაგიდასთან, ჩურჩულებენ და ჩუმ-ჩუმად იცინიან.

მაგრამ იმათი ცხოვრება მაინც ბევრი რამით განსხვავდება ერთიმეორისაგან. და ეს ცხოვრება უჩინარია, გულში ჩაკეტილი, ეს ის ცხოვრებაა, რომელზედაც ფიქრობ ჩაის კრეფის დროს, ძილის წინ და სიმღერის დროს. ალბათ ყველას ჰყავს, როგორც იტყვიან ხოლმე, გულის მესაიდუმლე, ფიქრობენ მასზე, მღერიან და იხედებიან შორს, მომავლისაკენ. ასე უჩინარად იწერება ერთიმეორისგან განსხვავებული ბიოგრაფია.

ჩემს პირდაპირ საშუალო ტანის მოხდენილი ქალიშვილი ზის, შავი თვალ-წარბი აქვს, მზიარული, სიცოცხლით სავსე თვალები. მატყლივით მძიმე შავ თმას თავის რხევით ისწორებს და ტუჩზე ღიმი უკრთის.

ეს ქალიშვილი ეივრ ლომჯარიაა. თებრმა 1959 წელს დაამთავრა საშუალო სას-



წავლემელი. სხვებთან ერთად გადაწყვიტა სოფლად დარჩენილიყო, ემუშავა პლანტაციასი და დაუსწრებლად განეგრძო სწავლა.

იმ წელიწადს ეთერმა 3.500 მეტრი ფართობი გაიპაროვნა. გადიოდა დღეები, თვეები, ნაკვეთში დროულად იყრებოდა სასუქი, დროულად ისხვლებოდა ჩაი. გოგონას გარჯამ უქმად რიდი ჩაიარა. ეთერ ლომჯარიამ 3.800 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

მასთან ერთად ბევრი სხვაც მოვიდა სკოლიდან პლანტაციასი. ბევრმა გამოიჩინა თავი შრომასი.

კომკავშირის რაიკომის გადაწყვეტილებით 1960 წელს ქანიეთის კოლმეურნეობაში კომუნისტური ახალგაზრდული რგოლი შეიქმნა. რგოლის ხელმძღვანელად ეთერ ლომჯარია აირჩიეს.

ეთერი ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს შრომითს წარმატებაში. თუ შარშან 3.800 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, წელს ეთერის 5 ტონა ჩაის მოკრევა აქვს გადაწყვეტილი.

რა ნაენობი სახე აქვს ამ ქალიშვილს. ნეტავ სად მინახავს. შინაურულად მოვიდა და ხელი ჩამოპარტევა. გამიღიმა ისე, როგორც შორეულ ნაცნობებს უღიმიან ხოლმე. ძალზე ეშხიანი სახე აქვს, კოხტად დაყენებული შავი თმები. ეს უბრალო ჩითის კაბაც საოცრად შეენის.

— ეს სულიყო ლომჯარიაა, — მეუბნება გოდერძი, — მოწინავე მეჩაიე, დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუდენტი. ამავე დროს, რაც მთავარია, ჩვენი რაიონის გაზეთში ხშირად აქვეყნებს ხოლმე ლექსებს.

— კარგი ერთი — გაწყრა ქალიშვილი და ეუბნებრულა.

— ახალგაზრდა მწერლების თათბირშიც მონაწილეობდა, — ამბობს გივი.

აი თურმე საიდან მახსოვდა. სამიოდე წლის წინ ამ თათბირს მეც ვესწრებოდი, მაშინ არ ვიცოდი, თუ ეს ქალიშვილი მოწინავე მეჩაიე იყო.

სულიყო ლომჯარია 1958 წელს დაამთვრა საშუალო სკოლა. ქალიშვილმა მალე მოიხვეჭა სახელი. როცა კომუნისტური შრომის რგოლი ჩამოყალიბდა, იგი უკვე ცნობილი მეჩაიე იყო. რამდენ რამეს ასწრებს ეს ქალიშვილი: დღეში 80-90 კილოგრამი ჩაის მოკრეფას, სწავლას, საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად მუშაობას და ბოლოს, დიდი ლიტერატურის გზაზე გასვლისათვის ზრუნვას და ფიქრს.

წლებანდელი წელიწადი სულიყოს შრომითს საქმიანობაში ყველაზე ნაყოფიერი წელია.

წელს სულიყოს 5 ტონა ჩაის მოკრევა აქვს გადაწყვეტილი.

ლიანა მახარაძე და ვუქუნა შავიშვილი ერთ კლასში სწავლობდნენ, ერთად დაამთვრეს სკოლა და ერთად მოვიდნენ პლანტაციასი. ჩაის კრეფაში არავის ჩამორჩებიან, არ არცხვენენ რგოლის სახელს, არც გარეგნობით ჩამორჩებიან ვინმეს, არც კაი ქალიბით, მაგრამ... მთელი რგოლიდან ესენილა დარჩნენ უმაღლესში მოსაწყობი და ეს ფიქრი არ ასვენებთ. წელს ორივე აპირებს უმაღლესში შესვლას, თანაც ოთხ-ოთხი ტონა ჩაის მოკრევა აქვთ გადაწყვეტილი.

ვუსურვებთ, ორივე საქმე წარმატებით შეესრულებინთ.

რამდენი რამის თქმა შეიძლება კიდევ ეთერ ლომჯარიას რგოლსა და მის წევრებზე.

მთელი კოლმეურნეობა სამართლიანად ამყობს ამ რგოლითა და მისი წევრებით, ამ გამარჯვებ, შრომისმოყვარე ახალგაზრდებით. ეს რგოლი და მისი წევრები ხომ მთელს რაიონშია ცნობილი, ჩვენ ისიც არ გვითქვამს, რომ ეთერ ლომჯარიას რგოლს ვასულ წელს კომკავშირის რაიკომმა კომუნისტური შრომის ბრძოლის წოდება მიანიჭა, ხოლო ეთერსა და სულიყო ლომჯარიებს — კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

მთ გარდა რამდენი ახალგაზრდა ქანიეთშია, ქაბუჯები და ქალიშვილები, რომელთაც თავიანთი შრომითი წარმატებით შორს ვათქვეს სახელი. რომელი ერთი უნდა ჩამოთვალა.

ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდა წევრია ჯაბა საჯაია, რომელსაც ციტრუსების გარდა გაპირებებული აქვს აგრეთვე 8.000 მეტრი სიმინდის ყანა. მან ამ ფართობიდან 80 ცენტნერი სიმინდის მოყვანა იქისრა.

გურამი და კუკური შავიშვილები ამ სოფლის ახალგაზრდა მექანიზატორები არიან, ისინი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

ახლა ქანიეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდობა მაკენეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდებთან სოცშეჯიბრშია ჩამბული.

საინტერესოა, ჩემი ნაცნობი ქანიეთელები როგორ გამოვლენ ამ შეჯიბრში.

ახლა კაცი ვერ მიხვდება, ამ ნაკვეთს ეწერს რად ეძახიან.

თავისებური ბიოგრაფია მასაც აქვს. თურმე უბატრონოდ იყო მიგდებული, აღამიანისგან მიტოვებული. ეშამაყ იტის, როდის და რისთვის იიყარეს მასზე გული. მაგრამ ერთი დღე მასაც გაუთენდა, როცა ჯიხურში კომუნისტური



შრომის რგოლა ჩამოყალიბდა, როცა შვიდი ქალიშვილი სკოლიდან პლანტაციისაში მოვიდა.

მოვიდნენ ქალიშვილები და თავმჯდომარეს სთხოვეს, ეს მივდებულნი ნაკეთი ჩვენზე გააპიროვნეთ, ჩვენ მოვუვლითო.

კომპეტენტობას საამისო რა სჭირდა. გეგმას ყოველ წელს გადაქარბებით ასრულებენ. აგერ—ა, წესსაც, ცუდი ამინდების მიუხედავად, მისის თვის გეგმა გადაქარბებით შესრულდა. მთელი წლის გეგმით გათვალისწინებული 936 ტონიდან 268 ტონა უკვე მოკრიფეს.

ჰოდა, რა სჭირდა საამისო, რომ ქალიშვილებისათვის, რომელნიც ეს-ეს არის მოვიდნენ სკოლიდან, მიანცდამიანც ეს ნაკვეთი გაეპიროვნებინათ. იქნებ ამას შედეგიც არ მოპყროდა და შრომის ფუქად ჩაველო. იქნებ ეს სურვილი უბრალო ახალგაზრდულა გატაცებაც იყო.

ქალიშვილები არ მოეშვნენ გაჯიუტებულ თავმჯდომარეს, ბოლოსდაბოლოს კომკავშირის რაიკომამდე მივიდა საქმე. მუხჯის ენა დედას ენისისო, და კომკავშირის რაიკომამაც ისე გაიგო ეს, როგორც ახალგაზრდებს სურდათ, როგორც საჭირო იყო.

ვდგავარ ახლა ამ საქმად მოზრდილ პლანტაციისთან და ვუყურებ, არაფრით ჩამოუვარდება სხვა პლანტაციებს.

ახალგაზრდების ჯიუტმა, გამარჯვ ხელმა იგი ნამდვილად გააცოცხლა.

ის ქალიშვილებიც აქ არიან, ამ პლანტაციის რომ უწამლეს, წუხელ წვიმა იყო და დღეს მოგვიანებით გამოუსულან სამუშაოდ.

რგოლის ხელმძღვანელი ნადია ვასაძე მიანც ადრინა წამოსულა, ამჟამად ის რომელიღაც გადაღმა პლანტაციაში კრეფს ჩაის.

ნუნუ სალუქვაძე, რომელსაც თავისი ბიძაშვილის დალი სალუქვაძისთვის მოუხვევია ხელი, საოცრად მაგონებს ვილაცას. სხაპსხუბით ლაპარაკობს, საუბრის ეს მოწაფური ჩვევა ჯერაც არ დაჰკარგვია.

ნუნუ 1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. უმაღლესში არ წასულა, არ უცდია. ან რა ცდა უნდოდა ოქროს მედალის პატრონს, პირდაპირ პლანტაციაში მოვიდა და დაუსწრებელზე განაგრძო სწავლა.

ამ რგოლის წევრებიდან თითქმის ყველა ერთ კლასში სწავლობდა. კურსდამთავრებულთა შერკრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს სოფელში დარჩენილადყენენ. თითქმის ყველა ერთ რგოლში მუშაობს. ოქროს მედალოსანი ნუნუ სალუქვაძე პლანტაციაში წარმატებით მუშაობს. მან შარშან 3.500 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, წელს კი 4.000 კილოგრამი ჩაის მოკრიფა გადაუწყვეტია.

ნუნუს არც მისი ბიძაშვილი დალი ჩამორჩება. დალის 1958 წელს დაუმთავრებია სკოლა,

თურმე ფილოლოგიურზე ოცნებობდა დალი, მაგრამ ეს რატომღაც გადაიფიქრა და ეკონომიურზე მოეწყო. ლიტერატურისადმი სოყვარული მისიც არ განუღებია და ახლაც თავისუფალ დროს გატაცებით კითხულობს ლიტერატურას.

დაუზარელ ქალიშვილს შრომა დაუფასდა, ხუმრობა საქმე ზომ არ არის, ასე ახალგაზრდა მეჩაიე სასოფლო საბჭოს დებუტატად აურჩევიათ.

სათითოდ ვათვალიერებ ქალიშვილებს. პირდაპირ მივიკრის ისინი მთელ დღეს მზის ქვეშ დგანან და სახეზე როგორ არ ეკიდებთ მზე. ყველა ერთმეორეზე უკეთესია, კაცი ვერ იფიქრებ, თუ ეს კეთანდარა, სკოლიდან გულში მოსული ქალიშვილები დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის კრეფენ, აქვთ საითითაოდ გაპიროვნებული 3.500 მეტრი ფართობი და სასახელოდ უვლიან მას. აბა რომელი ერთი გინდა გამოტოვო. რგოლში შვიდნი არიან, შვიდიდან ხუთი უმაღლესში სწავლობს და შვიდედენი სასახელონი არიან.

თვალში მომხვდა პატარა, ხორბლისფერი სახის ქალიშვილი. იგი იაშუე თოიძეა. მისი ბიოგრაფია როგორღაც განსხეავდება დანარჩენთაგან. 1958 წელს დედა გარდაცვლია. უფროსი დები გათხოვიან. სახლში თავისზე უმცროსი ღალა დარჩენია.

1959 წელს დაუმთავრებია საშუალო იაშუს. კომკავშირული საქმეები სკოლიდანვე თავდაფიწყებით იტაცებდა თურმე. ამიტომაც კომკავშირის რაიკომში შტატგარეშე ინსტრუქტორად დაუწყია მუშაობა. კარგი მუშაი ყოფილა. მაგრამ გული დიდხანს არ გაჩერებია, ისევე ამხანაგებთან დაბრუნებულა პლანტაციაში. წელს იაშუს 4000 კილოგრამი ჩაის მოკრიფა აქვს გეგმაში, თანაც უმაღლესში შესასვლელად ემზადება.

ლამაში სოფელი ყოფილა დედაზე. მოსვალტებული გზები და გზის პირას ჩარიგებული სახლები რკინის ალყაფებით, მწვანე, წარმტაცი ეხოებით თვალსა და გულს იტაცებენ.

საერთოდ ყველა სოფელში ასფალტინი გზებია, უზნებიც კი მოასვალტებულია. ამას თავად სოფლები აკეთებენ თავიანთი ხარჯით, მდღეობი სოფლებია და თავად აკეთებენო, მეუბნება გოდერძი.

ახლა ბაჯაღლო ამინდია. სოფელში მისიც არა ჩანს ხალხი. ახლა შინ რა გააჩერებთ!

ჩვენ ვსხედვართ ფართო გზოში, ვევაბა თუთის ხის ქვეშ და ვესაუბრებით გუგული ლაქონიას. გუგული შავგერმანი ქალიშვილია, ძალზე დინჯად, თითქოს უგულოდ გვესაუბრება თავის თავზე, მაგრამ როცა მისი რგოლის წევრებზე მიდგება საქმე, გუგული რამდენსაც გსურთ ილაპარაკებს. გუგული ჯერ თავისი რგოლის წევ-



რებზე ლაპარაკობს. თვალწინ მიდგება უცნობი ქალიშვილები, კაბუტები შეგვგრემანები და ხუჭუტოზიანები, რომელი ერთი გინდა ახსენო აქ, მეჩაიე გუჩამ სკამოჩანაშვილი თუ აბელ სკამოჩანაშვილი, რომელიც დაუსწრებელზე სწავლობს და წელს პეტარზე 70 ცენტნერი სიმინდის მოყვანას კისრულობს. ღალი ხაქოშია და ლინა ჯახუტაშვილი მარტო ჩაის კრეფას როდი ასწრებენ, ისინი აბრეშუისის კისასც უქლიან.

რამდენ რამეს ასწრებენ გუგულის რგოლის წევრები! საკუთარი რგოლის წევრთა ძალებით აგიტმხატვრული ბრიგადაც კი ჩამოაყალიბეს, რომელსაც სულყო გობრონიძე ხელმძღვანელობს.

ისინი ხშირად მართავენ ხოლმე კონცერტს მწეემსებთან.

რა ხანია „შუაღელე გადავიდა. მზე უკვე მოედარა მაღალ, ორსართულიან სახლს. სახლი ახალთააღია. გასამართი. ეს სახლი გუგულის იაშენა. გუგულის დები გათხოვილან, გუგულისა დარჩენილა სახლში, ამ ოჯახის ვაჟკაციც ის არის და ქალიშვილიც. კოდა, ახლა ალბათ საქორწილოდ ემზადება და სახლის აშენება იმითომაც განუზრახავს.

— ამ სახლის აშენებაში მხოლოდ და მხოლოდ გუგულის ხელი ურევია.—ამბობს გუგულის მოხუცი მამა და სიამაყით უცქერის თავის უმცროს ქალიშვილს — ქალიშვილები სხვებიც მყვანან, მაგრამ გუგულისთანა...

ან რა საჭიროა ბერეკაცის დამოწმება, გუგულისთანა ქალიშვილის რად უნდა გაუჭირდეს სახლის აშენება. მთელს სოფელში, მთელს რაიონში იცნობენ გუგულის, იცნობენ მას, როგორც სტუდენტს, როგორც განთქმულ მეჩაიეს. როგორც კომუნისტური შრომის დამკურტლს, როგორც მერგოლურს.

ჩაის კრეფა როდღიდან დაიწყე-მეთქი, ვეკითხები გუგულის. რაც თავი მახსოვსო, მახსოვსო ეს მოკლედ, ღიმილით.

სამზადში ვილაც ქალები ტრიალებენ და ცალი თვალით ჩვენსკენ იუტრებიან. ჩვენ ვამთავრებთ საუბარს და წამოსასვლელად ვემზა-

დებით. გუგული კიშკართან დგება და გზას გვილობავს.

თუთის ქვეშ პატარა მაგიდა ვაჩნდა და მაგიდაზე კაში ჩაიცეხული ცოლიკაური...

ბინდდებოდა, როცა ჩვენი მანქანა ასფალტიან გზაზე გასრიალდა, გოდერძი რაღაცას ღიღინებდა.

— მართლა სასახლო ახალგაზრდები გყოლიათ, — ვამბობ მე, — თქვენი ახალგაზრდები ძალიან ბევრს აყეთებენ.

— ჯერ რა გინახავს. ორიოდ სოფელი! რაიონიდან მართო ახალგაზრდობამ წელს 18.000 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა ჩააბაროს.

— მართო ახალგაზრდობამ?

— ეს ჩაი! 650.000 ცალი შეხავსებულ კომტებში გამოყვანილი; ჩაის მაღალხარისხოვანი ნერგი. 1950 ცენტნერი ციტრუსოვანი ნაყოფი, 16.000 ტონა სილოსი, ახლა სიმინდი, აბრეშუმის პარკი!..

მე ვდუმვარ და ჩემთვის რაღაცას ვფიქრობ.


გოდერძი რომელიღაც სახლთან აჩერებს მანქანას, მეუბნება, ხუთ წუთში გამოვალო, სახლის ფანჯრიდან სინათლე გამოდის და ოთახში ვილაციის ლანდს ვხედავ.

გადმოველი მანქანიდან და პაპიროსს მოვეუკილვ.

მოწმენდილა დამე იყო, ნათელი. დღმილა მეფობდა ირგვლევ, თითქოს მთელი სოფელი იწლ მისცემილა, მწალალ ხეთა ლანდები ოთხივე მხარეს ფარავდა პორიზონტს, ამ ხეებს იქით სოფლები იყო მიმოფანტული, ოდა სახლები, სადაც ახლა ექინათ ან შეიძლება არ ექინათ. ჩემს ნაცნობსა და უცნობ ახალგაზრდებს, რომელნიც კედენ ხვალინდელ ნათელ დღეს. ისინი კარგახნის დაბრუნებული იქნებიან პლანტაციიდან და ახლა ალბათ ყოველი მათგანი ფიქრობს, ოცნებობს...

ვიდგეი გზაზე და ვფიქრობდო:

„მე რომ შემეძლოს, ძალიან, ძალიან კარგ სიმღერას დავწერდი მათზე, მათს ხელეებზე, თუ კი ამით ვალს მოვიხდიდი იმათ წინაშე“.



კონსტანტინე გამსახურდია თავის საიუბილეო საღამოზე
ოპერის თეატრში.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მწერლის, მხატვრული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულებას.

კონსტანტინე გამსახურდია ორმოცდაათი წელია უანგაროდ ემსახურება მშობლიურ კულტურას. XX საუკუნის ქართული პროზის განვითარების გზა ნათლადაა აღბეჭდილი მთელ

მის მდიდარსა და მრავალმხრივ შემოქმედებაში. იგი ერთი იმთგანია, ვინც უდიდესი წილი დაიღო ახალი ქართული ლიტერატურის შექმნაში, გამოატარა იგი უძნელეს გზაზე და დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა.

იგი ქართულ მწერლობაში დიდი წინააღმდეგობების დროს შემოვიდა; ეს იყო ხანა, როცა ჩვენი ლიტერატურა ახალი ფორმებისა და თემატიკის ძიებაში უკიდურესობებს შორის მერ-



ყოფიდა. დიდი ქართველი მწერალი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ხარკს უზღვის მოდერნისტულ ლიტერატურას, განიცდის დეკადენტური ფილოსოფიის გავლენას. ამ პერიოდში იგი ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა „ქალის რძე“, „ტაბუ“, „დიდი იოსები“ და სხვ., რომლებშიც ორიგინალურად ათავსებს თავისი გმირების სულიერი სამყაროს ასახვას მოდერნისტული ლიტერატურის მეთოდებთან.

კონსტანტინე გამსახურდიამ განვლო რთული და შემოქმედებითი ტვირთით სავსე გზა კონსტანტინე სავარსამიძიდან და უადგილოდ დარჩენილი, ინტელიგენტური „სპლინიტი“ დაავადებული თარაშ ემხვარიდან — პროფესორ კორინთელამდე, ახლის დამკვიდრებისათვის მებრძოლ არსუყან ზვამაიას მთელი რიგი შინაგანი წინააღმდეგობებიდან — გოდერძის მონოლითურ ბუნებამდე, გადაგვარებული არისტოკრატიისთვის დამახასიათებელი ერთგვარი რომანტიული პასიურობიდან (თამარ შარვაშიძე) — ჭირში უღრმე ნუნუ უჯვარაულამდე, ნიადაგს მოკლებული, ბესიმისტურად განწყობილი, სულიერად დაცარიელებული ადამიანების ყოფის აღწერიდან — ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ძლიერი ნებისა და მაღალი სულის პერსონაჟებამდე. ცხოვრების განახლებულ ფორმებს ახალი თემატიკა და დამოკიდებულებები მოჰქონდათ და ჭეშმარიტ მწერალს არ შეეძლო ფართოდ არ გაეხსნა შემოქმედების კარი მათთვის. კ. გამსახურდიამ ერთმა პირველთაგანმა ასახა ჩვენი სინამდვილე ვრცელ და მაღალმხატვრულ სოციალურ ტილოში — ტრილოგიაში „მთვარის მოტაცება“, იგივე თემა უფრო ღრმად და პოლემიკური სიმბოლოით გააშუქა მეორე ეპიურ ნაწარმოებში — „ვავის ყვავილობა“.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ რომანებს. იგი არაერთთვის მიმოიარეს ჩვენი ერის მდიდარსა და ტრაგიკულ წარსულს.

აქ ყოველი ნაგერვეში, ყოველ ტაძარში და ჩუქურთმაში გარინდებული მითი სთვლემდა და ელოდა ადამიანს, რომელიც მგრძნობიარე თითებით შეეხებოდა საუკუნეთა დუმილს და აამტყვევებდა გავლიერებულ ქვეებს. ჩვენი წარსულის მესაიდუმლე უბრუნდება ქვათა და ლეგენდების საიდუმლოს, საუკუნეთა ბინდში ეძებს ქართულ შემოქმედებითს გენიას. მისთვის წარსული არაა მატანე-

თა დამტვირთი კაბადონები, ტაძართა და ნანგრევთა მდუმარება, დაღაშქრული და ნათარეშალი ველეების ძუნწი სიმწირე. მას წარსულში თანამედროვე მსოფლმედვა და ტემპერამენტი შეაქვს, ანიჭებს სიცოცხლეს, ფერსა და ფორმას. იგი ქართული ეროვნული კულტურისა და სახელმწიფოებრივი შეგნების საწყისებს ეძებს და მხატვრულად წარმოსახავს, უპირისპირებს ერთმანეთს შემოქმედებასა და სიყვარულს, ხელმოგნებას, რომლის სათავეებიც ხალხური სიბრძნის სიღრმეებშია — რენეგატთა იქნებ ოსტატურს, მაგრამ მინც ხელოსნობას. მრავალმხრივად ასახავს შემოქმედისა და შემოქმედების ურთიერთობას, ფეოდალური საქართველოს სოციალურ ყოფას. იგი უმდერის მათ, ვინც უყვდავება თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე ვალის მოხდით დაიმკვიდრა.

კონსტანტინე გამსახურდიამ სული შთაბერა დროთა მიერ მტვერწყარლი სახელებს; ბევრი მათგანი ქართველი მკითხველის შეგნებაში ისტორიული პირის სიცხადით შეიჭრა, ისე როგორც კონსტანტინე არსაკიძე, რომელმაც ხალხმა მხოლოდ ოსტრატქონიანი ლეჟენ შემოინახა და რომელიც დღეს ჩვენ ისევე წარმოგვიდგენია, როგორც რუსთაველი ან ოპიზარი, რადგან ჩვენთვის გამოჩანონი რეალობად იქცა. ეს ერთგვარი საზღურთა მწერლის მიერ თერთად დათენებული დამეებისა და სიტყვის ძიებაში დასარჯული შრომისათვის.

რომანისტი და ნოველისტი, რომლის შემოქმედებაც ჩვენი ყოფის დიდ სივრცეებს გადასწვდა, ქართულ კულტურას ემსახურება როგორც მთარგმნელი და ესეისტიცი. მის კლამის იკუთენის არა ერთი და ორი საინტერესო წიერილი ლიტერატურის ისტორიის, ესთეტიკისა და მხატვრობის საკითხებზე. მან ქართველ მკითხველს გააცნო დანტი, გოეთე და თანამედროვე საზღვარგარეთელი მწერლებიც.

კონსტანტინე გამსახურდიამ უყვე არაერთ თაობას შეაყვარა მშვენიერება, სიტყვაკაშშული მწერლობა, ჩვენი ხალხის ისტორია და ენა. მილიონობით მკითხველი ჩვენში და ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ იცნობს დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებას და გულწრფელი სიყვარულით გამოხატავს თავის აღტაცებას.

კონსტანტინე გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდა და ჩვენი ახალგაზრდული ფურნალის რედაქცია, მკითხველებთან ერთად, უსურვებს სასიქადულო მწერალს დღევრძელობას ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.





მიოგზი მაგზვედაშვილი

ცხოვრება, ისტორია, ღებერთურა

(ქართული საბავთა ლიტერატურის
მოკლე მიმოხილვა)

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება მთელ საბჭოთა მრავალეროვან ლიტერატურასთან მჭიდრო და განუყოფელ ერთიანობაში. ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ღირსეული მემკვიდრეა მრავალსუფუხრე ქართული კლასიკური ლიტერატურისა, ამავე დროს თვისობრივად ახალი ლიტერატურაა, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკურ საფუძველზე დამკვიდრებული, ისტორიულ-ეროვნულ ნიადაგთან ერთად, საბჭოთა სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებული ქართველი ერის ახალ ისტორიულ ცხოვრებასა და კულტურულ-სულიერ სამყაროში ფესვგამდგარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ ქართულმა ლიტერატურამ თანდათანობით შეიძინა ახალი თვისება, მიიღო ახალი იერი — გახდა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის მკვიდრი და ამავე დროს თავისთავად ნაწილი, ისევე როგორც ქართველი ხალხი გახდა საბჭოთა ხალხის უფლებათანასწორი და სუვერენული ნაწილი. მეგობრული კავშირი და ურთიერთობა ოქტომბრის რევოლუციამდეც ჰქონიათ რუსეთის იმპერიაში შეშავალ ხალხთა მოწინავე მწერლებსა და კულტურის მოღვაწეთ, მაგრამ იმ ისტორიულ ეტაპზე სხვადასხვა ერის ლიტერატურებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ის საერთო ნიშან-თვისებანი, რომლებიც მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გამოვლინდნენ და მოუპოვეს მათ უფლება ატარონ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის სახელწოდება. ამ კანონზომიერი პროცესის მთელი სიღრმე და დიალექტიკურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ აღნიშნული საერთო ნიშნების წარმოშობა-განვითარებასა და სხვადასხვა ერის ლიტერატურათა დაახლოება-შეშორებასთან ერთად, სულ უფრო და უფრომ მკაფიოდ ვლინდებოდა, ღრმავდებოდა, ვითარდებოდა, ახალ საფეხურს აღწევდა, ახალ

და ახალ კულტურულ უბნებს იმტიციებდა ამ ლიტერატურათა ეროვნული სპეციფიკა, ეროვნული თვითმყოფადობა.

ღღეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას 40 წელი შეუსრულდა, ეს ვაკაცური მოწიფულობის ბედნიერი ასაკია, რომელიც ჯერ დაუხარჯავი ახალგაზრდული გზნებითა და უკვე მიღწეული დამჯდარი სიბრძნით, ნათელი თვალთახედვით, აზრის სიმადრითა და გრძნობათა სიღრმით ხასიათდება.

როგორი იყო გზა, რომლითაც ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დღევანდელ სიმაღლესა და მრავალფეროვნებას მიაღწია? როგორი იყო ამ გზის მთავარი ნიშანსვეტები?

1917 წლის ოქტომბერმა და 1921 წლის თებერვალმა სხვადასხვა იდეურ-მხატვრულ პოზიციებზე მოუსწრო ქართველ მწერლებს. და მათი შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების გზა—ეს არის ახალ სინამდვილესთან დაახლოების, ქართველი ხალხის წინაშე წამოჭრილ ახალ ისტორიულ ამოცანათა გაგებისა და აღიარების გზა.

რთული იყო თვით ძალთა განლაგება ამ ისტორიული ქართველების დროისათვის. პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნოდნენ სანდრო ფული, იონა ვაკელი, ნუე ზომლეთელი, იაკინთე ლისაშვილი და სხვები, თუმცა რევოლუციურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ მეტად მცირეტიცხოვანი და, რაც მთავარია, შემოქმედებითად არც თუ ისე მძლავრი იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არ იქნებოდა სწორი და სამართლიანი უგულვებელყოფა ამ მწერლების შემოქმედებითი მუშაობისა იმ პერიოდში, როდესაც ისინი თითქმის ერთადერთი უშუალო გამომხატველნი იყვნენ ქართველი პროლეტარიატის მისწრაფებებისა. იმ მწერლების ბანაკში, რომლებმაც ვერ გაივსეს ახალი სინამდვილე, აღმოჩნდნენ ა. აბაშელი, ი.



გრიშაშვილი, მ. ჯავახიშვილი. სიმბოლისტური, დეკადენტური პლატფორმით განაგრძობდა გამოსვლას „ცისფერყანწელითა“ ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნაღი-რაძე, შალვა აფხაიძე, რაქდენ გვეტაძე და სხვები, თუმცა არაერთი მათგანი გულწრფელი აღფრთოვანებით შეეგება ახალი ცხოვრების განთავსს (ჯავახიშვილი თუნდაც პაოლო იაშვილის ლექსი — ერთ-ერთი პირველი მისალმება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ქართულ პოეზიაში).

მოდერნიზმის ძლიერი გველნა განიცადა კ. გამსახურდიამ, ხარკი გადაუხადა მას ლ. ქიმიელმა. ცოტა მოგვიანებით შექმნილ ქართველ ფუტურისტთა ჯგუფში შედიოდნენ სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგველია, აკაკი ბელი-აშვილი, ლევან ასათიანი, ბესარიონ ქლენტი, დავით გაჩეჩიძე, ნიკოლოზ ჩაჩავა და სხვები. სუბიექტური რევოლუციური მისწრაფებანი მათს შეგნებაში შერწყმული იყო ფუტურისტებისათვის ტიპიურ „ემემარცხენე“ ესთეტიკურ პროგრამასთან. განკერძოებით იდგა ვალაკტიონ ტაბიძე, რომელიც თუმცა არ ასცდა ესთეტიზმის გავლენას, მაგრამ არც ქართული ლიტერატურის „რეალისტურ დედაბოძს“ განდგომია ბოლომდე, *მუდამ ეძებდა გამოსავალს მოდერნიზმის ჩიხიდან და ნახა კიდევ იგი ოქტომბრის რევოლუციის ზეიშში, რომლის მოწმეც აღმოჩნდა იგი პეტერბურგსა და მოსკოვში, და რამაც განსაზღვრა შემდგომში მთელი მისი შემოქმედებითი გზა, ყველა მისი პოეტური ძიება. ახლოს იდგა ვალაკტიონთან შესანიშნავი რევოლუციონერი პოეტი, დიდა და საპეტაცი სულის ადამიანი — გიორგი ქუჩი-შვილი.

და, აი, ყველა ეს სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა ბუნების მწერალი, თავთავისი გზით, ზოგი ადრე და ზოგიც კვიან, მაგრამ საკვებით ორგანულად და კონონომიერად კვლავ დაუახლოვდა ხალხს, გამოიხატა მასთან საერთო ენა, ჩასწვდა მის სულისკვეთებას, შექმნა თავისი ნიჟის, თავისი შემოქმედების ხალხის სამსახურში ჩაყენება. ეს პროცესი რთული იყო, მწერალთა ერთი ნაწილისათვის რევოლუციის მიღება-არმიღების საკითხი არც არსებობდა — ეს „მათი რევოლუცია“ იყო. ზოგმა ვაიზიარა სოციალისტური იდეები და ამან მიიყვანა ისინი საბჭოთა სინამდვილესთან; სხვანი პრაქტიკულად ჩაებნენ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამან დაუახლოვა ისინი სოციალისმის იდეებს; მესამენი (საკუთარი უმრავლესობას შეადგენდნენ) მიხედნენ, რომ ქართველი ხალხის პატრიოტული, ეროვნული ინტერესები მჭიდროდ, მკვიდრად არის დაკავშირებული იმ

სოციალისტურ ამოცანებთან, რომელთა განხორციელებას შეუდგა იგი.

ასე თუ ისე, ყველა იმ მწერალმა ცხოვრების, რეალობის, საბჭოთა სინამდვილის გავლენით თანდათანობით დაძლია იდეურ-შემოქმედებითი სიმძლავრე და ჩაღდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა მოწინავე რიგებში.

I. ძარბოული საბჭოთა პოეზია

ხშირად აღნიშნავენ ოციანი წლების დასაწყისის ქართული პოეზიისათვის ვითომდა დამახასიათებელ პოეტურ ფორმათა მრავალფეროვნებას. ეს ასეც იქნებოდა, ლიტერატურულ მანიფესტთა და პოეტურ დაჯგუფებათა სიმრავლე მართლაც რომ განსაზღვრავდეს პოეზიის ნამდვილ სიმდიდრეს. მაგრამ უნდა იცოდეს, რა მდგომარეობაში იყო მენშევიკთა ბატონობის წლებში ქართული ლიტერატურა, რა დაქსაქსულობას, დაქვეითებას და რღვევას განიცდიდა იგი საბჭოთა ხელისუფლების დაწყარების წინააღმდეგ, რომ ნამდვილად გაიყო და შეაფასოს ის კემმარტივი განახლება და აღორძინება, რომელიც მოუტანა მას რევოლუციამ. გაიქცა აზრთა შინაგანი კიდილისა და ღირებულებათა გადაფასების პირველი თვეები, ხოლო ზოგიერთთათვის წლები, და კვლავ იხარა ქართველი ერის პოეტურმა ნიჟამმა, კვლავ ამოხეთქა შემოქმედებითი ცხოვრების უკვე თითქმის დაშრეტულმა წყარომ. და, აი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: თუ დეკადენტურ გატაცებათა და იდეურ-მხატვრული უგზოუკულობის ხანაში მრავალი და მრავალი პოეტის ნაწარმოებთ დაჰკრავდა რაღაც საერთო ელფერი, თუ ისინი საოცრად წაგავდნენ ერთმანეთს, ხოლო მათი პოეზია მთლიანად აღებული უცხოურიდან თარგმნილს მოგავიწყდებოდა (მიუხედავად პოეტთა დაუოკებელი მისწრაფებითა — ორიგინალურნი გამოჩენილიყვნენ), — ახლა, როდესაც თანდათანობით წარსულს ჩაბარდა დაჯგუფებათა სიჭრელე, ყველა შემოქმედმა მოიპოვა მკაფიო ინდივიდუალობა, გამოიხატა საკუთარი თემი, საკუთარი პრობლემატიკა, საკუთარი სტილი და წერის მანერა. ჭარმა წაიღო ყველა იმ არამკითხველ ქადაგის წინასწარმეტყველებანი, ვინც მწერლების ახალ იდეურ-მხატვრულ პლატფორმაზე გადასვლას რაღაც საყოველთაო ნიველირების მომასწავებლად მიიჩნევდა.

პირიქით კი მოხდა. უკვე ოციან წლებში და ოცდაათიანი წლების დასაწყისში საკვებით მოიპოვეს შემოქმედებითი თავისთავადობა, გამოიმუშავეს „საკუთარი ხმა“ ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა. მათი ხელოვნება კემმარტივად ეროვნული გახდა. იმ პოეტების ახალი ნაწარ-

მოგებები, რა თქმა უნდა, შეუდარებლად მაღლა იდგა, ვიდრე აღრინდელი ექსპერიმენტები, სწორედ რომ ექსპერიმენტები, — სხვა სახელი მათ არ დაერქმევა. უფროსი თაობის პოეტებში — ვალაკტიონ ტაბიძემ, ალექსანდრე აბაშელმა, იოსებ გრიშაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა მიაკვლიეს ახალ პოეტურ სამყაროს, ახალ თემებს. ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში სავსებით განიფანტა, მისივე სიტყვებით რომ ეთქვას, „მისტიური მიმოქმის უსაშველო ბურუსი“ და მან — ამ პოეზიამ — ლაღად შეისუნთქა „სამი ჯანყის ელქვეით გაშენდილი პაირი“ (მთავოცსკი), ეზიარა რევოლუციური პარმარტიის ფართო სივრცეებს. ამ შესანიშნავი ქართული პოეტისათვის დამახასიათებელი ხდება ეპოქის, რევოლუციური სინამდვილის რომანტიკულ-ფილოსოფიური გაზარება. სანდრო შანშიაშვილის ლექსებში ახალი საღებავებით აელვარდა კახეთის პეიზაჟი, უფრო სისხლქარბი გახდა ენარული ჩანახატები. იოსებ გრიშაშვილი, რომლის პოეზიაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ძველი თბილისის რომანტიკას, გახდა საქართველოს განახლებული და აღორძინებული დედაქალაქის ნამდვილი მომღერალი და მებოტბე. მისი ვანქმული ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ იყო ამივე დროს გულწრფელი საღამი, მიმართული ახალი თბილისისადმი.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში პოეტების ახალგაზრდა თაობას, რომლის ასპარეზზე გამოსვლა საბჭოთა საქართველოს დაბადებასთან ერთად მოხდა (აღიო მარცხულავა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე). ეს ახალგაზრდობა, რომელიც მოთავე იყო პოეტების კომპაგიურულ დაჯგუფებაში, მძაფრ პოლემიკას აწარმოებდა „ძველებთან“. მაგრამ ამ სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი პოლემიკის შედეგად ორივე თაობის კავშირი მხოლოდ განმტკიცდა და ოცდაათი წლებში ისინი უკვე ერთსულოდ და მწყობრად მუშაობენ. მათ აკავშირებს მსოფლმხედველობისა და მთავარი იდეური ამოცანების ერთიანობა, ერთიანობა შემოქმედების რეალისტური მეთოდისა, რომელმაც სულ მალე სოციალისტური რეალიზმის სახელწოდება მიიღო. და აქვე შეინიშნება იგივე დიალექტიკური პროცესი — რაც უფრო მტკიცე ხდება მწერალთა ერთიანობა ამ მეთოდის საფუძველზე, მით უფრო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი, ინდივიდუალური და თვითმყოფი ხდება მათი პოეტური სამყარო და წერის მანერა.

როდესაც თვალს გადაავლებდ ქართული საბჭოთა პოეზიის მეორე განვლილ გზას, როდესაც სწავლობ და აფასებ ყველა ფაქტორს, — ობიექტურს თუ სუბიექტურს, დიდს თუ პატარას, — რომელთაც უზრუნველყვეს ამ პოეზიის ნორ-

მალური ზრდა, დაეკაცება და, ბოლოს, სრული აყვავება, სულ უფრო და უფრო რწმუნდები, თუ რაოდენ დიდი, მართლაც რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტორების შემადგენლობაში, ამ პროცესების სტიმულირებაში კომუნისტური პარტიის მიზანდასახულ ლენინურ პოლიტიკას ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის რეზოლუცია და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის დადგენილება — ნიმუში იყო ლიტერატურისადმი პარტიული ხელშეწყობისა, იმ ლენინური პრინციპის კემზარითაღ შემოქმედებითი გამოყენებისა, რომლის თანახმად კომუნისტები „როდი უნდა ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და ნება მისცენ ქაოსს საითაც უნდა განვითარდეს“, არამედ ვალდებულნი არიან „სავსებით გვეგაზომიერად უხელმძღვანელონ ამ პროცესს და ჩამოაყალიბონ მისი შედეგები“, ამივე დროს ამ პარტიულ დადგენილებებს არაფერი არ ჰქონდათ საერთო ლიტერატურულ პროცესში ბიუროკრატულ ჩარევასთან; პირიქით, მათი მახვილი მიმართული იყო სწორედ ბიუროკრატიზმისა და ადმინისტრირების, რაბული ეფუღარინზაციონისა და კომპოყოჩობის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილებანი გამსჭვალული იყო ლენინურ იდეითა სულისკვეთებით, რის თანახმადაც „ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ გათანაბრებას, ნიველირებას“, და რომ სწორედ ამიტომ „ამ საქმეში აუცილებელია პირადი ინიციატივისათვის, ინდივიდუალური მიდრეკილებისათვის, აზრისა და ფანტაზიისათვის, ფორმისა და შინაარსისათვის მეტი გასაქანის უზრუნველყოფა“.

პირველი საბჭოთა ხუთწლიელების, ინდუსტრი-ალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლები, ხოლო შემდეგ დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომი მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობის პერიოდი — ქართული ლიტერატურის მევეთი აღმავლობისა და აყვავების წლები იყო, განსაკუთრებულ ძალას, გაქანებას და მრავალფეროვნებას მიადწია ქართულმა ლიტერატურამ თანამედროვე ეტაპზე: ცხოვრების ახალმა მოვლენებმა და ამოცანებმა ძალა შემატეს გამოცედი ოსტატისა და მრავალრიცხოვანი ნიჭიერი ახალგაზრდობაც გამოიწვიეს სამოქმედოდ.

ძნელია მოკლე და ზოგადი მიმოხილვის ფარგლებში ყველა იმ ნიჭიერი ქართველი საბჭოთა პოეტის შემოქმედების დახასიათება, ვინც ასეთ საგანგებო განაზიღვას იმსახურებს. ქართველ საბჭოთა მგონათა მწყობრში სხვადასხვა დროს ნაყოფიერად მუშაობდნენ (უმრავლესობა კი დღესაც მუშაობს) რევოლუციამდელი თაობის მწერლებიც (ვალაკტიონ ტაბიძე, ვიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშე-



ლი, სანდრო შანშიაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, სიკო ფაშალი-შვილი და სხვები). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში შემოქმედებითად მომწიფებული პოეტური თაობაც (გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, კოლაუ ნადირაძე, ილო მოსაშვილი, შალვა აფხაზიძე, დავით გაჩეჩილაძე, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქუთათელი, ხარტიონ ვარაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვასო გორგაძე, ვარლამ ჯერული, პოეტე ქალი მარიჯანი და სხვები). ის თაობაც, რომლის შემოქმედებითი დაბადება დამთხვავა პირველი საბჭოთა ხელისუფლების ხანას (ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი შატერვაშვილი, გიორგი კაქხიძე, მაყვალა მრეველიშვილი, კალე ზობოხიძე, გაბრიელ ჯაბუშანიანი, ბონდო კეშელავა და სხვები), ოქტომბრის თანატოლებიც, რომელთა პოეტური მწიფობა სამშაბლო ომის ხანას წაესწრო (ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, იოსებ ნინუაშვილი, რევაზ მარგინი, ალექო შენგელია ალექსანდრე საჯაია, სვეტირიან ისიანი, ალიო ადამია, გიორგი სალუქვაძე), ომის მიწურულსა ან პირველ ომის შემდგომ წლებში შემოქმედებითად დაეკავებულნი პოეტებიც (ოთარ ჭელიძე, მურმან ლებანიძე, ხუტა ბერულავა, შალვა ამისულაშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, შალვა ფორჩხიძე, ნოდარ გურგენიძე, ანა კალანდარიძე, მიხეილ ქვიციანიძე, არჩილ სულაყური, მუხრან მაჭავარიანი, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ ლორთქიფანიძე, ოთარ მამფორია, ლადო სულაბერიძე, ნაზი კილასონია, ოთარ კუპრაძე, შოთა აკობია, აკაკი გეჭეძე და სხვები) და კიდევ უფრო გვიან, ამ უკანასკნელ წლებში გამოსული პოეტებიც, რომლებმაც უკვე გამოავლინეს საკუთარი ხმა (თამარ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, მირიან აბულაძე, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მედეა კახიძე, ნელი გაბრიანიძე, ზურაბ კუხიანიძე და სხვები).

შეჩერდეთ ზოგიერთი ქართველი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაზე, რათა თუნდაც რამდენიმე პოეტური პორტრეტით ან მოკლე, დახასიათებით ნათელყოთ ის ედუკატიური-მხატვრული სიმდიდრე, შემოქმედებით ინდივიდუალობათა ის მრავალფეროვნება, რაც ქართული საბჭოთა პოეზიის საერთო ძვლარდობასა და მის ქუმარბიტად მსოფლიო რეზონანსს განსაზღვრავს. ერთი ცნობილი რუსი პოეტის თქმით ხომ — „თანამედროვე ქართული პოეზიის თხემი ძვეს ყველა იმ უმწვერვალესი მოვლენის დონეზე, რაც მსოფლიოში წარმოიშობა, როგორც თანამედროვეობის პოეზია. და იგი არსებობს ანა რო-

გორც ანარქული ან მიბაძეა, არამედ როგორც თავისებური ნაწილი ამ მოწინავე მსოფლიო პოეზიისა, თავისი საკუთარი კრისტალიზაციით, საკუთარი პერსონაჟით, საკუთარი ინტონაციებით, საკუთარი პოეტური ხატოვანებით, სახეთა სისტემით და ეროვნული ხასიათით“.

ნახევარი საუკუნე ემსახურა გალაკტიონ ტაბიძე უმწიფელოდ ქართველ ხალხს და ამდღერი ქართული პოეზიის სწორუპოვარი სანაგდარი. ცხრაას რვა წლის მთავრობაზე დაიქუხა გალაკტიონის პირველმა პოეტურმა სიტყვამ და რა დიდი, რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო მას შემდეგ პოეტმა მას, ქართული კლასიკური პოეზიის ნიადაგში ფესვგამდგარ მგოსანს, აკაკი წერეთლის სულიერ მოწაფეს, წილად ზედა საპატიო მისია — ქართული ლექსის ჯანსაღ რტოზე დაემყნო ახალი საუკუნის პოეტური კულტურა.

მსოფლმხედველობრივ-ედიურ ევოლუციის თვალსაზრისით გალაკტიონ ტაბიძემაც გაიარა დაახლოებით ის გზა, რომელიც რევოლუციამდე გაიარეს სხვა მისმა პოეტურმა თანამედროვეებმა: რევოლუციურ და დემოკრატიულ განწყობილებათა მომწალაგებმა ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის პერიოდში, ინტიმურ და სუბიექტურ ლირიკულ მოტივთა გაძლიერება ოქტომბრის რევოლუციის წინააღ ხანაში. მაგრამ გადაჭრით უნდა იქნას აღიარებული, რომ, მიუხედავად სიმბოლისტური პოეზიის მნიშვნელოვანი გავლენისა, გალაკტიონის მსოფლმხედველობა და მსოფლმხედველობა თავის მთლიანობაში არასოდეს არ ყოფილა დეკადენტური, გალაკტიონის ადრინდელ ლირიკაში ჩვენ ვერ დავინახავთ დეკადენტური ფილოსოფიისა და ეთიკისათვის ტიპურ დამახასიათებელ ნიშნებს, მერე საფუძველი გაექნა სიმბოლისტური ესთეტიკის გავლენაზე ლაპარაკისა. გალაკტიონის შელანქოლიურად შეფერილ და ხანდახან სასოწარკვეთის მოტივებით გამსჭვალულ ლირიკასაც კი სოციალურ და ეთიკურ უკუფენად ყოველთვის აქვს პუმანისტური, დემოკრატიული და პატრიოტული პათოსი, რაც საფუძველშივე გამოირიცხავდა დეკადენსის ასე თუ ისე მნიშვნელოვან ზეგავლენას. ჩვენს ლიტერატურულ კონტექსტში ყურადღებით და დეტალურად არის მინიშნებული ყველა ის პროგრესული მოტივი გალაკტიონის ლირიკაში, რამაც პოეტს 1917 წლის წინააღდეს წარმოათქმევინა უკეთილშობილესი ოცნებით აღზნებული რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული სიტყვები.

ამიტომ იყო სრულიად ბუნებრივი და ორგანული გალაკტიონ ტაბიძისათვის ის საყოველთაოდ ცნობილი პოეტური მისალმება, რომელიც შეაგება მან პირველსავე რევოლუციურ ამბოქრებას — „დროშები ჩქარა!“

ლიტერატურული პარალელები, როგორც წესია, დიდი და რთული მოვლენების მხოლოდ ზოგიერთ მხარეს მოიცავენ, მაგრამ ისინი ხშირად გვაძლევენ ბიძგს სწორი მიმართულებით აზროვნებისათვის. ჩვენ ამჯერად გვინდა გავიხსენოთ ბლოკის სიტყვები — „უსმინეთ რევოლუციას!“ ან შეიძლება არ შევინშნოთ ნათესაური ნიშნები ამ ორ, ღრმად ეროვნულ და თვითმყოფად პოეტს შორის. ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია, ორივე გულისყურით უსმენდა ისტორიის მიწისქვეშა ბიძგებს, ხოლო შემდეგ წრფელი სიხარულით შეხვდა მის ვულკანურ ამოხეთქვას. სიმბოლისტური სკოლის პოეტებმა, მათ მედღემთვრის მახვილგანზობიერებით მიანიჭეს თავიანთ ლექსებს ახალი ეპოქის მაგნიტური ძალა და მათი სტიქიონები უმალ ათრობოდა მოვლოდნელი რატმელი პულსაციით, მათი პოეტური სახეები წამსვე ვანათლდა, დაკრისტალდა, თავიანთ აღმასისებრ წახანაგებში მათ ასახეს რევოლუციურ გაღვებბათა კაშკაში — სროლის ცეცხლი და ღამულ კოცონთა ცილი.

ჩვენ გვინდოდა დაწერილებით შეგჩერებულ იყავით ვალაკტიონის „ჯონ რიდზე“, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ ვაფართოვა რევოლუციამ არა მარტო შინაგანი საყაროს პოეტისა, შინაარსი მისი შემოქმედებისა, არამედ როგორ განაახლა და გადაახალისა მან მისი სიტყვა, მისი სტილი, მისი პოეტია. ძნელია, ერთი შეხედვით იცნო ამ პოემაში ნათფი სიმბოლისტური კრებულის „არტიტული ყველიების“ ავტორი. ისევე, როგორც ძნელი იყო „თორმეტში“ ცნობა ავტორისა წიგნის „Стихи о Прекрасной думе“. ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს არ არის არავითარი კავშირი ვალაკტიონ ტაბიძის ძველსა და ახალ ნაწარმოებებს შორის. კავშირი არის და მეტად ღრმაც, მაგრამ ათმა დღემ, რომელთაც შეტრეს საყარო, შეტრეს ვალაკტიონ ტაბიძის პოეტური საყაროც. ვერ ვიტყვით, რომ „ჯონ რიდის“ პოეტია ვახდა ტიპიური ვალაკტიონისათვის. მან შემდგომ აირჩია სხვა გზა, მიუსადაგა ახალ თემებს თავისი წმინდა ლირიული, რომანტიკული პოეტური მანერა, რომელიც განისაზღვრება არა სახე-დეტალით, არა მიკრობოლური გრაფიკითა და ვანერციბოლი მეტაფორით (როგორც „ჯონ რიდში“), არამედ წმინდა ინტონაციური, რიტმულ-სინტაქსური, მულოდური ორგანიზაციით პოეტური ფრაზისა. ეს ფრაზა მეტად სადაა, ვანტეირთული მეტაფორებისაგან, ხშირად ორბაროლუ-პათეტიკურია, კიდევ უფრო ხშირად ლირიულად გულისით ან ფილოსოფიურად განზოგადებული, მაგრამ ყოველთვის აზრით მდიდარი, რევოლუციური რომანტიკის ქარცეცხლით შერჩეული და ალუნული. ვალაკტიონ ტაბიძე ეძებს ახალ პოეტურ ზერებს, რომლებიც მისცემდნენ მას

ახალი ეპოქისადმი, რევოლუციური საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულების უშუალო, პირდაპირი დეკლარირების საშუალებას. ასე დაიბადა ვალაკტიონის ლექსები და პოეტური რკალები — „მსოფლიო ორკესტრი“, „რევოლუციური საქართველო“, „ეპოქა“, „ლექსების შესანიშნავი წიგნები, რომელთა ლირიულ გმირს არ ეშინია არც რევოლუციური პათეტიკისა, არც ორბაროლუი პოზისა, არც სახობო ალტაეებისა, არც პირდაპირი მოქალაქეობრივი დეკლარაციისა, ვინაიდან მისი პათოსი გულწრფელია, პოზა — ორგანული, ალტაეება — გულდიან აღმოშლადარი, ხოლო დეკლარაცია როდია დეკლარაციული. პოეტის ასეთი პოზიცია, რაც მოიცავს არა მარტო მის იდეათა, მისი მსოფლმხედველობის საყაროს, არამედ მისი გრძნობების, მისი ნებასურვილის, მისი მსოფლშეგრძნების საყაროსაც, ერთხელ და სამუდამოდ აზღვევს მას ყველაზე დიდი საშობოებისაგან, რომელიც კი ხელოვნებას შეიძლება მოელოდეს — სიყალბისაგან, და აძლევს მას, ამასთან ერთად, საშუალებას თითქმის უსაზღვრად ვაფართოვოს თავისი პოეტური ინტერესთა წრე, მოათვისოს მასში ყველაფერი, რაც კი მას მართლაც აინტერესებს, ადევებს, ახარებს ან აწუხებს — მტირალი ტირიდი მიუსეს საფლავზე და სარობაციო მანქანის ხმაური, რიცის ზურმუხტოვანი ზვირთები და ტრაქტორთა გუგუნი, პაციფისტის პარამოთეობა და ინტერნაციონალის“ დაქუხება. ამაშია პოეტის ძალა და ვალაკტიონი არ მალავს, რომ ეს ძალა მას შთაბერა ოქტომბრის ქარცეცხლმა.

სინტერესო შემოქმედებითა გზა ვანელო ვალაკტიონ ტაბიძემ ნახევარი საუკუნის მანძილზე, საგულისწო ფურცლებში გადაიშალა მის პოეტურ ბიოგრაფიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. და კიდევ უფრო სისიხარულია, რომ ქართული სიტყვის დიდოსტატს პოლომდე ჰქონდა შემორჩენილი ახალგაზრდული შემართება და რომ მის საუკეთესო კმნილებებს ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩაუფყნოთ თავში მის მიერ ბოლო ხანს შექმნილი შედეგები ქართული ლირიკისა — „იდიდე!“, „ნიოქმინდე“, „მწერ ვინმე მესხი მეღვსე“, „იმერის დაბრუნება“ და მრავალი სხვა.

ისივებ გვიშაშვილი, რომლის პოეზიაში ყოველთვის ეკავა განსაკუთრებული ადგილი ძველი თბილისის რომანტიკის, ვახდა ჩუნი განახლებული და აღორბინებული დედაქალაქის შთავონებული მეტობე. უკვე მისი ვანტემული „ვამოთხოვება ძველ თბილისთან“ ამავე დროს საყვარელი ქალაქის ახალი ბედის წინათგრძნობით იყო გამსკვალული. უდიდესა გულწრფელობითა და ბრწყინვალე ოსტატობით დაწერილი ეს ლექსი თავისებურად აჯამებდა ისივებ გვიშაშვილის ბევრ საუკუნ-



თესო აღრინდელს ლექსში ჩაქსოვილ გულს-
ნადებს, ხოლო მასში გამოხატული განწყო-
ბილებანი, ის სულიერი დაქვეება, რომელიც
ახალი გადაწყვეტილების საწინდარია, პოეტის
მზადყოფნა უქუაგდოს ყოყმანი და გადადგამ
გაბედული ნაბიჯი წინ — საყვარელი ქვეყნის
სიახლისაკენ — გამოხატადნენ აგრეთვე ძველი
თაობის ქართველ მწერალთა მნიშვნელოვანი
რახმის იდეურ ევოლუციას, „ბარომეტრული“
სიხუსტით აღნიშნადნენ ამ ჯგუფის სულიერ
ატმოსფეროში მოსალოდნელ თუ დაწყებულ
ცვლილებებს:

ძველი თბილისო! დღეს ისე მკვეთრად
მეღარ შეგაქვს... არ მაქვს უნარი...
ვაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.
ძველი თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა! უნდა შეცვალოთ გზები...
ძველი თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

რა თქმა უნდა, ამ ლექსში სიძველესთან
განშორების ტკივილი უფრო ქარბობდა ახლის
წინათგარჩნობას და თვით ეს წინათგარჩნობაც
ბურუსიანი იყო, მაგრამ ესეც ხომ აუცილე-
ბელი საფეხური იყო თავის თავისა და სამშო-
ბლოს წინაშე პატიოსანი და გულმართალი
მწერლის იდეურ-მსოფლმხედველობრივი განვი-
თარების გზაზე. და რომ ეს გზა ნაყოფიერი
და გამარჯვებანი აღმოჩნდა — ამას მოწმობენ
შესანიშნავი ქართველი პოეტის ახალი ლექსე-
ბი, რომლებსაც თავისუფლად შეიძლება
გუწოდოთ საბჭოთა საქართველოსადმი და მისი
დედაქალაქისადმი მიძღვნილი ერთი აღტაცე-
ბული საგალობელი.

ქართული ლექსის მეორე შესანიშნავი
ოსტატი ძველი თაობის პოეტური რახმიდან —
ალექსანდრე აბაშელი ქართველი ხალხის ახალ
საბჭოთა სოციალისტური კულტურის ერთ-
ერთი დაუღალავი და ენერგიული მშენებელი
განდა. საბჭოთა პერიოდის საუკეთესო ლექსებ-
ში მან შეძლო თავისი ადრინდელი დემოკრა-
ტიული განწყობილებების მაღალ საფეხურზე
აყვანა და, მეორე მხრივ, თავისი პირველი
ღრმად პესიმისტური წიგნების „მზის სიცილი-
სა“ და „ანთებული ხეივანების“ ერთგვარი.
თუმცა ჯერ კიდევ სხვატურთა ოპტიმიზმის
მცირე ჩანასახის გაზრდა და გადახალისება,
ცხოვრების დინებასთან დაკავშირება, რეალურ
ისტორიულ წინადაზე დადგენება. იქნებ
სწორედ ასეთ შინაგან ევოლუციამაა პოეტის
პირველი და უკანასკნელი დიდი კრებულების
სათაურთა თავისებური შეხმანება-შეკამათების
აზრტი: „მზის სიცილი“ და „მზე და სამშობ-
ლო“. განსაკუთრებული ადგილი უკავია ალექ-
სანდრე აბაშელის შემოქმედებაში კრებულს
„გაბზარული სარკე“, სადაც პოეტი თავისი

შემოქმედებითი ცხოვრების გზაჯვარედინზე
გვევლინება, გულწრფელად და დიდი დრამა-
ტიზმით გვაცნობს ყველა თავის ექვს და
ყოყმანს, არ გვიმალოვს არც თავის დაბნეუ-
ლობას ზოგიერთი, მის მიერ ჯერ კიდევ შეუც-
ნობი, მოვლენის მიმართ და არც ამ გზაჯვარ-
ედინიდან სწორი გზების არჩევის იმედს. გზა
კი ერთი იყო — სამშობლოსთან ერთად
წინსვლა, მისი ცხოვრებისა და ბედის თანახმა-
რობა. ამ გზამ მიიყვანა ალექსანდრე აბაშელი
ახალი კულტურის საუკეთესო ოსტატ-მშენე-
ბელთა რიგებში. ახალი ცხოვრების ბრძმედში
გამოწრთობილმა პოეტის კალამმა, მიაკოვებს
თქმისა არ იყოს, „ხიშტთან გათანაბრებაც“
შეძლო დიდი სამაშულო ომის დღეებში და
ის ბედნიერი სინათლის სხივიც დაიჭირა თავის
წევრზე, რომელსაც ასე მოწადინებული იყო
პოეტი იმთავითვე და რომელსაც მწიარედ
დასტიროდა იგი „ანთებული ხეივანების“ თვა-
ლისამომწვავ და მზერაგამბოლავ ელვარებაში,
რომელიც წყვედიდს უფრო წააგავდა. აყვავე-
ბული სამშობლოს მზიურმა ბედნიერებამ
ათქმევინა პოეტს:

მუდამ შრილა მწვანის მქებნელი,
მეც ხომ ამ ბალის ერთი ჩიტი ვარ?
• ვგალობ სინათლის მაუწყებელი,
რადგან წყვედიდან შენაჭიდი ვარ.
და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარია,
რომ ეგ სინათლე ასე დიდია,
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდია!

იქნებ ძველი თაობის არც ერთი პოეტისა-
თვის არ იყო ისე შეუფერებელი დეკადენტური
ესთეტიკის გავლენა, როგორც სანდრო შანშია-
შვილისათვის, რომელიც ამ გავლენას, მართა-
ლია, ვერ ასცდა, მაგრამ მაინც მტკად თავისე-
ბურად შეითვისა და ძალიან მაღე ასე ვთქვათ
„შეინიდან“ გადაახალისა მოდერნისტული პოე-
ზიის ფორმები. ასე თავისებურად გაიზიარა,
მაგალითად, მან დეკადენტური ლიტერატური-
სათვის ნიშანდობლივი მიდრეკილება ხალხური
წარმართული მითოსის გაცოცხლებისაკენ.
შანშიაშვილის ამ „წარმართულ“ ციკლში
(„მიონა“, „რანი ოდელი“, „დალი“, „ღია“ „პაპ-
ლაყურა და ელთერო“, „ამირანი“) არის, რა
თქმა უნდა, უძველესი წარსულის იდეალიზა-
ციაც, ამ წარსულის იდილიური აღქმაც, მაგრამ
აქ უსათუოდ იგრძნობა ფოლკლორის ჯანსაღი
სულის ნიატოცხლებელი ზეგავლენაც. ამ ხალ-
ხური ნიადაგისაკენ ინსტიქტურმა თუ შეგნე-
ბულმა ლტოლვამ გაუადვილა ახლო მომავალში
პოეტს ქართველი ხალხის ახალი ისტორიული
ცხოვრების გაგება და მიღება, მიუხედავად
ბუნებრივი მერყეობისა და ცალკეული იდეურ-
შემოქმედებითი შეცდომებისა, რომელთაც ად-
გილი ჰქონდათ შანშიაშვილის პოეზიაში ოციანი



წლების პირველ ნახევარში. პოეტმა მონახა თავისი ადგილი ხალხის ცხოვრებაში, იგი ღრმად ჩასწვდა ხალხის ბრძოლისა და შრომის სოციალურ აზრს, მსუყვე საღებავებით დახატა ახალი კანთოსი ბუნებაცა და ყოფითი სურათებიც და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოავლინა გმირულ-რომანტიული რევოლუციური თემისადმი ღრმა ინტერესი (ამ პიღრვეკლებამ შანშიაშვილის დრამატურგიაში მოგვცა განსაკუთრებით ნაყოფიერი შედეგები). „არსენ კორჯიაშვილი“, „26 კომისარი“, „ღედისერთა ლენინთან“, „ლენინი ჯგუშნოსანზე“, „ღედი ზაპესი“ — იმ პოეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომელთა სათაურებშიც კი მიგვანიშნებენ მათი შინაარსის ხასიათზე. ზოგიერთი ამ ლექსთაგანი, ისევე როგორც „მუხა ჭიაურის ტყეში“ და „კახეთის დედოფალი“, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

ქართველი სიმბოლისტების — „ცისფერყან-წილების“ — ჯგუფის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ პაოლო იაშვილი — ჯგუფის მეთაური და ორგანიზატორი, ტიციან ტაბიძე — მისი სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი, რომლის პოეზია, ისევე, როგორც პაოლო იაშვილისა, იმთავითვე არ ეტეოდა სიმბოლისტური პრინციპების ვიწრო ჩარჩოებში, ვალერიან გაფრინდაშვილი — ორდენის უკიდურესი „ფრთა“, სიმბოლისტური პოეტის ყველაზე ორთოდოქსალური დაძვეული. ამავე ჯგუფს ეკუთვნოდნენ შალვა აფხაძე — კეთილი და ნათელი ნიჭის პოეტი, და კოლაუ ნადირაძე — ნტივი ლრიოკოსი, თანამედროვე ქართული ლექსის ერთერთი საუკეთესო ოსტატთაგანი. „ცისფერყანწილობით“ დაიწყო, როგორც ვიცით, გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი გზაც. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჯერ კიდევ დეკადენტური სენით მებრუნაკლებად შეპყრობილებმა, იდეური უგზოუკელობის ლაბირინთებში არიადნას ძაღვის მაძიებლებმა ტიციანმა და პაოლომ, გაფრინდაშვილმა თუ ლეონიძემ მკაცრი და ირონიული შეფასება მისცეს მენშევიკური რესპუბლიკის ეფემერულ დამოუკიდებლობას, მის უღელურ არსებობას. ისინი შესაძინევე სულიერ ოპოზიციაში იდგნენ ამ მსოფლიო ბურჟუაზიულ-მენშეანური სინამდვილის ქართულ სახესხვაობასთან, ესთეტიკურად იყენ ურიგდებოდნენ მას და თუ იყვნენ კიდევ ნაწილობრივ მოწამულნი იმ აბმოსფეროში დაშლარა მიაშებით, იცოდნენ მაინც სუფთა პაერის ფასი და განწაახლებელი ქარბუქის პირველი დაქროლვისთანავე იბრჩიეს რთული და ძნელი, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა ქართველი ერის ახალ ცხოვრებასთან დაახლოებისა და შერწყმისა.

1921 წლის თებერვალში წერს ტიციან ტაბი-

ძე შესანიშნავ წერილს „პოეტი და რევოლუცია“, სადაც ერთი თვალის მოვლებით აღნიშნავს ლიტერატურის მთელს ისტორიას წითელ ზოლად გამჟოლავ საგულისხმო მოვლენას: ნამდვილი და დიდი პოეზია, ყოველთვის, ამ რევოლუციის წინამორბედი ან მისი სტიქიის პირმო იყო. საგულისხმო ამ წერილში ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელის წამოწვევა და განდიდება. ტიციან ტაბიძის ეს პოლიტიკური დეკლარაცია გასაგები იქნება, თუ შემთხვევითობად არ მივიჩნევთ თუნდაც მის „პეტერბურგს“, დათარიღებულს — „25 ოქტომბრის დამე, 1917 წელი, ქუთაისი“, გავიხსენოთ:

... ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი, ისინი დვართჟაფი შინელების გაგულულ მაყრულს, რეცხავს მოცა მატროსების გავებს ჩაყურულს, თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი. ვინ გამოუშვა, ვინ დაიქერს, ვინ დააყავებს? ქობის ნისლში სიმწრის ოფიო გამოდის მკავებს, მოიგონებენ მხოლოდ მატრო ლენინის სახელს...

ან შემთხვევითი იყო ვანა სომეხ-ქართველთა სისხლიანი ომობანის ქამს ოვანეს თუმანიანი-სადმი მიწერილი „ლია წერილი“, რომელშიც თვით პოეტის გვიანდელი დახასიათებით, „დავმოზილი იყო მენშევიკებისა და დაშნაკების მიერ ნაციონალური საკითხის გადაჭრის მკავდონური მეთოდი და ისმოდა მოწოდება ინტერნაციონალური მეგობრობისადმი? ტიციან ტაბიძის მანიფესტს „პოეზია და რევოლუცია“ გვერდს უმშვენებს და მხარს უმაგრებს პაოლო იაშვილის 1921 წლის ცნობილი ექსპრომტი „მახალ საქართველოს“ — ქართველი პოეტების ერთერთი პირველი პოეტური მისალმება ახალი „ქართლის ცხოვრების“ თავფურცელისადმი:

აზიის კარო! ფერად ბალებით, ლურჯი ცის თალით ხარ დაფარული! ხარობს გმირული ბაირაღებით შენი წარსული ლეგენდარული! არ გაშინება ბილწი მონობა, მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები; შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა, რაეისუფალი მუდამ დარჩები. შენს ჯეპროსნობას ჩვენ ვეთანხმებით, შენი გმირობით ვართ ავსებულნი, — მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნალმებით ძველი ქვეყანა დახავსებულნი. მხად არის თოფი! მხად არის ხმალი! მტრებს ჩვენ ვეყოფით მატრო კბილებით. დეკავიგვინოთ ჩვენ მომავალი, წითელ რუსეთის დაშობილებით!



დღესაც კი ხშირად ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და მათი მგებობების სახელს პირველ რიგში დეკანდენტობასა და „ცისფერყანულ“ სიმბოლიზმს უკავშირებენ. რაოდენ უსუსურია ფაქტების წინაშე ასეთი თვალსაზრისი! განა „ქალღმის ქალაქებთა“ და „ცისფერყანულნი“ მანიფესტებით უნდა შემოვიღდეს ჩვენს შეგნებაში ტიციან ტაბიძე? განა „გელენე დარიანის დღიურები“ შეიძლება ამოწმდეს პაოლო იაშვილის შემოქმედება? მათი პოეზიის მწვერვალები ხომ რევოლუციის ქვედა 25 თებერვლის გადასასვლელს აქვთ არიან აღმართულნი და ის, რომ ამ მწვერვალებს ნიჭიერმა და კეთილშობილმა ქართველმა პოეტებმა მიადრეეს ციციან გზის ყველა სიძნელის ვაკეკური და გაბედული დაძლეობით და არ აირჩიეს მწვერვალთა დაპყრობის „პარაშუტული“ ვარიანტი — ეს მათი სულიერი ბიოგრაფიის არა ნაკლი, არამედ სასახლო ნიშანთვისებაა და მათი შემოქმედების შინაგანი სიმდიდრის; დრამატული დაძაბულობისა და ექვემდებარებული ორგანიზაციის მტკიცე საფინდარია.

„ქალღმის ქალაქთა“ სულშემუთუველი მირაჟებიდან ტიციან ტაბიძემ გამოაღწია თავისი სანუქვარი სამშობლოს რეალური ცადრუხისაკენ, ხილული და ხელშეუხებელი ხმელეთურ-მუსტიკალური, გახდა აღორძინებული ივერიკოლხეთის, მის სეგებდნიერ მკვიდრთა თავგამოდებული მომღერალი და გულის მესაიდუმლე. სწორედ აქ ხდება ტიციანის პოეზიისათვის ნამდვილად და ბოლომდე განმსაზღვრავი გარესსამყაროსადმი მძაფრი დაოკიდებულება, სინამდვილისადმი უადრესად აქტიური, დაძაბული მიმართება. ცხოვრებისა და პოეზიის ამ მძაფრ შეუღლებაში, შევიდებაში თუ შერწყმაში ზედავეს იგი პოეზიის უმაღლეს დანიშნულებას და თვით მის შინაგან ბუნებასაც. სწორედ ასეთი ესთეტიკური პროგრამა აქვს გადაშლილი მას თავის განთქმულ ლექსში, მთელი ქართული პოეზიის ერთგვარ უბრწყინვალეს ქმნალებაში — „ლექსი მეწყერია“:

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ
მწერს,
ჩემი სიციცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს...
... იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუტვლია ერთი ნაბიჯი.
და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმაღლედნე,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა...

პაოლო იაშვილის ლირიკა მისი შემოქმედების საბჭოურ პერიოდში გამდიდრდა ორატორულ-პუბლიცისტური ინტონაციით, რაც ჯერ კიდევ ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ლექსში („ახალ საქართველოს“) შეიმჩნეოდა და კიდევ უფრო მკვეთრად ლენინისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სტრატეგებში გამოვლინდა:

ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის
ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში
გლოვისა,
მინდა ნიკიშის ძალა მქონდეს, რომ
შევაღვინო
ხორო ათასი და მილიონ ატარებულთა...

მიგრამ აქაც, ისე როგორც ყოველთვის პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, სამოქალაქო მოტივი გააზრებულია უაღრესად ლირიკულად: ყველაფერი აქ, დაწყებული თეთრი ურითმო ლექსის მკაფიო და მკაცრი ელემენტობიდან და გათავებული განთქმული ლირიკოსის ნიკიშის სახის გავლევებით, ადასტურებს ამ დიდი აღამიანური თემის ჭეშმარიტი ლირიკოსის დახვეწილი ოსტატობით გამოხატვას.

პაოლო იაშვილის შემოქმედების დიაპაზონი და გაქანება მეტად დიდია. იგი უნატიფესი ლირიკოსი იყო და ამავე დროს პოეტური ენოსის დარგშიც მოსინჯა კალამი (დაუმთავრებელი პოემა). პაოლოს ისეთი ლირიკული შედევრები, როგორიცაა „მაგიდა — ჩემი პარნასი“, „ბაღის ამბავი“, „დილა“, „ლირიკული მისამართიდან“, „პოეზია“ და არაერთი სხვა — ქართული პოეზიის ნამდვილი და ძვირფასი მარჯალიტები. ამ შთაგონებული სტრატეგებიდან ჩვენს წინაშე წარმოდგება საოცარი სულიერი სიწმინდისა და გულგაუზნარავი სიმტკიცის ადამიანი — კაცური კაცი, ვაკეკი, გულწრფელი და კეთილშობილი, მეგობრობისა და სიყვარულის რაინდი, მოქალაქე და მამულიშვილი. ამიტომ მისი „ლირიკული მისამართი“ უფრო მრავლისმეტყველი და ბევრისშემცველია, ვიდრე ეს ხანდახან ლექსის უშუალო მიმართვაში იგულისხმება:

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე
მთელი
მე არ მიგვრძნია — და ეს სიბრძნე
დაძაბულებია,
მოშვერილი ვარ შენზე გულით, და
როგორ გელი —
თვალები ამის უტყუარი საბუთებია.
ჩემი დაბნევა, ელდა, ყოველ წამით
ცეტობა,
როცა არ მესმის, რას ამბობენ, სად
მეძახიან,

უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა — ეს ყველაფერი, სანატრელო, შენი დალია. ... ოცდაჩვიდმეტრი წელიწადი ისე გატურდა, როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან.

იყავი ჩემთან, გამტანელთან და ვაჟკაცურთან, ამ დიდ ღღებებში ყოველ წაშში ვიარათ ერთად...

პაოლო იაშვილის პოეზიისათვის იმთავითვე დამახასიათებელია ერთგვარი მაკორული აქცენტი განწყობილებათა მრავალფეროვნებაში. რა თქმა უნდა, მის ლექსშიც არის „დაბნევა“, „ელდა“, „უხერხულობა“, „დარდი“, „შეცდომა“, მაგრამ ყველა ეს მოტივიც ისეთი ვაჟკაცური პირდაპირობით არის ახმოვანებული მის პოეზიაში, რომ არასოდეს არ მოგვანიშნებს პოეტის სულიერ გარებაზე ან მერყეობაზე, მისი „გამტანი“ და რაინდული, საოცრად მთლიანი, თითქოს ერთი ძვირფასი მადნისაგან ჩამოსხმულა არსების დიდებურობას ადასტურებს. ეს „დარდი“ და „ელდა“ თითქოს თავის ძალაში დარწმუნებული მხედარმთავარის შუბლზე ჩამოწოლილი ღრუბელია დიდი და გადამწყვეტი ბრძოლის წინაწამს, ღრუბელი, რომელიც ჩამოწოლასაც ვერ მოასწრებს, ისე გიფანტება, ამაყი და შეუდრეკელი გონებათელი მეომრის პირველი შერხევისთანავე. საქმე, შრომა, ბრძოლა, ნაღიმი, „წამით ცეცხობა“, მუღმივი მოძრაობა, მოუხვეწარი დღე-ღილი, რომელსაც ფუსფუსთან ან ნერვიულ ილტყინებასთან არაფერი საერთო არა აქვს და მხოლოდ ჯანსაღი სულგრილი ენერჯის დინამიურ გამოვლინებას წარმოადგენს — აი, პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების გადამწყვეტი ნიშანთვისება. მისი თითქოსდა ანგარიშმიუცემელი ლაღობა და ვნებათაღელვა საოცრად თავსდება თავისთავისადმი მკაცრ მომთხოვნელობასთან და ხალხის „უადიანი გაკვეთილის“ შეთვისების გულწრფელ სურვილთან. აი, პოეტის საკუთარ თავთან ასეთი გასაუბრების შესანიშნავი ნიმუში:

დაჯექ, დაწერე, დახატე, რითაც ცხოვრება ივსება, მიეც დამშუღლ ქაღალდებს საშვილიშვილო თვისება. გარეშე საქმეს გადარჩი, მან ხალხი გაავლენისა, გასინჯე ცეცხლის დაღარში სიმაგრე ლექსად თქმულისა... ... ხალხი ზელის და ფარულად გაძლევს გაკვეთილს ვედიანს, მას შენი სიტყვის მარულა თვალგატაცებით სწავლია.

სრულიად სამართლიანად ითვლება ახალი ქართული ლექსის ოსტატად კოლაუ ნადირაძე — ლოკალური ლირიკული თემის პოეტი. მას ფაქიზად, დახვეწილი გემოვნებითა და გრძნობითა კულტურით აქვს გახსნილი თავის პოეზიაში სახე თანამედროვე ადამიანისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სულიერი სიმდიდრე, განცდათა ინტენსივობა, განწყობილებათა დრამატისმი. ზოგიერთი მისი ლექსის ოდნავ განყენებული რომანტიკა უარბად არის ანაზღაურებული მამფრი პატრიოტული სულისკვეთებით, რომელიც მის საუკეთესო ლექსებს გამსჭვალავს. კოლაუ ნადირაძის „წინამორბიდან საგლრამომდე“ ხომ ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი უმშაბრითი შედევრთაგანია, რომელიც ქართული პოეტური კლასიკის საუკეთესო ნიმუშთა გვერდით დამიკვიდრებს საპატრიო ადგილს. გავიხსენოთ ამ განუმეორებელი ინტონაციით და ამავე დროს თითქოს გულის სიღრმეიდან ბუნებრივად გადმოღვრილი და ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმული ლექსის თუნდაც რამდენიმე სტროფი:

წინამორბიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წინამორბიდან საგურამომდე სიციცხლის გავლა ნეტავი რაა? წინამორბიდან საგურამომდე ამრიალებულ ფოთლებს ზღვაა... ისევ დღედენი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი. ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დღლა მოთბავს ცელით, ღამით ამოსულ და აყვავებულ ნიავს არაგვი დღლაძღე ელისა.

აჭრელებული და მოუვლელი იყო პოეზიის „სევდის ბალი“, სადაც კრძალვით შეაბიჯა უბუნება გიორგი ლეონიძემ. აქ ადვილი იყო გზა-ახნევა, მდღარ კვალზე დადგომა, ნაღიმი პოეზიის მაცოცხლებელი შარბათის ნაცოდად „ნენდამოქმედი“, თუმცა იქნებ არცთუ მწარე „ნატივ, ტბილ და საამო“ საწამლავთა შესრუტვა (ასე დაახასიათა ი. ბლოკმა მოდერნიზტული პოეზია ალი არსენიშვილისადმი მიმართულ, აწ უკვე კარგად ცნობილ წერილში).

1918 წელს ლეონიძე დიხალვდა ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფს — „ციცხერყანწილებს“, რომლებიც მისავით ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის ყვავილთა გადმონერგვას.

ესთეტიკური მოდერნიზმის ილუზიათა დამლევას ახალგაზრდა ქართველი პოეტების სულში მკვიდრად დაბუდებულმა ეროვნულმა დვრიტამ შეუწყო ხელი, სიყრმის შთაბეჭდილებებში, დიდი ქართველი პოეზიის ტიტანების აღზოცნელმა ზეგავლენამ. მაგრამ ყოველივე ეს მე-



ტად ხალსაყრელი, მაგრამ მაინც უპირატესად სუბიექტური პირობები იყო მათი მომავალი სულიერი აღორძინებისათვის. სპირო იყო აგრეთვე ობიექტური, „გარეგნული“ ბიჭი თვით სინამდვილის წიაღიდან, რათა ამ კეთილშობილ და გულწრფელ პოეტურ თაობას თავი დაეღწია სულიერი და შემოქმედებითი კრიზისისათვის. ასეთი ბიჭი იყო ჯერ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ხოლო შემდგომ — ქართული ოქტომბერი, 1921 წლის 25 თებერვალი.

გიორგი ლეონიძის ოცინი, ოცდაათიანი, ორმოციანი თუ ორმოცდაათიანი წლების ქმნილებებს, მიუხედავად მწერლის იდეური ევოლუციისა და მისი მხატვრული ხერხების განვითარებისა, ახასიათებს ბევრი ისეთი საერთო ნიშანი, რაც მათი, ასე ვთქვათ, ფრჩხილებს გარეთ გატანის საშუალებას ვეძღვეს.

გიორგი ლეონიძეს სამართლიანად მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვითმყოფად და ეროვნულ ქართველ პოეტად, რომელიც უშვიდროსად არის დაცემარებული მშობლიური ენის იღვწამლებასთან. ჩვეტი აქ უნდა ვეძიოთ გიორგი ლეონიძის პოეტური თავისებურების საფუძველი და პირველწყარო. მართალია, იშვიათად თუ შეედრება ვინმე ჩვენი პოეზიის ამ დაუღალავ გუთმისდღას ქართული ენის ჯერ მიუცვლველი და ხელუხლები ფენების ამოხელტვაში, მის გადამალულ საუნჯეთა გამოშვებებაში, სიტყვის აღმოჩენა-გაცოცხლებაში, შეგროვება-შერჩევაში, მორთვა-მოკაზმვაში ან, თუ ვნებათ, შეთხზვა-გამოგონებაში... ხოლო ენა ხომ ლიტერატურის ეროვნული ფორმის პირველფენებზე და მთავარსაწინდარია. ოღონდ, როდესაც გიორგი ლეონიძის პოეტური ენის თვითმყოფადობაზე და მშობლიური ენის იღვწამლებასთან მგონის უღრმეს კავშირზე ვლაპარაკობთ, სრულიად არ ვგულისხმობთ სიტყვით თვითმხრურ გატაცებას. პირიქით, ქართული სიტყვისადმი პოეტის ინტერესი სწორედ იმიტომაც ეგზომ ღრმა, რომ ენა მისთვის ის ცოცხალი ძაფია, რომელსაც მიჰყავს პოეტი ერის, ხალხის სულიერ საუნჯესთან, მის წარსულთან, აწმყოსთან თუ მყობადთან, მის ოცნებასთან თუ მოგონებებთან, ჰირთან თუ ვარამთან, მშენებთან თუ სიხარულთან, მის ტრფიალთან, სიძულვილთან, ვნებათაღვლევასთან, მის სიცოცხლესთან და არსობასთან.

სიცოცხლის სიჭარბე, სიუხვე, სიმწიფე, მისი უღარესი „ავსებულობა“, „სისავსე“ და ამავე დროს მარალუქნობი სიჭაბუქე — აი, გიორგი ლეონიძის ესთეტიკური იდეალი, მისი სიყვარულის სავანი, მისი აზრიკი. და მან არ იცის თავისი გრძნობის „მოსოვია“, თავშეკავება, იგი არასოდეს არ უღებს ზღვარს „მდღეობა გუზის მიმოქცევის“. შეიძლება გვითხრან, რომ არც

სიცოცხლის სიჭარბე და არც მისი მარალული სიჭაბუქე არ არის ლეონიძის გემოვნების მოწიპოლია. მართალია, მაგრამ ეს მისი ერთადერთი სიყვარულია. ხომ არიან პოეტები, რომელთაც უყვართ წვიმანასხური განთიადი ან საღამოს მიმწუხრი და არა მცხუნვარე შუადღე, მწვანედ მოზიზინე ჯეჯილი და არა დაბურებული ყანა, ზეპირის ან შემოდგომის მდინარისპირა პეიზაჟი და არა ვახუშტელის წყაღიღობა? ხომ არიან პოეტები, რომელთაც დასასტამბავად ელოდება არა ათი ათასი ჩანჩქერის ბლაგილი, არამედ მორიდებული ნაიღულეები, სულგანაბული ტბები, ანჯარა წყაროები ან თუნდაც წყალშავალი მდინარე, რომელსაც ზანტად, ამაყი ლეღლივით მიაქვს თავისი ზვირთები ზღვისკენს აქ კი სწორედ ათი ათასი გიყ ჩანჩქერი ლამოდ ეძგეროს, ბლაგილით შეასკდეს პოეტის სტრეფონს, შეარღვიოს მისი ლექსის ჯგებირები..

სადა არის საწინდარი ლექსის იმ მარალუქნობი სიჭაბუქისა, რომლისკენაც ლეონიძე იმთავითვე ისწრაფვის? სიტყვისა და მისი წარმომშობი ეპოქის თანხმოვანებაში. ლეონიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი — „ძველი დაიარა“ სწორედ ამ ქვაკუთხედურ პობლემისადმი მიძღვნილი. ეს ლექსი კარგად ახსოვს ჩვენს მკითხველს. და მისი გახსენებისას იქნებ დაიბაღოს კითხვა: რაშია საქმე? ვანა ლეონიძე არ მიმართავდა სხვა ქართველ პოეტებზე მეტად წარსულს, იხლოებდა მას, რათა გაეზიარებინა საუკუნეთა მანძილზე მშობელი ხალხის სიხარული და ჰირ-ვარამი? რატომღა „მოებოლა გულზე“ ეს „ძველი ხმა“ იმიტომ, რომ, პოეტის ღრმა რწმენით, სიხარულიც და სეველი ორგანული უნდა იყოს, პოეტის დღევანდელი განცდით გამოწვეული, სულ ერთია წარსულისკენ, აწმყოსკენ თუ მომავლისკენაც ეს გრძნობა მიმართული. სევედა ვერ იცოცხლებს მხოლოდ ინერციის ძალით ან იმიტომ, რომ მას ერთგვარი მომხიბველობა გააჩნია, სიმღერა „ხმაწასული“ და „დროგადასული“ არ უნდა იყოს — მხოლოდ ცოცხალი გრძნობის ფეთქავაში პოეზიის აზრი და დანიშნულება. რა ბუნებრივი და ორგანულიც უნდა ყოფილიყო სიმღერაში გადმოცემული განცდა ამ სიმღერის და ამ განცდის დაბადებისას („რამდენი თრთოლა ახსოვს მუხამბასს, რამდენი გულის გადამრუნება“), — ახლა ის მხოლოდ „გულზე მოებოლება“ მშენელს, რადგან უკვე სიმღერა კი არა — გადამღერება.

წუ კი ფიქრებთ, რომ ლეონიძის პოეზია უღარდელად ოპტიმისტურია. დიახაც, ის დაბადებულია თავბრუდამხვევი სიხარულისათვის, წრეგადასული მხიარულებისათვის, აღტიყნებული სიმღერისათვის, გამარჯვების ზვიმისათვის, მაგრამ მით უფრო გულისხმიერა იგი ადამიან-

ნური ჭირვარამის მიმართ, მით უფრო აღვივლია მისი დადარღიანება უბედურებით, მოშხამვა მწუხარებით, შეურაცხყოფა უსინდისობით. პოეტი თუ ამბობს — „არ დიდარდო, დედაო“, განა თვით ეს სიტყვები უდიდესი გულისტკივილის ამოკმინვა არაა? და ყველგან, ყოველთვის — სიჭარბე, სიუხვე, სისავსე გარშობის გამოიმკვინებაში: იხიარული თუა — უზომო იყოს, ტკივილი თუა — დაუოკებელი. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა გიორგი ლეონიძის პოეტური ციკლი, მიძღვნილი საქართველოს ისტორიულ წარსულისადმი — „ქართლის ცხოვრება“. მკითხველის წინაშე ეცხვლება ტრაგიკული ფურცლები პატარა ერის ისტორიისა, რომელშიც განსაკვირვებელი თავგანწირვით, გმირობითა და შეუდრეკელობით მოიგვრია რომაელთა და ბიზანტიელთა, მონღოლთა და ხაზართა, არაბთა და სპარსთა, თურქთა და ლეკთა სისხლიანი თავდასხმები. ტრაგიკული თუა ვარიაციებად გადადის ლექსიდან ლექსში (ლეონიმე პოეტური ვარიაციის დიდოსტატია) და ისეთია აქ პოეტური განცდის ძალა, ისეთია სისხლიდან დაცილი ხალხის ტანჯვა-წყალებსადმი გადმოცემის დამარტივებული სიმართლე, რომ სახეები, რომლებიც ფორმალურად შეიძლება დაჰიკრებოდნენ როგორც მთელი მიგვეტუფნებინა, არ აღიქმება როგორც ასეთი, რეალისტურად ზუსტი გვეჩვენება — იმ ბრძოლებში გამოკვეთილ ცოცხალ ნაპერწკლად, იქ დაღვრილი სისხლის წვეთად, მაშინდელი ნახანძრავების კვამლად და ნანგრევების ფერფლად გვესახება. და ისევე, როგორც ლეონიმემ თქვა ქართველი ერის მატიაშის „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ ლეონიძის ამავე სახელწოდებით დასათურებულ წიგნზე:

გაშაღე... ყველა ფურცელი
 არის ფოლადის ნაცარი,
 დამსხვრეულ ხმალთა ძვრიალი,
 დეკაკთა ნამამაციარი.
 და რაც თმას ყალუზე აყენებს,
 რაც მწარედ გვემბახსოვრება, —
 ქართლის მკვლევლების ძველ ამბებს
 უწოდეს „ქართლის ცხოვრება“!

ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში მიგნებულია საოცრად ღრმა და ტრეპად პოეტური სახე, რომელიც უადრესი ლაიონიზმით გადმოგვცემს ლექსის თემის — საქართველოს ისტორიული ბედობის — მთელ ტრაგიკულ არსს. სიკვდილი მონათლულია სიცოცხლედ. განა მხოლოდ მწარე ირონია ეს? არა, ეს სახე უფრო ფართოა, უფრო მრავლის მთქმელი. არ შეიძლება არ დაეინახოთ მასში ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობით, მისი ცეცხლგამძლე ამტანობით აღტაცება, სიამაყე, არ შეიძლება არ დაეინახოთ მასში ის ისტორიული ოპტიმიზმი,

რომლის მატარებელია მუდამ ხალხი და მხოლოდ ხალხი. აი, რისი თქმა უნდოდა ლეონიმეს და თამამად შეგვიძლია ვლინართ, რომ ამ ისტორიული ოპტიმიზმის სულსკვეთებითა გამსჭვალული პოეტის თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები, მიძღვნილი „ქართლის ქირისადმი“.

და რა გასაკვირია, რომ პოეტი, რომელშიც შეაბნელი ისტორიის წყვედიდშიც კი განჭვრიტა მზის სხივი და თვით სიკვდილში შეიძინო სიცოცხლის ზეიმი, რა გასაკვირია, რომ იგი გულიდან აღმოზეთილი სიხარულის გარშობით, აღტაცების უყინით შეხვდა დღევებს, რომელთაც არგუნეს ბედნიერება ხალხს, თავისუფლება — სამშობლოს, გამარჯვება — გონებასა და ადამიანობას? და თუ პოეტურ ტკალს „ქართლის ცხოვრება“ შეგვიძლია ვუწოდოთ: საზეიმო რეკვიემი, „ქებათა-ქება“, წარსულის გმირებისადმი მიძღვნილი, თუ წარმატები ციკლი ლირიკული პეიზაჟებისა, ქართული ჩანახატებისა და ელვაგარ ნატურმორტებისა, რომელიც გაერთიანებულია წიგნში „თბილისის განთიადები“, შეიძლება ჩავთვალოთ თავისებურ რომანტიკულ სუიტად, — უკვე ნამდვილ პათეტურ სიმფონიად ძვრენ პოეტის ლექსები, სადაც გადაშლილია განახლებული, აღორძინებული; აყვავებული საქართველოს თვალისმომკრელი სურათები.

„პოეტური სიმფონიზმის“ პრინციპზეა აგებული გიორგი ლეონიძის ლირიკულ-ეპიკური პოემებიც — „ფორთოხალა“ და „სამგორი“, სადაც თანამედროვე თემა, „ახალი ქართლის“ თემა გადაწყვეტილია ისტორიულ თემასთან თავისებურ კავშირში და მიმართებაში. ამასთან ისტორია და თანამედროვეობა ამ ნაწარმოებებში ურთიერთთან დაკავშირებულია როგორც კონტრასტის, ისე ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთიანობის გამოხატველი მხატვრული ხერხებით. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა პოემა „ფორთოხალა“. იგი მთლიანადაა აგებული წარსულისა და დღევანდლობის სწორედ ასეთ შემართებისპირებაზე: პოეტი ძველ საქართველოს მკვიდრს, გლეხის ქალს ფორთოხალას საუკუნეთა ბურუსიდან გადმოახედვინებს აწმყოში და დაახანგებს დღევანდელი, მართლაც რომ მზიური საქართველოს სურათებს. ფორთოხალა სიმბოლიური სახეა. იგი განასახიერებს ქართლის დედას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შრომობდა კიდეც და შვილებსაც ზრდიდა, წელს იხრიდა მონური არსებობის მძიმე უღელქვეშ.

„ფორთოხალა“ ჰიმნია, მიძღვნილი ისტორიის შემოქმედი ხალხისადმი, უსახელო გლეხის ქალისადმი — მხენელ-მთესველთა და მეომართა, ქვისმთელთა და ოქრომჭედელთა, ხუროთმოძღვართა და მგოსანთა დედისადმი...

გიორგი ლეონიძის სხვა პოემებშიც („ეპოპეა“,



„სამგორი“) გამოვლინდა ყველა ის სპეციფიკური ნიშანთვისება, რომელიც „ადიდებული, დამწიფებული“ სიცოცხლის მგოსანს ახასიათებს. აქაც აქვს მას ნაპოვნი თავისი „სიმღერა“ და „სიტყვები გამაპოვლები“, აქაც არის მისი სიტყვა „ამტყდარი წვიმასავითა“, და „ცისარტყელებით ვარაყმფრქვეველი“, პოეტის ლექსი კვლავ სიჭაბუკესთან არის დაწვევლებული, „ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“ და, რაც მთავარია, ამ ლექსს აქაც არ უჩანს —

და არ ექნება ბოლოკიდური,
 შიგ დღევანდელი ხმა დიძახებს,
 ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი,
 ახალ ვაჟკაცთა ახალი ღონით,
 ახალ ქართლის შვით გაჩაღებული.

თუ მაქამი გორკი რუსული ფურტურის მისმართ ამბობდა, რომ „არ არსებობს არავითარი ფურტურისმი“ და არიან მხოლოდ ცალკეული ნიჭიერი პოეტებიო, ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავაერთოთ იმ მწერლებზეც, რომლებიც ქართულ „მემარცხენეობას“ შეადგენდნენ. მართლაც, ამ ჯგუფს თავისი არსებობის პირველ წლებში საერთოდ არავითარი ლიტერატურული პრობლემა არ მოუვლია, გარდა თეორიული მანიფესტებისა, ხოლო მომდევნო პერიოდში, ერთი-ორი კოლექტიური კრებულის გამოცვლის შემდეგ, დაჯგუფების თითქმის ყველა მონაწილემ მონახა საკუთარი გზა მწერლობაში და თითქმის არც ერთი მათგანის შემოქმედება არ თავსდებათა ორთოდოქსალური ფურტურისმისა და ლეფელობის პროკურსტეს სარეცელზე. ყოველივე ეს პირველ რიგში ხდება „მემარცხენეობის“ უთავალაქინოეს წარმომადგენელს — სიმონ ჩიქოვანს.

მაგრამ არც საკითხის გაიოლება საჭირო. სიმონ ჩიქოვანის გზა პოეზიაში საკმაოდ რთული იყო. თვით პოეტმა თავისი შემოქმედების ადრინდელ ეტაპს „სიყმაწვილის სენი“ უწოდა, თავის შედღოშებს კი „სიჭაბუკის ბორძიკი“ დაარქვა. რა დასამალია, ჰქონდა ადგილი „წმინდა ექსპერიმენტატორობასაც“ და თვითმინუთი „ორკესტრული ლექსალობით“ გატაცებასაც. პოეტი ყოველთვის როდი ახერხებდა „გალობისა და სურათის შეთანხმებას“, „მოსული სიტყვის ღათობას“, სანამ „გრძნობა მიიღებდა სახეს“, „დაემგვანებოდა ჰანგსა და სურათს“, მეტაფორებისა და შედარებების ექსცენტრიულობა ხშირად აფერხებდა, აწნებდა მისი ლექსების აღქმას, აფერხებდა, მაგრამ ამ ლექსების დიდ ნაწილში (რამდენიმე ყველაზე ადრინდელი თვითმინუთი ბეგრათა თამაშის ნიმუშის გამოკლებით) უსათუოდ იყო ცოცხალი და მახვილი აზრი, ნამდვილი გრძნობა, თუცა ზანძახს საგანგებო პოლიტიკური უცნაურობით გამოხატული. სიმონ ჩიქოვანის მიერ ოციან

წლებში დაწერილი მრავალი ლექსი კემპარიტად რეალისტური იყო, ხოლო ცალკეული ხინჯი მათში შედარებით ადვილად გამოსასწორებელი. მართლაც, მომავალში ავტორის მცირე შესწორებებმა, ოდნავ შესამჩნევმა რეტუსმა საესეებით გავწმინდა და დაბეჭდა არა ერთი მისი ადრინდელი ნაწარმები.

მაგრამ თუ ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ნიმუშებსაც კი დაპყრავდა ერთგვარი ელფერი განწყებული პოეტური აზროვნებისა, პოეტის შემდგომმა ძიებებმა მიაყვლიეს იგი სწორედ სახეების შხარდ კონკრეტობასთან, აღწერისა და თხრობის ხანჯასშით ეპიკურ ხასიათთან, ლექსის შეგნებულ პროზაინაციასთან. რარიც განსხვავდებოდა, მკვალითად, პოეტის ადრინდელი ლექსებისაგან ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაწერილი ლექსის („შემოღამება ხანმატში“) პირველივე სტროფები:

მთაში მრავალი განველეთ ბილიკი,
 პირაქეთს უკვე ვასრულეთ თითქმის,
 ზეალ გადადგივართ მგზაერთ პირიქით,
 ძნელია, მაგრამ იოლად ითქმის,
 ღამის გათევა დალილუბს გესურდა,
 აწ დაბნულდება, გზა კი ცულია,
 დავრჩი ხანმატში აღუდაურთან,
 მასანძნელ ზეესურს ერქვა ყუღია.
 დაგვიგო ქურქი ბანწუ ყუღია,
 დაგვისხა ქერის არაყი წმინდა,
 ხანმატი გვირთა ძველი ბუღეა,
 ყუღიაც ამბავს გვიყვება მშვიდად.

ეს ლექსი, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ლექსები („უშგული“, „ხვანთი ივანა“, „როშველი ძალა“, „ძროხები როშვაში“, „ფშავ-ზეესურეთის ბილიკებზე“) მოასწავებდნენ პოეტის მისწრაფებას თანამედროვეობის ნათელი და სისხლჭარბი რეალისტური საღებავებით ხატვისაკენ. ეს ჯერ კიდევ არ იყო პოეტისათვის საბოლოო სიმწიფის ხანა, მაგრამ ეს უკვე სწორი და ფართო გზა იყო დასრულებული ოსტატობისაკენ.

თავისი „ფერისცვლების“ ეამს პოეტი შევლას სამშობლოსაგან, თვით ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან მოელოდა, მამულს უნდა გაეხანებოდა მისი პოეზიის ყვაილი, კვლავ მიეცა ძალა ქორის ფრთებისათვის, გაეღვეოთუნდაც მცირე ხნით მოსული თოვლი. პოეტის იმედი სავსებით გამართლდა. ცხოვრების იმ ქარიშხლიანმა დინებამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ოცდაათიან წლებში იჩინა თავი, მისცა მყარი ნიადაგი და მტკიცე საფუძველი პოეტის შემოქმედების ახალ გაქანებას, მის „ფერისცვლებას“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წლებში გამოვლინდა ს. ჩიქოვანი, როგორც შესანიშნავი პეიზაჟისტი და ეანრისტი. სწო-



რად ამ წლებში გამოქედა მან, აგრეთვე, თავისი ხანუკვარი და უსაყვარლესი პოეტური იარაღი — ნათელი ფერმწერლური სახე და ელვარე მეტაფორა. ამ უბანი, სადაც სიმონ ჩიქოვანი თამამად შეეჯიბრება ყველა თავის თანამოქმედს. იგი სრულიად არის დღევანდელი საგანში ახალი და ახალი წახნაგების აღმოჩენის უნარს, იგი ხელავს საგანს არა ერთ სიბრტყეში, არამედ მის ყველა განზომილებაში, პოეტის თვალთი თითქოს კვეთს ყოველ საგანს, ბოლომდე განჭვრეტს მას, ხელავს მის მიღმა, მის გარშემოც, ამჩნევს იმას, რაც დაფარულია ჩვეულებრივი თვალისათვის. სიმონ ჩიქოვანისათვის ყოველი საგანი თუ მოვლენა ურიცხვი ასოციაციის წყაროა, იგი ასახვადობს ფიქრსა და გრძობას, ოცნებასა და მოგონებას, ბადებს მახვილ აზრსა და ღრმად დრამატიზებულ განცდას.


ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი,
 ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური,
 მე მხოლოდ ხილულ მშვენივრებით ვიწვი
 და ბალს მიაგავს პატარა გული.
 თვალი ბალებში საღებავს ეძებს,
 მხიბლავს ბუდეში ელვარე კვერცხი.
 გულზე მოვიხევე მამულის ფესვებს,
 და გზას შინათებს ჩიბუხის ცეცხლი.

ეს სიმონ ჩიქოვანის პროგრამული ლექსია სადაც გადმოცემულია პოეტის შეხედულება ხელოვნების ბუნებასა და დანიშნულებაზე. ამ თემას იგი ხშირად უბრუნდება და ცდილობს, რაც შეიძლება თვალსაჩინოდ, ხელშესახებად გამოთქვას თავისი აზრი. ხშირად ის ამისათვის თითქოსდა შემთხვევით საბაბსაც კი იყენებს, რათა მით უფრო დამაჯერებელი გახადოს მისი იერატიკული დასკვნის ექვიპოტანობა.

რა კავშირი აქვს თითქოს შუალაშით მეტეფის სტუმრობას და პოეტის შემოქმედებით მიებას, მის დაძაბულ ფიქრებს? მაგრამ, აი, პოეტი აკვირდება წყლიდან ამოცვენილ აკანკალულ ცოცხალ თევზებს, სულს რომ ძლივს დაფაენ თავის მყუდრო სამყოფელს მოწყვეტილი. როგორ არ აფეცება გული სიამაფით, რომ ადამიანი ხარ, რომ თევზის სისხლი არა გაქვს, რომ შენს ლექსს არ ეშინია უბინაობის, არ უფრთხის სივრცეებს, შორეულ გზებსა და აუვალ აღმართებს! რაც თევზისათვის წყალია, ის პოეზისათვის დედამიწის უსასრულო სივრცეა! ასე იბადება შედარება აკანკალულ თევზსა და ათრთოლებულ პოეტურ სტრუქტურას შორის.

სიმონ ჩიქოვანის ლექსის მეტაფორული სტრუქტურა განსაზღვრავს მის კომპოზიციურ აღნაგობასაც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ემყარება არა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და სახეთა ლოგიკურ თანამიმდევრობას, რაც ჩვეულებრივი ლირიკული დადასისათვის ანდა თხრობისათვის არის დამახასიათებელი, არამედ შინაგან, მეტაფორულ ასოციაციებს. როგორ აფართოებს ეს ლექსის სახვით შესაძლებლობებს, როგორ აძლიერებს მის გამოხატულებას და შთამბეჭდაობას! მეტაფორა ეზმარება პოეტს ისტორიისა და თანამედროვეობის შეკავშირებაში, გეოგრაფიულად დაშორებული მხარეების დაახლოებაში, ერთმანეთისაგან თითქოს მეტად შორს მდგარი საგნებისა და მოვლენების შინაგანი, უხილავი ნათესაობის აღმოჩენაში. იქ, სადაც ასეთი კავშირის დასამყარებლად პოეტს ვრცელი ლირიკული მონოლოგი ან დეტალურად მოტივირებული აღწერა ან თხრობა დასჭირდებოდა, მეტაფორა უმალ, ხშირად ერთი სახის მეშვეობით, აღწევს მიზანს.

(გაგრძელება იქნება)





გოჩის ბახვაძე

ბელინსკი და მარქსისტული კრიტიკა

(ბ. გ. ბელინსკის დაბადების 150 წლისთავის ხანა)

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია კრიტიკოსი და ესთეტიკოსი, რომლის თეორიულ შემკვიდრებას შეენარჩუნებინოს ისეთი ცოცხალი თანამედროვე მნიშვნელობა, როგორც ბელინსკის. ამ მხრივ მას მხოლოდ არისტოტელეს, ლესინგის, დიდროს, ჰეგელისა და ჩერნიშევსკის მსგავსი ერთეულები თუ შეედრებიან. ბელინსკის იდეები მთელი თავისი სიმახვილით მიმართულია ყოველგვარი ფორმალიზმის, ყალბი ესთეტიზმის, უიდეობისა და აპოლიტიკურობის წინააღმდეგ; ბელინსკის კრიტიკა და ესთეტიკა ყოველ ჰემშირიტ შემოქმედს სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირისაკენ, ეპოქის მოწინავე იდეათა გამოსახატავად მოუწოდებს. სწორედ ამიტომ აფასებდნენ ბელინსკის რუსეთის მოწინავე აზროვნების უთვალსაზიროესი წარმომადგენელი გერცენი, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, ამისათვის მიიჩნიათ იგი დიდ ეპოქალურ ფიგურად რუსეთის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა.

ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — რაზნოჩინეების მიერ თავდაზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბ. გ. ბელინსკი იყო. მისი ცნობილი «წერილი გოგოლისადმი», რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებდა, ცენტურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია იყო, რომელმაც დღემდეც უღიღესი. ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა»¹.

ცნობილია, რომ ბელინსკი იყო არა მარტო უბრალოდ ენციკლოპედიის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი, არამედ, ამასთანავე, დიდი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. ცარიზმთან, დესპოტიზმთან, ბატონყმობასთან

მებრძოლი რევოლუციონერი დემოკრატი. ყოველივე ამან წარუშლელი კვალი დააჩინა ბელინსკის მსჯელობას კრიტიკის, ესთეტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური კლერადობა მიანიჭა მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შემკვიდრებას. ეს გარემოება აფრთხობდა ყოველგვარი ჯერის რეაქციონერებს, მათ შორის დეკადენტებს, რომლებმაც 1890—1900-იან წლებში ნამდვილი «ფილოსოფიურ-ესთეტიკური» ლაშქრობა მოაწყვეს რუსული რევოლუციური დემოკრატიის, კერძოდ ბელინსკის წინააღმდეგ. ბელინსკის თავს ესმოდნენ დეკადენტები (ვოლინსკი, მერეჟკოვსკი, მინსკი, შესტოვი) და «ვეხლები» (ბერდიაევი, იზგოვევი, სტრუვე, გერშენზონი), რომლებიც ცდილობდნენ მიეჩქაღათ «ბოპოქარი ბესარიონის» მოღვაწეობის რევოლუციური მნიშვნელობა, დაემციარებინათ მისი, როგორც ფილოსოფოსისა და ესთეტიკოსის ტალანტი. ამ იდეურ ბრძოლაში, რასაც არა მარტო ფილოსოფიური, არამედ კლასობრივ-პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა, უკვე 1890-იანი წლებიდან ჩაება მარქსისტული კრიტიკა, ამ კრიტიკის დამოკიდებულება ბელინსკისადმი მარტო ისტორიული თვალსაზრისით როდია საინტერესო, — მას დღესაც შენარჩუნებული აქვს აქტუალური მნიშვნელობა გენიალური რუსი კრიტიკოსის შემკვიდრების მეცნიერული შესწავლისათვის, აგრეთვე თანამედროვე კრიტიკისა და ესთეტიკის არა ერთი საჭირობოროტო საკითხის გადაჭრისათვის. მარქსისტული კრიტიკის კორიფეები — პლენხანოვი, ვოროგსკი, ლენინი, ნაჩარსკი დიდად იყენებდნენ დავალებულნი ბელინსკისაგან არა მარტო როგორც მოაზროვნენი, არამედ როგორც ლიტერატორები. ბელინსკის მსგავსად ისინიც კრიტიკას მწერლობის დარგად თვლიდნენ და მათი სტატიები ამიტომაც გუჩი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 292.

ლავენ როგორც აზრობრივი, ისე სტილისტური ლირებებით.

შეიძლება ითქვას, რომ, ცალკეული შეცდომების მიუხედავად, ბელინსკის მოღვაწეობა ყველაზე ღრმად და ყოველმხრივ გააშუქა მარქსისტული კრიტიკისა და ესთეტიკის გზის გამკვლევამ რუსეთში გ. ვ. პლუხანოვმა. მთელ რიგ თავის ნაშრომებსა და გამოკვლევებში („რუსული კრიტიკის ბედი“, „ბ. გ. ბელინსკი და გონიერი სინამდვილე“, „ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურული შეხედულებანი“, „ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი“, „პ. გ. ბელინსკის დაბადების 100 წლისთავის გამო“, „ბესარიონ ბელინსკი და ვალერიან შაიკოვი“, „ბელინსკი, ჩერნიშევსკი, პისარევი“) პლუხანოვმა შეუბრუნებელი ბძოლა გაუმართა ა. ვოლნსკის მსგავს იდეალისტებს, უჩვენა ბელინსკის უდიდესი ფილოსოფიური ტალანტი, მისი ევოლუციური იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ, დიდი კრიტიკოსის შეხედულებათა განვითარება მეცნიერული მატერიალური ესთეტიკისა და კრიტიკის მიმართულებით.

თავის თხზულებებში პლუხანოვი ყურადღებას ამახვილებდა ბელინსკის ინტერესზე თეორიისადმი, უჩვენებდა, რომ ჩამორჩენილი ბატონყმური რუსეთის პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ თეორიული, ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა; და ბელინსკიც, ისევე როგორც მისი თანამედროვეები — მარქსი და ენგელსი, ეცნობოდა თავისი ღრისი აზროვნების უდიდეს მონაპოვარს, კლასიკურ გერმანულ იდეალიზმს (ფიხტე, შელინგი, ჰეგელი) და ფოიერბახის მატერიალიზმს. მართალია, ერთობ ლოკურ-აბსტრაქტულია პლუხანოვის მიერ ბელინსკის მსოფლმხედველობის განხილვა „სულისური ღრამის აქტებისა“ და მხოლოდ შელინგის, ფიხტეს, ჰეგელის, ფოიერბახის ფილოსოფიის ათვისების ეტაპთა მიხედვით¹, მაგრამ აქაც მკვლევარი ბევრ სწორ დაკვირვებას იძლევა ბელინსკის მსოფლმხედველობაზე. განსაკუთრებით საინტერესოა პლუხანოვის მსჯელობა, როცა ის არკვევს ჰეგელის ფილოსოფიისა და ესთეტიკისადმი ბელინსკის დამოკიდებულებას.

ძველს ლიტერატურათმცოდნეობაში, აგრეთვე ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის ნაშრომებში გატარებულია მეტად ზრეულ და გულუბრყვილი აზრი, თითქოს ჰეგელის ფილოსოფიურმა სკოლამ მანერდ იმოქმედა ბელინსკის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მრწამსზე, და თითქოს კრიტიკოსმა შემდგომ, თავისი „შეცდომა“ რომ შეიგნო, კავშირი გაწყვიტა ჰეგელის ესთეტიკასთან. ამგვარი მსჯელობა მეტად ჩამოგავს

ა. ვოლნსკისთანა კრიტიკოსების „ცუდი ბუნის ფრაზირობას“, რასაც თავის დროზე ასე გესულიანად დაცინოდა პლუხანოვი. საქმე იმაშია, რომ რომელიმე ფილოსოფიური სისტემის დიალექტიკური უარყოფა ნიშნავს ამ მოვლენის არა უბრალო „მოხსნას“, უხეშ უუუვადებას, არამედ განვითარების ახალ საფეხურზე მის მიღწევათა შემოქმედებითი ათვისებას. ასევე, პლუხანოვის მართებული შენიშვნით, ბელინსკი ერთხანს, რუსულ სინამდვილესთან შემარაგებლობის“ პერიოდში (იხ. ბელინსკის სტატიები: „ვაი ჰეუსიაგან“, „ბოროდინოს წლისთავი“, „მენცელი — გოეთეს კრიტიკოსი“), მოქცეა ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიული სისტემის ტყვეობაში, როცა ცალმხრივად გაიგო ამ მონაზროვნის მოძღვრება „სამდვილის გონიერულობაზე“ და ამგვარად სცადა ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა გარკვევა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბელინსკი ამაზე არ შეჩერებულა: მან დაძლია ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიული მხარე და შემოქმედებითად გამოიყენა მისი დიალექტიკა ლიტერატურის მოვლენებში გასარკვევად. ფოიერბახის მატერიალიზმის ათვისების შემდეგაც ბელინსკი, ფოიერბახისაგან განსხიავებით, ოსტატურად იმარჯვებდა ისტორიულ-დიალექტიკურ მეთოდს. ამ ფაქტების საფუძველზე პლუხანოვი შენიშნავს, რომ თვით „გონიერ სინამდვილესთან“ „შერიგების“ ხანაშიც ბელინსკისათვის მთავარი იყო ლიტერატურასა და ისტორიაზე სუბიექტივისტური თვალსაზრისის დაძლევა, ისტორიულ განვითარებაზე სწორი თვალსაზრისის გამომუშავება.

ჰეგელის ესთეტიკისადმი ბელინსკის დამოკიდებულების ახსნისას პლუხანოვი ამასთანავე ნათელიყოფს თვით ამ ესთეტიკის პრინციპთა მნიშვნელობას მეცნიერული ესთეტიკის განვითარებისათვის, რასაც ბელინსკიც ესწრაფოდა. პლუხანოვი მიუთითებს, რომ ჰეგელის ესთეტიკა ენათესავება მისი უახლოესი წინამორბედის — შელინგის ესთეტიკას, მაგრამ ჰეგელთან უფროვის ძირითადმა იდეებმა გაცილებით უფრო ღრმად დაფუძნება-დამუშავება პპოვეს, რადგანაც ჰეგელმა ესთეტიკაში შეიტანა (მართალია, მისტიფიცირებული სხიით) დიალექტიკური განვითარებისა და ისტორიზმის იდეები, მიუთითა ფილოსოფიისა (მეცნიერების) და ხელოვნების შინაარსს შეადგენს სინამდვილე. საერთოდ ჰეგელმა აღიარა შინაარსის დიდი ადგილი ხელოვნების ნაწარმოებებში. პლუხანოვი აღნიშნავს, რომ, ჰეგელის აზრით, მხატვრული ნაწარმოები არ დიყვანება სინამდვილის უბრალო წარმოსახვამდე და „მხატვრის იდეალი ისეთ მმართველობაში როდია არსებულთან, ვითარც პორტ-

¹ Г. В. Плеханов, Сочинения, т. X, стр. 242 და т. XXIII, стр. 164.

რტი, რომელშიც მხატვარმა ორიგინალს წაუმ-
ლიქვნელა“. პლუხანოვი იქვე მიუთითებს ჰეგელ-
ლის მიერ მშვენიერების, როგორც იდეის გრძ-
ლობიერი გამოვლინების, განსაზღვრავს, აგრე-
თვე სახელგანთქმული „ესთეტიკის“ ავტორის
შეხედულებაზე, რომ „ხელოვნება მიზნად ისა-
ხავს სულიერი შინაარსის გრძნობადს ფორმაში
გამოხატვას“. ჰეგელის ესთეტიკის უდიდეს მიღ-
წევად პლუხანოვს მიაჩნია მისი ისტორიზმი,
მისი ესთეტიკური მოძღვრებისა და ისტორიის
ფილოსოფიის მჭიდრო კავშირი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვასაგებო
ხდება, შენიშნავს პლუხანოვი, რომ ჰეგელის
ფილოსოფიის ცაცნობამ არა თუ მავნე, არამედ
ქვეშარტიად ებრუნებოდა როლი შეასრუ-
ლა ბელინსკის კრიტიკისა და ესთეტიკის განვი-
თარებაში. რუსეთის ლიტერატურულ-პოლიტი-
კური ცხოვრების რთულ, რეაქციულ, ჩამორჩე-
ნილ პირობებში ბელინსკიმ შესძლო კრიტიკუ-
ლად მოკიდებოდა ჰეგელს, შემოქმედებითად
გამოეყენებინა მისი ესთეტიკის პრინციპები და
ამ გზაზე ექვემდებარებოდა წარმატებებისათვის
მიეღწია. ჰეგელის კრიტიკულად დაძლევის შე-
დედად, მიუთითებს პლუხანოვი, ბელინსკი ესწ-
რაფვოდა ფილოსოფიური კრიტიკის დაფუძნე-
ბას, ხელოვნების განვითარების კანონზომიერ-
ბათა და მის ნაწარმოებთა მხატვრულობის ობი-
ექტური კრიტიკის, ამა თუ იმ მხატვრულ
მოვლენათა ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშ-
ვნელობის დადგენას. პლუხანოვის შეხედულებ-
ებით, სწორედ ამ ობიექტივობად აკრიტიკებდა
ბელინსკი მისი თანამედროვე ფრანგული კრი-
ტიკის სუბიექტივიზმს, როცა ცდილობდა მიეღ-
წია ისტორიული და ესთეტიკური კრიტიკის
სინთეზისათვის. პლუხანოვის შენიშვნით, ბელინ-
სკიმ გამოავლინა კრიტიკულ-ესთეტიკური და
ფილოსოფიური აზროვნების ქვეშარტი თვით-
მყოფობა, დამოუკიდებლობა, და მისი შეცდომე-
ბიცი ფრიალ ჰეგელის სასწავლოა I.

პლუხანოვი მიუთითებს, რომ ბელინსკი როდი
დაკმაყოფილდა ჰეგელის ფილოსოფიით განა-
თებულ ფილოსოფიური კრიტიკის პოზიციე-
თში. მკვლევარის აზრით, მატერიალისტური
თვალსაზრისის გამომუშავების შემდეგ ბელინ-
სკი „ლიტერატურის განვითარებას, უფარდებ-
და საზოგადოებრივ განვითარებას, სხვადასხვა
კლასებისა და წოდებების შეცვლას“. ამ მხრივ
პლუხანოვს სანიშნოდ მიაჩნდა ბელინსკის
თერთმეტი წერილისაგან შემდგარი კრიტიკული
სტატიების ციკლი პუშკინის შესახებ; მკვლევარ-
ის აზრით, ამ სტატიებში გამოვლენილია მატე-
რიალისტური შეხედულებანი ლიტერატურაზე,

რაც კიდევ უფრო ზრდის ბელინსკის კრიტიკუ-
ლი სკოლის მნიშვნელობას.

პლუხანოვმა თავის გამოკვლევებში ასე ჩა-
მოაყალიბა და ბუთ მოთავარ პრინციპამდე დაიყ-
ვანა ბელინსკის „ესთეტიკური კოდექსი“:

1. პოეტმა კი არ უნდა დაამტკიცოს, არამედ
უჩვენოს, მან უნდა იაზროვნოს სახეებით და
არა სილოგოზმებით. ეს კანონი გამომდინარეობს
პოეზიის იმ განსაზღვრიდან, რომლის თანახმა-
დაც პოეზია არის ქვეშარტიების უშუალო კვრე-
ტა ან სახეებით აზროვნება.

2. თუ პოეზიის საგანი არის ქვეშარტიება,
მაშინ მხატვრული შემოქმედების უპირველეს
პირობას სიმართლედ შეადგენს, ხოლო სილამაზე
ქვეშარტიებასა და უბრალოებაში მდგომარე-
ობს. პოეტმა ცხოვრება უნდა ასახოს ისე, რო-
გორც არის, შეუღამაზებლად და დაუმახინ-
ჯებლად.

3. იდეა, რომელიც საფუძვლად ედება მხატ-
ვრულ ნაწარმოებს, კონკრეტული იდეა უნდა
იყოს და ამასთანავე უნდა მოიცავდეს მთელ
საგანს, და არა მის მხოლოდ რომელიმე მხარეს.

4. მხატვრული ნაწარმოების ფორმა უნდა
შეესაბამებოდეს მის იდეას, ხოლო იდეა —
ფორმას.

5. აზრის ერთიანობას უნდა შეესაბამებოდეს
ფორმის ერთიანობა. ეს კი ნიშნავს, რომ მხატ-
ვრული ნაწარმოების ყველა ნაწილი უნდა
შეადგენდეს ერთ ჰარმონიულ მთლიანობას I.

მართალია, პლუხანოვი ვერ ახერხებს ბელინს-
კის „ესთეტიკური კოდექსის“ და კრიტიკის
იდეალობიდან მატერიალიზმისაკენ ევოლუციის
ურთიერთკავშირში განხილვას, მაგრამ მისი ეს-
თეტიკის სახელმძღვანელო პრინციპების გამოკ-
ვეთა პლუხანოვის უდავო დამსახურებას შეად-
გენს. ბელინსკის ამ „ესთეტიკური კოდექსის“
მნიშვნელოვან მხარედ პლუხანოვი მართლედ
მიიჩნევდა იდეური ხელოვნების მოთხოვნას,
ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის ერთი-
ანობის დებულებას, ხელოვნების საზოგადოებ-
რივი როლის აღიარებას, „წმინდა ხელოვნების“
უაჩყოფს, რაც ბელინსკის „აკვეშირებდა 60-
იანი წლების კრიტიკისთან — ჩერნიშევსკისთან
და დობროლუბოვთან.

პლუხანოვმა მიუთითა, რომ მარქსისტულმა
კრიტიკამ აუცილებლად უნდა აითვისოს ბელინ-
სკის შეხედულებანი ლიტერატურულ კრიტიკა-
ზე, მისი მოძღვრება „კრიტიკის ორი აქტის“ —
ხელოვნების ნაწარმოებთა იდეური და მხატვ-
რული შეფასების ერთიანობის შესახებ. ცნობი-
ლია, რომ 1840-იან წლებში, თავისი მოღვაწეო-
ბის მეორე პერიოდში, ბელინსკიმ გამოთქვა



ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი აზრები ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულებასა და საზოგადოებრივ როლზე; იგი მოითხოვდა ანალიზურ ანუ ისტორიულ კრიტიკას, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებს განიხილავდა უოქსთან, ისტორიულ თანადროულობასთან კავშირში, საზოგადოებისადმი მხატვრის მიმართებაში, უკავშირებდა მას სინამდვილეს — „თანამედროვე მსოფლიოს ლოზუნგსა და უკანასკნელ სიტყვას“. თავის ბრწყინვალე „სიტყვაში კრიტიკის შესახებ“ ბელისკიმ კრიტიკა დაახასიათა როგორც „სინამდვილის შეცნობა“, „თანამედროვე გონებრივი სამყაროს თვითმპყრობელი“, განიხილა კრიტიკა და ხელოვნება, როგორც მხატვრული პროცესის ორგანოე შემაღგენელი ნაწილი. აღნიშნულ სტატიაში ბელისკიმ აღნიშნა ცალმხრივობა ა. ნიკიტენკოს თვალსაზრისისა, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პირადული, ანალიზური და მხატვრული კრიტიკა. ბელისკიმ უარყო ამგვარი ცალმხრივი შეტყობიკური თვალსაზრისი კრიტიკაზე და შემოიღო ტერმინი „ისტორიული კრიტიკა“, რომელიც, მისი აზრით, უნდა მოიცავდეს მხატვრული ნაწარმოების როგორც იდეურ-ისტორიულს, ისე მხატვრულ-ესთეტიკურ ანალიზს.

„კრიტიკა მუდამ შეესაბამება იმ მოვლენებს, რომელთა გამოც იგი მსჯელობს, — წერდა ბელისკი: — ამიტომ კრიტიკა არის სინამდვილის შეცნობა... ხელოვნებამ კი არ შექმნა კრიტიკა და კრიტიკამ — ხელოვნება, არამედ ერთი და მეორეც გამოვიდა დროის ერთი საერთო სულისკვეთებიდან. ერთი და მეორეც თანაბრად ეპოქის შეცნობაა, მაგრამ კრიტიკა არის ფილოსოფიური შეცნობა, ხოლო ხელოვნება — უშუალო შეცნობა. შინაარსი ერთისა და მეორისაც ერთი“ და იგივეა, განსხვავება მხოლოდ ფორმასა. სწორედ ამ გაერმოებაშია კრიტიკის მნიშვნელობა, განსაკუთრებით ჩვენი დროისათვის, რომელიც უპირატესად მოაზროვნე და განმსჯელი, მასადადამე გამკრიტიკებელი დროა, არ არის ჩვენი დროის ხელოვნება? განსჯა, ანალიზი საზოგადოებისა, მასადადამე — კრიტიკა. აზროვნებითი ელემენტი ახლა შეედღლა, შეუერთდა თვით მხატვრულ ელემენტსაც კი, და ჩვენი დროისათვის მკედარია მხატვრული ნაწარმოები, თუ კი იგი გამოხატავს ცხოვრებას მხოლოდ იმისათვის, რომ გამოხატოს ცხოვრება, ყოველგვარი ძლიერი სუბიექტური გულის წილის გარეშე, რომელიც სათავეს ეპოქის გაბატონებული ფიქრიდან ღებულობს.“¹

ძნელი არაა იმის დანახვა, თუ რამდენადაა დაკლებული ბელისკის ამ აზრებიდან თვით პლუხანოვის თვალსაზრისი მეცნიერულ მატერიალისტურ კრიტიკაზე, რომელმაც, მისი განსაზღვრის თანახმად, უნდა მოგვეცეს ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ-ესთეტიკური შეფასება, აგრეთვე გამოარკვეოს მათი ისტორიული იდეგლი, მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ღირებულება. პლუხანოვის აზრითაც, კრიტიკა სინამდვილის შეცნობას წარმოადგენს და „ქეშმარიტად ფილოსოფიური კრიტიკა ამახთანავე არის ქეშმარიტად პუბლიცისტური კრიტიკა“; ამისთან ერთად, ეს ლიბერტული კრიტიკა იმდენადვე პუბლიცისტურია, რამდენადვე ქეშმარიტად მეცნიერულია². უდავოდ ბელისკის იდეათა მარქსისტულ განვითარებად უნდა მივიჩნიოთ პლუხანოვის შეხედულებანი მატერიალისტურ კრიტიკაზე, რომელმაც, როგორც თვით ესთეტიკოსი აღნიშნავს, უნდა ახსნას, თუ საზოგადოებრივი შეგნების რომელმა მხარემ პპოვა გამოხატულება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში:

1. კრიტიკოსის პირველი ამოცანა ის არის, რომ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების იდეა თარგმნოს ხელოვნების ენიდან სოციოლოგიის ენაზე, მონახოს ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის სოციოლოგიური ექვივალენტი;
2. მატერიალისტური კრიტიკის მეორე აქტი უნდა იყოს განსახილველი ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება³.

პლუხანოვი აკონკრეტებს ამ მითითებებს და შენიშნავს, რომ ყოველი დროის მხატვრული შემოქმედების თავისებურებანი ყოველთვის მეტად მკიდრო მიზეზობრივ კავშირშია მასში გამოხატულ საზოგადოებრივ განწყობილებებთან. ამიტომ კრიტიკოს-მატერიალისტს უფლება არა აქვს დაკმაყოფილდეს მხატვრული ნაწარმოების სოციოლოგიური ექვივალენტის აღმოჩენით, — მან აუცილებლად უნდა შეეფასოს ნაწარმოების მხატვრული ღირსებაიც; სხვანაირად რომ ითქვას, შენიშნავდა პლუხანოვი, „მატერიალისტური კრიტიკის პირველი აქტი არა თუ უარყოფს მეორე აქტის საჭიროებას, არამედ გულისხმობს მას, როგორც თავის აუცილებელ დანაშაულს“³.

მატერიალისტური კრიტიკის შესანიშნავ მაგალითებას ხედავს პლუხანოვი ბელისკის მოღვაწეობაში. იგი აღნიშნავს, რომ ბელისკი მართებულად გაურბოდა მოაზროვნისა და ესთეტიკოსის უნიადგო დაპირისპირებას, როცა კრიტი-

¹ ბ. ბელისკი, რჩული თბულებანი, სახელგამი, თბილისი, 1952, ტ. I, გვ. 516—517 და სხვ.

¹ Г., В. Плеханов. Сочинения, т. X, გვ. 192.
² იქვე, გვ. 183—184, 189 და სხვ.
³ იქვე, გვ. 189.



კოსისაგან მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოებთა იდეის ახსნასა და მისი ფორმის გარჩევას.

„მხატვრული ნაწარმოების გარჩევა — წერს პლუხანოვი — ნიშნავს მისი იდეის გაგებასა და მისი ფორმის შეფასებას. კრიტიკოსმა უნდა იმსჯელოს როგორც შინაარსის, ისე ფორმის შესახებ; იგი ესთეტიკოსიც უნდა იყოს და მოაზროვნეც; ერთი სიტყვით, კრიტიკის იდეალია ფილოსოფიური კრიტიკა, რომელსაც ეკუთვნის მხატვრულ ნაწარმოებზე საბოლოო მსჯელობის გამართანის უფლება“¹.

პლუხანოვი აღნიშნავს, რომ ბელინსკის ფილოსოფიური კრიტიკა გამოირჩეოდა ასეთი მსჯელობის ობიექტურობით, მხატვრულ მოვლენათა შეფასების არაჩვეულებრივი სიღრმითა და სიმკაცრით. მისი აზრით, ლერმონტოვის შესახებ ბელინსკის წერილებს წაითხვის შემდეგ გაცილებით უკეთესად იგრძნობთ „ლერმონტოვის პოეზიის ძლიერ მშვენიერებას; „ბოროდინოსა“ და „ფიქრის“ („Дума“) ბელინსკისეული ანალიზი დაგვხმარებთ ღრმად ჩაწვდეთ ლერმონტოვისა და მისი თაობის სოციალურ-ხელოვნობრივ ტრადიციას. ბელინსკის წერილები ასევე შექს ჰყენენ პუშკინის პოეზიას, აღრმავებენ მისი მშვენიერების გაგებას, აცნობენ მკითხველს რუსული ლიტერატურის მთელ ისტორიულ პერიოდს დერკავინიდან პუშკინამდე; ბელინსკის წაითხვა აუცილებელია გოგოლისა და გრიბოედოვის გასაგებად“².

გ. ვ. პლუხანოვის შრომებში ბელინსკის შესახებ არის არსებითი ხასიათის ხარვეზებიც. ლენინისგან განსხვავებით, პლუხანოვი ვერ ხედავს ბელინსკის რევოლუციურ დემოკრატიზმს, რის გამოც ბელინსკის „ესთეტიკური კოდექსის“ გაშუქებისას ხშირად ცდება. პლუხანოვი არათანმიმდევრულია „წმინდა ხელოვნების“ თეორიის კრიტიკაში და ამდენად არასწორია მისი შეხედულება ბელინსკის მიერ ესთეტიკაში „ვალდებულების კატეგორიის“ ბოროტად გამოყენების შესახებ. პლუხანოვს ბელინსკიზე გაცილებით ვიწროდ ესმის „კრიტიკის ორი აქტი“, ხელოვნების ხალხურობის პრობლემა, ხელოვნების აბსოლუტური და რელატიური კრიტერიუმების საკითხები და სხვ. ასევე დახუსტებას საჭიროებს პლუხანოვის კონცეფცია ბელინსკის სოციალურ-ხელოვნების ევოლუციის შესახებ. ამისდა მიუხედავად პლუხანოვი გვევლინება ბელინსკის კრიტიკისა და ესთეტიკის საუკეთესო მკვლევარად, რომლის შესწავლა აუცი-

ლებელია ბელინსკის ყოველმხრივი გაგებისათვის.

ფრიად საყურადღებოა ს. შ. კიროვის, გ. ვ. ვოროსკისა და ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილები ბ. გ. ბელინსკის შესახებ.

ს. შ. კიროვმა ბელინსკის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1911 წელს, გაზეთ „ტერკში“ გამოაქვეყნა სტატია „დიდი მაძიებელი“, რომელიც შენდგომ „ლიტერატურაშია გაზეთში“ გადაიბეჭდა. ბელინსკის ფილოსოფიურ ძიებებისადმი მიძღვნილ ამ წერილში იგრძნობა პლუხანოვის შრომების გავლენა. კიროვისათვის ბელინსკი არის ბატონყმობისა და ნიკოლოზ პირველის რეაქციული რეჟიმის შეუპოვებელი მტერი, კუშპარიტების დაუღალავი მაძიებელი; „ეს მგზნებარე ძიებანი გასდევნ მთელ მის თხზულებებს — ქაბულური ტრადიციის „ლიბერტი კალანინისა“ უკანასკნელ წერილებამდე“¹.

გ. ვ. პლუხანოვის მსგავსად, ბელინსკის ტრადიციების განმარტობად თვლიდნენ თავს შესანიშნავი კრიტიკოსი მარქსისტები გ. ვ. ვოროსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

გ. ვ. ვოროსკის კალამს ეკუთვნის ორი პატარა საუბილე-სტატია ბელინსკიზე („ბოტოქარი ბესარიონის ხსოვნას“ და „ბ. გ. ბელინსკი“), მაგრამ თავისი შინაარსით ეს წერილები მეტად მნიშვნელოვანია. მართალია, ერთგან ვოროსკი, ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდ, „პროლეტარულ ფსიქოლოგიას“ მიაწერს ბელინსკის, მაგრამ, სხვა მხრივ, იგი იზიარებს ლენინისეულ დახასიათებას, უწოდებს მას „დიდ რაზნოჩინს“².

ბელინსკის შესახებ მარქსისტულ ლიტერატურაში თავისი აღვლილი დაიკავეს ა. ვ. ლუნაჩარსკის სტატიებმა („ბ. გ. ბელინსკი“ და „ბელინსკის ისტორიული მნიშვნელობა“). ა. ვ. ლუნაჩარსკი ახსნათებს ბელინსკის როგორც მეტად გამჭრიახ სოციალოგს, რომელმაც გერცენსა და ჩერნიშევსკიზე მეტი შორსმჭვრეტელობა გამოავლინა, როცა XIX საუკუნის 40-იან წლებში, რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ ეტაპამდე ნახევარი საუკუნით ადრე, აღიარა რუსეთისათვის კაპიტალისტური განვითარების გზის გადის აუცილებლობა. ბელინსკი თავისი ბუნებით უშიშარი ჰუმანიტი იყო, შენიშნავს ლუნაჩარსკი, მისი სიხით გამოჩნდა „ჩვენი სახალხო რევანტის პირველი მოქმედი“. „კრიტიკის, რომელიც მზად იყო ემოქმედებინა კრიტიკის იარაღი, — თვით გილოტინაც ემზარა, ვით კრიტიკის ინსტრუმენტი“ (ლუნაჩარსკის მხედველობაში აქვს

¹ იქვე, გვ. 189.
² Г. В. Плеханов, Литература и эстетика, Гослитиздат, 1958, ტ. 1, გვ. 382—383.

¹ С. М. Киров, Великий искатель, «Литературная газета», 1/XII-1939 г.

წინობილი ეპიზოდი გერცენის „ნამყო და ნაზრევიდან“, როცა ბელინსკი ერთ-ერთ რეაქციონერს გილიოტინით დამწყობდა. — ბ. ბ.).

თავის წერილში „ბ. გ. ბელინსკი“ ა. ვ. ლუნაჩარსკი ერთობ ზედამიერულად მსჯელობს ბელინსკის ფილოსოფიური შეხედულებებისა და ესთეტიკის შესახებ; იგი ცდება, როცა ბელინსკის მიაწერს პუბლიცისტიკისა და ხელოვნების სფეროების მკვეთრ გამოჯენას. გაცილებით უფრო შინაარსიანია ა. ვ. ლუნაჩარსკის მეორე წერილი ბელინსკიზე — „ბელინსკის ისტორიული მნიშვნელობა“, სადაც უკვე სწორი თვალსაზრისია გამოხატული „ბოხოტოვი ბესარიონის“ მოღვაწეობის მნიშვნელობაზე. ლუნაჩარსკის ბელინსკი წარმოუდგება ისეთი ტიპის კრიტიკოსად, რომელიც ლიტერატორებს ასწავლიდა წერას, ხოლო მკითხველს — კითხვას. ლუნაჩარსკი აღნიშნავს, რომ ბელინსკი იყო მხატვრული დიდაქტიკის მტერი, ცხოვრების სიმართლათ აღბეჭდილი, მაღალი შემოქმედი ძალის მქონე ხელოვნების მოტრფიალე ესთეტიკოსი, რომელთა გაცნობაც, დობროლებობის მსგავსად, საზოგადოებრივი და მხატვრული განვითარების უდიდეს პრობლემებთან გვაახლოებს.

ეს სიტყვები ჩვენს თანამედროვეთათვისაც განსაკუთრებული ძალით ელერენ. დღეს, როცა ზოგიერთი საეკვო გეოვგნების მქონე „პრაქტიკოსები“ და „თეორეტიკოსები“ ცდილობენ ექსპექტში დააყენონ ხელოვნების არსებობის, ადამიანის ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობა, ზოლო სხეები მიმართავენ „ფიზიკოსთა“ და „ლირიკოსთა“ — ერთის მხრივ ხელოვნებისა, ზოლო, მეორეს მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის, ნაძალადეგ დაპირისპირებას, — რა ნათელ შუქს ფენს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შემეცნების სხვადასხვა ფორმების ურთიერთობას ბელინსკის აზრები ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებასა და მსგავსება-განსხვავებაზე, რომელიც გამოთქმულია მის სტატიაში „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“:

„სრულიად უეჭველია, რომ ცხოვრება მრავალ მხარედ იყოფა, რომლებსაც თავისი დამოუკიდებლობა აქვთ, მაგრამ ეს მხარეები ერთიმეორეს ცოცხლად შერწყმიან და მათ შორის მკაცრი გამყოფი ხაზი არ არსებობს. რაც უნდა დააქუცმაცოთ ცხოვრება, იგი, ყოველთვის ერთიანი და მთლიანია. ამბობენ: მეცნიერები ერთის საპირთა ქუთა და გონება, შემოქმედე-

ბისათვის ფანტაზიაო, და ფიქრობენ, რომ ამით საქმე საეცებით ვადწყვიტეს, ასე რომ შეიძლება იგი არქივს ჩაბარდეს. და განა ხელოვნებისათვის საპირთ არ არის ქუთა-გონება? და განა მეცნიერს შეუძლია უფანტაზიოდ იმუშაოს? ტუტულია ქუშმარიტება ის არის, რომ ხელოვნებაში ყველაზე ქმედით და უბირველს როლს ფანტაზია ასრულებს, მეცნიერებაში კი — ქუთა და გონება. რა თქმა უნდა, არიან პოეზიის ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიც არაფერი ჩანს, გარდა ძლიერი ბრწყინვალე ფანტაზიისა; მაგრამ ეს სულაც არ არის საერთო წესი მხატვრულ ნაწარმოებთათვის. შექსპირის ქმნილებებში არ იცი რა უფრო გაკვირვებს — შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრე თუ ყოველსომოცველი გონების სიმდიდრე. არის მეცნიერების სახეები, რომლებიც არათუ არ მოითხოვენ ფანტაზიას, არამედ ამ დარგებში ეს უნარი მხოლოდ ზიანს მოიტანდა; მაგრამ ამის თქმა არასვებით არ შეიძლება საერთოდ მეცნიერებაზე. ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა, განმეორებული, ხელახლა შექმნილი სამყარო; განა შეიძლება იგი რაღაც განმარტებულ, მისთვის უცხო ყველა გავლენისაგან იზოლირებულ მოქმედებას წარმოადგენდეს?.. საზოგადოების უმადლესი და უწმინდესი ინტერესი მისი საკუთარი კეთილდღეობა, რომელიც თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ყოველ მის წევრზე. ამ კეთილდღეობის გზაა შემეცნება, შემეცნებას კი ხელოვნება მეცნიერებაზე ნაკლებად როდი უწყობს ხელს. აქ მეცნიერებაც და ხელოვნებაც თანაბრად საპირთა, და არც მეცნიერებას შეუძლია ხელოვნების შეკლა და არც ხელოვნებას — მეცნიერებისა“ 1.

მარქსისტულ-ლენინურმა კრიტიკამ და ესთეტიკამ თავის ცოცხალ მემკვიდრეობად მიიჩნია ბელინსკის აზრთა საგანძური. დიდი კრიტიკოსის ღრმა და მახვილი მსჯელობა ხელოვნების საკითხებზე დღესაც გვეხმარება მასების იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში. კომუნისტური საზოგადოება, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, კიდევ უფრო ფართო, აუცილებელი მოთხოვნილების საგნად და მოვლენად მიიჩნევს ხელოვნებას, რომლისადმი სამსახურს შესწირა თავა ბესარიონ ბელინსკიმ.

1 ბ. გ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, სახელგამო, აბილისი, 1948, გვ. 682—683, 694 და სხვ.





პიოგაი სისიჰვილი

ბელინსკი — თეატრალური კრიტიკოსი

IX საუკუნის 20-30-იანი წლები რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში აღინიშნა უმნიშვნელოვანესი შინაგანი პროცესებით, რომელთაც არა მარტო განაპირობებს რუსული კულტურის გიგანტური ზრდა და მსოფლიო რეზონანსი, არამედ ხელი შეუწევს უაღრესად ფართო ხასიათის საზოგადოებრივი მოძრაობის გაშლას, მასების პოლიტიკურ აქტივიზაციას. ეს იყო დრო, როცა პუშკინმა, გრიბოედომ და გოგოლმა თავიანთი ეპოქალური მხატვრული ნაწარმოებებით დასაბამი მისცეს მხატვრულ რეალიზმს, რომელმაც ქეშმარიტად ააყვავა რუსული ეროვნული კულტურა და მანამდე არნახულ სიმაღლეებს დააუფლა. სწორედ ამ ამალორძინებელი და ცხოველმყოფელი პროცესების წყალობით შესძლო რუსულმა მწერლობამ და ხელოვნებამ კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ისტორიაში საპატიო ადგილის დაპყვადება და მსოფლიო სარბიელზე გასვლა.

ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეალისტური მხატვრული მეთოდის შემუშავებაში უდიდესი როლი შეასრულა რუსულმა ორიგინალურმა დრამატურგიამ. პუშკინის „პორის გოდუნოვი“ და გრიბოედოვის „ვი ქუცისაგან“ მხატვრული რეალიზმის პირველი მერცხლები იყვნენ. ორივე ეს ნაწარმოები თითქმის ერთდროულად შეიქმნა 1824 — 1825 წლებში. სხვათა შორის ანალოგიური პროცესი რეალიზმის დრამატურგიული ენარით დაწყებისა შეინიშნება საქართველოშიც, სადაც რეალისტური მეთოდსა და მიმდინარეობას დასაბამი გ. ერისთავის დრამატურგიამ მისცა.

ყოველი ერის ისტორიაში დრამატურგია და თეატრი, ურთიერთგამაპირობებელ ფაქტორებად გვევლინებიან. ეროვნული დრამატურგიის გარეშე არ არსებობს ეროვნული თეატრი და ეროვნული თეატრის გარეშე წარმოუდგენელია დრამატურგიის ქეშმარიტი აღმავლობა.

როცა რუსული დრამატურგიული მწერლობა რეალიზმის ცხოველმყოფელ ძალას ენაირა და შემოქმედებითი აღმავლობის გზას დაადგა, მან ამით მოამზადა ნოყიერი ნიადაგი რუსული ეროვნული თეატრალური ხელოვნების წინსვლისათვისაც. შემთხვევითი არ არის, რომ თითქმის ამავე ხანებში (1817 და 1822 წლებში) რუსულ სცენას მოეგვინა ორი უდიდესი ხელოვანი, ორი გენიალური რუსი მსახიობი — პავლე მოჩალოვი და მიხეილ შჩეპკინი. პირველი, როგორც რევოლუციური რომანტიზმის მედროშე რუსულ სცენაზე და რეალიზმის ერთი პირველი დამამკვიდრებელი ეროვნულ თეატრში, ხოლო მეორე, როგორც ფუქემდებელი რეალიზმისა რუსულ თეატრალურ ხელოვნებაში.

რეალიზმის აღმოცენება და დამკვიდრება რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, განსაკუთრებით დრამატურგიასა და თეატრალურ ხელოვნებაში, იყო გამოშხატველი იმ დიდი პროგრესული მოძრაობის დაწყებისა, რომელმაც განაახლა და განადიდა რუსეთი. და აი, სწორედ ამ ახალი, პროგრესულ-დემოკრატიული რუსეთის ერთი უდიდესი და უპირველესი გამოშხატველი, მისი მებაზრახტრე და იდეოლოგი, მისი ბედის მჭედელი და თავდადებული მებრძოლი იყო ეპოქის უდიდესი მოაზროვნე, გენიალური რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი.

ყოველი შემოქმედებითი მეთოდი და ლიტერატურული მიმდინარეობა მტკიცედ და საბოლოოდ მხოლოდ მაშინ ფორმდება, როცა ამ მეთოდით შექმნილ მხატვრული ნიმუშებთან ერთად იქმნება და ყალიბდება მისი შესაბამისი, მწყობრი ესთეტიკური სისტემა, გააზრებული თეორია ახალი შემოქმედებისა. პირველი, ვინც რუსულ ლიტერატურაში ახლად მოგვლინი რეალისტური მხატვრული ნიმუშები თეორიულად განაზოგადა, ვინც ლიტერატურულ პრაქტიკის ბაზაზე საფუძველი ჩაუყარა რეალიზმის ესთეტიკურ სისტემას — ბესარიონ ბელინსკი იყო.

ბელისის ისტორიული დამსახურება მდგომარეობს ახალი რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის შექმნაში, რომელიც შემდეგ ნ. ჩერნიშევსკიმ და ღობროლიუბოვმა განავითარეს. ეს უდიდესი მოაზროვნე, გერცენაი, ჩერნიშევსკისთან და ღობროლიუბოვთან ერთად, არის შემოქმედი რუსული მატერიალისტური ფილოსოფიისა, რომელიც მარქსამდელი მატერიალიზმის ყველაზე უფრო მაღალი ფორმაა მთელს მსოფლიოში და რომელიც რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენებადგონისა და დემოკრატიული კულტურის შენების იდეურ ბაზად და თეორიულ საფუძვლად იქცა.

ბელისის რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპია ხელოვნების ერთგულება სინამდვილისადმი (ე. ი. რეალიზმი), მაღალი იდეურობა და ქემმარტი ხალხურობა. ბელისის ესთეტიკურმა პრინციპებმა დიდი როლი ითამაშეს რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. სწორედ მათზე იზრდებოდა მოწინავე რუს მწერალთა და ხელოვანთა მრავალიცხოვანი პლეადები.

ბელისკი როგორც ფილოსოფოსმა, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა, განვლო რთული და წინააღმდეგობრივი გზა განმანათლებლობიდან რევოლუციურ-დემოკრატიზმამდე, იდეალიზმიდან მატერიალიზმამდე, რომანტიზმიდან რეალიზმამდე. ბელისის მსოფლმხედველობის ამ ევოლუციოში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების ცოცხალ პრაქტიკას, მხატვრული შემოქმედების ცოცხალ პროცესს. ამ მხატვრული პრაქტიკის ისტორიულად მართებულმა, იდეურად ღრმა და უაღრესად შორსმჭვრეტელურმა განხილვამ მიიყვანა იგი რევოლუციურ-დემოკრატიული სულით გაქლენილი და სახალხო კეთილდღეობისათვის მუბრძოლი რეალისტური შემოქმედების ქადაგებამდე, ცხოვრებაში მისი დამკვიდრებისა და აღმაკვლავლისათვის ბრძოლამდე.

ბელისის მისელს ახალი, ნოვატორული არის მქონე ესთეტიკური სისტემამდე, იდეურობით და ხალხურობით გაქლენილი რეალისტური მხატვრული შემოქმედების ქადაგებამდე, დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელმა რუსულმა თეატრალურმა ხელოვნებამ, რომლის ესოდენ დიდი მოტრფილი, მეგობარი, შემწე და თეორეტიკოსიც იგი იყო.

ამიტომ ბელისის შეხედულებები თეატრზე, მისი როგორც თეატრალური კრიტიკოსის მოღვაწეობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბელისის იდეურ ევოლუციას, მის მიერ ხელოვნების

პრობლემების განზოგადებას, ახალი ესთეტიკური სისტემის გამომუშავებას და ამით დიდი ისტორიული მისიის შესრულებას რუსული ხელოვნების საერთო პროგრესში, ხოლო მეორე მხრივ, პროგრესულ-დემოკრატიული ხელოვნების აყვავებას, რუსული ეროვნული მწერლობისა და თეატრალური კულტურის მიერ თავისი ხალხის ცხოვრებაში დიდი დამრავმელ-მარგანიზებელი როლის ღირსეულად შესრულებას.

მაგრამ ბ. ბელისის შესანიშნავი თეატრალური კრიტიკა ტიტულ აღვიღებ როლი აღმოცენებულა. მას წინ უსწრებდა მოღვაწეობა მთელი რიგი კრიტიკოსებისა. სწორედ ამ წინამორბედებმა მოამზადეს „პირობები“ ამ თვისობრივად ახალი საფუძვრისათვის, რომელსაც ბელისის თეატრალური კრიტიკა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ახალი ეტაპი რუსული თეატრალური კრიტიკის ისტორიაში იწყება პუშკინით. თავის დიდად მნიშვნელოვან წერილებში, როგორცაა, მაგალითად, „ჩემი შენიშვნები რუსული თეატრის შესახებ“ და „დრამის შესახებ“ პუშკინის მიერ გამოთქმული მოსახრებები იქცნენ ქვაკუთხედურ დებულებებად დრამატურგიული ენების რაობის, მათი სპეციფიკის, მოქმედების განვითარების მექანიზმის, კომედიისა და ტრაგედიის თავისებურებათა მართებული გააზრებისათვის. პუშკინის ზოგიერთი დებულება შემდეგ განავითარა გოგოლმა და ბელისკიმ.

რუსული თეატრალური კრიტიკისათვის უდიდეს მოვლენას წარმოადგენს გოგოლის კრიტიკული წერილები თეატრის შესახებ. გოგოლი თეატრისა და მსახიობისაგან მოითხოვდა სიმართლეს, ბუნებრიობას, ანსამბლურობას. იგი ხზგასმით აღნიშნავდა, რომ ყალბი ან უშინაარსო და წმინდა გასართობი დრამატურგია ვერ წასწევს წინ თეატრს, იგი ამახინჯებს მსახიობის ნიჟს, აკინებებს მის ოსტატობას.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსული თეატრალური კრიტიკის განვითარებაში ნიკოლოზ პოლევოიმ (თავის რენეგატობამდე) და ნიკოლოზ ნადეჟდინმა. თუ პირველმა მხებილი პუბლიცისტური ელემენტით გაამდიდრა თეატრალური წერილები, მეორემ ფილოსოფიური სიმხებილე შესძინა მათ.

მაგრამ თეატრალური კრიტიკის ამ პროგრესულ ფრთას უპირისპირდებოდა რეაქციული თეატრალური პოლიტიკის გამტარებელი ჯგუფი — ბულგარინი, გრემი, სენკოვსკი, მეჟევიჩი, პოგოდინი, შვეიციოვი და სხვათა. შეუღლებულმა და მამაცმა ბელისკიმ დაუდობელი ბრძოლა გამოუცხადა რეაქციის დამქაშებს ხელოვნებაში. მან განაგრძო და განავითარა პროგრესულ-დემოკრატიული და რევოლუციური



ტენდენციები თეატრალურ კრიტიკაში და აქცია იგი თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით იარაღად. იგი მგზნებარედ მოუწოდებდა რუსულ თეატრს ეროვნული თვითმყოფადობისა, ხალხურობისა და დემოკრატიზმისა, იდეურობისა და აღმზრდელიობითობისაკენ.

ბელინსკის თეატრალური წერილებით იწყება ახალი ეტაპი რუსული თეატრალური კრიტიკისა, რომელსაც დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატმა შეძინა იდეური მიზანდასახულობა, საოცარი მგზნებარება, შეუღლებული მებრძოლისული და ის განუყოფრებელი თეორიულ-მხატვრული სიღრმე, რომელიც ახლაც გვაოცებს მისი დიდებული მექვიდრებობის გაცნობისას. საესებით მართებულა ის საყოველთაოდ აღიარებული აზრი, რომ ბელინსკიმ, რომელიც თანაბარი მგზნებარებით იბრძოდა რეალიზმისა და ხალხურობისათვის ლიტერატურასა და თეატრში, როგორც თეატრალურმა კრიტიკოსმა შეასრულა ასეთივე დიდი საშვილიშვილო როლი, როგორც ბელინსკიმ — ლიტერატურის კრიტიკოსმა; ბელინსკიმ ერთ-ერთმა პირველმა ჩაოაყალიბა თეორია სცენიური რეალიზმისა და დამუშავა თვითმყოფი რუსული თეატრის ესთეტიკური საფუძვლები.

ეს მან იმითმ შეძლო, რომ დიდ კრიტიკოსს ადრეული ბავშვობიდანვე დიდი გზატკეცილი უყვარდა თეატრი. ჯერ კიდევ პენსის გიმნაზიაში სწავლისას პუტის ფულად განკუთვნილი უკანასკნელი გროშებით თეატრის ბილეთს ყიდულობდა, ხოლო არდადეგებზე თავის მშობლიურ ქალაქ ჩემბარში ჩასვლისას თავდავიწყებით მართავდა სცენისმოყვარულთა სპექტაკლებს, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდა როგორც მსახიობი და რეჟისორი. შემდეგში, იგონებდა რა ამ პერიოდს, ბელინსკი წერდა: „თეატრი, თეატრის რა მავიურ სიტყვას წარმოადგენდა იგი ჩემთვის! რა გამოუთქმელი მომხიბვლელით აეღრებდა ჩემი გულის ყველა სიმს... თეატრში ვხედავდი მთელ მსოფლიოს, მთელ სამყაროს, მთელი მისი ნაირფერობითა და მშვენიერებით...“.

უაღრესად საყურადღებოა, რომ სწორედ თეატრში, ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, ამ „ლთაებრივმა ხელოვნებამ“ უძიგა მის შემოქმედებითი ლიტერატურული საქმიანობისკენ: 1830 წელს 19 წლის ბელინსკი წერს თავის პირველ ნაწარმოებს, დრამას „დიმიტრი კლინინი“, რომელიც ბატონყმობის სასტიკ მხილებადა და გაიკცხვას წარმოადგენდა. ეს თამაში პიესა ბელინსკის მოსკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხვის მიზეზი გახდა. საცენურო კომიტეტი და უნივერსიტეტის რექტორატი თავზარდაცემული იყო ახალგაზრდა რაზნოჩინელი

სტუდენტის კრამოლური რევოლუციური განწყობილებით და გადაწყვიტა საჩქაროდ თავიდან მოეშორებინა, რათა ეს საშიში, სენი სხვასაც არ გადადებოდა.

23 წლისა იყო ბელინსკი, როცა ნადეჟდინის ეურნალ „ტელესკოპის“ დამატებაში, გაზეთ „მოლეში“ 1834 წელს დაბეჭდა თავისი პირველი დიდი კრიტიკული სტატია „ლიტერატურული ოცნებანი“.

თუ ბელინსკის პირველი წერილი ლიტერატურულ კრიტიკის განეყოფინება, მისი მეორე წერილი თეატრალურ რეცენზიას წარმოადგენს. ესეც საგულსხმოდ ფაქტია; ლიტერატურის უდიდესი ამაღლარი თეატრის დიდი ამაღლარიცა და თავისი სასიცოცხლო მოწოდებას ლიტერატურის სამსახურთან ერთად, თეატრის სამსახურშიც ხედავს. ორი ხელოვნების, სიტყვიერი და თეატრალური ხელოვნების ასეთ განუყოფელ სამსახურს თავისი ღრმა მიზნები აქვს: ნიკოლოზ პალკინის პირქვეშ ებოქაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის რეაქციის სასტიკ ბრქყალბეში იყო ჩაბღუჯული და პოლიტიკურ მოძრაობას გასაქანი არ ჰქონდა, ლიტერატურასა და თეატრს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. ამიტომ მიაკუთვნა თეატრს ასეთი დიდი როლი ბესარიონ ბელინსკიმ.

ანალოგიური მდგომარეობა გვექონდა ქართულ სინამდვილეშიც იმ განსხვავებით, რომ ქართული თეატრა იყო არა მარტო სოციალური უთანასწორობისა და უკულმართი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი, არამედ ეროვნული ჩაგვრის მამხილებელიც, ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლიც. ერთნაირმა ისტორიულმა მისიამ დამამხილა ქართული და რუსული თეატრების მოწინავე მოღვაწენი. დიდი ქართველი სამოციანელები ი. ჰავაევაძე და ა. წერეთელი თეატრის დიდი საზოგადოებრივი როლის ქადაგებისას ბელინსკის კვალში იდგნენ. თავისი მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელური სისტემა, რომლის მეკვეურნიც კარგად გრძნობდნენ ლიტერატურისა და თეატრის დიდ დამარბმეულ და მოარგანიზებულ ძალას, ცდილობდნენ თეატრი თავისი სასარგებლოდ გამოეყენებინათ და მისი შემეგობით ექადაგნათ და განემტკიცებინათ ხალხში თვითმპყრობელური ფორმულა — „რჯულისა, მეფისა და მამულისათვის“ და ამ ფორმულის უფარვისებური მოღდიკაცია — „თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა“.

აი, სწორედ ეს რეაქციულად გაგებული — „ხალხურობა“ იქცა იმპერატორისეული რუსული თეატრის მთავარ გეზად. იმ დროის მებრძოლი რეაქციონერები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ სცენაზე ტრუბატორული, ფსევდობალბური, არსებითად კი ანტი-



ხალხური პიესები და უიდეო, უშინაარსო, ვასა-
რთობი დრამატურგია.

ამ ანტიპატრიოტული და რეაქციული თეატ-
რალური პოლიტიკის წინააღმდეგ წარმართა
თავისი მოღვაწეობა, როგორც თეატრალურმა
კრიტიკოსმა, დიდმა რანსონინელმა და რევო-
ლუციონერ-დემოკრატმა ბესარიონ ბელინსკიმ.

XIX ს. 30-იან წლებში ახალი ძალით გაჩაღ-
და მსაფრი იტერ-ესთეტიკური ხასიათის ბრძო-
ლა. რეაქციულ-კონსერვატიულმა კრიტიკამ პო-
ლიტიკური მოსაზრებებით უარპყო გენიალური
რუსი ტრაგიკოსი მოჩალოვი და მას ოლიგარქების
ფავორიტი, ე. წ. „კლასიციტი“ აქტიორულ-
ლი სკოლის წარმომადგენელი კარატიგინი დაუ-
პირისპირა.

სტახტო პეტერბურგს დაიკლებულსა და
უფრო რანსონინულ მოსკოვში უკეთესი პი-
რობები იყო თეატრის დემოკრატიზაციისათვის
და შემთხვევითი როლი, რომ მოჩალოვისა და
შჩეპკინის ნიჭმა სწორედ მოსკოვის სცენაზე
გამავა ფრთები.

მაგრამ მოჩალოვს გამოენდა ისეთი შეუ-
პოვარი, თანმიმდევრული და ერთგული დამ-
ცველი, როგორც იყო ბელინსკი, რომლის პირ-
ველი თეატრალური სტატია იყო სწორედ მო-
ჩალოვის დასაცავად დაწერილი და 1835 წელს
გამოქვეყნებული წერილი — „ჩემი აზრიც
ბატონ კარატიგინის თამაშზე“. სტატია განსა-
კუთრებით იმ მხრივას საყურადღებო, რომ
მასში ბელინსკიმ ორი აქტიორის დაპირისპი-
რება პრინციპულ სიმძლავრე აიყვანა, განაზო-
გადა და წარმოგვიდგინა როგორც ორი დია-
მეტრალურად განსხვავებული გზა მთელი რუ-
სული მხატვრული კულტურის განვითარებისა.
ასეთი გენიალური განზოგადება შეეძლო მხო-
ლოდ მას, ვინც ხელოვნების ცალკეულ ფაქტს
იქით საზოგადოებრივ პრობლემატიკას ხედავ-
და, ვისაც ღრმად ესმოდა ეროვნული კულტურ-
ის განვითარების პროცესი, ვინც ნათლად
ჭერტდა მისი პროგრესის ნამდვილ გზას.

უკვე ამ წერილში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა
ბელინსკიმ, დიდი წინგაჩქერებით დააკავშირა
მხატვრული რეალიზმი აღმოცენებისა და პირ-
ვანდელი ზრდის პროცესში მყოფ პროგრესულ
საზოგადოებრივ ძალეთთან; მან ხელოვნების
განვითარების მაგისტრალურ ხაზად მიგვანიშნა
რეალიზმი, რომლის ელემენტებიც უფრო აღრე
შეინიშნებოდა ლუკინის, პლავილშიჩიკოვის,
ფონვიზინის პიესებში.

ამ მნიშვნელოვან კრიტიკულ რეცენზიაში
ბელინსკი დიდი სიღრმით, საოცარი ალბათი
და თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის ზედ-
მიწეინითი ცოდნით არჩევს კარატიგინის სამსა-
ხიობო ოსტატობას, ხასიათის სცენიური ვახს-
ნის ხერხებს, როლის იდეურ და შინაარსობრივ

ინტერპრეტაციის და ღრმა თანმიმდევრული
ანალიზის საფუძველზე აყვებებს უაღრესად
მნიშვნელოვან განზოგადებას. სწორედ ასეთ
განზოგადებაშია ამ წერილის ღირსება. ბელინ-
სკი ამტკიცებს, რომ რუსულ ხელოვნებაში (იგი
თეატრალურსაც გულისხმობდა) თავი იჩინა
ხელოვანის ორმა დიამეტრალურად განსხვავე-
ბულმა ტიპმა: ერთი მხრივ, გოგოლი და შესა-
ნიშნავი რუსი მსახიობები — შჩეპკინი, მოჩა-
ლოვი, ხოლო მეორე მხრივ, მარლინსკი, კუპო-
ნივი და კარატიგინი. თუ პირველთ პროგრესულ
დემოკრატიული ხასიათის რეალისტური შემოქ-
მედების განვითარებას უკავშირებდა, მეორე
ჯგუფს ცხოვრებისეული სიმართლის დაღატის
გზით მიმავალ ხელოვანთა რიცხვს აყუთვნე-
ბდა.

1838 წელს ბელინსკი აქვეყნებს თავის შესა-
ნიშნავ წერილს — „ჰამლეტი, დრამა შექსპირი-
სა. მოჩალოვი ჰამლეტის როლში“, რომელსაც
დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო რუსული
თეატრისა და ლიტერატურისათვის, არამედ
საერთოდ მთელი შექსპიროლოგიისთვისაც.

ბელინსკიმ პირველმა მოგვცა შექსპირისეული
რეალიზმისა და დრამატიული ცხოველყოფე-
ლობის თეორიული გააზრება, მისი ზოგადესთე-
ტიკურ ასპექტში გაშუქება. დიდი კრიტიკოსს
შექსპირის შემოქმედების სიღაღის საფუძველს
ობიექტური სინამდვილის ამსახველობასა და
ამ ცხოვრებისეული სიმართლის ასახვის ხის-
რულეში ხედავდა. გოეთესა და ჰეგელიდან
მომდინარე ტრადიციის საწინააღმდეგოდ, რომე-
ლიც ჰამლეტში, არსებობდა, ერთადერთ მოქმედ
პირს აღიარებდა, ბელინსკი აანალიზებს ჰამ-
ლეტს სხვა პერსონაჟებთან მიმართებაში და
იმ რთულ ურთიერთობაში, რომელიც ჰამლეტს
გარემომცველ სამყაროსთან აქვს.

განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ
ბელინსკი ჰამლეტის ბუნტარულ სულს, მის
პროტესტულ ხასიათს და სინამდვილისადმი სიძულ-
ვილს როგორცაღ ორგანულად და მკითხველი-
სათვის ადელისაცანურად აკავშირებს პირადად
თავისი და მისი ეპოქის მოწინავე მოაზროვნე-
ების თვითმპყობელურ-შეგაზნმული სინამდვი-
ლისადმი სიძულვილთან.

წერილის მეორე ნახევარი ეძღვნება მოჩა-
ლოვის აქტიორული ხელოვნების გარჩევას.
კრიტიკოსი წერს, რომ მოჩალოვისეული ინტერ-
პრეტაცია ჰამლეტის სახისა, ესაა ნიშნუმი
სინამდვილის მართალი სცენიური ასახვისა. მო-
ჩალოვის შთაგონებულმა, ემოციურად ქმედითმა
და საოცრად დამაჯერებელმა გარდასახვამ და-
არწმუნა კრიტიკოსი იმაში, რომ კუშპარიტი
სამსახიობო ხელოვნება ისევე ასახავს სინამდვი-
ლეს, როგორც რეალისტური ლიტერატურა.
ამასთან დაკავშირებით, ბელინსკი ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ როცა მოჩალოვი ცხოვრებისეულ სინამდვილეს არ ღალატობს, როცა იყენებს ნამდვილ და არა გამოწვანს საყოფაცხოვრებო დეტალებს, იგი ბრწყინვალეა და მის მიერ შეტრულბული როლიც უნაკლო; მაგრამ როცა აქტიორი სიმართლეს ღალატობს და სივალბეში ვარდება, როცა მისი „თამაში“ ჭარბი პათეტიკისა და გულცივი რიტორულობის საშოხელში ვხვდება, იქ იგი გარდუვალად მარცხდება.

ბელინსკის მრავალრიცხოვანი თეატრალური წერილები ძირითადად მოიცავენ სამ მხარეს:

1. დრამატურგიის (როგორც ჟანრის) ზოგად საკითხებს, ცალკეულ დრამატურგთა შემოქმედების ანალიზს და ცალკეული დრამატიული ნაწარმოებების შესახებ მსჯელობას.

2. თეატრის ზოგად პრობლემებს, ეროვნული რუსული თეატრის წინაშე მდგარი სასიცოცხლო ამოცანების განხილვას (თეატრის დემოკრატიზაციის, მისი იდეურობის, ხალხურობის, პრობლემებს და სხვ.).

3. თეატრალური ხელოვნების კონკრეტული მხატვრული საკითხების ანალიზს და აქტიორული ხელოვნების პრობლემებიკაზე მსჯელობას.

ამ სამივე რიგის საკვანძო საკითხების გარჩევისას ბელინსკი მისთვის დამახასიათებელი გენიალური სიღრმით, და განსაკვიფრებელი შორსმჭვრეტელობით ქმნის ახალ შეხედულებებს, რომელნიც დღესაც ფუჭმდებლურ დებულებებად გვევლინებიან.

ბ. ბელინსკი, აღარებს რა ერთმანეთს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ამსახველობით უნარს (არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერის, მუსიკის), ამტკიცებს რომ მათში რეალური ადამიანი ვერ ისახება ისე ღრმად და სრულად, როგორც ლიტერატურაში. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ლიტერატურას შეეძლება ძალა ყოველმხრივად აჩვენოს ადამიანის ცხოვრება და ყველაზე უფრო სრულად დაგვისურათხატოს მისი გარემომცველი სინამდვილე. ბელინსკის სიტყვით, პოეზია (აქ იგულისხმება საერთოდ ლიტერატურა გ. ც.) წარმოადგენს მთლიანობას ხელოვნებისას, რამდენადაც სიტყვიერი ხელოვნება (ე. ი. ამბის გადმოცემა სიტყვით) არის ერთ და იმავე დროს ბგერაც, სურათიც და გარკვეული მყოფოდ გამოთქმული წარმოდგენაც. ამ საფუძველზე დიდი კრიტიკოსი ასკვნიდა, რომ „პოეზია არის უმაღლესი გვარი ხელოვნებისა“. მაგრამ ბელინსკის აზრით თვით პოეზიაში (ე. ი. ლიტერატურაში) ყველა გვარსა და ჟანრს როდი აქვს ერთნაირი ძალა ადამიანური არსობის დროდ ჩვენებისა. არც ეპოსს და არც ლირიკას არ აქვთ უნარი გვაჩვენონ ადამიანის შინაგანი ბუნება განვითარებაში, ცოცხალ ქმედებაში. ამის ძალა, მხოლოდ დრამას შეეძლება. აქე-

დან ბ. ბელინსკი ასკვნის, რომ თუ ეპოსის ცენტრალური გმირი არის ამბავი, გარკვეული მოვლენა, დრამის გმირი არის ადამიანი. ადამიანი — წერდა დიდი კრიტიკოსი — არის გმირი დრამისა. დრამაში (ე. ი. დრამატურგიაში გ. ც.) ამბავი კი არ ბატონობს ადამიანზე, არამედ ადამიანი ბატონობს ამბავზე, და თავისი ნების მიხედვით აძლევს ამ ამბავს ამა თუ იმ განვითარებას, ამა თუ იმ დაბოლოებას. ბელინსკის აზრით დრამატურგიას ყველაზე უკეთ შეუძლია აჩვენოს ადამიანი მოქმედებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, ყველაზე უფრო ღრმად და სრულად შეუძლია „მიგნინიდან გახსნას“ ადამიანური ხასიათი, გვიჩვენებს და გვისაბუთებს მის საქციელს.

ამიტომაც იყო, რომ აღარებდა რა ერთმანეთს ლიტერატურის სხვადასხვა გვარებს ეპოსს, ლირიკას და დრამას ბ. ბელინსკი თავის ცნობილ წერილში „ლიტერატურული ოცნებანი“ აღიარებდა, რომ მას ყველაზე უფრო დრამა უყვარს და ყველაზე მეტ უპირატესობას სწორედ მას ანიჭებს. დრამატიულ მწერლობას იგი ხელოვნების გვირგვინად თვლიდა. ვფიქრობთ, რომ ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ ბელინსკის უდიდეს სიმპათიებში დრამატურგიისადმი, რომ კრიტიკოსი დრამატურგიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და უმძლავრეს მხატვრულ საშუალებად თვლიდა. ბ. ბელინსკი ხაზს უსვამდა დიდი მწერლების შემოქმედებით ევოლუციას ლირიკიდან დრამისაკენ. ამ აზრის დასასაბუთებლად მას მოჰყავდა მავალითები გოეთესი, შილერის, პუშკინის, ლეგონტოვის, რომელთაც შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში დრამატურგიული მწერლობის უშესანიშნავესი ნიმუშები შექმნეს. უაღრესად საყურადღებოა, რომ უკვე მაშინ ბელინსკიმ დიდის წინგანჭვრეტით განსაზღვრა, რომ დრამის შინაარსს, მის ხერხემალს სოციალური კონფლიქტი წარმოადგენს.

ბ. ბელინსკის დრამატურგია მიიჩნდა ცხოვრებისეული სინამდვილის შემეცნების, მისი მხატვრული ასახვის საშუალებად. დრამატურგიის სინამდვილის ამსახველობას იგი უწყვეტად უკავშირებდა მის გარდამქმნელ-მორგანიზებელ როლს და არაერთგზის აღნიშნავდა, რომ დრამატიული პოეზია ცხოვრების გარდაქმნის, მისი „გაუმჯობესების“ საშუალებაა, რასაც შემდეგში ასე თვავამოდებთ ქადაგებდა ი. ჰაკევაძემ.

ბ. ბელინსკის აზრით დრამატურგია უთეატროდ, სცენის გარეშე, ცალუღელა ხარია. დრამატურგიული მწერლობა, კრიტიკოსის რწმენით, თავის მიზანს აღწევს მხოლოდ თეატრში, მხოლოდ სცენური განსახიერების წყალობით. დიდ კრიტიკოსს მსახიობი ავტორისეული იდეის ინტერპრეტატორად, განმანეთიარებლად და ხორც-



შემსხმელად მიიჩნდა. აქედან გამომდინარე იგი თეატრალური ხელოვნების იდეურ-თემატური მხარის განმსაზღვრელად დრამატურგიის თვლიდა. ამიტომ იბრძოდა იგი რეალისტური ხალხური, ეროვნული თეატრალური რეპერტუარიისათვის. ამიტომ ილაშქრებდა იგი ყველა იმ დრამისმკეთებლის წინააღმდეგ, ვინც უცხოური დრამატურგიული ნიმუშებისადმი რუსული სინამდვილის ამსახველ პიესათა მისადაგებას ცდილობდა და თავიანთ ნაწარმოებებს უცხოურ თარგზე ქრიდა.

კიდევ უფრო მეტ ზიზს იწვევდა მასში რეპეტიული მიმდინარეობა თეატრსა და ხელოვნებაში. ბელისკი თეორიულად ასახელებდა ახალ მეთოდს, (და მიმდინარეობას) რუსულ ლიტერატურა-ხელოვნებაში — კრიტიკულ-რეალიზმს. საოცრად სწორად აქვს მიგნებული ბელისკის ის ხიდი, რომელმაც შემდეგში კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი უარყოფისა და ნეგაციის პათოსი დაუკავშირა სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელ დამკვიდრების, დადებითის ქადაგების პათოსს. იგი წერდა: „ჩვეულება ცხოვრების უარყოფითი მოვლენების სისწორით ჩვენებისა მისცემს საშუალებას იმავე აღაზიანებს, ანდა მათ მიმდევრებს, მაშინ როცა ამის დრო დადგება (ხაზი ჩემია გ. ც.) სწორად ასახონ ცხოვრების დადებითი მოვლენებიც, ისე რომ არ შეაყენონ ისინი ოჩოფებებზე, არ გააზვიადონ, ერთი სიტყვით, არ გადაეარდნენ მათ იდეალიზაციასა და რიტორიზაციასში“. ამ სიტყვებში გენიალური სიღრმითაა განსაზღვრული კრიტიკული რეალიზმის ძირითადი მხარე, რომლის მთავარი ამოცანა უარყოფითის მხილვასა და მისი ნგრევებისათვის ხელის შეწყობაში მდგომარეობდა. ამავე დროს აქ მინიშნებულია ის ეტაპიც („დრო დადგება“) ოდესაც ლიტერატურა დადებითის ჩვენებაში, მისი სპეციფიკით ნიმუშად გამოსახვაში დაინახავს თავის მთავარ ამოცანას, დაინახავს ეპოქის მოწოდებას. აქვეა დიდი მნიშვნელობის გაფართოება (რომელიც ესოდენ დროულია ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისათვის, რამდენადაც დღეს ბელისკის წინასწარმეტყველება სივსებით გამართლდა და ამჟამად ნამდვილად „დადგა დრო“ დადებითის უბირატესი გამომწვევებისა), ესაა გაფართოება, რომ სიმართლის ჩვენების დროს აუცილებელია თავდაზღვევა მხატვრული ოჩოფებებისაგან, გადა-

ჭარბებისაგან, ცივი რიტორიკისაგან და ბრმა იდეალიზაციისაგან.

„დრამატული ხელოვნება შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მშობლიური ყოფის ნიადაგზე, რათა იქცეს თავისი ხალხის ცხოვრების სარკედ“ — ამბობდა დიდი კრიტიკოსი: ხალხრობის საფუძველს იგი ხალხის უფართოესი მასების ცხოვრების ჩვენებაში და ამ ცხოვრების სახალხო ინტერესების პოზიციებიდან გადაწყვეტაში ხედავდა. ამ თვალსაზრისით იგი ამტკიცებდა, რომ „თუ ცხოვრების სურათი მართალია, იგი აუცილებლად ხალხურია“ და აქედან აყვებდა დასკვნას, რომ რუსული აქტიორული ხელოვნება შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სცენიური რეალიზმის საფუძველზე. სწორედ ამიტომ ამხნევებდა იგი მოჩალოვს, შჩეპკინს, მარტინოვს, ამისათვის იბრძოდა სცენაზე ცხოვრების მართალი განსახიერებისათვის, სცენიური რეალიზმისათვის.

ბელისკის წერილები და თეატრალური რეცენზიები, რომლებსაც წითელი ზოლად გასდევს რეალისტური ეროვნული თეატრისა და დრამატურგიისათვის ბრძოლა იყო ის კეთილისმყოფელი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე ოსტროვსკის ეროვნული დრამატურგიის აღმოცენებას და რუსული თეატრის დიდი რეფორმატორის კ. სტანისლავსკის რეალისტური სცენიური ოსტატობის თეორიის შექმნას.

„ყოველივე დრამატული და თეატრალური — წერდა ტურგენევი ბელისკის შესახებ — ღრმად სწედებოდა ბელისკის გულს და პირდაპირ ცეცხლად ეღებოდა, აალებდა მას“.

სოციალისტური რეალიზმის სახელმძღვანელო მეთოდის განუხრავი გამოყენებით საბჭოთა სალიტერატურო და თეატრალური კრიტიკა იყენებს და ეფუძნება ბესარიონ ბელისკის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსაც, რადგან სოციალისტური რეალიზმი ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში გულისხმობს ყოველივე იმ მოწინავესა და საუკეთესოს შემოქმედებითად ათვისება-გამოყენებას, რაც კაცობრიობას თავისი მხატვრული განვითარების ისტორიულ გზაზე შეუქმნია.

ხოლო ბ. ბელისკის კრიტიკული და თეატრალური წერილები ის უვადავი მემკვიდრეობაა, რომელმაც ხელი შეუწყო საკაცობრიო კულტურის ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას.





დიდა უკუხაძე

„განდგომილი“ ინგლისური თარგმანი

ვერობელთა მხრივ აღმოსავლური მწერლობის შესწავლას ასეული წლის ისტორია აქვს. აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებით ცხოველდება ყურადღება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მეცნიერები და მწერლები სწავლობენ და თარგმნიან აღმოსავლეთის დიდი და პატარა ერების პროზასა და პოეზიის საუკეთესო ქმნილებებს. ამ პერიოდშიც კი, როდესაც აღმოსავლეთმცოდნეობა დიდ აღზარდობას განიცდის, ქართული მწერლობა სრულიად უცნობი რჩება ვერობელ მეცნიერთა და მკითხველთათვის.

მხოლოდ რამდენიმე ადამიანის შემწეობით გაიცნეს ვერობელთა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

ინგლისელ მეცნიერთაგან საქართველოს პირველად სასულიერო პირმა — სოლომონ ცეზარ მალანმა მიაქცია ყურადღება. იგი, უმოკრესად, ქართული ეკლესიით იყო დაინტერესებული. 1866 წელს მალანმა გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანის წიგნის — „ქართული ეკლესიის ისტორიის“ ინგლისური თარგმანი, რომელსაც იმდენი საინტერესო შენიშვნა დაურთო, რომ ეს წიგნი რეფერენსების ძვირფას წიგნად ითვლება დღესაც. შემდეგ წელს მან გამოსცა იმერეთის ეპისკოპოსის ვაზირელის რჩეულ ქადაგებათა მის მიერ შესრულებული თარგმანი. ამ თარგმანზე მუშაობისას მალანი იმდენად გატაცებულა ქადაგებათა შინაარსით, რომ გადაუწყვიტა თვითონვე დასწრებოდა ეპისკოპოსის ღვთისმსახურების დროს. 1872 წელს იგი ქუთაისის ჩამოსულა, სიციოტლის უკანასკნელ წლებში მალანი მუშაობდა შრომაზე — „სენიშენები საეკლესიო კრებულების შესახებ“, სადაც ბიბლიური ტექსტები ილუსტრირებულია აღმოსავლურიდან და, კერძოდ, ქართულიდან აღებული ბევრი მაგალითით.

მეორე ინგლისელი, რომელიც დაინტერესდა ქართველოლოგიით იყო ოქსფორდის უნივერ-

სიტეტის პროფესორი — ვ. რ. მორფილი (1834 — 1905 წ.). ქართულის სერიოზულ შესწავლას იგი 80-იან წლებში შეუდგა. 1888 წელს მორფილი თბილისში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ უფრო ახლოს გასცნობოდა ქართველ ხალხს, მის მწერლობას, ენასა და კულტურას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მორფილმა აკადემიის მიუძღვნა თავისი გამოკლევა სათაურით — „ქართული ენა და ლიტერატურა“. ეს შრომა წარმოადგენს პირველ ცდას ინგლისურად, მკითხველს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა ქართული ენის რაობაზე და ამასთანავე თავისებურად განსაზღვრავს ქართული ენის ადგილს ენათა მრავალრიცხოვან ოჯახებში შორის.

უცხოურ პრესაში ქართული მწერლობის შესახებ საყურადღებო კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდნენ ინგლისელი მეცნიერი კონიუერი, ავსტრიელი ლიტერატორი სუტენერი და სხვები, მაგრამ იმ უცხოელთა შორის, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ვერობაში ქართველოლოგიის განმტკიცების საქმეში, ყველაზე დიდი დამსახურება ინგლისელ დაქმნას მარჯორი და ოლივერ უორდროპებს მიუძღვით.

ვინაიდან უორდროპების ცხოვრებისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობის საკითხებზე არაერთხელ შევხებუვართ ჩვენს ადრინდელ წერილებში¹, მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ ამ საკითხზე. ამჟამად გვინდა ვისაუბროთ ილია ჭავჭავაძის „განდგომილი“ მარჯორი უორდროპისეულ თარგმანზე.

როგორც ცნობილია, ეს თარგმანი 1895 წელს გამოვიდა ლონდონში. მ. უორდროპის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორის „განდგომილს“ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი

¹ ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე — „მარჯორი უორდროპი“, „მნათობი“, 1957 წ. № 1; „ილია ჭავჭავაძე და მისი ინგლისელი მგობარი“, „მნათობი“, 1957 წ. № 10.

უქირაეს, რადგან ის მთარგმნელის შთაგონების განუზომელი შესაძლებლობისა და მაღალპოეტური შეგარძნების ბრწყინვალე შედეგს წარმოადგენს.

ინგლისელი მთარგმნელის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, შეიგარძნო ილიას მიერ ნაწარმოებში ჩაქსოვილი სიცოცხლის განუზომელი სიუცარული, სიხარული და ის დიდი ძალა, რომლითაც ილიამ უმღერა მიწიერ ცხოვრებას თავისი „წამებით, წვალებით და სიხარულით“.

სანამ „განდეგილის“ უშუალო განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ და უცილობლად მიგვიჩნია შევეხოთ ქართული და ინგლისური ლექსის ბუნებას, იმ სიძნელეებს, რაც წინ ეგლობება მთარგმნელს ქართული ლექსის ინგლისურად თარგმნის დროს 1.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართულ ლექსს შრავალსაუქუნოვანი ტრადიცია აქვს. მისი უძველესი ფორმები დღესაცაა შემორჩენილი ძველ ქართულ ხალხურ ანდაზებში, გამოცანებშია და წარმართული ხანის პოემებში („ამირანი“, „ხოჯაის მინდია“, „კოპალა“).

ქართული ხალხური შემოქმედების ძირითად სახომად დაქტილური ჰეგზამეტრი გვევლინება. უძველესი ლექსები და სიმღერები, რაც კი შემორჩენილია დღემდე ზევსურულსა და სვანურში, ყველა ამ სახომზეა დაფუძნებული.

ქართული ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ძირითადი რიტმი დაქტილია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ როცა მე-12 საუკუნეში ქართულმა ლექსმა თავისი განვითარების ბრწყინვალე საფეხურს მიაღწია (ექვსტერფიანი დაქტილი), ინგლისურ პოეზიაში ჯერ იამბიკ კი არ იყო საესეებით ჩამოყალიბებული. იქ არავითარი ვარიანტი ლექსი არ მოიპოვებოდა ნორმანების შემოსვლამდე. მხოლოდ ჩოსერმა შემოიღო მიელწია ბგერათა თავისუფლებისათვის პაუზების ვარიაციებით, ქორეისა და იამბის ცვალებადი მოძრაობით. ხოლო მას შემდეგ, რაც მე-15-16 საუკუნეების ინგლისში ხალხურმა ბალადებმა იწყეს განვითარება, იამბმა მთლიანად მოიკიდა ფეხი ინგლისურ ლექსთწყობაში.

ქორეული ტერფი, რომელიც ქართლისათვის ბუნებრივია, ინგლისური ლექსისათვის თუმც უცხო არ არის, მაგრამ ყველარებით მაინც იშვიათია. თუ ქართულში ყველა

—
ორმარცვლიანი სიტყვა ქორეულია (წადი, —
—
კარი), ინგლისურ ლექსში, პირიქით, იამბურია

1 ეს საკითხი ვრცლად აქვს განხილული ვ. ურუშაძეს თავის შრომაში „მთარგმნელობითი პრინციპების ზოგიერთი საკითხი“.

o— o—
re-ceive, define და სხვ. დაქტილი ქართული-სათვის ძირითადი, დამახასიათებელი ტერფი, ინგლისურში იშვიათად ხმარდება.

ქართული ლექსი დამოავალი რიტმით ხასიათდება — ერთი მახვილიანი და ერთი უმახვილო (—o), ან ერთი მახვილიანი და ორი უმახვილო (—oo); ინგლისურში კი, პირიქით, ერთი უმახვილო და ერთი მახვილიანი (o—), ან ერთი უმახვილო და ორი მახვილიანი (o—o). თუ ქართულში სტრიქონის მეტრი მთლიანადაა დამოკიდებული მარცვალთა რაოდენობაზე, ინგლისურში ლექსის სტრიქონთა მეტრი მთლიანადაა დამოკიდებული მახვილთა რაოდენობაზე.

გამოჩენილი ინგლისელი პოეტი სამუელ კოლრიჯი (1772-1832) შემდეგნაირად გვიხასიათებს ინგლისური ლექსის თავისებურებას: „დათვალეთ მახვილთა რაოდენობა სტრიქონში და არა მარცვალთა რაოდენობა. თუმც მარცვალთა რაოდენობა იცვლება 7-დან 12-მდე, ყოველ სტრიქონში არის მხოლოდ ოთხი მარცვალი“.

ვინაიდან ქართული ცეკუთვნის სინთეტურ ენათა ჯგუფს, არსებობს შესაძლებლობა ამა თუ იმ აზრის ლაქონურად გამოხატვისა. როდესაც ვამბობთ „წავიდა“ — ეს ნიშნავს, რომ „წავიდა ის“. ინგლისურად ვერ ვიტყვით მხოლოდ „went“-ს იმის გამო, რომ „went“ იხმარება ყველა პირში და პირთა განსასხვავებლად აუცილებლად უნდა ვიხმაროთ პირის ნიშანი. ეს გარემოება ააღაზუნებურად აგრძელებს სტრიქონს. გარდა ამისა, ქართული ლექსი ხშირად ახერხებს აზრის ერთ სტრიქონში მოთავსებას, ინგლისურში კი ძნელია ასე მოქცევა.

ქართველ მეცნიერთა და მთარგმნელთა დიკვირებისა და გამოცდილების შედეგად ცხადი ხდება, რომ რამდენადაც დაქტილი ბუნებრივია ქართლისათვის, იმდენად უცხოა ინგლისურისათვის. როგორც ვხედავთ, ინგლისური ლექსის მეტრი თითქმის საწინააღმდეგოა ქართული ლექსის მეტრისა, ამიტომ ქართულიდან ინგლისურ ენაზე მთარგმნელი უნდა შეეცადოს ისეთი მეტრი მოიხაოს სათარგმნ ენაზე, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ქართული დედნის მეტრს.

სწორედ ასე მოიქცა მარჯორი უორდროპიც, როდესაც „განდეგილს“ თარგმნიდა. უორდროპმა მოგვცა „განდეგილის“ არა პროზაული თარგმანი, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობდნენ, არამედ, პოეტური.

მარჯორი უორდროპმა იმდენად ჩინებულად თარგმნა „განდეგილი“, რომ ამ თარგმანით რამდენადმე ვამაღიძრა ინგლისური თარგმნითი ლიტერატურა და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიღწია, — მან წინ გაუღწირო თარგმ-

ლილა შრუშაძე

ინგლისელ მკითხველს ვერ შეეჭმნა სრული წარმოდგენა ბეჟელის ადგილმდებარეობასა და თვალწარმტაც სურათზე.

„და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი.“

ვითა ღელესა მას გლოვისასა.“

თარგმანში მ. უორდრობი სახეს „ვითა ღელესა მას გლოვისასა“ ცვლის „გოდებისა და გლოვის სამყოფელით“. ცხადია, ილის ეს მხატვრული სახე უფრო ლამაზად აქვს მოცემული.

„და მყინვარიდან, ვითა ვეშაი, შვეი ღრუბელი დაიძრა მძიმედ.“

მთარგმნელმა, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილება შეიტანა ინგლისურ თარგმანში: „ვეშაის“ ნაცვლად „გველი“ იხმარა, მაგრამ აქაც მხატვრული სახეა შეცვლილი. ილისთან პირქვეში ჯანლი ვეშაივით მძიმედ დაიძვრის. „ვეშაივით“ ილია ხმარობს გრანდიოზულობის საჩვენებლად. უორდრობის თარგმანში კი წარმოგვიდგება სურათი, სადაც შვეი ღრუბელი გველივით სწრაფად მიიკლავება. ცხადია, განსხვავება ამ ორ სახეს შორის დიდია.

თარგმანში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ზოგიერთ უზუსტობას. უპირველესად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ილია განდევნილი ცხოვრების ამბავს თურმეობითი კილოთი გადმოგვცემს, უორდრობი კი იყენებს ნაყოფი ვანუსაზღვრელს.

ინგლისურ თარგმანში ზოგჯერ ვხვდებით დედნის შინაარსიდან გადახვევასაც. მოგვეყავს რამდენიმე მაგალითი:

„თავის სიწმინდეს ყოველდღე თურმე ამ სასწაულით შეიმოწმებდა.“

ნაცვლად იმისა, მთარგმნელს ეჩვენებინა, რომ განდევნილი თავის სიწმინდეს ერთადერთი სარკმლიდან მზის შემომავალ სხივზე ლოცვის დაცრდნობით ამოწმებდაო, მთარგმნელმა მარტივად გვითხრა, რომ „სასწაული ყოველდღეურად მეორდებოდა“.

ერთ ადგილას სიტყვა „გადამომდგარიყო“-ს ნაცვლად მთარგმნელი იძულებულია მთელი წინადადება შემოიტანოს — „ქართან მიათრია კიდურები“, ხოლო იგივე სტროფის მეოთხე სტრიქონის აზრი მართებულად ვერ გაუგია მთარგმნელს — ილღო მოგვითხრობს აზრ „გო-

რაკებს შორის გადაჰიმულ დაბლობზე“, არამედ, „მწვანით დაფარულ მთის კალთებზე“.

„ან შენ როგორ სძლებ უწყუთისოფლოდ — მერე კი იცი რარიგ ტყილია?“

მეორე სტრიქონის აზრი თარგმანში გადასვადიერებულია. იმის ნაცვლად, რომ მთარგმნელს გადმოეცა მწყემსი ქალის აღტაცება ცხოვრების სიხარულით, გამოდის, რომ იგი ესაუბრება განდევნილ იმ სიტკბოების შესახებ, რომელიც მწირს ერობაში განუცდიდა (ეინ იცის, განიცადა თუ არა!). ცხადია, ორიგინალის აზრის ასეთნაირად გადატანა თარგმანში ცვლის ავტორის ჩანაფიქრს.

„განდევნილი“ ინგლისურ თარგმანში დამკვიდრებული ეს ხაზებზე უმნიშვნელოა მისი დიდი ღირსების წინაშე. ძირითადად, მარჯორი უორდრობი კარგად იცავს ორიგინალის შინაარსს, შეუღარებელი ხელოვნებით გადააქვს თარგმანში დედნის მუსიკალობა და მხატვრული სახეები.

მთარგმნელის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ დაუშრეტელია მისთვის ინგლისური ენის მდიდარი ლექსიცა. მ. უორდრობი მეტად ენაწყლიანი, ლალი, ნარნარი ლექსის ავტორია. მოსაწყენი რომ არ ვახდეს თარგმანი, ის ხშირად იშველიებს ინგლისური სინონიმების მარაგს. ასე, მაგალითად, როცა ილია ლაპარაკობს „მეუღლანობზე“, მარჯორი „Anchorate“-ს ხმარობს, როცა „განდევნილზე“ გვესაუბრება, „Hermit“-ად გადააქვს იგი, ხოლო სხვა შემთხვევებში იყენებს „Saint“, „Martyr“-სა და სხვ. როცა სურს ხაზი გაუსვას ამქვეყნიური ცხოვრების წარმატებას, მარჯორი უორდრობი ხმარობს „Fleeting world“-სა, ან „Transitory world“-ს. ასევე გადააქვს სიტყვა „სააქაოც“.

განდევნილისა და მწყემსი ქალის დიალოგში (თავი მე-20) კი „წყუთისოფელი“ თარგმნილია როგორც „world of joy“, რადგან, ამ შემთხვევაში, საუბარია ცხოვრების სიამოვნებისა და სიტკბოების შესახებ. იმავე „საწყუთისო“ აღსანიშნავად თარგმანში ვხვდებით „weary world“-ს, რაც განიპრობებულია თვით კონტექსტით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებით აშკარად ჩანს მარჯორი უორდრობის მაღალი ლიტერატურული გემოვნება და მდიდარი პოეტური ილღო.



ზუკაბ ჩხენკელი

ვოლფგანგ ბორჰერტის შემოქმედება

1947 წლის 13 თებერვალი. დასავლეთ გერმანია. ჰამბურგი. ქალაქში ღამე გამეფებულა. აქა-იქ ციმციმებს ელნათურები. ზოგან სანთლის შუქი ელაციცება სარკმელს. ზოგან საერთოდ არ ანთია სინათლე. დუმს ქალაქი.

უეცრად მოისმის ყვირილი. ერთი კაცის ხმას არა ჰგავს. ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდები გაჰყვირიან საშინელი, ამაზრზენი ხმით. დიამ, ეს ხმა „უთვისტომო თაობას“ ეკუთვნის. ჰამბურგის რადიო გადასცემს ვოლფგანგ ბორჰერტის დრამას — „კარს“ უკან“. ათასობით ახალგაზრდა მიმჯდარა რადიოსთან და სულგანაბლულ უგდებს ყურს აღაშინების კვენსას, შეძახილს, ყვირილს. ეს ბორჰერტის სიტყვებია. მაგრამ ეს მათი სიტყვებია. „უთვისტომო თაობამ“ იცნო თავისი თავი ამ დრამაში. ეს ხომ მათი ყვირილია. ბორჰერტი კი სისხლი და ხორცი მათი. ყვირილს უსმენენ ცრემლმორეული დედები, მამები, ძმები და დები. თქვენც ყური უგდეთ: უაზროდ დაღუპული მილიონები და კარს იქით დარჩენილი ახალგაზრდები ლაპარაკობენ.

მაგრამ ქალაქის ერთ-ერთ ჩაბნელებულ უბანში არ ისმის ეს ხმა. სინათლე, ჩამქრალა. რადიო არ მუშაობს. განათებული ოთახი დუმის მოუცავს. ფერმერთი ავადმყოფი მისვენებულია ბალიშზე. მასაც ცრემლით ავსებია ფეხები. რა ატირებს? მას ხომ არ ესმის ეს შემზარავი ხმა, ეს დაუოკებელი ძახილი? სწორედ ეს ატირებს ვოლფგანგ ბორჰერტს. მან ქალაქს განადო გულის საიდუმლო. დღეს მისი სიტყვები ჭეჭა-ჭეხილივით გაისმის ჰამბურგის ცაზე. და ეს სიტყვები არ სწვდება ავტორის სმენას. სანთლის მოკიადე ალს მისჩერებია და ანთებული გონება კვლავ და კვლავ იმეორებს ეთერში გაბნეულ სიტყვებს. მის მეგობრებს იმდენი ფულიც არ გააჩნიათ, რომ ავადმყოფი მწერალი განათებულ რაიონში გადაიყვანონ. ჰამბურგი კი ბობოქრობს, ღონემობილი ავადმყოფის კალმით ანთებული.

ეს მხოლოდ ერთი დამახასიათებელი სურათ-თავანია, ვოლფგანგ ბორჰერტის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებიდან ამოღებული.

ის დაიბადა ჰამბურგში 1921 წლის 20 მაისს. 18 წლის იყო, როცა ფიურერმა მსოფლიოს მი-

უსია „უმაღლესი რასის სახელოდაკაწიფებული ავაზაკები. „მესამე რაიხის“ გიგურ აღტყინებას სკირდებოდა საზარბანე ხორცი, რომელიც ჰიტლერის ყაზარმებში მოიწამლებოდა ახალი რასობრივი მოძღვრებით და დედამიწის ყოველ კუთხეში ფაშისტურ სვასტიკას მიიტანდა სასაფლაოთა ჯვრების ემბლემა: მალე ბორჰერტსაც დაახურეს რკინის მუზარადი და უბრძანეს მოეკლა რაც შეიძლება ბევრი ადამიანი. ახალგაზრდა მწერალმა მაშინვე აუღო ალლო ფაშისტური სახელმწიფოს უაზრო გახელებას და თავისი წერილები მწვავე სარკაზმით აღავსო. გესტაპომ ჰოსპიტალშივე დააპატიმრა სმოლენსკთან მძიმედ დაჭრილი ბორჰერტი და ნიურნბერგის სატუსალოში უკრა თავი. სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსჯა, შემდეგ კი აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნა, „ცოდვების მოსანანიებლად“. მალე ბორჰერტი ისევ დაატუსაღეს და, ციხიდან გამოსული, დასავლეთის ფრონტზე გადაისროლეს. ომმა, ფაშისტმა და ავადმყოფობამ 26 წლის ასაკში მოუსწრაფა მას სიცოცხლე. ბორჰერტი გარდაიცვალა 1947 წლის 20 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში.

სულ ოცდაცხრა ლექსი, ერთი პიესა და ორმოცდაცხრამეტი მოთხრობა დავეითრევა ვოლფგანგ ბორჰერტმა.

ლექსებით გატაცება მისი შემოქმედების პირველ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ. ეს არის სათნო და მელოდიური პრელუდია ბორჰერტის ბობოქარი პროზისა. ამ ლექსების მშვიდ მელოდიამი ჯერ კიდევ არ ისმოდა ის ველურის დისონანსი, ჯერ კიდევ არ ჩანდა ბორჰერტის ტისტული რუხი ფერი, რომელიც მან ასე სრულყოფილად გამოიყენა შემოქმედების მოგვიანო პერიოდში. მაგრამ აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ბორჰერტის ლექსების თვითმყოფლობას. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა შემოქმედის მრავალი პოეტური იყო გატაცებული, მაინც მოახერხა თავისი ლექსებისათვის ისეთი ელენური მიცეცა, რაც მის პოეზიას საესებით განასხვავებდა არსებული პოეტური ნიმუშებისაგან. თავად ბორჰერტი საყოფარ ლექსებს სკეპტიკური თვალთ უყურებდა. სამაგიეროდ მის სიბარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც პირ-

ველი პროზაული ნაწარმოები გამოაქვეყნა. ეს იყო ანთოლოგია: „კამბურგი, სამშობლო მდინარის პირას“. ამ წიგნში ბორჰერტმა ხობტა შეასხა თავის მშობლიურ ქალაქს. აქვე ჰპოვა მან თავისი მოწოდება, ალღო აუღო პროზის სპეციფიკის და მღორე გერმანული წინადადება აავსო მანამდე არნახული ტემპერამენტით. პირველი მოთხრობა 1945 — 46 წლებში საავადმყოფოში მწოლიარემ დაწერა. მაშინ ბორჰერტს კიდევ არ სწამდა თავისი ძალა, მაგრამ წერის გასაოცარ მოთხოვნილებას გრძობდა. მომდევნო მოთხრობებში ისეთი ძალა შესძინეს ახალგაზრდა მწერალს, რომ იმ დღიდან აღარაფერს შეეძლო მისი დოკება.

„როგორ ვებდავთ დავიჩვივთ ბედზე, რომელმაც ესა თუ ის დაგვაკლო, მაგრამ დრო მოგვცა. ამ კაპიტულაციას ხომ შეუძლია სიმღიღრე მოგვიხვეჭოს, თუკი გონება და კეთილი ნება აღმოგვაჩნდება“, — უთქვამს ბორჰერტის დიდ თანამემამულეს, ფრიდრიხ შილერს. ბორჰერტს გონებაც ჰქონდა და კეთილი ნებაც, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ქვეყნად არსებობა ღირსაა არ დასცალდებოდა და ცხოვრების არც ერთი წამი უქმად არ დაუქარავას. მთელი მისი შემოქმედება სიკვდილთან ჰილიის გასაოცარი მავალითა, ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ახალგაზრდა ვოლფგანგ ბორჰერტი. ძვირად დაუჯდა ჰაბტუ შემოქმედს ეს გამარჯვება. ყოველი სტრიქონი, ყოველი ფურცელი, ყოველი მოთხრობა არნახული ტანჯვით იწერებოდა; შემოქმედებით აღში გახვეული მწერალი წარბეჭდებულად იტანდა ბედის ყოველ შერტოქებას და ერთხელაც არ დაუყვესია. მან მთელი კვნესა, ტკივილი, აუღავმავე ყვირილი ასახა თავის მოთხრობებში, მაგრამ ასახა ისე, რომ ამ პირქუშ ფონზე სიცოცხლის ქება ცაბდდ აიყვანა.

ყველაზე მძაფრად ეს ყვირილი თავის ერთადერთ პიესაში ჩააქსოვა ბორჰერტმა. ეს პიესა საოცრად მოკლე დროში — 8 დღეში დაწერა. ჭარბხალისით მოასკდა მის შთაგონებას ყოველივე ნაწიხი და განცდილი და ასახვის გარეგანი ფორმების ძიება აღარ აცალა. მწერალი იძულებული იყო სრულიად შეუღამაზებულად დაეხატა ომით გაუბედურებული გერმანელის ტიპი. „დაბრუნებულთა თაობიდან“ ბორჰერტმა ამოიჩინა უნტერ-ოფიცერი ბექმანი, „ერთ-ერთი მთავანი, რომლებიც ბრუნდებიან შინ და ამავე დროს ვეღარ პოულობენ სახლს, რადგან მათთვის აღარ არსებობს სახლი. მათი „სახლი“ იქაა, ქუჩაში, კარი დაკეტული დახვდათ. მათი გერმანიის ქუჩაშია, წვიმაში, უქუნდამაში“. თითო მოქმედ პირთა დასახლებაც იპყრობს მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღებას თავისი უცნურობით: ბექმანი — ერთ-ერთი მთავანი; მისი მეუღლე — რომელმაც ქმა-

რი დაივიწყა; ამ ქალის მეგობარი ჰაბტუ (Hauptmann) უყვარს ქალს; ქალიშვილი — რომლის ქმარი ცალფეხა დაბრუნდა შინ; ამ ქალიშვილის ქმარი — რომელიც წლობით ოცნებობდა ცოლზე; პოლკოვნიკი — რომელიც ძალზე მხიარულია; მისი მეუღლე — რომელიც თბილ ოთახშია იყინება; მისი ქალიშვილი — ვახშობისას; მისი გულადი ქმარი; კაბარეს დირექტორი — რომელსაც სურდა ვაეკაცობა გამოეჩინა, მაგრამ ბოლოს ისევ სიმზღალე არჩია; ფრუტ კრამერი — რომელიც სხვა არაფერია, გარდა ფრუტ კრამერისა და ეს კი საშინელებაა; მოხუცი კაცი — რომლისაც აღარავის სჯერა და სხვ.

აღმოსავლეთის ფრონტზე დაჭრილი ბექმანი სამშობლოში ბრუნდება. იგი ისწრაფვის მოგზივის თავის მეუღლეს, თავის ბავშვს. მაგრამ მეუღლეს მისი არსებობაც დადივიყვებია და თავის მეგობართან ცხოვრობს, ბავშვი კი რახანია ნანგრევებში განისვენებს. მშვიერი ბექმანი უპატრონო ძაღლივით დაწინააღმდეგებს, მაგრამ მის წინ ყველა კარი დაკეტულია. თავი სიზმარში ჰგონია. ავეირდება გარემოს, ხალხს, და გრძნობს, რომ ეს სიზმარი არაა. მის გარდა სხვაიც ბევრი ყოფილა ამ დღეში. აი, მდინარე ელბაც რამდენ მვედარს მოაუტრებს. თავი დაიხრჩვეს ალბათ. ღონეშიღილი ბექმანიც ეტილობს თავის დახრჩობას. მაგრამ სწორედ აქ გამოავლინა ბორჰერტმა თავისი სიყვარული სიცოცხლისადმი: მდინარე არ იწირავს მსხვერპლს, ნაპირზე რიყავს ბექმანს, ვიღაც „მეორე“ კი, უნტერ-ოფიცრის ორგული, გამუდმებით ჩასჩინებს წუთისოფლის სიაკარბზე. ურჩევს, კიდევ ერთხელ სცადოს ბედი. ბექმანი ისევ უბრუნდება სიცოცხლეს და კვლავ იწყება „სახლითი სახლად ცდა და ადვილით ადვილად სიარული“: უერად თითქოს ცა გაეხსნათ თავზე: ბექმანი ხვდება უცნობ ქალს, ის მიდის ქალის სახლში, პოულობს თავშესაფარს, მაგრამ წუთითაც არ ასვენებს ფიქრი, რომ მანაც ვიღაცას წაართვა ცოლი. აფორიაქებულს ყვარჯუნების კაქუნი ესმის. თურმე ქალის ქმარი დაბრუნებულა. ცალი ფეხი აღარა აქვს. სწორედ ბექმანის ბრძანების ასრულებისას ასკარგა მან ფეხი. ბექმანი იტანჯება, ვერ უძლებს დაბრუნებულის მზერას, და აი იგი კვლავ გაივთაა, ქუჩაში.

იგი მიემართება თავის პოლკოვნიკთან, რათა პასუხისმგებლობა გადააბაროს. მის მოსვენებას არ აძლევს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა შეძახილები. პოლკოვნიკი გაიცემაული შეკუყრებს დაფლეთილ ფორმაში გახვეულ გლახას. შემდეგ კი ბექმანის ნათქვამს ოხუნჯობად მიიჩნევს და ჯარისკაცს ურჩევს — სცენაზე სცადე ბედიო. გულქვა პოლკოვნიკისათვის გაუგებარია, როგორ უნდა იმოქმედოს აღამიანზე



სხვისმა სიკვდილმა. ამიტომ ვერ გუგია მას ბეკმანისა.

უნტერ-ოფიცერი კაბარეს ღირებუროს წინ დგას. ღირებუროს მისი გამოქვეყნებაც კი აწინებს. მას სურს თავიდან აიცილოს ბეკმანის თხოვნა და უჩვენებს ჯერ გოეთეს, მოცარტის, ან ორლანდის ქალწულის მსგავსი სახელი მოიხვევოს. „ბრძოლის მეტი არაფერი გიციეთ-ბიათ?“ — ეკითხება ბეკმანი. „მეო წადით, შეისწავლეთ ქვეყანა და შემდეგ დაბრუნდით. ჯერ სახელი უნდა მოიხვევოს კაცმა“. ბეკმანი თავისას არ იშლის, მღერის სიმღერას ომზე, დანგრეულ ოჯახზე, კოკლ ჯარისკაცზე. დამფრთხალი ღირებურონი აწყვეტინებს სიმღერას და ეუბნება: „შესანიშნავია, მაგრამ ეს არაა ხელოვნება“. ბეკმანი: „ხელოვნება, ხელოვნება! ეს ხომ სინამდვილეა!“. ღირებურონი: „გეთანხმებით, სინამდვილე! მაგრამ რა აქვს საერთო ხელოვნებას სინამდვილესთან?.. ვის რაში სჭირდება თქვენი სინამდვილე!“

ბეკმანმა დაკარგა ყოველგვარი იმედი, მაგრამ ის „მეორე“ არ ეშვება, ძალით მიათრევს წინ და ყურში ჩასძახის: „წამოდი, ბეკმან, სადმე იქნება კარი ღია“. „ღიამ, — პასუხობს ბეკმანი, — ღია იქნება გოეთესათვის... მე კი მხოლოდ ბეკმანი ვარ... ამიტომ ვდგავარ კარს უკან...“

და ბოლოს გამწარებული უნტერ-ოფიცერი მშობლებს სახლს უახლოვდება. ის ოცნებობს, თუ რა სიხარულით მიეგებებიან მშობლები. დედა კარს ვალღებს. კიბე ალბათ ისევ უკრიალებს ძველ სახლში. მამა ყოველდღე სამსახურში დადის, კვირაობით კი გასაღებებით ხელში დაბორილობს თავის კარმიდაოვში. ბეკმანი იგონებს ბავშვობის წლებს, ყოველ ოთახს. მათ კარზე ალბათ ახლაც აწერია: ბეკმანი. აი, მიუახლოვდა კიდეც სახლს. კარს მისწვდა და შეჩერდა გაოცებული. ეს რა გვარი წერია მათს კარზე? ვინაა კრამერი? კარს აღებს ფრთა კრამერი, რომელიც სხვა არაფერია, გარდა ფრთა კრამერისა; სადაა არიან ბეკმანის მშობლები? მათ თურმე თავი მოუკლავთ. ერთ მშვენიერ დღეს სამხარეულოში უნახავთ გაზით გაფუღლებული. ფრთა კრამერს მხოლოდ ის აწუხებს, რომ ბევრი გზაში დაიხარჯა, თორემ ბეკმანის მშობლები რაში ენადგვება.

ჩაქრა უკანასკნელი ვარსკვლავი. ბეკმანის ირგვლივ ბნელეთია გამეფებული. სადაც ახლოს ელბა ტყალაშენებს. ბეკმანის ანთებული გონება ხელახლა ესაუბრება პოლონეიკს, კაბარეს ღირებუროს, ფრთა კრამერს, ესმის ყავარჯენების კაცუნი. ბეკმანი ვეღარ უძლებს ამ საშინელებას. წყევლა-კრულვით მიმართავს ღმერთს, გარემოს, იმ „მეორეს“, აქამდე რომ მოიყვანა გატანჯული უნტერ-ოფიცერი. „სადა ხარ, მოხუცო, შენს თავს ღმერთს რომ ეძახი?

სადა ხარ, უცნობო, სიკვდილს რომ არ მიჩვედი? მიპასუხეთ!“

„რას ვაჩუქებულხარო?“
„არაფერი, აღარ მიპასუხობს.“
ამ შემთხვევაზე ძახილით მთავრდება პიესა „კარს უკან“.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფრიდრიხ შილერმა თაობიდან თაობას ვალმოულოცა დიდი სიმატლეს: „ჩვენი საუკუნე მარიონეტითი ქანაობის სიმამხინჯისა და ველურბობის მიჯნებს შორის“. ეს ქვეშაობრება ვოლფგანგ ზორპერტმა შესანიშნავად მიუყენა ფაშისტურ გერმანიას და ომით აღმოადგენილი ვერომა „სამყაროს ტალღებზე აატორტმანა“. „გრძელი, გრძელი გზის გასწვრივ“ — ასე უწოდებდა მის მონარდულ მოთხრობას. ლეიტენანტი ფიშერი უფხით მოლასლასებს ვორონეიდან გერმანიისაკენ, ბრწყინვალე ხერხებითაა აღწერილი ქალაქები, ხალხის განწყობილება, ომის გაუმდღურებელი აღმანიშნები, გამარტახებული სამშობლო, და საოცრად გრძელი და ძნელი გზა. დამაბუღობა ამ მოთხრობაში უკიდურესობამდე მიყვანილი.

ლეიტენანტი ფიშერი მიპყვება გრძელ ქუჩას. იგი მისწრაფის ყვითელი ტრამვაისაკენ, სურს გაჰყვას ამ ტრამვაის. რატომაც ასე გრძელე ეს ქუჩა? ან რას წარმოადგენს ყვითელი ტრამვაი? ეს ქუჩა — გზაა ვორონეიდან სამშობლომდე, ყვითელი ტრამვაი კი გერმანიაა, ძლივს მიაბიჯებს ბატონი ფიშერი, მაგრამ მისი ორეული — ლეიტენანტი ფიშერი მრამდენას იძლევა. ბატონი ფიშერი საცაა უნდა წაიქცეს, მაგრამ უკან მისდევს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა შვიტახილები. ესენი ლეიტენანტი ფიშერის ხელქვეითები არიან. მათი სამარე ვორონეითანაა გათხრილი. მაგრამ პასუხისმგებლობა ფიშერს აყისრია და აი მისდევენ კიდეც მიცვალებულები.

ომგადახდილი ფიშერი ნაბიჯს უმატებს. ახლა მის უკან ტირილით თვალდაწითლებული დედემე მირბიან. რა პასუხი გასცეს ფიშერმა სვეგამწარებულ დედებს? ძლივს მიაღწია ტრამვაის. სული მოითქვა. კუნდლქტორმა ბილეთის საფასური მოსთხოვა და ფიშერმა 57 კაცი გაუწყოდა. ეს მისი ხელქვეითებია. ეს ვორონეითან დამარხული ჯარისკაცებია, რომლებიც ახლა ტრამვაის გვერდით მიაბიჯებენ. „საით მიდის ტრამვაი?“ — ეკითხება ფიშერი კონდლქტორს. კონდლქტორი დღმს. „საით მიდის ტრამვაი?“ — ეკითხება ფიშერი მგზავრებს. მგზავრები დღმან, „არაფერი იცის?“ „არაფერი იცის?“ დაბ, ვოლფგანგ ზორპერტმა ვერა და ვერ გაიგო საით მიდიოდა ყვითელი ტრამვაი — მისი გერმანია.

მოთხრობა „საუბარი სახურავებს ზემოთ“ ზორპერტის ოპტიმისტური კონცეფციის შესანიშნავი დადასტურებია. ნაწარმოები მხოლოდ

ორი პირის დიალოგზეა აგებული. მაშინ, როდესაც ერთი მათგანი დემონური ხმით სამყაროს აღსასრულსა და საუკუნო ბედნიერებას მხოლოდ სიკვდილში ხედავს, მეორე თვალანთებული ღაპარაკობს სიცოცხლის მშვენიერებაზე, ბედნიერ მომავალზე. „ჩვენ გვჯერა ხვალინდელი დღის, მაგრამ არ ვიცნობთ მას“, — ამბობს იგი. მართალია, ბორჰერტის გმირები ჯერ კიდევ თავს ვერ ართმევენ ირვლევი გამეფებულ ბნელეთს, მაგრამ მათ სწამთ, რომ მოვა ხვალინდელი დღე და „თაობა, რომელიც ახალ ვარსკვლავს მიადგება, ახალ ცხოვრებაში შეაბრავს“.

სწორედ ამ ახალი ცხოვრების სიყვარულში დააწერინა ბორჰერტს მოთხრობა — „ესა ჩვენი მანიფესტი“. მას კარგად ახსოვდა სხვადასხვა ქალაქის ნანგრევებზე წარწერილი სიტყვები: „ძირი ომი“, „ალარ გვესურს ომი“, „გვესურს მშვიდობა“, და ამ თემაზე მან ისეთი ნაწარმოები ააგო, რომ ეს მოთხრობა გასცდა მოთხრობის ფარგლებს და დეკლარაციად იქცა. „მოიხადეთ მუზარადები, მოიხადეთ მუზარადები: ჩვენ დაემარცხდით“, ამბობს მწერალი. მაგრამ არ ნაღვლობს ამ დამარცხებას. მას უხარია, რომ „ალარ ღრიალებენ ქვეშეშები და ფელდფებელები“; მას უხარია, რომ „უფლება ექნება, როცა მოესურვება, მაშინ იმღეროს და ცრემლები ღვარავს“.

ვოლფგანგ ბორჰერტმა ნაცარტუტად აქცია ზოგიერთი ნაციონლის შოვინისტური ქადაგება დაღუპულ-მეომართა ფანტიკური თაყვანისცემისა. „არა, — ამბობს ბორჰერტი — ისინი დაეცნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ალარ განმეორდეს ის, რამაც მათი სიკვდილი გამოიწვია, რომ ალარ მოხდეს ის, რაც იყო წინათ, რომ შეიცვალოს მსოფლიო და გერმანია“. ბორჰერტი ამკარად მიმართავს მეითხველს: „...ნურსადროს უამბობ ბავშვებს წმინდა ომების ამბავს. უთხარი სიზარტულე, როგორც ის არის, სისხლივით წითელი, ქვეშეშის ალივით მძვინვარე, საშინელების ღრიალივით სიძარტლე უამბე ბავშვს... რადგან ჩვენ ვამბობთ „არა!“ მაგრამ ეს „არა“ თავგანწირვით არ გააჩენილა. ჩვენი „არა“ — ბრატესტილი... რადგან ჩვენ გვიყვარს ეს გიგანტური უღაბნო, რომელიცაა გერმანია ჰქვია... და ეს გერმანია უნდა ავალორძინოთ არარაისგან...“

და სწორედ მაშინ, როდესაც ბორჰერტი სიცოცხლის წუთებს ითვლიდა, თვალწინ წარმოუდგა ხორსიზმასა და ნავასაკის შემპარწყნებელი უბედურება და, როგორც ქეშმარიტმა იდამიანმა და შემოქმედმა, ერთხელ კიდევ აღიშინა ხმა და მთელი ძალით შესძახა — „არა!“. მოთხრობაში, რომელსაც ეწოდება — „უნდა უპასუხო — არა“, ბორჰერტმა უქანასკ-

ნელი ვალი მოიხადა კაცობრიობის უცხოველ ჩვევანს შესანიშნავად დაუსურათა მომავალი შესაძლო ომის საშინელება.

ამდენი „არა“ დასავლეთის ზოგიერთ კრიტიკოსს შეტისმეტი ეჩვენა და ბორჰერტი ნიპილისტად მონათლეს. ასე მხოლოდ ის ადამიანი იმსჯელებს, რომელშიც ვერ გაიგო არ ან სურდა გაეგო, რისი თქმა უნდოდა ბორჰერტს. ახალგაზრდა მწერლის ნიპილისტად გამოცხადება უთვლიდა ამ კრიტიკოსთა შეზღუდულობაზე მეტყველებს, რადგან არავის ჰყვარებია ეს ცა და ქვეყანა ისე ძლიერ, როგორც ვოლფგანგ ბორჰერტს. განა შეიძლება ნიპილისტი ვუწოდოთ მას, ვინც აგრე რიგად შეიყვარა უბრალო ყვავილი, მთვარე, მზე და ტურფა ასული, ვინც ტბებოდა მიწის სურნელით და სიამით დნებოდა ქალის ხმის გავონებაზე, ადამიანს, რომელშიც ახლებურად გაიგო სამშობლოსათვის თავდადების ცნება და მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით აღავსო ერთი პატარა წინადადება: „ჩვენ კი არ უნდა მოვკვდეთ, ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ გერმანიისათვის“. თუნდაც მხოლოდ ეს წინადადება ბორჰერტის შესანიშნავი გამართლებაა.

დიდი გერმანელი განმანათლებელი გოტჰოლდ ფრედიმ ლერნგი, როდესაც პოეზიასა და ფერწერის კანონებს აყალიბებდა, აღნიშნავდა: მოქანდაკეს თუ მხატვარს მარად ცვალებადი სინამდვილიდან მხოლოდ ერთი მომენტის ამორჩევა შეუძლია. რაც შეეხება პოეზიას, მას ძალუქს ასახოს სინამდვილე მთელი მისი განვითარების მანძილზე“. ვოლფგანგ ბორჰერტი კი გაუბრბის სინამდვილის მთელი სიგრძე-სიგანით ასახვას. არსებული გარემოდან ის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს იღებს და, რადგანაც ამგვარ ვითარებაში მისი მოთხრობების ბედი ამ ცალკეულ მომენტზეა დამოკიდებული, მისი შემოქმედება მუდამ ცხოვრების კულმინაციური წერტილის ასახვას წარმოადგენს.

ბორჰერტის ყველა ნაწარმოებს შეიძლება ერთი მთლიანი სახელწოდება გამოეწინასაოთ. ეს იქნება სიტყვა „რატომ“ და კითხვის ნიშანი. რატომ ინგრევა ქალაქები? რატომ იღუპებიან ადამიანები? რატომ დარბიან ტირილით თვალდაწითლებული დედები? რატომ არავენ იცის, საით მიექანება მათი სამშობლო? — აი რა აინტერესებს ბორჰერტს. „ჩემი საქმეა კითხვების დასმა, მათი გათავაშე არ შეხება“. — უთქვამს ერთგან ჰენრიკ იბსენს. შეიძლება ბორჰერტს მიეცვლია თავისი კითხვის პასუხისათვის, მაგრამ არ დასცლია. ხოლო ის ფაქტი, რომ ფანსისტურ გერმანიაში სრულიად ახალგაზრდა მწერალმა დასვა კითხვა და ბრწყინვალე ოსტატობით ცდილობდა მის გადაჭრას, მხოლოდ მის ერთუდიცისა და ღრმა ინტელექტზე მეტყველებს.



626-3612

ნორიკ ჯანაშიძე

ღღვეანდელი ღღის არქიტექტურა

...რა არის არქიტექტურა? ეს არ არის სტილი — რენესანსის ან ბაროკო, ანდა სხვა რომელიმე, ეს არ არის აგრეთვე სახლი, არც ქალაქები. ეს უოველივე მხოლოდ ნაწილებია უდიდესი მოვლენისა და ამ ნაწილებში განსხვავდება არქიტექტურა. არქიტექტურა ის გარემოა, რომელიმაც ცხოვრობს კაცობრიობა, რომელიც უპირისპირდება ბუნებას და ბუნებასთანვე აკავშირებს ადამიანს. ეს ისეთი გარემოა, ადამიანი საცხოვრებლად რომ იქმნის და შთაშობავალთ შემკვიდრებობად უტოვებს, ისევე როგორც ღოკოკინა სტოვებს ხოლმე ზოგჯერ მარგალიტის ნიჟარას.

...არქიტექტურა გარემოცაა და ხელოვნებაც.

ამ ხელოვნების თემა ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში ადამიანის თემაა, თემა უბრალო, რიგითი ადამიანისა, რომელიც თავისი უბრალოებითაც ესოდენ მნიშვნელოვანია.

ბ. ბ უ რ ი შ ი, „არქიტექტურის შესახებ“

საბჭოთა არქიტექტურა აღმავლობის გზაზეა. სულ რამდენიმე წელია, რაც მკვეთრად შეუმობრუნდა იგი განვითარების ახალი, სწორი მიმართულებით და უკვე მისი მიღწევები ყველასათვის ადვილი დასაანახია. ეს შეეხება არა მარტო იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დღეს ამ დარგში უპირველესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, არამედ მხატვრულ მიმართულებასაც. ჩვენმა ხუროთმოძღვრებამ ჩამოიშორა ის ზედმეტი ბალასტი, რაც ვითომდა სილამაზეს მატებდა ნაწარმოებს.

ნაბიჯებმა ტიპური პროექტირების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისაკენ, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის დანერგვამ, ახალ სამშენებლო მასალათა და კონსტრუქციათა გამოყენებამ, თვით არქიტექტურის არსის სწორად გახსნამ და გაგებამ მოკლე ხანში გამოიღო ნაყოფი. ყოველწლიურად მშრომელები სულ მეტ და მეტ საცხოვრებელ ფართობს ღებულობენ, უფრო იხვეწება საცხოვრებელი რაიონებისა და კვარტალების პროექტირება და განაშენიანება. თვით არქიტექტურული ობიექტების მხატვრული მხარე მეტად უახლოვდება ღღვეანდელი ღღის ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

საბჭოთა არქიტექტურა აღმავლობის გზაზეა. სხვებთან ერთად, საერთო წარმატებაში თავის სიტყვას ამბობენ ქართველი ხუროთმოძღვრებიც.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ყველაფერი გაკეთებულია, მიღწეული. ჯერ კიდევ ბევრი, ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მაგრამ საერთო მიმართულება საბჭოთა არქიტექტურისა სწორია, და ეს შემოქმედებითი სრული გამარჯვების საწინდარია.

ბუნებრივია, ასეთი შემოქმედებითი ღღლის დროს ათასგვარი საკითხი ისმება თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისა, გვხვდება წინააღმდეგობანი, ზოგჯერ მწელი გადასალახავი კი. მაგრამ ყოველივე ახალი ხომ ასეთ შემოქმედებით ბრძოლაში იხვეწება.

ჩვენ ქვემოთ შევხებით ჩვენი არქიტექტურის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მკითხველისათვის.

ჩვენი მშენებლობისა და არქიტექტურის ყველაზე დამახასიათებელ მხარეს ღღისათვის საცხოვრებელი რაიონების, კვარტალების, სახლების ფართოდ გაშლილი მშენებლობა წარმოადგენს. მშრომელთა კეთილმოწყობილი ბინებით დაკმაყოფილება, როგორც ცნობილია, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხადაა ქცეული. საცხოვრებელი რაიონები და კვარტალები, მიკრორაიონები და საცხოვრებელი ბინები — ეს საკითხები გაცილებით ფართოა, ვიდრე ვიწრო სპეციალობათა ინტერესები.



ჩვენ თვალწინ ასი ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი იკავებს უწინ უკაცურ ტერიტორიას. სულ რამდენიმე წლის მანძილზე შეიქმნა ქალაქის ახალი უბნები საბურთალოს, დიდბაზის, 26 კომისიის რაიონში — რომლებიც სწორედ საცხოვრებელ მასივებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებით ინტენსიურად გაშენდა საბურთალო, რომელიც უკვე ქალაქის მნიშვნელოვანი საცხოვრებელი უბანია.

ამჟამად ჩვენთან ძირითადად ოთხ-ხუთსართულიანი შენობები შენდება. მაგრამ თუ ინდუსტრიული მშენებლობის მოწინავე მეთოდები დაინერგება, თუ მთელი მშენებლობა ქარხანაში დამზადებული ელემენტებისაგან შესრულდება — სრული შესაძლებლობა იქნება გაიზარდოს საბურთალოს, რაც სხვა უპირატესობასთან ერთად საგრძნობლად შეამცირებს საერთო საცხოვრებელი ფართობის ჩაბარების ვადას. დღევანდელი მშენებლობის მასშტაბები მხოლოდ და მხოლოდ ინდუსტრიულ მეთოდთა დაინერგვით შეიძლება განხორციელდეს.

რაც შეეხება თვით ბინებს, მათი ავ-კარგია-ნობა დამოკიდებულია საკითხთა მთელ კომპლექსზე. დაწყებული, ვთქვათ, ოთახთა რაოდენობით ურთიერთდამოკიდებულებით და დამთავრებული ორიენტაციით. მოხერხებულობაზე ზრუნვა მთავარია, რადგან, როგორც იტყვიან, ბინის კომფორტი მპრობელთა ფიზიკურ და სულიერ ძალთა ეკონომიაა.

როცა ბინებზე ვლაპარაკობთ, ზოგიერთი ხშირად მის ხარისხს სიმაღლით საზღვრავს ხოლმე. ეს არ არის სწორი. დადასტურებულია, რომ ოთახში ჰაერის ვენტილაცია ფაქტურად ხდება მხოლოდ სარკმლის ზედა სიმაღლის გაყოფებით. ხოლო სარკმლის ზედა სივრცე ჰერმეტიკულია და მხოლოდ ჰაერის დატოვების ადგილს, რომლის გაშენდა მხოლოდ სპეციალური განიავებით უნდა მოხდეს. ამრიგად, სარკმელი რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ჰერთან, რაც რეალურად სვამს ოთახთა სიმაღლის შესაძლებლობათა ზღვრებს. ზომ არ შეიძლება სარკმელი უსაზღვროდ დიდი იყოს. ეს, ასე ვთქვათ, თეორიიდან. პრაქტიკაში კი არ არის ძნელი წარმოსადგენი ის დიდი ეკონომია, რასაც ოთახთა ნომინალური სიმაღლე მოგვცემს საცხოვრებელი ბინების საერთო მშენებლობის საქმეში. რაც შეიძლება მეტი ბინა კი ჩვენი მშენებლების უპირველესი ამოცანაა. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ოთახთა სიმაღლის თანამედროვე ნორმებმა განსაკუთრებით მახვილად დასაყვამდა პროპორციების, სარკმელთა განლაგების და სხვ. ამგვარი საკითხები და არქიტექტორებმა ამავე ყურადღება უნდა გაამახვილონ.

ჩვენი რელიეფის პირობებში დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს სახლების თავისუფალი დამატების პრინციპს, რაც მეტ პირობებს იძლევა სახლების უკეთესი ორიენტაციისათვის. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო რელიეფის გამოყენების ან ორიენტაციის შერჩევის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს შენობათა განლაგება, არამედ მხატვრული კომპოზიციის პრინციპებსაც. ფაქტურად, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი მივიღოთ თანამედროვე გადაწყვეტა საკითხისა, თორემ თუ გამოვიტყავთ ესთეტიკურ მხარეს, ადვილი წარმოსადგენია „კოლოფური“ სახლებისაგან მიღებული ერთფეროვნება. ე. ი. კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს შენობათა გარეგან სახეს.

ჩვენს წინაშე მდგომი გეოგრაფიული ამოცანა — მეტი საცხოვრებელი ფართობი, სრულიადც არ ნიშნავს „კოლოფების“ შექმნას. მინიმალური ეკონომიური ხარჯებით უნდა შეიქმნას ნამდვილი არქიტექტურული ნაწარმოები, ყოველგვარ ზედმეტობათა გარეშე. აი, აქ არის სწორედ საქირო ნამდვილ შემოქმედება ოსტატობა, რომ მინიმალური საშუალებებით მაქსიმალური ეფექტს მივაღწიოთ!

საბურთალოს მშენებლობა ამ მხრივ ვერ იქნება სიმბოლო ჩვენი მშენებლობისათვის. პრიციპი, იგი გაკეთილი უნდა იყოს. ერთნაირი უსახური სახლები ერთფეროვანი ფასადებით არა მარტო მოსაწყენია — მოუხერხებელიც! ჩაფიქრებული კაცი აქ ალბათ არა ერთხელ შესულა სხვის სადარბაზო შესასვლელში (შესასვლელში კი მიხვდებით რომ სხვაგან ხართ?).

მრავალფეროვნების მისაღწევად სრულიადც არ ვგულისხმობთ ზედმეტ, „სუფთა“ არქიტექტურულ მორთულობას. ამისათვის ფასადთა შეღებვაში ფერის ცვალებადობა, შენობათა ფონტისა და შეფარდებთა ცვალებადობაც საკმარისი იქნება. არა მარტო თვით შენობებმა „გაცოცხლებმა“, მთელი რაიონი მიიღებს ამაღლებულ ტონუსს, მაყორულ ძღერადობას. ეს კი საცხოვრებელ კვარტალებში როდია მეორეხარისხოვანი.

მტკიცედ, მაგრამ ჯერჯერობით მეტად ზანტად შემოიღოს ჩვენს არქიტექტურაში ფერი.

ფერი დღევანდელი არქიტექტურის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. თუ უწინ, როცა შენობებზე, მისი ფასადის საერთო კომპოზიციაში „სიცილიერის“ შესავსებად არქიტექტორი რაიმე მორთულობას იშველიებდა, ახლა იგი ამეტყველებს თვით მასალას, ფაქტურას. ამ შემთხვევაში ფერი მხატვრული გამოსახვის შესანიშნავი შესაძლებლობაა.

ჩვენი დროის არქიტექტურაში ფერი წარმატებით იმარება როგორც შენობათა პარალელებიდან დასაფარავად, ისე ფასადების თუ ინტერიერის ცალკეულ ელემენტთა აქცენტებისათვის.



თანამედროვე საცხოვრებელი ბინები თხოვ-
ლობს მცირე გაბარიტიან ავეჯს. მაგრამ ავეჯ-
თან ერთად მყუდრო ბინის შესაქმნელად დიდი
როლი ეთმობა ფერს. გარდა წმინდა მხატვრუ-
ლი ეფექტისა, ფერი ოპტიკურ ილუზიას ქმნის
ოთახის სივრცის აღქმისას. ცნობილია, რომ
ნათელი ტონები ოპტიკურად ზრდიან სადგომს,
მოციფრო ტონები კქმნიან სივრცის შეგრ-
ძნებას, მაშინ როცა თბილი ტონები ოთახს
თითქოს შვის სხივებს მატებენ. კედლები რაც
სადაცაა შეღებილი — უკეთესია. ჩვენში იატაკსა
და ჭერს რატომღაც ტრადიციულად ყველა შე-
ნობაში ერთგვარად ღებავენ (იატაკი — მოწი-
თალო-მოყავისფრო, ჭერი — თეთრი), მაშინ
როცა უცხოეთში სწორედ იატაკით იწყება
საერთო ფერადოვანი ეფექტი. აქ ჭერის ფერაც
მეტად მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს.
მართლაც, იატაკის სხვა ფერად, ვთქვათ, მო-
ღურჯო-მონაცრისფროდ, მომწვანო-ნაცრის-
ფერად, ე. ი. ისეთი ტონით შეღებვა, რაც ნეო-
ტრალურ ფონს შექმნის — საემოდ შეუწყობს
ხელს საერთო ფერადოვნებას.

ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებ-
რივი დანიშნულების ნაგებობათა ინტერიერში.
(აქ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იგი საწარ-
მოებში უშუალოდ მოქმედებს მუშათა წარმა-
დობაზე. ეს არა ერთი და ორი ცდიდა დადას-
ტურებული). თბილისში ამ მხრივ ყურადღებას
იპყრობს კაფე ლენინის ქუჩაზე, კიროვის პარკ-
თან. ავტორებმა დიდი გემოვნებით შეამკეს
ინტერიერი ფერადოვანი მოხატულობით. აქ
ყველაფერი გააზრებულია და გამიზნული.

ინტერიერის დამუშავებისა და შინაარსობლი-
ვი ემოციის გახსნის თვალსაზრისით ჩვენს არ-
ქიტექტორთა თუ მხატვარ-დეკორატორთა
ბოლო დროის ნამუშევართაგან უპირველეს
ყოფილია აღსანიშნავია საქართველოს მუზეუმის
არქეოლოგიური განყოფილების საგამოფენო
დარბაზები, სადაც ყველაფერი მიმართულია
ექსპონატთა თვალსაჩინო ჩვენებისაკენ, მათ
უკეთესად გამოსავლენად. ეს იყო აქ მთავარი
ამოცანა, სხვა არაფერი არ უნდა იპყრობდეს
დარბაზში ყურადღებას. ამისათვის არქიტექტო-
რი იძლევა დახურულ დარბაზს, ყურ კედლე-
ბით. მხოლოდ ვიტრინებია განათებული (ჩვენი
ღრმა რწმენით, ამ დარბაზებში უნდა განათებაც
არ არის საჭირო) და თვით ვიტრინებში კი ფე-
რადოვანი ლაქები აქცენტებს სვამენ ამა თუ იმ
ექსპონატზე. საერთოდ ნეიტრალური ფონი მკვე-
თრად გამოიყოფს გამოსაფენ მასალას, აქ არა-
ფერია „დაკარგული“. მკაცრი კომპოზიციით
შედგენილი ყოველი ვიტრინა დამთავრებული
მხატვრული ნაწარმოებია, მაღალი გემოვნებით
შესრულებული.

ბევრი მუზეუმში როდი დაიტრიალებს ასეთი
საექსპოზიციო დარბაზებით, სადაც დამთავლი-

ერებლის მთელი ყურადღება კონცენტრირებუ-
ლია საგამოფენო ექსპონატებზე, მაგრამ ისე,
რომ დარბაზთა საერთო მხატვრული გადაწყვე-
ტა ამაღლებულ განწყობას ქმნის, რაც, ბუნებ-
რივია, ხელს უწყობს საერთო შთაბეჭდილების
შექმნას.

ამას წინათ, სანაპიროზე მდებარე 220-ბინიან
სახლში გაიხსნა ბავშვთა სტომატოლოგიური
პოლიკლინიკა, რომელიც შესანიშნავი უახლესი
აპარატურით არის მოწყობილი. მაგრამ კლი-
ნიკის მომწყობთ გამოჩნათ ერთი შეხედვით
შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში
მეტად საჭირო რამ: კედლის მოხატვის შესაძ-
ლებლობა.

ეს მოთხები ბავშვთათვის არის გამიზნული
და როგანებებთან, რომ ბორმანქანის „სიყვარ-
ული“ გვონებ აღამიანის თანდაყოლილი თვი-
სებაა, და აქ შეიძლება გემოვნებით შერჩე-
ულ და შესრულებულ ნახატებს ბავშვთა ყურა-
დღება ჩამოეცილებინათ მისგან. განა თეთრი
კედლები (რაც უნდა სუფთა იყოს) ან ჭრე-
ლი ფარდების დრპირება საკმარისა ბავშვთა
ასეთი კლინიკის მოსაწყობად? ასეთ შემთხვე-
ვაში მხატვრის როლი მშრალი მორთულობის
საზღვრებს სცილდება!

უცხოეთში ახალ სკოლაში შავ დაფას ველაქ
ნახავთ. მას უმეტესად პლასტიკურ მასალისაგან
დამზადებული მუქი ან ღია მწვანე დაფები
ცვლის. ცარციც ოქროსფერ-მოყვითალო ან
ნარინჯისფერია, ფიქრობენ თეთრი საწერი ქა-
დალდის დამომწვანო ტონის ქაღალდით შე-
ტარულ. ეს მხატვართა კანონები არ არის, თვა-
ლის ფიზიოლოგიასთანაა დაკავშირებული.

დიდა ფერის მნიშვნელობა ქალაქის საერთო
გაფორმებაში. სახმრეთის ქალაქებისათვის ფე-
რადოვნება დამახასიათებელი უნდა იყოს. ამ
მხრივ თბილისში ამ ბოლო დროს მთელი რიგი
ლონისძიებები ჩატარდა, რამაც ჩვენი ქალაქი
მეტად „გააცოცლა“.

შესაძლებელია, ზოგი რამ ბოლომდე არ იყოს
დახვეწილი, მაგრამ პრინციპულად თუ მიეუ-
დგებით, ქალაქის საერთო არქიტექტურულ-მხა-
ტვრულ სახეზე ფერის თამაში შეტანა სწორია
და მხარდასაჭერი.

ამ მხრივ ყველაზე სერიოზული ღონისძიება
მეტების ბორცვის რეკონსტრუქცია იყო. სწო-
რია, როცა ამ ადგილას მდებარე ამორტიზებუ-
ლი სახლები ახალი არქიტექტურით კი არ შეც-
ვალს, არამედ დაუტოვეს ძველი თბილისური
იერი და ისე აღადგინეს. ამ ადგილის რეკონს-
ტრუქციაში ფერმა მნიშვნელოვანი როლი შე-
ასრულა და, შესაძლოა, მიჩვეული თვალისათვის
ცოტა უცხოედ გამოჩნდა, მაგრამ საერთოდ მე-
ტად აამეტყველა ძველი თბილისის ეს ულამა-
ზესი მონაკვეთი.

სრულიად სხვა შედეგი გამოიღო ბარათაშვი-



ლის აღმართზე ფერდობზე მდგარი სასლების შუღლებამ. ნაცვლად ერთიანი ფერადოვანი გამოსა, ამ მივიღეთ მყვირალა ფერთა სიჭრელე, რამაც ეს სასლები მკვეთრად ამოავლინა საერთო განაშენიანების ფონიდან და სათამაშო კოლოფებს დაამსგავსა.

სწორედ აქ გამოჩნდა ფერის გამოყენების შესაძლებლობებიც და საზღვრებიც, რომ როცა ფერი გვინდა გამოვიყენოთ ფასაღზე, ჯერ უნდა განისაზღვროს იგი ხაზგასმის საშუალებათა, თუ საერთო ფერადოვანი ლაქა, რომელიც თვალისათვის სასიამოვნოა, მაგრამ ფაქტურად ნეიტრალურ ფონს უნდა წარმოადგენდეს. მთელი ფასადი როცა იღებება, მაშინ სწორედ ეს უკანასკნელი მზარეა პირველ პლანზე წამოწეული და ამიტომ შეიძლება ისეთი ტონალობით შეიღებოს ფასადთა რიგი, რომ ქუჩაზე ერთიანი გამა შეიქმნას. ამ შემთხვევაში გამწვლეულმა ერთი შეხედვით ცალკე შენობათა ფერი შეიძლება კარგად ვერც კი დაიმახსოვროს. აქ ფერი არქიტექტურული ანსამბლის ერთერთი შემქმნელი კომპონენტია.

სულ სხვაა, როცა ფერს აქცენტისათვის ვიყენებთ (ძველად ხაზგასმისათვის ქვებსაც კი ვიღებდეთ). მაშინ იხმარება უფრო ლოკალური ტონები და ამით მთელი ფასადის შეღებვა, რა თქმა უნდა, ძალზე სარისკოა.

ფერადოვან მახვილს ქუჩებში თამამად შექმნის ფასადთა ცალკეულ ელემენტთა შეფერვა, ვთქვათ ლოჯიების, გადმოწეულ კარნიშთა სიბრტყისა და სხვ. ჩვენთან სრულიად მივიწყებულია შენობებისთვის ასე საჭირო მარკივები (სარკმლებზე გადმოკიდული ტილოები, მზე რომ დააკავოს), რომლებიც აგრეთვე შეიძლება ფერადოვანი აქცენტისათვის გამოვიყენო, და ბოლოს, რეკლამა, კარგად მოფიქრებული და შესრულებული. ფასადთა მთელი სიბრტყის ერთი მყვირალა ტონით შეღებვა კი, რაღა თქმა უნდა, საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

მცირე ფორმების შეღებვა საჭიროა. ბალკონების სკამების, პავილიონების, კოშკების ნათელ-ტონებით შეღებვა საერთო მწკნან ფონზე მათ სასიამოვნო იერს მიცემს. ლამპიონებისა და ტრანსპორტის შეღებვა აციცხლებს ქუჩას. ამას უკანასკნელი დროის ჩაქმულობაც უწყობს ხელს. სულ უფრო მეტად იჭრება ფერადი ტანსაცმელი, რაც, მართალია, პატრონისაგან მეტ გემოვნებას თხოვლობს, მაგრამ მზით გააკაშაშებულ ქუჩებში თვალს სიამოვნებს.

თბილისის ქუჩებში ლამპიონების შეღებვისას ჯერ ვერ არის მოძებნილი შესაფერი ტონები (დასამალი არ არის: ეს თვით საღებავთა ხარისხის ბრალიცაა). რაც შეეხება ტრანსპორტს შეფერადებას, ჩვენი აზრით აქ ერთი შეცდომაა დაშვებული. კერძოდ ის, რომ არ არის მოძებ-

ნილი თეთრ ფერზე სხვა კონტრასტული ტონის საერთო ფართობი, რის გამოც ახლად შეღებილი ტრამპვისა და ტროლეიბუსების ვაგონები ყველა თეთრია, ზოგჯერ წითელი, ყველაზე თუ სხვა ზოლებით და არა წითელი, ყველაზე თუ სხვა ფერისა. ამიტომ ეს ვაგონები ვერ ახდენენ საჭირო ეფექტს. აქაც რომ გავიხსენიოთ უცხოეთის პრაქტიკა, მოვგაგონებთ, რომ ზოგან მცირე ტრანსპორტი კი არა, ორსართულიანი ავტობუსებია მუქ წითლად შეღებილი თვითდან ბოლომდე და ქუჩაში მეტად სასიამოვნოდ გამოიყურება.

ამრიგად ფერის გამოყენება ეფექტურია, მაგრამ იგი დიდ ტაქტს მოითხოვს და თვითმზნად არასოდეს არ უნდა იქცეს.

როცა თანამედროვე არქიტექტურის შესახებ ლაპარაკი, ხშირად ისმის უცხოურ არქიტექტურასთან დამოკიდებულების საკითხი, რადგან ჩვენთან რიგი არქიტექტორებისა ძალზე გატაცებულია უცხოური არქიტექტურით.

ენობილია, რომ უცხოურ მიღწევათა შესწავლისა და გამოყენების გარეშე ძნელია ჩვენი მშენებლობისა და ხუროთმოძღვრების წინსვლა. მაგრამ უცხოური ნიმუშების შესწავლისას, კომპოზიციურ თუ რაიმე სხვა ხერხის ბრმა გამოყენებას ნამდვილ ფორმალისტმად მივყავართ. უნდა გვახსოვდეს, რომ ისევე როგორც ყოველთვის, აქაც მთავარია პრინციპის ნათელი გახსნა-გაგება და არა რაიმე არქიტექტურული საშუალების ან ხერხის გამოყენება. მემკვიდრეობის ათვისება მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება წარიმართოს.

ამისთან დაკავშირებით შევეხებით პოლიტიკური ინსტიტუტის სტუდენტ-არქიტექტორთა ნაშუშევართა გამოფენას, რომელიც ამას წინათ მოწვეული ხელოვნების მუშაეთა სასწრაფო (გამოფენა მეტად საინტერესო იყო: აშკარად იგრძნობა წინსვლა წინა წლებთან შედარებით, რაც კონსტრუქციის საღ გამოყენებაში, დაგეგმარების პრინციპების კარგ ცოდნაში თუ სტუდენტთა გამართულ მჯავში მათი პროფესიონალიზმი ჩანს, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ უცხოურთან დამოკიდებულების საკითხს ვეხებით).

სტუდენტების ნაშუშევართა განხილვის დროს, საინჟინრო აზრის განვითარებისათვის, არ უნდა გამოვდევნოთ მკაცრ ორიგინალით, რადგან უცხოური მიღწევების გაცნობა ამ მხრივ მეტად სასარგებლოა. მაგრამ როცა წმინდა არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანები დგება, მაშინ საჭიროა პედაგოგის აქტიური ჩარევა. თუმცე აქაც არსებობს ერთგვარი საყმაწვილო სენი, რომელიც დაოსტატების გზაზე ყველას გადატანაილი აქვს. მაგრამ საკითხის ისე გაგება, რომ საჭიროა ყოველთვის არსის გახსნა და არა ცალკეულ ელემენტთა გადმოტანა, სწორედ სწავლის პროცესში უნდა განისა-

ხოს და ისე მტკიცედაც, რომ შემდგომში სახელმძღვანელო პრინციპად იქცეს. ქვეშაობები: ფაქტობრივ მასალის ცოდნა შეიძლება კაცს დაავიწყდეს, მაგრამ არსის გაგება — არასოდეს! გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ერთბიანი საცხოვრებელ სახლთა პროექტი. ზოგ მათგანის გადაწყვეტა მისაღები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაფერ ლანდშაფტში (ვთქვათ, ნაქვანარში) წარმოდგენილი, სხვაგან კი ჩვენს პირობებში ძნელად მისაღები იყო. იქვე იყო დაგეგმარებისა და საცხოვრებელი სახლის პროექტი კაპრეთისათვის. აქ ავტორი იმდენად გაუტაცია „თანამედროვეობას“, რომ სრულიად დავიწყებია კაპრეთიცა და საერთოდ, ჩვენებური კაცის მთხოვნილება საცხოვრებლისადმი. მშენებრივად შესრულებული პროექტი მხოლოდ არქიტექტურული ფურნალიდან გადმოსულ ნახატს წარმოადგენდა.

სტუდენტებთან ფურნალებით გატაცება იქამდე მისულა, რომ ერთერთ პროექტზე ინტერიერის ნახატი ნებისმიერია და თვით პროექტს არც კი შეესაბამება. სამაგიეროდ ფურცელი გადახურულია ფერადი ზოლებით, რომელთა მიერ შექმნილ ტრაპეციებში ჩახატულია ინტერიერის „ლაპაზი“ ფრაგმენტები. ზუსტად ისე, როგორც უცხოურ ფურნალთა ფურცლებზე ერთერთ სტუდენტს ბოლისკი, გურიაში დიდუბულ რევოლუციონერთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, ისე აუტრელებია ფერად-ფერადი „აუწყობელი“ ლაქებით (ასეაა: პარზიში იუნესკოს შენობის დეკორატიული კედლის შთაბეჭდილებით), რომ სრულიად გაუგებარს ხდის მას.

უცხოური არქიტექტურის ასე „შესწავლა“ კარგს არაფერს გვიქაჩის! მასლის გამოყენების დროს ყველაფერი გააზრებული უნდა იყოს. მინა დღეისათვის მშენებლობის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, მაგრამ მისი გამოყენება ჩვენს კლიმატურ პირობებში კარგად უნდა აიწონოს-დაიწონოს. მშრომად პროექტებზე ნახავთ მინის დიდ ზედაპირს ორიენტაციის გათვალისწინებლად. ამ შემთხვევაში ხომ სიცხე ხელს შეუშლის ფართობის ნორმალურ ათვისებას. სხვათა შორის ეს ნაკლი ვერ აიცილეს თავიდან რომინანსხენებ კავშირში, კიროვის პარკთან იმ არის.

კლიმატური პირობების გათვალისწინება არქიტექტურაში ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია და თანამედროვე არქიტექტურის საყოველთაობის თეორიას ყველაზე დიდ წინაღობდაგობას სწორედ იგი უწყევს.

დღევანდელ არქიტექტურაში სამშენებლო ტექნიკის დიდმა პროგრესმა განსაზღვრა ის, რომ არქიტექტურა უფრო ინტერნაციონალური გახდა, ვიდრე უწინ იყო. ამას ხელი შეუწყო

ცივილიზაციის სწრაფმა განვითარებამ, რამაც ბუნებრივია, სხვადასხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრებაშიც შეიტანა საერთო ნიშნები, ე. ი. ბევრი რამ სხვადასხვა ხალხის არქიტექტურაში, ერთვეთ საბინაო მშენებლობაში, საერთო გახდა. მაგრამ კლიმატური პირობები, გეოგრაფიული გარემო, საუკუნეების მანძილზე შემუშავებული მხატვრული ტრადიციები (აქ ალარაფერს ვამბობთ საზოგადოების არსზე, რომელმაც ეს არქიტექტურა წარმოშვა — ეს კი უმთავრესია) არ შეიძლება არ მოქმედებდეს ამა თუ იმ ხალხის არქიტექტურის განვითარებაზე და არ ასხვავებდეს მას.


ამრიგად, ეროვნული არქიტექტურის პრობლემა თანამედროვე არქიტექტურაშიც მთელი სიგრძე-სიგანით ისმება.

თანამედროვე სამშენებლო ტექნიკამ მკვეთრად შეცვალა არქიტექტურის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული პრინციპები, სილამაზის გაგება და სხვ. დღევანდელი არქიტექტურის ერთერთ დამახასიათებელ მხარეს ოპტიკური სიმსუბუქე შეადგენს, რაც შენობის შემადგენელ ნაწილთა მასალისა და მისი ქარხნული წესით დამზადებუთაა შეპირობებული. ხელი შექმნილი ორნამენტული მორთულობა ადგილს უთმობს მანქანათა ნაწარმოებ ფორმებსა და ელემენტებს. მაგრამ ყოველი არქიტექტურა, რომელსაც ჩამოყალიბდა აქვს მორთულობა, ანტაბულმენტი იქნება ის თუ ორნამენტი — თანამედროვე როდია.

არქიტექტორთა შეზღუდვა გამოსახვის საშუალებათა მხრივ, რასაც მშენებლობის სტანდარტიზაცია გვკარნახობს, არქიტექტურის გაღარიბებას როდი იწინავს. აქა საკირო ქვეშაობები ხელკრანის ხელი, ნამდვილი ოსტატობა.

არქიტექტურა ახლა დღის წესრიგის პირველ პუნქტად სარგებლობისა და რაციონალურ საწყისებს სვამს. თუ ფუნქციურად არ არის გამოართლებული, რა რიგ ლამაზადაც უნდა გამოიყურებოდეს ესა თუ ის ობიექტი — იგი ნამდვილ არქიტექტურად ნაწარმოებზე პრეტენზიას ვერ დაიჩემებს. მაგრამ ვერც მშრალი რაციონალიზმი თავისთავად საკითხს ვერ გადაწყვეტს. ფუნქციური მხარე ესთეტიკურად უნდა იყოს გააზრებული, სადაც, მაგრამ მომხიბვლელად. მშენებრივად უოქვამს რიატს: „...სახლი — ეს მანქანაა საცხოვრებლად, მხოლოდ ისეთი გაგებით, როგორც გული — დამპყობნავე ტუმბოა. მჭრნობიარე ადამიანი იწყება იქ, სადაც ამოიჭრება ადამიანური გულის ეს განსაზღვრა. გასხვადეთ ყოველთვის, რომ სახლი — ეს მანქანაა საცხოვრებლად, მაგრამ არქიტექტურა იწყება იქ, სადაც იჭრება და სახლის ეს განსაზღვრა“.





აღქმის გზაზე

დიდი გამარჯვების მცირე საიდუმლოებანი

მთელი დღე წვიმადა, მაგრამ საღამოს გამოი-
დარა და ლაიპციგის ცა ვარსკვლავებით მოიჭე-
და. ასეთ ამინდში ადამიანს სერიზოზის სურვი-
ლი ებადება. ალბათ ამიტომ იყო, რომ მე-14
საჰადრაყო ოლიმპიადის მონაწილეებმა თამაშის
დამთავრების შემდეგ ჩვეულებისამებრ სასტუმ-
რო „ასტორიას“ არ მიამშურეს — ასეთ საღამოს
ვარსკვლავებითა და რეკლამების შუქით განი-
რადღნებული ქალაქის ქუჩებში ხეტიალი ჯობ-
და.

... სანამ პატარა მყუდრო რესტორანამდე მივი-
დოდით, ტალი შეუსვენებელი ხუმრობდა. რო-
გორც ყველა თამაშის შემდეგ, ტალი ახლაც
აღვზნებული იყო. იგი არჩევდა თავის პარტიას,
გვიყვებოდა მოწინააღმდეგეზე, „გვაწამებდა“
ახალი ანეგდოტებით, ბაჰავდა სიარულში, მი-
მოიკასა და საუბრის მანერაში ცნობილ მოკლ-
რაკვებს.

ის-ის იყო რესტორანში შევედით, რომ ორ-
კესტრი უცერად დადუმდა. ადგილზე გაქვავ-
დნენ მოცეკვავე წყვილები და მიკროფონზე
დახრილმა ერთერთმა მუსიკოსმა გამოაცხადა:
„ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენს შორის
იმყოფება მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ტალი“.
დარბაზში ტაშმა იქუხა. ორკესტრმა კი „მოს-
კოეური საღამოები“ დაუკრა.

ტალი ყველას ესალმებოდა და დაბნული
იღიმებოდა. ჩვენ პატარა მაგიდას შემოვუსხე-
დით. რესტორანში ბევრი ცნობილი მოჰადრაცი
იმყოფებოდა, მაგრამ ყველას მხერბა მიპყრობი-
ლი იყო იქით, სადაც მსოფლიო ჩემპიონი
იჯდა. მალე ჩვენს მაგიდას ავტოგრაფების
მოყვარულთა პირველი ჯგუფი ეწვია. შემდეგ
ორკესტრმა ისევ დაუკრა საცეკვაო და ტალი
მთლიანად ჩაეფლო ირგვლივ გამეფებულ მხი-
არულებაში. იგი ცეკვავდა, ხუმრობდა, სვამდა
ღვინოს და აკეთებდა ყველაფერს იმას, რასაც
მის ირგვლივ მყოფი ადამიანები აკეთებდნენ.

იმ საღამოს ოლიმპიადის ბევრმა მონაწილემ
გადაუხადა ხარკი თავის „ადამიანურ სისუს-
ტეს“. და არა მარტო იმ საღამოს, მაგრამ მათ
შორის იყო ადამიანი, რომელსაც ვერ აღელ-
ვებდა სადლი, ვანშამი და ცეკვები. ყოველ-
თვის მკაცრი და მომთხოვნი თავის თავისადმი
იგი თამაშის შემდეგ სასტუმრო „ასტორიას“
ნომერში იცეტებოდა და მისი გონება კვლავ
მიპყვებოდა საჰადრაყო ხელოვნების გაუკვალავ
ბილიკებს.

ამ კაცსაც უყვარდა ცხოვრება. და როცა
ფანჯრიდან ვარსკვლავიან ცას შეჰყურებდა,
ალბათ დარდობდა კიდევ. და ეს დარდი ბუნებ-
რივი იყო, რადგან სიცილი და მხიარულება
თითქოს მას არ ეკუთვნოდა. მაგრამ ეს მხოლოდ
წუთიერი სისუსტე იყო. ბოტინიკი მიეჩნია
ამგვარ ცხოვრებას. იგი თმობდა ბევრ რამეს
„ადამიანურს“ და ამის საზღაურად იღებდა შე-
სანიშნავი გამარჯვების სიხარულს, ადამიანის
ნებისყოფისა და სულიერი ძალების გამარჯვ-
ების სიხარულს.

ორივე ერთგული იყო თავისი თავისა, ხასია-
თისა, ტემპერამენტისა, ჩვევისა. ტალი მხიარუ-
ლობდა, ბოტინიკი კი შემოდგომის ამ თბილ
საღამოს იმაზე ფიქრობდა, რომ ხუთი თვის
შემდეგ ისინი საჰადრაყო ბრძოლაში უნდა
შეხვედროდნენ ერთმანეთს. ფიქრობდა და მისი
გონება კვლავ და კვლავ მომავალ მოწინააღ-
მდეგეს უტრიალებდა: „ტალი კვლავინდებურად
არც თუ ისე კარგად თამაშობს „უბრალო პო-
ზიციებში“, რომლებიც არ შეიძლება კონკრე-
ტული წინადადებებით ამოიწუროს. საჭიროა
ამის გათვალისწინება. ხვალინდელ პარტიაში
ამერიკელ ლომბარდისთან უნდა გამოიცადოს
ძველინდური დაცვის ერთერთი ვარიანტი, რო-
მელიც შეიძლება მატჩრევეანში შეგვხვდეს.
სხვათაშორის, დაე ტალმა იფიქროს, რომ მე ამ
ვარიანტს გამოვიყენებ. სინამდვილეში მატჩი-

სათვის მზადებისას ფერმანთან! ერთად სხვა გარიანტებსაც მოვამზადებ. ხვალ კი ისევ გულმოდგინედ უნდა ვადევნო თვალი საათს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა განვიკურნო ამ „ციტროტის ავადმყოფობისაგან“. ახლა კი ძილის დროა“.

კიდეც დიდხანს იღერებს მუსიკა ლაიპციგის რესტორნებსა და კაფეებში. ერთერთ მაგიდასთან, რომელსაც მიხეილ ტალი უზის, კიდეც დიდხანს იდგება ჟურნალისტების და გულშემატკივრების რიგი. სასტუმრო „ასტორიის“ ნომერში კი, რომელშიც მიხეილ ბოტვინიკი ცხოვრობს, სინათლე უკვე ჩამქრალია. იგი ისვენებს, რომ ხვალ ახალი აზრებითა და ენერგიით გაიღვიძოს, მისთვის მატჩრეანში მსოფლიო პირველობაზე უკვე დაიწყა...

ლიამკვი, ბერლინი, მშობლიური რიგა. შექმდე პრადო, მოსკოვი, სტოკჰოლმი. ყველგან გამარჯვებები, ღიმილი, ტაში... მატჩამდე კი სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება.

ექიმები ეუბნებიან, რომ თირკმელებში ქვა აქვს, საჭიროა მკურნალობა, საჭიროა რევიმის დაცვა, მაგრამ ოცდაოთხი წლის კაცისთვის ძნელია ამაზე ზრუნვა და ფიჭი. მატჩამდე კი სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება.

დროა, ბოლოს და ბოლოს, განმარტოვდეს, მოეშალოს, ფიჭოს იმაზე თუ როგორ უნდა ითამაშოს. მაგრამ ვითომ აუცილებელია ეს? შარშანდელ მატჩში ხომ დებიუტი არ სწყვეტდა საქმეს. ყველაფერი წყდებოდა მიტელმანის ში. აჰ კი... ბოტვინიკი ვერაფერს უხერხებდა დაფაზე ატეხილ ქარიშხალს. ვარდებოდა ციტიტონი, მხედველობიდან რჩებოდა ტაქტიკური დარტყმები. ვანა მომავალ მატჩში სხვაგვარად წარმართება საქმე. ამასთან შარშანდელი მატჩის შემდეგ ჩემი ერთგვარად ეშინია კიდეც: ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასე ფიჭობს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბუნებამ უხვად დააჩუქდოდა საოცარი ნიჭით და უკვე ოცდაოთხი წლის ასაკში ფლობს უმაღლეს საპადრაკო გვირგვინს. მას ტაშს უმრავლეს მთელი მსოფლიო. დიახ, ასე ფიჭობს ტალი. მაგრამ მას სჩანს დააიწყება თავისივე სიტყვები, რომ „ყოველი მოქალაქე თავისი სატურნირო უბენიერების მქონეა“. რა თქმა უნდა, დააიწყება, რადგან ამ ბედნიერებას ვერც კი იღვე შეჯიბრებამდე დიდი ხნით ადრე უნდა წრთობა. მატჩამდე კი სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება...

პირველ პარტიას ბოტვინიკი იგებს, მეორეს — ტალი, მესამეს — ისევ ბოტვინიკი. მეოთხე შეხვედრა ყაიმით დასრულდა, თუმცა ბოტვი-

ნიკი ძალზე ახლოს იყო გამარჯვებასთან. პირველ პარტიებიდან ცხადია ერთი რამ: ბოტვინიკი უკეთ არის მომზადებული მატჩისათვის. მისი სადებიუტო რეპერტუარი ღრმად არის მოფიჭრებული. იგი არ ვარდება ციტიტონში, და რაც მთავარია, ყოველ პარტიაში მოწინააღმდეგეს თავზე ახვევს თამაშის თავის სტილს.

თამაშის სტილი. დიახ, ბევრი ელოდება მატჩისაგან პასუხს კითხვაზე: რომელი სტილი იზეიმებს, კლასიკური სტილი, რომლის წარმომადგენელიც ბოტვინიკია, თუ... სხვათაშორის, უფრო ზუსტად როგორ განვსაზღვროთ ტალის სტილი? ამ სტილს ეძახიან კომბინაციურსაც, ფსიქოლოგიურსაც, ინტუიტიურსაც, მოდერნისტულსაც... ყველაზე უფრო მართალია ბრონშტეინი. მან ამ სტილს ინტუიტიური უწოდა, იმიტომ, რომ მისი ყველა წარმომადგენელი ტალი, კორჩნოი და სხვები თავის უდიდეს ინტუიციას ეყრდნობიან და ცდილობენ მოწინააღმდეგე შეიყვანონ ისეთ „აქუნებებში“, სადაც ყველაფერი ირაციონალურია, სადაც „თვით ეშმაკიც კი კისერს მოიტებს“ და სადაც თითქოს გაუქმებულია ყველა საპადრაკო კანონი და მხოლოდ ფანტაზიის ექლუფა უსაზღვრო გაქანება.

ამგვარად, კლასიკური თუ ინტუიტიური? სამწუხაროდ, უძველესი, ბრძნული თამაშის მრავალრიცხოვან მოყვარულებს არ უწერიათ ამ კითხვაზე პასუხის მიღება. ტალის გაუბუნებელი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა მისი შეხედულებების დასაყვედურ. მართლნი არიან თუ არა მისი მოწინააღმდეგენი? ბოლოს და ბოლოს, ფანტაზიასაც უნდა ჰქონდეს რაიმე რეალური საფუძველი. ტალის გეგმები კი ხშირად პაერშია გამოკიდებული.

ტალი და კორჩნოი ერთი და იგივე სტილის მოთამაშეები არიან. მაგრამ რატომღაც, რომ მათ შორის ყოველთვის კორჩნოი იმარჯვებს? ისიც ხომ დიდი „ფანტაზიორია“. დიახ, მაგრამ მას თითქმის ყველა პარტიაში მტკიცე საძირკველი აქვს — პაეკების მტკიცე ჩონჩხი. ტალი კი ხშირად ცდილობს ითამაშოს უამისოდ. არცერთი არ ემორჩილება კანონებს, მაგრამ ტალი თავის დაშუქმანველად ცდილობს ყოველგვარი წესის უგულვებელყოფას. მისი ბედი, რომ ამნეტა ნიჭი აქვს. მისი ინტელექტი გენიოსის ინტელექტს უახლოვდება. სწორედ ამის წყალობით შესძლო მან დაემარცხებინა ბევრი მოპადრაკე, რომლებსაც თუმცა „სწორი საპადრაკო მსოფლმხედველობა“ აქვთ, მაგრამ არა აქვთ მძლავრი, ტალისებური ნიჭი.

უკვე გათამაშებულია ოთხი პარტია. დღეს უნდა მეხუთე პარტია ითამაშონ. ბოტვინიკი წინაა ერთი ქულით, ტალის თაყვანისმცემლებისათვის ეს არაფერს არ ნიშნავს: ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია. წინ კიდეც ოცი შეხვედ-

I სემიონ ფერმანი — მიხეილ ბოტვინიკის მწერტენელი.

რია, რა იციან მათ, რომ უკვე ამ მომენტისათვის მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილია. არ იციან და არც შეუძლიათ იცოდნენ თუ რა ხდება ამ დღეებში მათი „ფლავიანი“ სულში.

თი პარტია დაიწყო. ისევ ნიშნოვების დაცვა და პოზიციური უპირატესობა ისევ ბოტვინიკის მხარეზეა.

„საკვირაო გართულება მეფის ფლანგზე, მაგრამ ბოტვინიკი არ იძლევა ამის საშუალებას. — იგი ახერხებს ლაზიერების გაცვლას. ისევ უარესი ენდშილი, კვლავ მძიმე დაცვა“. უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც შიშს უფრო გავს, ნელნელა აქვს მის სულს. „სანამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს. ნუთუ მთელი მატჩის განმავლობაში ასე იქნება? დიახ, ამ სათვალეებიან კაცს, რომელიც ავტო, შენს პირდაპირ ზის, მართლაც რომ „რკინის ხელი“ აქვს“.

ბოტვინიკი იგებს პაიკს, მაგრამ ამ უპირატესობის რეალიზაცია სიკამოდ ძნელია. პარტია გადაიღო.

სახლში, გადადებული პარტიის ანალიზისას ტალი პოულობს ბრწინებულ დაცვას. განახლდა თამაში, და უცებ სადღაც გაქრა ბოტვინიკის უპირატესობა. ახლა უკვე ტალსაც ყავს კლიური გამსვლელი პაიკი. რა მოხდება შემდგომში ტალს ხომ მოგებისთვისაც შეუძლია თამაში.

კეთდება კიდევ რამდენიმე სვლა. რატომ არ წასწია ტალმა წინ თავისი გამსვლელი პაიკი, რატომ შესწირა ამის სანაცვლოდ ორი პაიკი? ნუთუ ის მხოლოდ ყაიმზე ფიქრობს? დიახ, ეს ასეა!..

ტალი, სწორედ ის ტალი, რომელსაც არასდროს არავის არ შინებია, ეძებს „საყაიმო ნავსადგურს“ და არ ცდილობს მოგებისთვის ითამაშოს იქაც კი, სადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია. მან უკვე დაკარგა თავისი თავის რწმენა. და თუმც მისი თაყვანისმცემლები აღსავსე არიან მისი გამარჯვების რწმენით, თუმც ბოტვინიკიც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ერთი ქულით არის წინ, მთავარი მაინც უკვე მოხდა — ტალს დაეკარგა რწმენა...

ყაიმი მეექვსე პარტიაში, ბოტვინიკის გამარჯვება მეშვიდეში, და ბოლოს, ტალის მშვენიერი და სრულფასოვანი გამარჯვება მერვე პარტიაში. მაგრამ გარდატეხა ბრძოლაში არა და არ დგება. ტალი მხოლოდ გარეგნულადაა ფრთხილ-შესხმული. არა, იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება — პირველი სვლებიდანვე გამჭვირვარებული თავს ესხმის მეტოქეს, მაგრამ ბოტვინიკი, თითქოს ელოდა ტალის ამგვარ აფეთქე-

ბას. ელოდა და კარგადაც მოემზადა მის დასაცხრობად. დინჯად აქარწყლებს მოწინააღმდეგის ახარტულ იერიშებს და ქულას ქულაზე აგროვებს. ანგარიში სწრაფად იხრდება ექსტენშიონის სასარგებლოდ.

ტალს ბრძოლაში შეჰყავს შავი დღისთვის გადანახული ძველინდური დაცვა. ყველაჯერო სასწორზეა შეგდებული, მაგრამ განსხვავება ძალზე დიდია. ძნელია იმის დაბრუნება, რაც დაიკარგა მატჩში და მატჩამდე.

ახლოვდება ეპილოგი. ტალი ყოველგვარი საშუალებებით იბრძვის იმისათვის, რომ როგორმე შეინარჩუნოს „სამეფო ტახტი“, მაგრამ უკვე გვიანაა. დედაქალაქის კინოთეატრის ეკრანებზე ჩნდება ახალი ფილმი „ადამიანი არ ნებდება“. ეს ტალზეა, ხუმრობს რომელიღაც მოჰაბრაყედილ, ტალი არ ნებდება, მაგრამ უკვე მალე დაიწყება აგონია.

მატჩის უქანასკნელი პარტია 21-ე პარტია იყო. მოიგო რა იგი, ბოტვინიკმა მიიგო ორთაბრძოლაც ანგარიშით 13:8 და კვლავ ავიდა საჰაერაო სამეფო ტახტზე. შესანიშნავი საბჭოთა მოჰაბრაყე მეგზუთედ შეამკეს მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით; ამაჯობად უკვე მისი სახელოვანი 50 წლის თავზე. იგი კვლავინდებურად საბჭოთა საჰაერაო სკოლის ლიდერია და ბრძოლისა და გამარჯვების რწმენითაა აღსავსე.

ახლა ტალზე! ნუთუ იგი მხოლოდ მეტეორი იყო, რომელმაც საჰაერაო პორიზონტზე გაივლია? ეყოფა ძალა, რომ ამ უმძიმესი დარტყმის შედეგ წელში ვაიმართოს? შესძლებს უმაღლესი საჰაერაო გვირგვინისათვის მებრძოლთა შორის თავისი ღირსეული ადგილის შენარჩუნებას? უსათუოდ შესძლებს! მაგრამ ერთის პირობით: თუ კრიტიკულად შეაფასებ მთელ თავის შემოქმედებას და სწორ დასკვნებს გამოიტანს წლიეანდელი დამარცხებიდან. დილისტატმა ბრონშტეინმა ერთხელ ტალზე თქვა, რომ მის პარტიებს არ ახასიათებს ფილოსოფიური მიზანსწრაფვა, მის საღებბეტო სტრატეგიას ჯერ კიდევ არ გააჩნია საჭირო სიღრმე, რომ ტალი გენიალური შემსრულებელია, მაგრამ... ჯერ კიდევ არ არის კომპოზიტორი.

და ბრონშტეინი მართალია, მსოფლიო ჩემპიონი აუცილებლად უნდა იყოს კომპოზიტორი, განსხვავებული სტილია და მიმართულების მიუხედავად. და მხოლოდ მაშინ იქნება იგი ერთგული მსახური იმ დიდი ხელოვნებისა, რომელიც მილიონობით ადამიანს ეკუთვნის.

6 43/2028



ՅՅԵՈ ԵՈ ԿԿԿ.

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„ՇԻՏԲԱՐԻ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ՏԱԲՇՈՒ ՄՇԵՐԱԼԻ“